საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქართული ენის, ლიტერატურისა და
ჟურნალისტიკის კათედრა

ქართული მეტყველების კულტურის საკითხები

დამხმარე სახელმძღვანელო არასპეციალური
ფაკულტეტების სტუდენტებისთვის

თბილისი 2004

მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა

შემდგენლები: ქეთევან გიორგობიანი, მანანა
დათუკიშვილი, მარიამ ვარდიაშვილი,
მარიკა ზვიადაძე, ცოტნე კიკვიძე,
თემურ ჯაგოდნიშვილი

რედაქტორები: ცოტნე კიკვიძე, თემურ ჯაგოდნიშვილი

რეცენზენტები: პროფ. ელენე ბაბუნაშვილი
ფილოლ. მეცნ. კანდ. თამარ ზურაბიშვილი

წინასიტყვაობა

პირველ გამოცემასთან შედარებით, ეს გამოცემა შეივსო ახალი თავებით. რაც იყო, შეძლებისდაგვარად გავამარტივეთ, რომ უფრო ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო.

ყველა შენიშვნას, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნის გაუმჯობესებას, სიამოვნებით მივიღებთ.

2004 წ.

პირველი გამოცემის წინასიტყვაობა

წინამდებარე დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც მოქმედებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგენელი ე. ბაბუნაშვილი, რედაქტორი ი. ქავთარაძე).

ეს პირველი ცდაა დასახელებული პროგრამის მიხედვით სახელმძღვანელოს შედგენისა და ბუნებრივია, დაზღვეული ვერ იქნება ცალკეული ნაკლოვანებებისგან.

შემდგენლები თავიანთ სასიამოვნო მოვალეობად თვლიან, განსაკუთრებული მადლობა უძღვნან წიგნის რეცენზენტს, ქალბატონ ელენე ბაბუნაშვილს მოწოდებული საყურადღებო შენიშვნებისთვის, რომელთა გათვალისწინება მათ აუცილებლად მიიჩნიეს.

ყველა საქმიან შენიშვნას, რომელიც გააუმჯობესებს სახელმძღვანელოს, სიამოვნებით მივიღებთ.

1998 წ.

შემოკლებათა განმარტება

აკაკი	აკაკი წერეთელი
ანდ.	ანდაზა
შ. არაგვ.	შიო არაგვისპირელი
„ახ. კომ“.	გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“
ლ. არდ.	ლავრენტი არდაზიანი
ნ. ბარათ.	ნიკოლოზ ბარათაშვილი
ვ. ბარნ.	ვასილ ბარნოვი
დ. ბაქრ.	დავით ბაქრაძე
ბაჩანა	ნიკო რაზიკაშვილი
ა. ბელ.	აკაკი ბელიაშვილი
ე. გაბ.; ეკ. გაბ.	ეკატერინე გაბაშვილი
გალაკტიონი	გალაკტიონ ტაბიძე
კ. გამსახ.	კონსტანტინე გამსახურდია
რ. გვეტ.	რაჟდენ გვეტაძე
ლ. გოთ.	ლევან გოთუა
ტ. გრან.	ტერენტი გრანელი
ი. გრიშ.	იოსებ გრიშაშვილი
შ. დად.	შალვა დადიანი
გ. დოჩ.	გურამ დოჩანაშვილი
ნ. დუმ.	ნოდარ დუმბაძე
ი. ევდ.	იროდიონ ევდოშვილი
ი. ელეფთ.	ილია ელეფთერიძე (ილია ზურაბიშვილი)
გ. ერისთ.	გიორგი ერისთავი
რ. ერისთ.	რაფიელ ერისთავი
ვაჟა	ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი)
„ეფხ“.	„ეფხისტყაოსანი“
იაკობი	იაკობ გოგებაშვილი
ილია	ილია ჭავჭავაძე
რ. ინან.	რევაზ ინანიშვილი
კ. კეკ.	კორნელი კეკელიძე
დ. კლდ.	დავით კლდიაშვილი
„კომ“.	გაზეთი „კომუნისტი“
ზ. კუხ.	ზურაბ კუხიანიძე
მ. ლებ.	მურმან ლებანიძე
გ. ლეონ.	გიორგი ლეონიძე
„ლიტ. და ხელ.“	გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“
„ლიტ. საქ.“	გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“

ნ. ლომ.	ნიკო ლომოური
ჭ. ლომ.	ჭოლა ლომთათიძე
კ. ლორთქ.	კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ნ. ლორთქ.	ნიკო ლორთქიფანიძე
ო. მამფ.	ოთარ მამფორია
მ. მაჭ.	მუხრან მაჭავარიანი
ს. მთვ.	სეიმონ მთვარაძე
ა. მირცხ.	ალიო მირცხულავა
ეგ. ნინ.	ეგნატე ნინოშვილი
გრ. ორბ.	გრიგოლ ორბელიანი
თ. რაზ.	თედო რაზიკაშვილი
გ. რობ.	გრიგოლ რობაქიძე
გ. რჩეულ.	გურამ რჩეულიშვილი
საბა	სულხან-საბა ორბელიანი
„საქ. რესპ.“	გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
„სოფ. ცხ.“	გაზეთი „სოფლის ცხოვრება“
არჩ. სულ.	არჩილ სულაკაური
ტიციანი	ტიციან ტაბიძე
მ. ქელივ.	მიხეილ ქელიეიძე
ლ. ქიაჩ.	ლეო ქიაჩელი (შენგელია)
გ. ქიქ.	გერონტი ქიქოძე
ა. ყაზბ.	ალექსანდრე ყაზბეგი
ს. შანშ.	სანდრო შანშიაშვილი
გ. შატბ.	გიორგი შატბერაშვილი
გ. ჩოხ.	გოდერძი ჩოხელი
ო. ჩხ.	ოთარ ჩხეიძე
გ. წერ.	გიორგი წერეთელი
თ. ჭილ.	თამაზ ჭილაძე
ო. ჭილ.	ოთარ ჭილაძე
დ. ჭონქ.	დანიელ ჭონქაძე
ხალხ.	ხალხური
მ. ჯავ.	მიხეილ ჯავახიშვილი


შესავალი

ქართული ენა როგორც ქართველი ერის საერთო ეროვნული ენა

ქართული ენა ქართველი ერის საერთო ეროვნული ენაა. ქართველი ერისთვის დამახასიათებელ ნიშანთაგან (ტერიტორიული მთლიანობა, ერთიანი ეკონომიკა, ფსიქოლოგიური წყობა და სხვ.) ის უძველესია და იმთავითვე წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ეროვნული კონსოლიდაციის ყველაზე მძლავრ საშუალებას. ქართველი ერის ისტორიაში ცნობილია პერიოდები, როდესაც საქართველო დაშლილი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, მაგრამ ქართული ენა ყოველთვის იყო საერთო ეროვნული ენა. საქართველოს ერთიანობის იდეას მუდამ კვებავდა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, ამიტომ საესებით კანონზომიერი იყო, რომ X საუკუნის ცნობილი მწერალი გიორგი მერჩულე ერთიან საქართველოს საერთო ენის ნიშნით ახასიათებდა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ღოცვაჲ ყოველი აღესრულების“. საერთო ენა შემდგომ საუკუნეებში ასევე ერის მთლიანობის, კონსოლიდაციის უმნიშვნელოვანეს იარაღად დარჩა. ქართული ენა ქართველურ ენათა ოჯახს განეკუთვნება. ქართველურ ენათა ოჯახში შედის ქართული, მეგრული, ლაზური და სვანური ენები. ზოგიერთი სპეციალისტი მეგრულსა და ლაზურს ერთი ენის („ზანურის“, „კოლხურის“) დიალექტებად მიიჩნევს. ამ ენათაგან მხოლოდ ქართულია სალიტერატურო ენა. იგი საერთო ეროვნული ენაა მეგრელების, ლაზებისა და სვანებისთვის.

ქართული ენის ადგილი მონათესავე ენათა შორის

ქართველურ ენათა ნათესაობის ურთიერთობა სქემატურად ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ამ სქემიდან ჩანს, რომ ქართველური ენები (ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური) ერთი საერთო ენიდან მომდინარეობს. ჩანს ისიც, რომ ამ საერთო ენას პირველად სვანური გამოეყო, შემდგომ ქართულ-ზანური ენაც ცალკე ენებად დაიშალა: ქართულად და ზანურად, მომდევნო ეტაპზე კი ზანურიც ორ ენად ჩამოყალიბდა: მეგრულ და ლაზურ ენებად. ამის დასადგენად ენათმეცნიერებმა გამოიყენეს გლოტოქრონოლოგიური მეთოდი. სხვადასხვა მკვლევრის მიერ მიღებულია სხვადასხვაგვარი თარიღი. თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის გამოთვლით, საერთო-ქართველურიდან სვანურის გამოყოფა და ქართულ-ზანური ერთიანობა თარიღდება დაახლოებით ძვ. წელთაღრიცხვის X საუკუნით, ქართულ-ზანურის დიფერენციაცია კი – ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნით. ქართული სალიტერატურო ენა დოკუმენტურად 15 საუკუნისაა. ამ ხნის მანძილზე ის ჩამოყალიბდა ერთ-ერთ მოწინავე კულტურულ ენად. დღეს იგი არის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ცოცხალი სამწერლობო ენა.

როდის უნდა მომხდარიყო საერთო-ქართველური ენის ცალკეულ ენებად დაშლა

მიუხედავად დიდი ისტორიული ქარტეხილებისა, ქართულმა სალიტერატურო ენამ არა მარტო შეინარჩუნა თავისთავადობა, არამედ უაღრესად განვითარდა და გაფართოვდა.

ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა

ქართულ სალიტერატურო ენას, როგორც ერთ-ერთ უძველესს, უაღრესად დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ქართველი ერისთვის, არამედ მსოფლიო კულტურისთვის ზოგადად.

ქართულ ენაზე იმთავითვე შეიქმნა მდიდარი მაღალმხატვრული ლიტერატურა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდგომ იწყება დიდი მთარგმნელობითი მუშაობა. ძირითადად ითარგმნებოდა ქრისტიანული ლიტერატურის ძეგლები ძველი ბერძნულიდან, არაბულიდან, სირიულიდან, ძველი სომხურიდან. მოგვიანებით ითარგმნებოდა ფილოსოფიური და, საერთოდ, საერო ლიტერატურის ძეგლები როგორც დასახელებული

ენებიდან, ისე სპარსულიდანაც. გამოვლენილია ბიზანტიური ლიტერატურის არა ერთი და ორი ძეგლი, რომლებიც დღემდე მხოლოდ ქართული თარგმანებით შემონახულა. არათუ ზოგიერთი ძეგლი, ზოგიერთი მწერალიც კი უცნობი იქნებოდა ბიზანტიური ლიტერატურის მკვლევართათვის, რომ ქართულ ენაზე არ შენახულიყო მათ ნაწარმოებთა თარგმანები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა მწერლობამ შემოგვინახა საყურადღებო არაბული და სპარსული ძეგლები. ამ ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებს ხშირად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მათი მეცნიერულად გამართული ტექსტის დასადგენად ორიგინალის ენაზე. მაგალითად, ცნობილია, რომ სპარსული რომანის „ვის ო რამინის“ (ქართულად „ვისრამიანის“) სპარსული ტექსტის დასადგენად, სპარსული ნუსხების პარალელურად, ქართულ თარგმანსაც მიმართავენ. ქართული „ვისრამიანი“ მთარგმნელობითი ოსტატობის შეუდარებელი ნიმუშია.

დღეს მთელ მსოფლიოში აღიარებულია, რომ ბიზანტიური ლიტერატურის (და არა მარტო ლიტერატურის) კვლევა ყოვლად შეუძლებელია ქართული ლიტერატურის გაუთვალისწინებლად.

ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა

ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ, მათს შორეულ წარსულზე სხვადასხვაგვარი ლეგენდა თუ ცნობა არსებობს. ცნობილ ბერძენ ისტორიკოს ჰეროდოტეს (484-425 წლები ძვ.წ.აღრ.) მიაჩნდა, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, „კოლხები“, ეგვიპტური წარმოშობისანი არიან. მისი აზრით, ისინი ეგვიპტის მეფის, სესოსტრისის მოლაშქრეების შთამომავალნი არიან, რომლებიც მდინარე ფაზისთან (რიონთან) დამკვიდრებულან. ამას ჰეროდოტე იმით ასაბუთებდა, რომ კოლხებიცა და ეგვიპტელებიც მისდევდნენ წინადაცვეთას, ერთნაირად ამუშავებდნენ სელს და სხვ...

ძველ ბერძნულ სამყაროში გავრცელებული იყო აზრი, რომ აღმოსავლეთის იბერები დასავლეთის იბერიიდან (ესპანეთიდან) გადმოსახლდნენ. ამ გადმოსასლებას კი ძვ.წ. VI საუკუნის ბაბილონელ მეფეს, ნაბუქოდონოსორს მიაწერდნენ. თუმცა ისიც

უნდა ითქვას, რომ ამ მოსაზრებას უკვე ანტიკური ხანისავე ზოგიერთი მწერალიც კი არ იზიარებდა. მაგალითად, აპიანე მსგავსებას ვერ ხედავდა ესპანეთის იბერებსა და კავკასიის იბერებს შორის. ასე რომ, ესპანეთის იბერებისა და კავკასიის იბერების დაკავშირება ამ ორი ქვეყნის სახელების მსგავსების საფუძველზეა შექმნილი და ჭეშმარიტებისგან ისევე შორსაა, როგორც ჰეროდოტეს მოსაზრება კოლხების ეგვიპტური წარმოშობის თაობაზე.

ძველად იბერიაში გავრცელებული იყო ლეგენდა იბერთა სამეფო სახლის აქამენიდთა დინასტიის უკანასკნელი მეფის, დარიოს III-ის, სატრაპ მითრიდატესგან წარმომავლობის თაობაზე. ეს მითრიდატე თითქოს ალექსანდრე მაკედონელს დაუნიშნავს მმართველად კავკასიაში მოსახლე იბერებისთვის. ეს გადმოცემა დაცული აქვს ძველ სომეხ ისტორიკოსს, მოსე ხორენელს.

მსგავსი ლეგენდა შემოუნახავს, აგრეთვე, ძველ ქართულ საისტორიო ქრონიკას, „მოქცევაჲ ქართლისაჲს". აქ ნათქვამია, რომ როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ქართლი დაიპყრო (სინამდვილეში მსგავსი რამ არ მომხდარა), მან აქ მმართველად დატოვა „არიან-ქართლის მეფის ძე აზო". აზო წავიდა არიან-ქართლში და იქიდან მრავალი თანამემამულე მოიყვანა. აი, ამ არიან-ქართლიდან გადმოსახლებულების მემკვიდრენი ვართო ქართველები. თუ რა უნდა იგულისხმებოდეს „არიან-ქართლში", ამის ახსნის მრავალი ცდა არსებობს, მაგრამ გადაჭრილად რამის თქმა მაინც ჭირს.

„ქართლის ცხოვრების" მიხედვით კი ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხების საერთო წინაპარი იყო თარგამოსი, „ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი". ბაბილონის გოდოლის დაშლის შემდეგ თარგამოსი ჩრდილოეთიდან მოსულა და დამკვიდრებულა არარატისა და მასისის (ტურაბდინი) მთათა შორის. თარგამოსს რვა შვილი ჰყოლია, რომელთაგან მოდიან კავკასიის ხალხები: ჰაოს (სომხები), ქართოს (ქართები, ქართველები), ბარდოს (რანები), მოვაკან (მოვაკანელები), ლეკ (ლეკები), ჰეროს (ჰერები), კაეკას (კავკასიანნი), ეგროს (მეგრელები).

ყველა მოსაზრებათაგან ქართველთა წარმოშობის თაობაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა I საუკუნის ებრაელი მწერლის, იოსებ ფლავიოსის მოსაზრება, რომ ბიბლიური თუ-

ბალები მერმინდელი ივერნი (იბერნი) არიან. მისგანვე მოდის, აგრეთვე, ბიბლიური „მეშეხის“ (მოსოხის) დასახელა შემდეგდროინდელი კაბადოკიელების წინაპრად.

XIX საუკუნეში ძველი ასურული ლურსმული წარწერების გაშიფვრის შედეგად დადასტურდა თუბალებისა და მეშეხების რეალური არსებობა. ისინი ყოფილან ძვ.წ. II-I ათასწლეულებში მცირე აზიაში არსებული დიდი გაერთიანებები, ტომთა კავშირები და სამეფოები. ევროპელმა მეცნიერებმა ისინი ქართველების წინაპრებად აღიარეს.

გამოჩენილი მეცნიერის – კ.ლემან-ჰაუპტის აზრით, ქართები (იბერები) ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოსული კარდუხებისა და მცირე აზიიდან მოსული მესხების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ. მისივე აზრით, ქართები (იბერები) წარმოიქმნენ კარდუხებისა და ფრიგიელი მუშქების საქართველოს მიწა-წყალზე შერევის შედეგად.

თაბალების, მუშქებისა და სხვა ტომების ქართველ ტომებთან გენეზისური კავშირის კონცეფცია გაიზიარა ი. ჯავახიშვილმა. ის ვარაუდობდა, რომ ეს ქართველი ტომები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცირე აზიიდან გადმოსახლდნენ ძვ. წ. აღრ. VII საუკუნეში. ქართველთა მიგრაციის ამ თეორიას იზიარებდა ნ. მარიც.

როდესაც დასავლეთის ორიენტალისტიკამ XX საუკუნეში თაბალები და მუშქები ინდოევროპელებად ცნო, ი. ჯავახიშვილმა ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირა სხვა კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზისს. იგი ქართველური და მთის კავკასიური (დაღესტნური, ვეინახური და აფხაზურ-ადიღეური) ენების ნათესაობას ამტკიცებდა. ამასთანავე, იგი ფიქრობდა, რომ ისევე, როგორც აფხაზურ-ადიღეური, ვეინახური და დაღესტნური ტომები ადრე უფრო სამხრეთით ცხოვრობდნენ, ქართველებიც სამხრეთიდან უნდა იყვნენ მოსულიო. იგი უარყოფდა თუბალ-თაბალებისა და მოსოხ-მუშქების ინდოევროპელობას.

ს. ჯანაშიამ არ გაიზიარა ქართველთა მიგრაციის თეორია. მან ახალი ეთნოგენეტიკური კონცეფცია წამოაყენა: ქართველები გენეზისურად წინა აზიის მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნიანო.

დაახლოებით ექვსი ათასი წლის წინათ წინა აზიის მიწა-წყალზე და სამხრეთ ევროპაშიც (ბალკანეთის, აპენინისა და

პირინეის ნახევარკუნძულებზე) ძვ. წ. აღრ. II ათასწლეულიდან მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ. მათ შორის იყვნენ ხეთები და სუბარები. ისინი არიან ქართველთა წინაპრები. ხეთები მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, სუბარებს კი ეჭირათ ტერიტორია ჩრდილოეთ მესოპოტამიიდან მოყოლებული კავკასიონამდე.

ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე კულტურის ორი წრე ჩამოყალიბდა – დასავლური და აღმოსავლური. ისინი ქართველი ტომების ორ გაერთიანებას შეესაბამებოდა – დასავლურ-ქართულსა და აღმოსავლურ-ქართულს. ამავე ხანებში ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქსაქსა. ამ ტომებიდან ყველაზე უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ მუსკები, მერმინდელი მესხები. ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებში ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ახალი ძლიერი სახელმწიფო – ურარტუ შექმნეს. მის მეზობლად არსებობდა ხეთურ-სუბარული სამეფო მანა. მალე ეს სახელმწიფოები გაანადგურდა. ძვ.წ. VI საუკუნისათვის სუბარეთის ჩრდილო რაიონების, კერძოდ, დღევანდელი საქართველოს მოსახლეობა იმდენად იყო დაწინაურებული, რომ აქ სახელმწიფო ორგანიზაციისთვის საჭირო ნადაგი არსებობდა. რაც ურარტუს სამეფო დაემხო და მისი ცენტრი ვანის ტბის პირას მოისპო, სახელმწიფოებრივმა ცენტრებმა უფრო ჩრდილოეთისკენ გადმოინაცვლა. აქ ქართული სახელმწიფოები – კოლხეთი და იბერია ჩამოყალიბდა.

ზემოთ განხილული თეორიები ქართველი ტომების ჩამოყალიბების თაობაზე ძირითადად იმ წერილობითს ცნობებსა და ენობრივ მასალებს ეყრდნობოდა, რომლებიც ძვ.წ.აღრ. I ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ახ.წ.აღრ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ვითარებას ასახავს.

ქართველი ხალხისა და ქართული ენის ჩამოყალიბება უფრო ძველი ამბავია. ანტიკური ხანის ცნობები ეხება ქართველი ხალხის იმ ეპოქას, როდესაც უკვე მომხდარია ენობრივი დიფერენციაცია (გვაქვს საკუთრივ ქართული, სვანური, ზანური ენები) იმის გასარკვევად, თუ რა ვითარება იყო ადრე ანტიკურ ხანაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ლინგვისტიკურ ინტერპრეტაციებსა და არქეოლოგიურ მასალას, რომელიც აქამდე არ ყოფილა განხილული.

ენობრივი, არქეოლოგიური და ისტორიული მასალების შეს-

წაელის საფუძველზე დაფუძნებულია ზოგიერთი საყურადღებო ჰიპოთეზა.

გ. მელიქიშვილის ვარაუდით, ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს ძვ.წ. III-II ათასწლეულთა მიჯნაზე მაინც უკვე უნდა ჰქონოდა საკუთარი სახე (უკვე ამ დროს უნდა არსებულიყო ქართველურ ენათა ფუძე ენა, რომლის წიაღში მხოლოდ დიალექტური მასშტაბების განსხვავებანი თუ იყო ჩასახული).

ძვ.წ. VIII საუკუნიდან ივარაუდება ქართულ-ზანური ერთობის დაშლის დასაწყისი, დასაბამი ეძლევა ქართებისა და ზანების (მეგრელ-ლაზების) ენობრივი განცალკევების პროცესს. ამიტომ II-I ათასწლეულთა მიჯნაზე არსებული „კოლხეთის სამეფო“ არ შეიძლება ზანური გაერთიანება ყოფილიყო. იგი უნდა განვიხილოთ როგორც ქართულ-ზანური მოსახლეობის გაერთიანება, რომელიც, ამასთანავე, როგორც ჩანს, მოიცავდა ისტორიული კოლხეთის ჩრდილოეთ რაიონებში მცხოვრებ სვანთა ტომებსაც. ამ სუსტად დიფერენცირებული ქართული ეთნიკური ჯგუფის კულტურა უნდა ყოფილიყო ე.წ. „კოლხური კულტურა“, რომელიც ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალს მოიცავდა ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში და I ათასწლეულის I საუკუნეში. „გვიან ბრინჯაოს“ ეს მეტად თავისებური კულტურა მთელ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს და ისტორიული მესხეთის მიწა-წყალს მოიცავდა.

ძვ. წ. VII საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ხალხთა დიდი მასების შემოჭრა იწყება. კოლხეთის გზით შემოიჭრნენ კიმირიელები, ხოლო კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გზით – სკვითები. ამიერიდან სწრაფად უნდა განვითარებულიყო ქართული ენის დიალექტების ენებად ჩამოყალიბების პროცესი. ძველი კოლხური სამეფოს დაცემამ საბოლოოდ შეაჩერა ძველი ქართული გაერთიანებების კონსოლიდაცია და დაიწყო ტომობრივი პარტიკულარიზმი.

შემდეგ ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში იწყება „იბერთა“ (ქართების) ტომების ჰეგემონობა. წამყვან როლს ასრულებდნენ ისტორიული მესხეთის – „მოსხების ქვეყნის“ – მიწა-წყალზე მცხოვრები ჯგუფები. „მესხური“ (ქართების) მოსახლეობა შიდა ქართლის მიწა-წყალზედაც (მცხეთა) გაჩნდა.

ამრიგად, II – I ათასწლეულში ქართველი ტომები სამხრეთ

კავკასიის, კერძოდ, სამხრეთ ამიერკავკასიის დასავლეთით ცხოვრობდნენ და სამხრეთ-დასავლეთითაც საკმაო მანძილზე იყვნენ გავრცელებული დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთში. აქ ისინი უძველეს ინდოევროპულ ტომებს ემეზობლებოდნენ.

ქართული ენის წარმოშობა

ქართული ენის წარმოშობით ჯერ კიდევ უძველესი ავტორები დაინტერესდნენ. ეს პრობლემა ევროპელი მეცნიერების ყურადღების ცენტრში XVII-XVIII საუკუნეში მოექცა. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი გოტფრიდ ლაიბნიცი (1646-1716წ.წ.) ქართულ ენას ევროპული მოდგმის ენად მიიჩნევდა. ამ პერიოდში ქართული ენის ნათესაობის პრობლემა ლექსიკური მასალის შედარების საფუძველზე წყდებოდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდან კი საკვლევაძიებო ყურადღების ცენტრში ქართული ენის გრამატიკული სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშნები მოექცა.

ქართული (resp. ქართველური) ენის ნათესაობის კვლევის ახალი პერიოდი ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის – მარი ბროსეს (1802-1880წ.წ.) სახელს უკავშირდება.

მ. ბროსე ფიქრობდა, რომ ქართული ენის ლექსიკა საერთოა ინდოევროპულ ენებთან, განსაკუთრებით სანსკრიტთან, ძველ სპარსულთან და ზენდურთან: ქართული ბუნებისა და შედარებითი ხარისხის ფორმანტი სანსკრიტული ანდა ზენდურია; მსგავსია ნაცვალსახელების სისტემა; უღლილების გარკვეული ნაწილი პარალელებს პოულობს სპარსულის, სანსკრიტისა და ბერძნულის უღლილებასთან; სინტაქსშიც მრავალი საერთო აქვთ.

ქართული ენის წარმომავლობას შეეხო, აგრეთვე, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი, გერმანელი მეცნიერი ფრანც ბოპი. იგი ქართველურ ენებს „იბერიულს ანუ ქართულს“ უწოდებს. მისი აზრითაც, ქართული ენა ინდოევროპული ენების მონათესავეა. ფ. ბოპის შრომაში, ძირითადად, მორფოლოგიისა და ლექსიკის მსგავსების ფაქტებია განხილული.

1854 წელს მაქს მიულერმა გამოთქვა მოსაზრება, ქართველური და, საერთოდ, კავკასიური ენები ალთაურ ენებს ენათესავებიახო.

1864 წელს დაიბეჭდა ფრიდრიხ მიულერის ნაშრომი – „კავკასიურ ენათა ადგილი ენათმეცნიერებაში“, რომელშიც ავტორი ასკვნის: ქართველური (resp. კავკასიური) ენები „არ უკავშირდებიან იდოევროპულ ენებს, მაგრამ მათ ვერც ურალურ-ალთაურ ენათა ოჯახს მივაკუთვნებთ. ჩანს, კავკასიური ენები – მსგავსად ბასკურისა ევროპის დასავლეთში – წარმოადგენენ გადმონაშთს გაცილებით დიდი ენების ჯგუფისა, რომელიც გაერცელებული იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით, ვიდრე აქ სემიტური, არიული და ურალურ-ალთაური გავრცელდებოდნენ“.

ზოგადად მსგავსი დებულება ადრეც იყო გამოთქმული (კლაპროთი, სენ-მარტენი) და მას სხვებიც (პოტი, ლეფსიუსი, ბენფეი, შპიგელი) იზიარებდნენ.

ასეთი აზრი გამოთქვა, აგრეთვე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქართველური ენათმეცნიერების დიდმა სპეციალისტმა ალექსანდრე ცაგარელმა (1872წ., 1886წ.).

ქართული ენის (resp. კავკასიური ენების) განკერძოებულობის თეორიას მხარი დაუჭირა გერმანელმა მეცნიერმა რ. ერკეტმაც (1895წ.).

ჯერ კიდევ სტუდენტობისას, 1888 წელს, ნიკო მარმა გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნა სტატია „ბუნება და თვისება ქართული ენისა“. ის ქართული ენის სემიტურ ენებთან ნათესაობას ამტკიცებდა. 20 წლის შემდეგ ნ. მარმა ვრცელი შრომა გამოაქვეყნა, სადაც სტუდენტობის დროს წამოყენებული ვარაუდის დამტკიცებას შეეცადა, მაგრამ შედმგომში ის იძულებული გახდა, თვითონვე ეღიარებინა თავისი მოსაზრების მცდარობა. ამ ენებთან ქართულის ნათესაობას მხარს უჭერდნენ ვინკლერი, ბორკი, ტრომბეტი, დირი, მიხეილ წერეთელი, კარსტი და სხვა.

არნ. ჩიქობავას აზრით, „რაც უფრო შორს ვიხედებით ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ისტორიულ წარსულში, მით უფრო ხელშესახები ხდება ამ ენათა წარმოშობითი კავშირი წინა აზიისა და შუამდინარეთის ძველი ცივილიზაციის ენებთან (უარარტულთან, ჰურიტულთან, ხეთურთან, ელამურთან, შუმერულთან)“.

მეცნიერებაში წინაელინური (პელასგურ-ანატოლიური) კულტურის შემქმნელ ხალხებთან იბერიულ-კავკასიური ენების კავშირის საკითხიც დგას.

იმთავითვე შენიშნეს, რომ ბერძნულ ენაში გამოიყოფა ფენა, რომელიც ინდოევროპული ენების საფუძველზე არ აიხსნება. მაშასადამე, ეს ფენა ბერძნულენოვან ხალხზე ადრინდელ აქაურ მკვიდრთა ენობრივ სამყაროს უნდა ეკუთვნოდეს. სწორედ ამ ფენის ასახსნელად მიმართავდნენ ხოლმე ქართველურ (resp. იბერიულ-კავკასიურ) ენებს.

პარალელებს ავლებენ ეგეოსურ-ქართველური ტოპონიმების ფუძეთა შეპირისპირებისას, მაგრამ ვიდრე ეს შეპირისპირება გარკვეულ და, რაც მთავარია, თანმიმდევრულ სურათს არ მოგვცემს, ერთ-ერთი ჰიპოთეზის ფარგლებს ვერ გასცდება.

ბევრ მეცნიერს გამოუთქვამს აზრი ქართველური და მთის კავკასიური (აფხაზურ-ადიღეური, ნახური, დაღესტნური) ენების ნათესაობის თაობაზე.

1937 წელს გამოვიდა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური წიგნი „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა". ავტორის აზრით, ქართველებისა და მთის კავკასიელების შორეული წინაპრები მოძმე ტომები ყოფილან. მათ მონათესავე და ერთი ენაც კი უნდა ჰქონოდათ. ამ ენის დიფერენციაციის შედეგად მივიღეთ თანამედროვე იბერიულ-კავკასიური ენები. მეცნიერის აზრით, ქართველ-ქართველურ ენათა განვითარებაში ორი ხანა გამოიყოფა: უძველესი, როცა „გრამატიკული სქეს-კატეგორიები ამ ენათა ძირითადს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა" და მეორე, როდესაც „გრამატიკული სქეს-კატეგორიები გაქრა" და „ქართულ-ქართველურის ახალი სახე ჩამოინაქვთა". ქართულ-ქართველური ენები აფხაზურ-ადიღეურ („სინდურ"), ნახურ („ღილღურ") და დაღესტნურ („ლეგურ-ალბანურ") ენათა მონათესავე ენებია.

ქართველური და მთის კავკასიური ენების ნათესაობას ამტკიცებს არნ. ჩიქობავა და მისი მეცნიერული სკოლაც.

არნ. ჩიქობავა წერს: „ამ (იბერიულ-კავკასიურ – ც.კ.) ენებში საერთო რაც არის, პირველადია. რაც უფრო ღრმად ვიჭრებით მათს ისტორიაში, მით უფრო მეტი საერთო აღმოჩნდება. ამ ენათა ისტორიის შესწავლა მათს გენეტიკურ ნათესაობას ადასტურებს".

დღეს ამ ისტორიას ყველა არ იზიარებს. ეჭვი ჯერ კიდევ ნ.ტრუბეცკოიმ გამოთქვა. ის განსაკუთრებით უარყოფდა ქართუ-

ლი ენის ჩრდილო-კავკასიის ენებთან ნათესაობას.

გ. დეეტერსის აზრითაც, ქართველური და მთის კავკასიური ენები გენეზისურად კი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, არამედ ისინი „ენობრივ კავშირს" ქმნიან. ამავე აზრისაა მისი მოწაფე კ. შმიდტი.

ჩვენშიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის დებულებას ყველა არ იზიარებს. ამ დებულებას უარყოფდა გ. წერეთელიც.

უკანასკნელ ხანებში უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგებია მოპოვებული ქართველური და ინდოევროპული ენების სტრუქტურათა ტიპოლოგიური მსგავსების შესახებ. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის შრომების მიხედვით, ინდოევროპულ-ქართველური შეხვედრები ქართველურ და ინდოევროპულ ენათა შორის არსებულ მჭიდრო კონტაქტებს ადასტურებს.

I. ქართული ანბანის წარმოშობის თეორიები

ქართული ანბანის რეალური არსებობა ახ. წ.-ის V საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყება, მაგრამ თუ როდის წარმოიშვა ქართული დამწერლობა, ამის თაობაზე სხვადასხვა ისტორიული ცნობა და ჰიპოთეზა არსებობს.

ქართულ ენაში წერასთან დაკავშირებული ზოგიერთი უძველესი ტერმინი (წარწერა, წერტილი, წერაქვი და სხვ.) უნდა მიუთითებდეს, რომ ქართველებს დამწერლობა უძველესი ხანაში ჰქონიათ.

ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები და უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენებიც საკმაო საბუთს იძლევა იმისათვის, რომ ვიფარაუდოთ: უძველეს ქართულ ტომებს ჰქონდათ დამწერლობა, მაგრამ რა სახისა იყო ის, ჩვენთვის უცნობია, რადგან აქამდე არ მოუღწევია. ამის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვაგვარი ჰიპოთეზაა წამოყენებული: ივ. ჯავახიშვილის თეორიის თანახმად, ქართული ანბანი გენეზისურად ფინიკიურ-სემიტური ანბანის სისტემას უკავშირდება.

ანბანური დამწერლობის გავრცელება ფინიკიური ანბანური დამწერლობით იწყება. ფინიკიურმა ანბანმა, ბერძნულის მეშვეობით, დასაბამი დაუდო დასაელურ ანბანურ სამყაროს, ხოლო არამეულის მეშვეობით – აღმოსაელურ ანბანურ სამყაროს.

1940 წელს ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები საქართველოს უძველეს დედაქალაქში, მცხეთა-არმაზში. აღმოჩნდა ქვა ორენოვანი წარწერით (ბერძნულ-არამეული). გ. წერეთელმა ამოიკითხა ეს წარწერა და დაადგინა არამეული ანბანის სახეობა, რომელსაც არმაზული დამწერლობა უწოდა. მისი დასკვნით, არმაზულ ანბანსა და ქართულ ანბანს უთუოდ აქვთ საერთო: ცალკეულ ასოთა მოხაზულობა ერთმანეთის მსგავსია. ასოების დამატებითი ელემენტებითა და საერთო სტილით ეს ორი ტიპის ანბანი ერთმანეთს უახლოვდება.

ზოგჯერ ქართული ანბანი მეტ არქაულობას ამჟღავნებს, ვიდრე არმაზული, ამიტომ არ შეიძლება ქართული ანბანი არმაზული დამწერლობის შემდგომ საფეხურად მიეიჩნიოთ. ის არმაზულის მონათესავეა. ორივე (ქართულიცა და არმაზულიც) საერთო წყაროდან – არამეულიდან მომდინარეობს.

საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ ქართული ანბანის არამეულმა საფუძველმა ბერძნული დამწერლობის გავლენით ტრანსფორმაცია განიცადა (იცვლებოდა წერის მიმართულება, ასოთა რიგი ანბანში, შემოჰქონდათ ხმოვანთა აღმნიშვნელი ნიშნები, რომლებიც, ნაწილობრივ, ბერძნული ენიდან იყო ნასესხები).

რ. პატარიძე იზიარებს ივ. ჯავახიშვილის თეორიას ქართული ანბანის ფინიკიური წარმოშობის შესახებ, მაგრამ, მისი აზრით ქართული ანბანი (ასომთავრული) უშუალოდ ფინიკიური დამწერლობის საფუძველზეა შექმნილი.

„თუ ჩვენ ჩვენი ანბანის თუ ალფაბეტის ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებას, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა, ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნული ასოების ფორმებსა".

დ. ბაქრაძე

ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმოშობის თაობაზე პირველად ე. გარდტჰაუზენმა მიუთითა ჯერ კიდევ 1875 წელს. მისი აზრით, ქართული ანბანი ბერძნული წარმომავლობისაა, რადგან ასო-ნიშნების თანმიმდევრობა (რიგი) ქართულ ანბანში, საკუთრივ ქართულ ფონემურ

ასო-ნიშნებამდე, ბერძნული ასო-ნიშნების რიგს მისდევს. გარდა ამისა, ქართულ ასო-ნიშნებს იგივე რიცხვითი მნიშვნელობა აქვს, რაც ბერძნულ ასო-ნიშნებს ბერძნულ ანბანში. ვ. გარდტპაუზენის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ასო „ვინი" ქართულ ანბანში, მსგავსად ბერძნულისა, მე-6 ადგილზეა და ექვსის რიცხვითი მნიშვნელობა აქვს.

ქართული ანბანი ბერძნული კულტურის გავლენით ჯერ კიდევ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიების არსებობის ხანაში შეიქმნა.

ქართული ანბანის ბერძნულიდან წარმომავლობის ჰიპოთეზას იზიარებდა დავით კარიჭაშვილი (1914 წ.).

პაველ ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ქართული და ბერძნული ანბანები საერთო წარმომავლობისაა (1939 წ.).

„ქართული ასოების რიგი ანბანში მისდევს ბერძნულის ასოების რიგს ისე, როგორც ისინი დალაგებულნი არიან რიცხვების აღსანიშნავად, იმ შემთხვევაში, როდესაც ბერძნული ასო გამოხატავს ქართულში არ არსებულს ხმას, ქართულს ანბანში მოთავსებული აქვს სხვა რომელიმე წმინდა ქართული ხმა. ასე მაშინაც, როდესაც რომელიმე ბერძნული ასო იმეორებს წინათ აღნიშნულ ხმას. ხმას ბერძნულს ანბანში არა აქვს თავის გამომხატველი განსაკუთრებული ასო. იგი გამოიხატებოდა ორის ასოთი. აგრეთვე იყო ძველს ქართულს ასომთავრულს ანბანშიც – ოჯ. რიცხვითი მნიშვნელობა ქართულის ასოებისა ისეთივეა, როგორც ბერძნულში. იმ ქართულის ხმების აღსანიშნავად, რომელთა მსგავსები ბერძნულში არ მოიპოვებიან, ასოები საგანგებოდ არიან შედგენილნი ბერძნულის ასოებითგან და მოქცეულნი ბოლოში. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ქართული ანბანი წარმოებულია ბერძნულისაგან".

/დ. კარიჭაშვილი/

ა.შანიძის აზრით (1973 წ.), ქართული ანბანის რიგი „ცოტაოდენი ცვლილებებით იმ რიგს მისდევს, რომელიც ძველ ბერძნულშია დაცული. ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ

1.იქ, სადაც ქართულში არ მოიპოვება ბერძნული ასოს შესაფერისი ბგერა, ჩასმულია ისეთი ასო, რომლის ბგერა თავის მხრივ ბერძნულს აკლია, ესენია: ჲ ჳ;

2.სხვა დამატებითი ასოები კი, რომლებიც ქართულის დამახასიათებელ ბგერებს გადმოგვცემენ, მოქცეულია უკანასკნელი ასოს წინ (ჰოჲ-ის წინ), სადაც ბერძნულს მხოლოდ ერთი თავისებური ბგერის ნიშანი აქვს.


3.ტ-ს შემდეგ ძველ ქართულ ანბანში ჯ იყო, რომელიც, ოსთან ერთად, ბერძნულის მსგავსად, უ-დ წარმოითქმოდა (ოჯ=უ). მისი ადგილი შემდეგში უ-მ დაიჭირა.

ბოლო დროს ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს მიეძღვნა თამაზ გამყრელიძის შრომა – „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა“ (1988 წ.). აქ ავტორი ასეთ დასკვნას გვთავაზობს:

„თანმიმდევრულად ანბანური წერის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს კლასიკური ბერძნული დამწერლობა, რომელიც წარმოიშვა ძველი სემიტური (კონსონანტურ-სილაბური) წერისაგან. ძველი სემიტური, ძველი ბერძნული და ძველი ქართული წერილობითი სისტემების ერთმანეთთან სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირება ავლენს ქართული დამწერლობის დამოკიდებულებას ძველ ბერძნულ და არა ძველ სემიტურ სისტემაზე, რომელსაც ჩვეულებრივ უკავშირებდნენ ძველ ქართულ ასომთავრულ დამწერლობას. სწორედ ბერძნული წერითი სისტემა იყო გამოყენებული როგორც წერითი პროტოტიპი ძველი ქართული დამწერლობის შესაქმნელად“.

მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ანბანის ბერძნულის გაელენით შექმნის თეორია ადრეც იყო წამოყენებული, მაგრამ ა. შანიძის აზრით, „ძველი ქართული წერა რომ ბერძნულის გაელენით შეიქმნა, პირველად თ. გამყრელიძის გამოკელევაშია დასაბუთებული ერცლად და სისტემებრ. ამასთანავე ერთად ავტორი ადგენს ძველი ქართული დაწერილობის ტი-

პოლოგიურ ადგილს სხვა ანბანურ დაწერილობათა შორის. თ.გამყრელიძის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დებულებანი მისაღებია და გასაზიარებელი".



ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებაც, ისევე როგორც მისი წარმომავლობის თაობაზე, მეცნიერებაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ქართული ანბანის თვით მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანისა არ იყოს. არამცთუ ქართული დამწერლობა წარმართობის ხანისა უნდა იყოს, არამედ უძველეს ხანას ეკუთვნის".

გ. წერეთელის აზრით, ქართული ანბანი V საუკუნეზე ადრე უნდა არსებულიყო.

პ. ინგოროყვას წერდა: „ქართული ანბანის წარმოშობა არ შეიძლება მიეკუთვნოს უფრო გვიან დროს, ვიდრე VII საუკუნეს ძვ. წ. აღრ.".

რ. პატარიძის აზრით, ქართული დამწერლობა (ქართული ასომთავრული) შექმნილია ძვ. წ. 415-410 წლებში.

კ. კეკელიძე ქართული ანბანის წარმოშობას საქართველოს გაქრისტიანებას უკავშირებდა.

„ქართული ანბანის შემოღებას ადგილი უნდა ჰქონოდა დაახლოებით 420-422 წლებში ახ. წ.. ახლად შემოღებული ანბანი არჩილის მეფობაშივე (422-432წ.წ.) გამოუყენებიათ, პირველ ყოვლისა, სახარების გადმოღების საქმეში. მაშასადამე, ქართული ანბანი შემოღებული უნდა იყოს ბაკურის მეფობის უკანასკნელ წლებში".

რადგან თ. გამყრელიძე ქართულ ასომთავრულ ანბანს ქრისტიანულად მიიჩნევს, ბუნებრივია, რომ მისი შექმნის ხანას IV საუკუნით განსაზღვრავს, თუმცა შენიშნავს, რომ „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა შესაძლებელია არც წარმოადგენს ქართული ენისათვის დამწერლობის შექმნის პირველ ცდას

და ქრისტიანობამდელ საქართველოში სავარაუდოა, არსებულიყო კიდევ უფრო ძველი წერილობითი ტრადიციები.

არ არის გამორიცხული, ასომთავრული დამწერლობა ქრისტიანობის ხანის ახალი ქართული ეროვნული დამწერლობა იყოს, რომელმაც შეცვალა (ან გამოაძევა) მანამდე არსებული, წარმართული ეპოქის წერილობითი სისტემა...

როდესაც არ უნდა იყოს შექმნილი ქართული ასომთავრული ანბანი, ერთი ცხადია: ქართული დამწერლობის რეალური ისტორია V საუკუნიდან იწყება. ამ დროიდან უკვე გვაქვს ქართული წერილობითი ძეგლები.

ქართული დამწერლობის რეალური ისტორია ქართული ანბანის განვითარებს სამ საფეხურს წარმოგვიჩენს: ამ ანბანით იწერებოდა ქართული ძეგლები V საუკუნიდან მოყოლებული IX საუკუნემდე. ქართული ასომთავრული ასოები მონუმენტურია, ერთი ზომისაა სიმაღლით და ყველა ორ პარალელურ ხაზს შორის თავსდება. შემდგომში ზოგიერთს ჩამოუგრძელდა ვერტიკალური ხაზი. ამ ანბანით არის შესრულებული პალესტინის ქართული მონასტრის (433 წ.), ურბნისის სიონის (V ს. I ნახ.), ბოლნისის სიონისა (493 წ.) და სხვა უძველესი ქართული წარწერები.

მრგლოვანი ანუ ასომთავრული

IX საუკუნეში ასომთავრულისგან განვითარდა ნუსხა-ხუცური დამწერლობა, რომელიც კუთხოვანია და, განსხვავებით ასომთავრულისგან, ოთხი სხვადასხვა ზომის ასოებს შეიცავს. სელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც X-XI საუკუნეებს განეკუთვნება, ნუსხა-ხუცურით არის დაწერილი. ნუსხა-ხუცურის პირველი ნიმუშებია ატენის სიონის 835 წლის წარწერა და უძველესი ქართული თარიღიანი (864წ.) ხელნაწერი, რომელიც ასომთავრულით არის დაწერილი, მაგრამ ხელნაწერის ანდერძი ნუსხა-ხუცურითაა შესრულებული.

ნუსხა-ხუცური

ნუსხა-ხუცურით ნაწერ ხელნაწერებში ასომთავრულიც იხმარება, მაგრამ უმეტესად სათაურებში და ინიციალებად. ნუსხა-ხუცურიდან X საუკუ-

მხედრული

ნე'ში განვითარდა ახალი ანბანი, რომელიც მხედრულის სახელითაა ცნობილი. მხედრულიც, ნუსხა-ხუცურის მსგავსად, ოთხი ზომისაა. მანაც X საუკუნიდან დღემდე გარკვეული ცვლილება განიცადა. მხედრულის პირველ ნიმუშად, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ატენის სიონის მხედრული წარწერები ითვლება. მხედრულია ის ანბანი, რომელსაც ჩვენ დღეს ვხმარობთ.

ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის წარმოშობის გამო ასომთაერული ხმარებიდან არ გამოსულა. სასულიერო ხასიათის წიგნებს (და არა მარტო სასულიერის!) შემდგომშიც წერდნენ და ბეჭდავდნენ ასომთაერულითა და ნუსხა-ხუცურით. თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე იხმარებოდა როგორც ასომთაერული, ისე ნუსხა-ხუცური.

მრგლოვანი ასომთავრული (V-IX სს)

ნუსხა-ხუცური (X-XI სს.)

მხედრული (XIს -დან)

ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები

ქართული სალიტერატურო ენის რეალური ისტორიაც V საუკუნიდან იწყება. ქართული სალიტერატურო ენის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს წარმოადგენს უძველესი წარწერები და ხელნაწერები.

ბოლო დრომდე უძველესს ქართულ წარწერად ბოლნისის სიონის წარწერები (493-494წ.წ.) ითვლებოდა. 1952-1953წ.წ. იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში, იუდას უდაბნოში, აღმოაჩინა ქართული მონასტერი სამი ქართული წარწერით. ამ აღმოჩენის შესახებ, ვირჯილიო კორბოს გარდა, ნაშრომები გამოაქვეყნეს მ. თარხნიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა და გ. წერეთელმა.

გ. წერეთლის აზრით, ამ წარწერათაგან ორი V საუკუნის 30-იანი წლებით თარიღდება. უძველეს ქართულ წერილობითს ძეგლებს განეკუთვნება ურბნისის სიონისა (Vს. I ნახ.) და ბოლნისის სიონის ცნობილი წარწერები. ბოლნისის სიონის წარწერათა ხანმეტური ზმნური ფორმები, ასოთა მოხაზულობა და აქ მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია საშუალებას იძლევა, რომ ეს წარწერები დათარიღდეს 493-494 წლებით (ა. შანიძე).

„პალესტინის, იუდას უდაბნოს წარწერები“ (V ს-ის 30-იანი წლები), არიან უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულს ბოლნისის წარწერებს... ამრიგად, ამ წარწერათა სახით ჩვენ გვაქვს ქართული დამწერლობის ყველაზე ადრინდელი ძეგლები“.

/გ. წერეთელი/

ცნობილია, აგრეთვე, მცხეთის ჯვრის წარწერები, რომელთა უძველესი ფენა V-VII სა-უკუნეებით თარიღ-დება.

უაღრესად მნიშვნელოვანია წყისის ჰაემეტი წარწერაც, რომელიც 616-619 წ.წ. თარიღდება.

ატენის წარწერათაგან უმნიშვნელოვანესია სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა (739 წ.). ქართული დამწერლობის ისტორიისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ატენის სიონის წარწერა (835წ.), რომელიც ნუსხა-ხუცური დამწერლობის ყველაზე ადრინდელი ძეგლია.

ასევე საყურადღებოა VIII-XII საუკუნეების სხვა წარწერები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია დადასტურებული.

ქართული სალიტერატურო ენის უაღრესად მნიშვნელოვნი ძეგლები დაუცავთ ქართულ ხელნაწერებს, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილს (1000-ზე მეტი) მოუღწევია ჩვენამდე.

ქართული ხელნაწერები, საქართველოს გარდა, დაცულია სირიაში, პალესტინაში, საბერძნეთში, საფრანგეთში, რუსეთში,

ავსტრიაში, ინგლისში, აშშ-ში და სხვ..

ამ ხელნაწერთაგან აღსანიშნავია ხანმეტი და ჰაემეტი პალიმფსესტები (V-VIII ს.), ხანმეტი ლექციონარი (VII ს.) და სხვ..

ქართული მწერლობა უაღრესად მდიდარია ნათარგმნი ქრისტიანული ლიტერატურით. გარდა ბიბლიური წიგნებისა, რომელთა ძირითადი ნაწილი (სახარება, ფსალმუნი და სხვ.) ჯერ კიდევ ადრეულ (IV-V) საუკუნეებში უნდა იყოს თარგმნილი, გვაქვს სხვადასხვა ხასიათის ქრისტიანული ძეგლის თარგმანები. ლიტურგიკული, ჰიმნოგრაფიული, ჰაგიოგრაფიული, აპოკრიფული, დოგმატური, ეგზეტიკური, ჰომილეტიკური და სხვა, ეს ძეგლები სხვადასხვა ენიდან – ბერძნულიდან, არაბულიდან, სირიულიდან და ძველსომხურიდან არის თარგმნილი.

ძველად საერო მხატვრული ლიტერატურული ძეგლებიც ითარგმნებოდა. ამ მხრივ აღსანიშნავია „სიბრძნე ბალავარისი“, რომელიც IX-X ს.ს.-ში უნდა იყოს თარგმნილი.

სპარსულიდან ითარგმნა, „ვისრამიანი“ (XII ს.), „შაჰ-ნამე“, „ქილილა და დამანა“ „ლეილ-მაჯნუნიანი“, და სხვა მრავალი.

V საუკუნიდან მოყოლებული, ქართულ ენაზე იქმნებოდა ორიგინალური ლიტერატურაც. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, გიორგი მთაწმინდელის „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომები, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფია და ბოლოს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული ძეგლებია. ამ ნაშრომებში მდიდრულადაა წარმოდგენილი ქართული მხატვრული და მეცნიერული ენა.

ქართული ენის ერთ-ერთი მონუმენტური ძეგლია „ქართლის ცხოვრება“, რომელშიც ორი ციკლის თხზულებანია თავმოყრილი: ძველი (XIV ს.-მდე) და ახალი (XIV-XVII ს.ს.) ციკლებისა. შემდგომშიც (XVIII ს.) დაიწერა საისტორიო თხზულებანი, რომლებიც გვიან (XIX ს.) „ქართლის ცხოვრებაში“ შევიდა.

ქართული ენის მეცნიერული შეწავლის მოკლე ისტორია

ქართული ენის შესწავლა ჯერ ჯიდევ უძველეს წარსულში დაწყებულა. გარდა ანტიკური ავტორების ცნობებისა ქართველი ტომებისა და ქართული ენის შესახებ, ჩვენ მოგვეპოვება ეფრემ

მცირის უაღრესად მნიშვნელოვანი ენობრივი დაკვირვებანი და ცალკეული შენიშვნები. ამავე ეპოქის (Xს.-ის) ძეგლია ორიგინალური ქართული გრამატიკული თხზულება „სიტყვა ართრონთათჳს". იგი დღესდღეობით უძველესია მსგავს ნაწარმოებთა შორის. ამ ნაწარმოებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისთვის. იგი მოწმობს, რომ ძველი მწიგნობრები კარგად ერკვეოდნენ ენის საკითხებში, იცნობდნენ ბერძნულ გრამატიკას და ცდილობდნენ ქართული ენის ბუნებისა და გრამატიკული კანონების შესწავლასაც. ამ ნაწარმოებში ნახმარ გრამატიკულ ტერმინთაგან ზოგიერთი დღესაც საყოველთაოდ არის ქართულში მიღებული (ნათესაობითი, მიცემითი). აშკარაა ისიც, რომ პირველი ქართული გრამატიკული თხზულებანი XII საუკუნეში კი არ არის დაწერილი, როგორც აქამდე იყო ცნობილი, არამედ გაცილებით ადრე. უფრო მოგვიანებით ენობრივი ძიება ემყარება და განაგრძობს ენათმეცნიერული კვლევის ტრადიციებს, რომლებიც XI-XII ს.-ში სავსებით ჩამოყალიბებული ჩანს.

1629 წელს რომში დაიბეჭდა სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის მიერ შედგენილი „ლექსიკონი ქართული და იტალიური", რომელიც შეიცავს 3984 სიტყვას. ტექსტი სამ სვეტადაა წარმოდგენილი: პირველ სვეტს ქართული სიტყვები შეადგენს; მეორე სვეტში ქართული სიტყვების ლათინური ტრანსლიტერაციაა მოცემული (აქ მახვილიც არის აღნიშნული); მესამე სვეტი იტალიურ შესატყვისს უჭირავს, მაგ:

აგება	agheba	Computione
ადვილი	advili	facile

ამ ლექსიკონში პირველად არის მოცემული ქართული სიტყვანი და ამდენად მას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. 1643 წ. რომშივე ლათინურ ენაზე დაიბეჭდა ფრანცისკ მარიო მაჯოს ქართული ენის გრამატიკა. ამ წიგნის მეორე გამოცემა გამოვიდა 1670 წელს. ფ. მ. მაჯოს „ქართული ანუ იბერიული ენის" გრამატიკა ოთხი ნაწილისაგან შედგება:

ქართული ენის პირველი გრამატიკა: ფ. მ. მაჯო, „ქართული ანუ იბერიული ენის გრამატიკა"

1. ორთოგრაფია,
2. ეტიმოლოგია,
3. სინტაქსი,
4. პროსოდია.

მაჯოს გრამატიკა ქართული ენის დღემდე ცნობილი პირველი გრამატიკაა. ამ შრომას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. სანამ მარი ბროსეს ქართული გრამატიკა გამოვიდოდა (1834წ.), ე.ი. თითქმის ორასი წლის მანძილზე, ევროპის სწავლულები მაჯოს შრომის საშუალებით ეცნობოდნენ ქართულ ენას.

„1634 წელს საფრანგეთში – რიშელიეს ინიციატივით აკადემია დაარსდა. აკადემიას მიზნად დაუსახეს ფრანგული ენის ლექსიკონი შეედგინა და ფრანგული ენის გრამატიკა დაემუშავებინა. ლექსიკონზე მუშაობას აკადემია 1638 წ. შეუდგა. 1674 წ., ე.ი. 36 წლის შემდეგ ლექსკონი გამოიცა. საბამ ლექსიკონზე მუშაობა 1685 წ. დაიწყო და 1716 წ. გაასრულა. ფრანგული ენის ლექსიკონს აკადემია ადგენდა. სპარსეთისა და თურქეთისაგან აწიოკებულ საქართველოში ერთმა პირმა იკისრა იმის გაკეთება, რაც ლუი XIV-ის საფრანგეთში აკადემიის საზრუნავ საგანს წარმოადგენდა“.

/არნ. ჩიქობავა/

1716 წელს დაუსრულებია თავისი „ლექსიკონი ქართული“ სულხან-საბა ორბელიანს. ეს არის პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონი, მისი გასრულებისთვის სულხან-საბას სამი ათეული წელი დასჭირვებია.

სულხან-საბას „ლექსიკონი ქართული“ ძირითადად განმარტებითია, მაგრამ ის რამდენადმე ენციკლოპედიურ და თარგმნითს ხასიათსაც ატარებს, რაც ამ ლექსიკონის დანიშნულებითაა გამოწვეული – იგი სასწავლოდ არის გათვალისწინებული.

„მე სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედა, რამეთუ ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილ იყო, რომელსა მეხუთე ვახტანგ მეფემან (იგულისხმება ვახტანგ VI – ც.კ.) ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ეინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თავისთა ნებაზედ გაერყვნათ. ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი ხელყოფა“

„ვეფხისტყაოსანთან“ ერთად და მის გვერდით სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი ძველი ქართული გონითი (სულიერი) კულტურის ძვირფასი ძეგლიცაა და უდიდესი მიღწევაც (არნ. ჩიქობავა).

ქართულ ენაზე დაწერილი პირველი ქართული გრამატიკის ავტორია ზურაბ შანშოვანი (1737 წ.). ეს გრამატიკა 1881 წ. გამოიცა პეტერბურგში პროფესორ ალექსანდრე ცაგარელის მიერ.

XVIII ს-ში დაიწერა ანტონ I-ის ქართული გრამატიკა (პირველი ვარიანტი 1753 წ., მეორე – 1767 წ.), რომელიც 1885 წ. გამოიცა რაფიელ ერისთავის წინასიტყვაობით. მიუხედავად იმისა, რომ ანტონის „ქართული ღრამმატიკა“ მძიმე სტილით იყო დაწერილი, მან დიდი როლი შეასრულა მომდევნო ხანის გრამატიკული აზროვნების ისტორიაში და მისი გავლენით დაიწერა ბევრი სასკოლო გრამატიკა.

1787-1791 წ.წ.-ში პეტერბურგში დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტიური ნაშრომი – „მსოფლიოს ენათა ლექსიკონი“, სადაც თავისი ადგილი აქვს მიჩენილი ქართველური ენების ლექსიკასაც.

1812-1825 წ.წ.-ში ახალი განმარტებითი ლექსიკონი შეადგინა ნიკო ჩუბინიშვილმა. ეს ლექსიკონი აგებულია ისე, როგორც სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“. თავის ლექსიკონს ავტორი უწოდებს „სულხან-საბა ორბელიანისგან შეთხზულს და მცირედ გამართულს სისტემისაებრ მისისა“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ჩუბინიშვილი ბრმად არ მისდევს სულხან-საბას. მას განხილული და სათანადოდ შეფასებული აქვს

სულხან-საბას ლექსიკონის პრინციპები. ნ. ჩუბინიშვილის „ქართული ლექსიკონი“ ავტორის ორიგინალური შრომაა და უაღრესად ფასეულია ქართული ლექსიკოგრაფიისთვის.

1834 წ. პარიზში დაიბეჭდა აკადემიკოს მარი ბროსეს „ქართული გრამატიკა“, ხოლო 1837 წ. – მისივე „ელემენტები ქართული ენისა“.

XIX საუკუნის 40-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში ფართო მუშაობა გაიშალა ქართველურ ენათა შესწავლის დარგში. ქართული ენის სწავლება პეტერბურგის უნივერსიტეტში 1845 წლიდან შემოიღეს. ქართული ენის პირველი ლექტორი იყო პროფ. დავით ჩუბინიშვილი (ჩუბინოვი) იგი განაგებდა ქართული ენის კათედრას. დ. ჩუბინიშვილმა გამოაქვეყნა რამდენიმე ლექსიკონი (ქართულ-რუსულ-ფრანგული 1840 წ., რუსულ-ქართული 1846 წ., ქართულ-რუსული 1887-1890 წ.წ.) და ქართული გრამატიკა (1855-1857 წ.წ.). დ.ჩუბინიშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი საფუძვლიანი ნაშრომია როგორც სალექსიკონო მასალის შეკრების, გადარჩევისა და ანბანზე გაწყობის, ისე მათი ქართულად ახსნისა და რუსულად თარგმნის მხრივ. სულხან-საბა ორბელიანი პირველი იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა სალექსიკონო მუშაობას ჩვენში. მას მოჰყვა ნიკო ჩუბინაშვილი და ორივე ამათ კი – დავით ჩუბინიშვილი, რომლის ქართულ-რუსული ლექსიკონი მის დროს მშვენიერი მონაპოვარი იყო ქართული ლექსიკოგრაფიისათვის.

1845 წლიდან ქართული ენის შესწავლა დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტში. გაიხსნა ქართული ენის კათედრა. კათედრის გამგე იყო დავით ჩუბინიშვილი.

1871 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას განაგებდა პროფ. ალექსანდრე ცაგარელი. 1872 წ. დაიბეჭდა მისი შრომა: „კაეკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის ენათა შედარებითი მიმოხილვა“, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართველურ ენათა შესწავლას ისტორიულ-შედარებითი მეთოდით. ამას 1880 წ. მოჰყვა მისივე წიგნები მეგრულის შესახებ («Мингрельские этюды»).

90-იან წლებიდან პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობას

იწყებს პროფ. ნიკო მარი. მან ფართოდ გაშალა მუშაობა ქართველოლოგიაში. გამოაქვეყნა მრავალრიცხოვანი შრომები და მონოგრაფიები. მათ შორის აღსანიშნავია „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ რუსულ ენაზე და მრავალი სხვა. ნ. მარის გარშემო შეიკრიბნენ მისი მოწაფეები: ივ. ჯავახიშვილი, ა.შანიძე, ე.ბერიძე და სხვები, რომელნიც შემდგომ სათავეში ჩაუდგნენ საენათმეცნიერო სკოლას საქართველოში.

ქართული უნივერსიტეტის დარსების შემდეგ (1918 წ.) ფართოდ დაიწყო ქართველური ენების შესწავლა და მალე თბილისი გახდა ქართველოლოგიის ცენტრი. გამოქვეყნდა ფუძემდებლური შრომები ქართული ენის გრამატიკასა და ფონეტიკაში. ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, ვ. თოფურიასა და არნ. ჩიქობავას შრომებმა ქართველურ ენათა შესწავლის საქმეში სრულიად ახლი ეტაპი შექმნა.

„თბილისის სახ უნივერსიტეტ'ში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოს. ყიფშიძის, პროფ. აკ. შანიძისა და პროფ. გ. ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროვო გარდაცვალების გამო, უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა. მოკლე ხანში მათ გვერდ'ში ამავე უნივერსიტეტის სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე გაწვრთნილი მკვლევარნი ამოუდგნენ: პროფესორები არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სიმონ ჯანაშია. ამავე დროს, ტფილისში ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებაც დაარსდა, სადაც მხურვალე მონაწილეობას სხვა ახალგაზრდა ენათმეცნიერებიც იღებენ“.

ამჟამად ქართული ენის პრობლემები შეისწავლება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტ'ში, თბილისის უნივერსიტეტ'ში საენათმეცნიერო კათედრებზე და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრებზე.

მონოგრაფიულად დამუშავდა ქართული ენის გრამატიკის

მრავალი საკითხი; გამოკვლეულია ქართული ენის ფონეტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები; დაიწერა ახალი და ძველი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკები (ა. შანიძე); დიდი ყურადღება ექცევა ლექსიკონების შედგენას (განმარტებითი, თარგმნითი, ცალკეული დარგების ტერმინოლოგიური).

1964 წელს დასრულდა კაპიტალური შრომის – „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" – რვატომეულის გამოცემა (მთავარი რედ. აკად. არნ. ჩიქობავა).

ასევე გაცხოველდა მუშაობა ქართველური ენების შესასწავლად უცხოეთში.

მოსკოვში გიორგი კლიმოვმა გამოსცა ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (1964 წ.).

ქართულ ენას იკვლევენ ბერლინში. რიჰარდ მაკელაინმა გამოსცა ქართულ-გერმანული (1828 წ.) და გერმანულ-ქართული (1937 წ.) ლექსიკონები. მანვე გამოაქვეყნა ქართულად გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის (1931 წ.). ლაიფციგში დაიბეჭდა (1930 წ.) გერჰარდ დეეტერსის მონოგრაფია „ქართველური ზმნა" და სხვა შრომები.

ნორვეგიელმა მეცნიერმა ჰანს გოფტმა გამოაქვეყნა ქართული ენის გრამატიკა ფრანგულად და შრომა ქართული ენის ფონოლოგიაზე.

1962 წ. აისბადენში კარლ შმიტმა გამოაქვეყნა შრომა „სამხრეთ კავკასიური ფუძეების ბგერათშედგენილობის რეკონსტრუქციის შესახებ".

ციურიხში გერმანულ ენაზე დაიბეჭდა კიტა ჩხენკელის ორტომიანი შრომა: „შესავალი ქართულ ენაში" (1959 წ.). ციურიხშივე 1960 წლიდან დაიწყო გამოცემა კ. ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონისა. კ. ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ ლექსიკონის დარჩენილი ნაწილების შედგენასა და გამოცემაზე მუშაობდნენ იოლანდა მარშევი, ლეა ფლური, რუთ ნოიკომი. ასეთია, ერთი თვალის გადავლებით, ქართული ენის შესწავლის ისტორია.

ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი შორეულ საუკუნეებშია საძებნი. ენათმეცნიერების განვითარების უაღრესად მაღალი დონის მიუხედავად, მეცნიერებას დღესაც ვერ მოეძებნება ზუსტი პასუხი ამ კითხვაზე. არ ვიცით, რა ბუნებისა იყო, როგორი

ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების საფეხურები საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით

იერი დაჰკრავდა ქართულ სალიტერატურო ენას მისი არსებობის ადრეულ სტადიებზე, რადგან არ შემონახულა იმდროინდელი წერილობითი ძეგლები. ისინი ისტორიულ კატაკლიზმებს შთაუნთქამს თუ გაუნადგურებია. არადა, რომ არსებულა, ქართველ ხალხს რომ ჰქონია თავისი სამწერლობო ენა და ამ ენაზე შესრულებული ნაირ-ნაირი ხასიათისა თუ შინაარსის ძეგლები, ამაზე ძველთაძველი ცივილიზებული ხალხების საისტორიო წყაროებიც ნათლად მიუთითებს. აი, თუნდაც რამდენიმე მაგალითი:

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია ერთი ძველთაძველი სირიული ხელნაწერი – „წიგნი ხალხებისა და ქვეყნების შესახებ". ამ წიგნში დამწერლობის მქონე ხალხებზეა საუბარი. ეს სირიული წყარო ძველი ცივილიზაციის 73 ხალხს შორის 15-ს ასახელებს ისეთ ერად, რომელთაც საკუთარი დამწერლობა და მწიგნობრობა აქვთ და ამ 15 ხალხს შორის მოიხსენებიან ქართველებიც. მწიგნობრობის მქონე ერებად, ქართველებთან ერთად, დასახელებული არიან: სირიელები, ბაბილონელები, ებრაელები, სპარსელები, ელამიტები, ეგვიპტელები, ინდოელები, ფინიკიელები, ალანელები, სომხები, რომაელები, კუშიტები, ამორიელები, იონიელები, ტაიელები.

ქართული მწიგნობრობის არსებობაზე განსაკუთრებით ბევრი და საინტერესო ცნობა V-VI საუკუნის ბერძნულ, სომხურ თუ დასავლურ საისტორიო წყაროებშია დაცული. მაგალითად, VI საუკუნის პირველი მეოთხედის ერთი ბერძნული საბუთი იუწყება, რომ ქართველებს ამ დროისათვის უკვე ჰქონიათ მშობლიურ ენაზე სახარება, სამოციქულო და სხვა ქრისტიანულ-რელიგიური ლიტერატურა. ამავე პერიოდის ერთი სომხური საეკლესიო საბუთის მიხედვით კი 506 წელს ქართველებსა და სომხებს ერთობლივი საეკლესიო კრება მოუწვევიათ და ამ კრების აქტი ქართულ და სომხურ ენებზე შეუდგენიათ. ესეც რომ არ იყოს, V საუკუნიდან თავად ქართულ წყაროებსაც მოუღწევიათ ჩვენამდე და არა უბრალოდ წყაროებს, არამედ ქართულ სალიტერატურო ენაზე დაწერილ ძეგლს – იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებას".

ამ ძეგლზე დაყრდნობით, ქართული სალი-ტერატურო ენის რეალური ისტორიის დასაბამად V საუკუნეა ჩათვლილი. თუმცა „შუშანიკის წამების“ ენა, მხატვრული აზროვნების დონე, ჰაგიოგრაფიის წიაღში თავჩენილი და ამ ნაწარმოებში ნორმად ქცეული მხატვრული თხრობის თავისებურებანი ნათლად მიუთითებს, რომ „შუშანიკის წამების“ სამწერლობო დონეს სულ ცოტა ორი-სამი საუკუნის ლიტერატურული ტრადიციები უნდა კვებავდეს.

ასე რომ, ქართული სალიტერატურო ენა ერთ-ერთი ძველთაძველი სამწერლობო ენაა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო (და გასაოცარიც!) ის არის, რომ ბევრი ძველი სამწერლობო ენისგან განსხვავებით, ქართული სალიტერატურო ენა თითქმის არ შეცვლილა. ეს იმაში ვლინდება, რომ XX საუკუნის მიწურულს ქართველ მკითხველს შუამავლის გარეშე შეუძლია გაიგოს 15 საუკუნის წინ დაწერილი ქართული სამწერლობო ძეგლი. მართლაც რომ უნიკალური მოვლენაა, ამ მხრივ, ქართული სალიტერატურო ენა!..

ქართული სალიტერატურო ენა ერთ-ერთი ძველთაძველი სამწერლობო ენაა, გარდასული ცივილიზაციის პირმშო, ახალ ცივილიზაციაში გადმოსული და შემონახული.

მეცნიერება ქართული სალიტერატურო ენის ამგვარი უცვლელობის მიზეზებად იმას ასახელებს, რომ ქართველ ხალხს სალიტერატურო ენის ისტორიულ პერიოდში, ანუ იმ დროის განმავლობაში, რომელსაც მოიცავს ქართული სალიტერატურო ენის რეალური ისტორია (V-XX სს.), არ გამოუცვლია ტერიტორია, არ განუცდია ენათა შერევა ან რომელიმე უცხო ენის ისეთი ძლიერი ზეგავლენა, რომელსაც შეეძლო წარმოთქმის შეცვლა. ამ გარეგან მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად, ქართული სალიტერატურო ენის უცვლელობას ანუ ერთგვარ კონსერვატიზმს განაპირობებდა თავად ქართული ენის ბუნება, კერძოდ: ისტორიულად ძლიერ მცირე ცვლილება განიცადა ქართული ბგერის სახემ. როგორც ძველი, ისე ახალი ქართული სალიტერატურო ენის ბგერითი სისტემა თითქმის იდენტურია ქართული ენის დიალექტების ბგერითი სისტემისა, ე. ი. ქართული სასაუბრო ენის ბგერითი სისტემისა.

ბგერათა ამ შეუცვლელობას გარეგანი და შინაგანი ფაქტორები განაპირობებს. გარეგანი (სოციალურ-პოლიტიკური) ფაქტორები:

ა) დიალექტების ბგერით თავისებურებათა შეზღუდულობა ქართველი ხალხის კომპაქტური განსახლების გამო (მცირე ტერიტორიაზე თანაცხოვრება აპირობებს ენობრივი ერთიანობის შეგნებას);

ბ.) სალიტერატურო ენის გავლენა დიალექტებზე.

ამ ორ გარეგან მიზეზთან ერთად მძლავრი ზეგავლენის მქონე შინაგან ფაქტორებად მიჩნეულია არტიკულაციის მკაფიო გამოკვეთილობა, მახვილის სისუსტე და ბგერათათვის სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის შეცვლის უნარის მინიჭება, უმთავრესად ზმნებში.

ქართული სალიტერატურო ენის შინაგანი უცვლელობის მიზეზებად ზემოაღნიშნულს მიიჩნევს ცნობილი ქართველი მეცნიერი გ. ახვლედიანი. თუმცა ეს ყველაფერი ქართული სალიტერატურო ენის კონსერვატიზმის ახსნის ერთი ცდაა და სხვას შეიძლება სხვა ახსნა მოეძებნებოდეს, ანდა ასეთი განსხვავებული, ახალი ახსნა მომავალში გაჩნდეს. მეცნიერული აზრის ძალა ხომ სიახლის განუწყვეტელ ძიებაშია. მივანდოთ ეს საქმე მეცნიერებას, დღეს კი იმით დავკმაყოფილდეთ, რომ ქართველს შეუძლია 15 და მეტი საუკუნის წინანდელი წინაპრის ნაფიქრისა და ნააზრევის წაკითხვა და გაგება! თუმცა ისიც არის აღსანიშნავი, რომ ქართული სალიტერატურო ენის უცვლელობასა და კონსერვატიზმზე საუბარი პირობითია, რადგან ისტორიულ დროთა წიაღში ქართული სალიტერატურო ენა, რასაკვირველია, ვითარდებოდა, მაშასადამე, გარკვეულად იცვლებოდა კიდეც სრულყოფა-გარდაქმნის თვალსაზრისით.

ქართულ ენათმეცნიერებაში ჩვენი სალიტერატურო ენის განვითარების გზები საგანგებოდ არის შესწავლილი და ამ განვითარების შემდეგი პერიოდებია დადგენილი:

1. ძველი ქართული სალიტერატურო ენის პერიოდი, რომელიც მოიცავს V-XI საუკუნეებს;

2. საშუალო ქართული სალიტერატურო ენის პერიოდი, რომელიც XII-XVIII საუკუნეთა მანძილზეა დაფიქსირებული;

3. ახალი ქართული სალიტერატურო ენის პერიოდი. რომელიც

XIX საუკუნეში იწყება და დღევანდლამდე გრძელდება.

V-VII საუკუნეები - ხანმეტობა

ძველ ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ისტორიული ქვემო ქართლის მეტყველება (დღევანდელი მცხეთა-ბოლნისისა და მისი მიმდებარე მხარეების მკვიდრთა ენა). ამ მეტყველების ერთი, ყველაზე დამახასიათებელი თავისებურებაა ხ ბგერის ხმარება ჰ-ში მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსად. მაგალითად: ხ-ერთვის. ხ ბგერა პრეფიქსად იხმარებოდა, აგრეთვე, სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმებში. მაგ.: ხ-უკეთესი. ასეთ მოვლენას ხანმეტობა ეწოდება. VIII საუკუნიდან ხანმეტურ დიალექტს ცვლის ე.წ. ჰაემეტური დიალექტი. ამ დიალექტში ხ-ს

VIII - XI საუკუნეები – ჰაემეტობა

ნაცვლად პრეფიქსში ჰ იხმარება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქართული მწიგნობრობა ხანმეტ დიალექტზე წყდება და VIII საუკუნიდან ჰაემეტ დიალექტზე იწყებს არსებობას. ასე გრძელდება XI საუკუნემდე. მაგრამ ამ პერიოდში ჰ ხმოვნების წინ იკარგება და ზოგჯერ ს ბგერაში გადადის. ასეთი თავისებურებით ხასიათდება IX-XI საუკუნეების ქართული კლასიკური სალიტერატურო ენა. ამგვარი ტექსტები აღმოაჩინეს და გამოიკვლიეს ივ. ჯავახიშვილმა და აკ. შანიძემ.

არსებობს მოსაზრება, რომ ხანმეტობა და ჰაემეტობა ერთსა და იმავე ეპოქაში არსებობდა (ერთმანეთის პარალელურად), ოღონდ სხვადასხვა რეგიონში.

ძველი ქართული სალიტერატურო ენა მტკიცედ ჩამოყალიბებული, ერთიანი იერის მქონე ენაა, თუმცა მასში მაინც არის არეკლილი ქართული დიალექტები, ცოცხალი სასაუბრო ენის ბგერობრივი პროცესები. ამ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაზეა შექმნილი უმდიდრესი ორიგინალური მხატვრული ლიტერატურა და თარგმნილი მსოფლიოს სულიერი კულტურის ძეგლები, რომლებიც V-XI საუკუნეებს განეკუთვნება.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო და ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობისაა XI საუკუნე, როგორც ეპოქა ძველი ქართული

სალიტერატურო ენის დასასრულისა და მის წიაღში საშუალო ქართული სალიტერატურო ენის მძლავრი წანამძღვრების აღმოცენებისა.

ამ პერიოდში არაჩვეულებრივად სრულყოფილ სახეს იძენს ქართული პოეტური მეტყველება, ლექსთწყობა, რომელიც სათავეს ქართულ ჰიმნოგრაფიაში იღებს. მწვერვალს იგი შოთა რუსთაველის პოეზიაში აღწევს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ რუსთაველის ენა და პოეზია უდიდეს გავლენას ახდენს საშუალო ქართული სალიტერატურო ენის პერიოდის (XI-XVIIIს.ს.) მწერლობის ენაზე და განსაზღვრავს მას. ამავე პერიოდში თავისი სახე შეიძინა ქართულმა მეცნიერულმა და ფილოსოფიურმა ენამ.

ქართული მეცნიერული ენის უმნიშვნელოვანეს ძეგლად ითვლება უნიკალური წიგნი „ქართლის ცხოერება“. ესაა წიგნი-მატიანე, რომელიც მოიცავს თხრობას საქართველოს ისტორიის შესახებ უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე.

ქართული მეცნიერული და უპირველესად კი ფილოსოფიური ენის მესაძირკვლედ ითვლება XI-XII საუკუნეების ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. იგი შუა საუკუნეთა ფილოსოფიური აზროვნების ვეებერთელა წარმომადგენელია მაშინდელ მსოფლიოში. პეტრიწმა მნიშვნელოვანი წელილი (თანაც ქართული!) შეიტანა თავისი დროის ფილოსოფიურ აზროვნებაში. ამ გარემოებაზე, პირველ ყოვლისა, არაქართული (ბერძნული და სხვა) წყაროები მიუთითებს. იოანე პეტრიწმა მრავალი ორიგინალური თხზულება შექმნა, მრავალიც ბერძნულიდან თარგმნა ქართულ ენაზე.

საშუალო ანუ კლასიკური ქართული სლიტერატურო ენის შექმნასა და სრულქმნას კეთილნაყოფიერი კვალი დააჩნიეს XI-XII საუკუნეებში ქართულ საგანმანათლებლო ცენტრებში მოღვაწე ქართველმა მწიგნობრებმა: ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა, ეფრემ მცირემ, რომლებიც ათონისა და შაეი მთის (საბერძნეთში) სკოლაში მოღვაწეობდნენ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე უცხოურ ქართულ საგანმანათლებლო ცენტრში – პეტრიწონის (ბულგარეთი) სკოლაში – მოღვაწე ქართველი მეცნიერების ღვაწლი. თუმცა ისიც არის აღსანიშნავი, რომ როგორც ათონისა და შაეი მთის, ისე (და განსაკუთრებით!) პეტრიწონის საგანმანათლებლო ცენტრებ-

ში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა ენაში ძლიერად იჩინა თავი ერთგვარმა სტილურმა ტენდენციებმა, რამაც საეკლესიო სტილის იერი შეიძინა. ამ საეკლესიო სტილმა განსაზღვრა კიდეც მთლიანად ძველი ქართული სალიტერატურო ენა და მის არსებითს მახასიათებლად იქცა. მართალია, XII ს-დან მოყოლებული, ქართული სალიტერატურო ენა კიდევ უფრო განვითარდა, იმდენი ახალი შეიმატა, რომ უკვე თავისი შინაარსი და სახე გამოიკვეთა, მაგრამ არც ეს ძველი (საეკლესიო სტილისა) გამქრალა უკვალოდ და კიდევ დიდხანს გამოიყენებოდა სასულიერო მიზნებისთვის.

საშუალო ქართული სალიტერატურო ენა, ენა XII-XVIII საუკუნეების ქართველებისა, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში ერთგვარ შუალედურ ენას წარმოადგენს ძველსა და ახალ ქართულ სალიტერატურო ენებს შორის, რადგან ამ ენაში, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ძლიერად ჩანს ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და, მეორე მხრივ, ასევე ძლიერად არის შეჭრილი ახალი ენობრივი ნორმები. ასე რომ, საშუალო ქართული სალიტერატურო ენა ძველისა და ახლის თავისებური ნაზავი ენაა.

ეს ახალი ენობრივი ნორმები კი უმთავრესად ცოცხალი ხალხური სამეტყველო ენის გრამატიკული თავისებურებების სამწერლობო ენაში შემოტანა-დაკანონების შედეგია. სწორედ ხალხური ლექსიკა და გრამატიკული ნორმები არღვევს ძველი ქართული სალიტერატურო ენისთვის ნიშანდობლივი საეკლესიო სტილის დოგმებს, შტამპებს, ნორმებს და გზას უხსნის ენობრივ სილაღეს, სისადავესა და მოქნილობას. ამგვარ ტენდენციებს განსაკუთრებით დიდი გასაქანი მიეცა გვიანფეოდალურ ეპოქაში, ე.წ. აღორძინების ხანაში (XVI-XVIII სს.). ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი ძეგლებია თეიმურაზ პირველის, არჩილის, ბესარიონ გაბაშვილის, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ მეორის, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილისა და სხვა ქართველ მწერალთა მხატვრული თხზულებანი.

საშუალო ქართულ სალიტერატურო ენას თავისი კეთილნაყოფიერი კვალი დააჩნია ქართულმა საისტორიო წყაროებმა, ისტორიული საბუთების ენამ. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საშუალო ქართულმა სალიტერატურო ენამ ერთგვარად „მო-

აგვარა“ ხანგრძლივი ისტორიული დროის მანძილზე (და განსაკუთრებით კი XII-XIV საუკუნეებში) ქართულ ენაში შემოსული აღმოსავლური ენების სიტყვათა გაქართულება, ანუ ირანულიდან, თურქულიდან და სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვების მორგება ჩვენი გრამატიკული სტრუქტურისა თუ არტიკულაციისთვის. ასე დაიხვეწა და გამოიკვეთა საშუალო ქართული სალიტერატურო ენა როგორც დიდი სულიერი კულტურის შემქმნელი ერის მწიგნობრული ენა. ახალი ქართული სალიტერატურო ენის მძლავრი წანამძღვრები უკვე საშუალო ქართულშია წარმოჩენილი, განსაკუთრებით სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენაში. როგორც სულხან-საბა ორბელიანის, ასევე დავით გურამიშვილის მხატვრული მეტყველება ბუნებრივ ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების ტენდენციით გამოირჩეოდა და ამით იყო განპირობებული მათი ენის სისადავე, სინატიფე და მოხდენილობა. ახალი ქართული სალიტერატურო ენა სწორედ ხალხურ მეტყველებასთან დაახლოების შედეგად უნდა აღმოცენებულიყო. ეს იყო (და ისტორიულად დასაბუთდა კიდეც) საერთოდ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების უმთავრესი გზა, თუმცა იგი ხელოვნურად შეფერხდა კლასიცისტურ პრინციპებს ამოფარებული გრამატიკული სკოლის წყალობით, რომელსაც სათავეში კათალიკოსი ანტონ პირველი ედგა. ასე რომ, XVIII საუკუნეში თავჩენილი ახალი ქართული სალიტერატურო ენის წანამძღვრების მძლავრ განვითარებას გადაეღობა ანტონ პირველის გრამატიკული სკოლა.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნის ადგილი, დრო და პირობები

ანტონ პირველი, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720-1788 წ.), ვახტანგ VI-ის ძმის – იესესა და ერეკლე I–ის ასულის, ელისაბედის ვაჟი, ცნობილი ქართველი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწე, იყო საქართველოს კათალიკოსი, მწერალი და მეცნიერი. იგი საქართველოს კათალიკოსად არჩევის (1744 წ.) შემდეგ ენერგიულად შეუდგა ქართული ეკლესიის გაძლიერებას. აღადგინა მრავალი გაპარტახებული ეკლესია-მონასტერი; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სწავლა-განათლებისა და სასტამბო საქმის მოწესრიგება-განვითარებაში.

ანტონ პირველმა მძიმე და მძლავრი ქარტეხილებით აღსავსე ცხოვრებით იცხოვრა. ანტონ პირველისთვის არაერთხელ მოჰყოლია აღზევებას დაცემა, წყალობას – რისხვა, მაგრამ უაღრესად საინტერესო პიროვნებამ გასაოცარი შინაგანი გამძლეობისა და პიროვნული მთლიანობის შენარჩუნებით შეძლო დიდი კვალის დატოვება ქართული საზოგადოებრივი აზრის, კულტურის, მეცნიერების, მწერლობის ისტორიაში.

ანტონ პირველმა, ერეკლე II-ის ხელშეწყობით, ნახევრად კერძო ეპარქიული სასწავლებელები სახელმწიფო სკოლებად გარდაქმნა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თბილისისა (1755 წ.) და თელავის (1782 წ.) სემინარიების დაარსებაში. შეიმუშავა უმაღლესი სასწავლებლების დაარსების პროექტი თბილისში, გორსა და თელავში.

ანტონ პირველმა ქართულ ენაზე გადმოიღო მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, სასკოლო გამიზნულობა მისცა შრომებს ლოგიკის, მეტაფიზიკის, ფიზიკის დარგებში და, რაც მთავარია, პირველმა ქართულ სინამდვილეში შექმნა სასკოლო გრამატიკა – „ქართული ღრამმატიკა“ (1753 წ.). ანტონ პირველმა, როგორც აღნიშნავენ, „განსაცვიფრებელი ენობრივი ინტუიციის წყალობით“ შეამჩნია და აღნუსხა ქართული ენისათვის ნიშანდობლივი მნიშვნელოვანი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებები (მაგ.: სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვების ფუნქციები, ზმნის მრავალპირიანობა და სხვა). ასე რომ, განუზომლად დიდია ანტონ პირველის ღვაწლი და თუ ამის მიუხედავად, XX საუკუნის მიწურულის ქართველის ცნობიერებაში იგი კონსერვატიზმის თვალთახედვით მომზირალ პიროვნებად დარჩა, მთლად მისი ბრალი არ არის. იგი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და მეცნიერული ინტუიციისა თუ ცოდნის წყალობით რაც არ უნდა გაესწრო ეპოქისთვის, თანამედროვე მეცნიერული ტრადიციების გაელენას თუ მათთვის ანგარიშგაწევის ტენდენციას ვერ ასცილდებოდა და ეს ასე მოხდა კიდეც. მის ენათმეცნიერულ თვალთახედვას დაღი დაასვა იმდროინდელმა გრამატიკულმა აზროვნებამ. ამ აზროვნების ძალუმი გაელენის შედეგი იყო ანტონ პირველის მიერ ე.წ. „სამი სტილის“ თეორიის ქართულ სინამდვილეში დამკვიდრების ცდა. ისიც უნდა ითქვას, რომ, ალბათ, ამ თეორიის ჩვენში დამკვიდრებისთვის გარკვეული ნიადაგიც

არსებობდა ქართული საეკლესიო მწერლობისა და ენის სახით. მთლად ძალად თავსმოხვეული უცხო ხილად ბევრს ამიტომაც არ მიუღია ანტონ პირველის გრამატიკული შეხედულებები და ამიტომაც თითქმის ას წელიწადს გაძლო და ქართული მხატვრული აზროვნების სფეროში, ჩვენს მწერლობაში XIX საუკუნის პირველი ნახევრის გასულამდე მოაღწია, მაგ.: ქართველ რომანტიკოსთა (ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის) ენაში. ისიც საგულისხმოა, რომ თავად ანტონ პირველის ენა, რომელიც ე.წ. „მაღალი სტილის“ კლასიკურ. ნიმუშს წარმოადგენდა, რაღაც უცხო, ხელოვნური ენა კი არ იყო, არამედ იოანე პეტრიწის ენას ემყარებოდა. ამ თეორიის ფესვები ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გამოჩნდა, მისი მიხედვით, ერთი და იმავე ენით შეუძლებელია სხვადასხვა საგანზე მსჯელობა. საეკლესიო-საღვთისმეტყველო მწერლობისა და მეცნიერების ენას შეეფერება მაღალი სტილი, ისტორიული ხასიათის თხზულებების ენას – საშუალო სტილი, ხოლო ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებას – დაბალი სტილი. მაღალი სტილისთვის დამახასიათებელია ღელარჭნილი და ძნელად გასაგები ენა, რთული წინადადებები, მიმღეობები, ზმნების სიღარიბე. თუ ერთმანეთს შევადარებთ „მაღალი“ და „დაბალი“ სტილის ნიმუშებს, ასეთი სურათი გვექნება:

რას გულისხმობდა სამი სტილის თეორია?

„ეინაიცა შემოქმედებაჲ ჩუენი და შრომაჲ აწინდელი არს, რათა კარისა მიმართ სიბრძნისა გზაჲ იჳსმცა სლვასა ჩუენისა არა შემაცდომელ ანუ დასაბრკოლებელ, ხოლო ჴელოვნებაჲ ეს წინამდებარე, რომელიმე ღრამმატიკაჲ, ბრძენთა კარად სთქუის სიბრძნისა, რამე თუ ღრამმატიკაჲ ეინაითგან არს შემძლებლობა მართალუბნობად და წესიერ წერად, და არარაჲ მოყუარება სიბრძნისა იქმნების თეინიერ მართალუბნობისა ანუ წესიერ წერისა. მაშასადამე, ღრამმატიკაჲ, თეინიერ ჭჯსა, არს კარი სიბრძნისა. ამისთეის მეცა გამსჯელმან ეითარმედ ერთგონიერებაჲ ძმათა განაშუანებს სიბრძნესა,... ხოლო თუ სადამე კარი სიბრძნისა არა შეეჰლეთმცა, სადაითმცა იქმნა მისლუაჲ ჩუენი სიბრძნისა მიმართ: ამისთჳს ორგზის არა ეჰრიდე შრომად ქმნისადმი ღრამმატიკაჲსა“ („ქართული ღრამმატიკა“, თბილისი, 1885 წ.).

„ჩუენი მოქმედება და შრომა ისაა, რომ შეუცდომლად და დაუბრკოლებლად ვიაროთ სიბრძნის კარისაკენ; ბრძნებმა კი გრამატიკა მიიჩნიეს სიბრძნის კარად: გრამატიკა სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის ხელოვნებაა; სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის გარეშე სიბრძნის სიყვარული არ შეიძლება... თუ სიბრძნის კარი არ გავიარეთ, როგორღა მოვაღწევთ სიბრძნეს. ამიტომ ორჯერ ვიკისრე შრომა გრამატიკის შესაქმელად“.

ახლა იმავე ეპოქის, მაგრამ უკვე პრაქტიკული საჭიროების საქმიანი მიმოწერის ენის ნიმუშიც ვნახოთ:

„1797 წ. თებერვლის 18-ს ქ. ყოვლისა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი მეფე ირაკლის ძე ანტონი გიბრძანებ, არხიმანდრიტო ხოფისაე დოსითეოს! მერმე ეგ ხოფის საარქიმანდრიტო ხომ ჩუენი სამწყსო არის, რომელზედაც რომ არხიმანდრიტად ჩუენ ვაკურთხეთ შენ და დაგადგინეთ და ამისი ყმა და მამული ყოველივე შენ გარწმუნეთ და მოგეცით. ახლაე შენ მასალა უნდა იშოვნო და ან, რაც ეკლესიას კურთხეუაში ესაჭიროება, ისინიც, და ეგ ხოფის ეკლესიაც უნდა განააახლო“.

კათალიკოსის კანცელარიაც მარტივად მეტყველებდა, როცა მსჯელობის საგანი ამას მოითხოვდა.

სალიტერატურო ენის მთლიანობის ამგვარ გახლეჩას შედეგად მოჰყვა ის, რომ სალიტერატურო ქართულს მოაკლდა უმთავრესი მკვებავი ძარღვი და კონსერვატიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა. ამასთან, ქართულ სალიტერატურო ენას მოეძალა მოძველებული, არქაული ფორმები, დამძიმდა და მოუქნელი გახდა. ამ გზით ანტონ პირველი ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვას ცდილობდა და ამაში იყო მისი დიდი შეცდომა. ანტონ პირველის მცდარი პოზიციის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი სალიტერატურო ენის მესაძირკვლეებმა – ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთლმა და იაკობ გოგებაშვილმა გაშალეს. ილიამ არასწორად მიიჩნია „სამი სტილის“ თეორია და დაიწყო ბრძოლა ერთიანი სალიტერატურო ენის აღსადგენად.

ბრძოლა ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის XIX ს. სამოციან წლებში. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის როლი ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებასა და მის შემდგომ განვითა-რებაში.

ილია ჭავჭავაძემ აღადგინა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ის ხაზი, რომელიც სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის ენაში იღებდა სათავეს და რომელიც ხელოვნურად შეწყდა ანტონ პირველის „სამი სტილის“ თეორიის პრაქტიკულად დამკვიდრების გამო.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება ილია ჭავჭავაძემ იმით დაიწყო, რომ ორთოგრაფიის რეფორმა მოითხოვა. მან ქართული ანბანიდან ამოიღო ახალ სალიტერატურო ქართულ მეტყველებაში არარსებული ფონემების აღმნიშვნელი ასოები: ჱ, ჲ, ჯ, ჴ, ჵ. ამასთან ერთად, დიდად იზრუნა ახალი სალიტერატურო ქართულის ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე, მაგ.: ილია ჭავჭავაძემ აღადგინა „თავის უფლებებში“ სიტყვა მამულის ადრინდელი გაგება და დააკანონა, როგორც სამშობლოს სინონიმი.

ილია ჭავჭავაძემ სასტიკად გაილაშქრა ქართული ენის შერყვნისა და დამახინჯების წინააღმდეგ, რაც ფეხს იკიდებდა ქართულისათვის არაბუნებრივი (მიმღეობური) სინტაქსური კონ-

სტრუქციებისა და სპეციფიკური რუსული ფრაზეოლოგიური შეხამებების დამკვიდრებით და რაც მათს ფარდ ქართულ შესატყვისობათა დავიწყების ხარჯზე ხდებოდა.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზად ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებას მიიჩნევდა აკაკი წერეთელიც. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ქართული ენის მთელი სიმდიდრე და ბრწყინვალება ხალხის ზეპირ მხატვრულ შემოქმედებაშია არეკლილი. ხალხია მატარებელი ამ ენობრივი სიმდიდრისა და ხალხს უნდა დავუგდოთ ყური, მისგან უნდა ვისწავლოთ. აკაკი ეწინააღმდეგებოდა იმ მწერლებს, რომლების დედაენის ბუნების გაუთვალისწინებლად ცდილობდნენ ახალი სიტყვების შექმნას და სალიტერატურო ენაში შეტანას.

ბუნებრივია, რომ ამგვარ თამამ განცხადებებსა და სალიტერატურო ენის რეფორმათა მოთხოვნებს უმტკივნეულოდ ვერ შეხვდებოდნენ „სამ სტილს" შეჩვეული არქაისტი ქართველი მოღვაწენი. ამიტომაც იყო, რომ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს პირდაპირ დაესხნენ თავს და რაკი მსჯელობაში დამარწმუნებელი არგუმენტები ნაკლებად გააჩნდათ, მათს პირდაპირ ლანძღვა-გინებასაც არ მოერიდნენ. ძველი თაობის წარმომადგენელთა ამხედრების საბაბად იქცა ილიას მიერ „ცისკარში" დაბეჭდილი წერილი „ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შეშლილის" თარგმანზედა" და აკაკის ჯერ კიდევ ადრეული ლექსი „საიდუმლო ბარათი", რომელიც ასევე „ცისკარში" გამოქვეყნდა 1860 წ. ამ დაეამ ფორმალურადაც მწვავე ხასიათი მიიღო და დიდხანს გასტანა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ როგორც ილიას, ისე აკაკის დაუწუნებს მდაბიო გლეხურ ენაზე წერა, უკიჟინებდნენ ქართული დარბაისლური ენის დაკნინებას და პირდაპირ ქართული ენის მტრებად აცხადებდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც ილია და არც აკაკი არასოდეს გამიჯვნიან კლასიკურ სალიტერატურო ენას, ხელაღებით არ უარუყვიათ მისი საჭიროება. ამ თვალსაზრისით თავისი პოზიცია განსაკუთრებით ცხადად აკაკი წერეთელმა გამოამჟღავნა. სამწერლობო ენის გამდიდრების ერთ გზად იგი ძველი ლექსიკის ათვისებას მიიჩნევდა, ახალგაზრდა მწერლებს ძველი წიგნების კითხვას ურჩევდა, რომ ამ გზით დაუფლებოდნენ კლასიკური ქართული ენის ბუნებრივ ფორმებს.

თავის ოპონენტებს ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი უჩვენებდნენ, რომ სალიტერატურო ენის დაფუძნება ხალხურ სამეტყველო ენაზე, ენის ხალხურობა სრულიადაც არ ნიშნავდა „ლიტერატურული მეტყველების სტრუქტურის დიალექტიკური მეტყველების სტრუქტურამდე“ დაყვანას. ისინი მოაგონებდნენ ყველას, რომ სამწერლობო ენა ხალხური მეტყველების გადამუშავების შედეგი და ხალხური მეტყველების უმაღლესი ფორმაა. სწორედ ამ გზით სელამ გაიმარჯვა. ასე იშვა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც დღესაც ჩვენი ხალხის სამწერლობო ენად რჩება.

ისიც არის აღსანიშნავი, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას ხელი შეუწყო ჩვენში მეცნიერებისა და განსაკუთრებით პუბლიცისტიკის განვითარებამ, ქართულმა თეატრმა, ქართულ მწერლობაში მთარგმნელობითი მუშაობის აღორძინებამ, განსაკუთრებით ქართული პედაგოგიკის აქტიურმა ბრძოლამ სახალხო სკოლებში ქართული ენის უფლებების დასაცავად. ამით მთელი ერი მოექცა ქართული სალიტერატურო ენის აქტიური ზემოქმედების ფარგლებში და იგი მხოლოდ პროფესიონალ მწერალთა სამოღვაწეო იარაღად არ დარჩენილა. ამ მხრივ, ილიასთან და აკაკისთან ერთად, ახალი ქართული სალიტერატურო ენის დიდ მოამაგედ ცნობილი ქართველი პედაგოგი და მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი გვევლინება.

იაკობ გოგებაშვილმა სრულიად ახალგაზრდამ გამოსცა „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. ამ წიგნმა ბრწყინვალედ გაუძლო დროთა სვლას. იგი ძალზე ღირსეულად წარმოადგენდა პატარა ქართველთათვის მშობლიური ენის გასაოცარ სამყაროში შესასვლელ გასაღებს. ამ წიგნში, როგორც თავის დროზედვე აღინიშნა, იაკობ გოგებაშვილმა ანბანის შესწავლა ახალ პრინციპზე – ასოთა შინაარსის მიხედვით შეწავლის პრინციპზე დააფუძნა.

არა მარტო აღნიშნულ სახელმძღვანელოში, არამედ მის მიერ შექმნილ სხვა წიგნებშიც იაკობ გოგებაშვილმა ფართოდ გაუღო კარი ხალხურ სასაუბრო ენას და ამ ენაზე შექმნილ ხალხური ზეპირი პოეტური შემოქმედების ძეგლებს, როგორც კარგი ქართულით შექმნილ პოეტურ თხზულებებს. სწორედ სალი-

სის მეტყველებაში ხედავდა იგი ქართული ენის ბუნებრივ სახიერებას და ნორჩი თაობის მიერ მშობლიური სალიტერატურო ენის დაუფლების გზას.

„დედა ენას“ იაკობ გოგებაშვილი ხალხის სულისა და გულის ენას უწოდებდა. ამიტომაც იყო, რომ იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იბრძოდა ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებისთვის, მისი სიწმინდის დაცვისთვის. ამ ფაქტის ნათელსაყოფად გამოდგებოდა თუნდაც იაკობ გოგებაშვილის პოლემიკა კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსის, კირილე იანკოვსკის წინააღმდეგ. იანკოვსკიმ ოფიციალურად სცადა ქართული ენის განდევნა სახალხო სკოლიდან. სრულიად ნათელია, რომ ქართული ენის სკოლიდან განდევნას მისი საზოგადოებრივი ფუნქციის შევიწროება-დასუსტებაც მოჰყვებოდა. კ. იანკოვსკის საკადრისი პასუხი გასცა ილია ჭავჭავაძემ და მკაცრად გააკრიტიკა რუსი მოხელე: ილიასთან ერთად კ. იანკოვსკის წინააღმდეგ გაილაშქრა იაკობ გოგებაშვილმა. ნარკვევში „ბურჯი ეროვნებისა“ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა: ბავშვი, დაბადებიდანვე მოკლებული დედა ენის განმაცხოველებელ გავლენას,... ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნებას და ...უხეირო ჭკუის პატრონი გამოვაო“.

იაკობ გოგებაშვილი განათლების ისეთი სისტემის დასამკვიდრებლად იღვწოდა, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესი დამყარებული იქნებოდა მშობლიურ ენაზე. ეს იმიტომაც, რომ, მისი აზრით, „ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალ თაობას ძვირფასი განძივით შეუნახავს საუკეთესო ნაწარმოებნი ხალხური გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა“.

თავის სახელმძღვანელოებში იაკობ გოგებაშვილმა ფართოდ გაუღო კარი ბუნებრივ, სადა ხალხურ მეტყველებას და ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთელთან ერთად ახალი ქართული სალიტერატურო ენის ქვაკუთხედად გამოაცხადა. დრომ, ყველაზე უტყუარმა მსაჯულმა, ნათელყო ამ თვალსაზრისის სისწორე.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა როგორც ახალი ქართული ენის შემდგომი განვითარება

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა დღეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ქართულ ენაზე მუშაობს ყველა საფეხურისა და ტიპის სკოლა. ქართულად ასწავლიან უმაღლეს სასწავლებლებში. ქართულ ენაზე მუშაობს პარლამენტი და ყველა სახელმწიფო დაწესებულება.

ახალი ქართული სალიტერატურო ენის ელემენტები ენაში ჯერ კიდევ XII საუკუნეში შეიჭრა. XVIII საუკუნისათვის ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება თითქმის უკვე დამთავრებულია (სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი) აი, ამ ენის ნიმუში:

„ერთი კატა დაიარებოდა, ნახა, ერთი ძუ ლომი მომკვდარა და ერთი ლეკვი დარჩომია. წაიყვანა და ზრდა დაუწყო. რა გაზარდა და დიდი შეიქმნა, დაიწყო ნადი-რობა და ნადირის ჭამა.

დღესა ერთსა ნადირი ვეღარ იშოვნა, თავისი გამზრდელი კატა შესაჭმელად მოინდომა. კატამ რა შეიტყო, გაიქცა და ხე'ზე გავიდა. ლომი ძირს წამოუწვა, უთხრა: ჩემო დედის უსაყვარლესო და ჩემო დამარჩენელო გამზრდელო, ყოველი შენი ზნეობა რომ მასწავლე, ეგ ხეზე გასვლა რად აღარ მასწავლეო? კატამ უპასუხა: ეს ჩემთვის შევინახე, რა ასრე გამიჭირდებოდა, მომ-ხმარებოდაო". (სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა").

„ისწაალე სწავლის მძებნელო, მიჰყევ
დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამე, კვლავ-ტკბილი, თუ
ეძებ გემოენებასა,
თავს სინანული ჯობია ბოლაჟამს
დანანებასა,
ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად
მიითელი ვნებასა“
(დავით გურამიშვილი, „დავითიანი“).

აქ ამოყვანილი ნიმუშები XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნისაა. მათი ენა სადა და ხალხურია, თითქმის არ გაირჩევა თანამედროვე სალიტერატურო ენისგან. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მეოხებით ახალი სალიტერატურო ენა დამკვიდრდა, როგორც ერთიანი საერთო ეროვნული ლიტერატურული ენა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა დაფუძნებულია ილიას, აკაკის, ვაჟასა და იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაზე. ის ამ მწერალთა ენის შემდგომი განვითარებაა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გზაზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული უნივერსიტეტისა (1918 წ.) და შემდგომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1941 წ.) დაარსებას.

ქართულად ამეტყველდა უმაღლესი მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი, კიბერნეტიკა, ავტომატიკა და სხვ..

კიდევ უფრო განვითარდა ქართული პროზა, პოეზია, დრამატურგია, კრიტიკა და ჟურნალისტიკა. გაფართოვდა ქართული თეატრების ქსელი, შეიქმნა ქართული კინო და ტელევიზია.

ქართული სალიტერატურო ენის მომხმარებელთა წრე არასოდეს ყოფილა ისეთი დიდი, როგორიც ის დღეს არის; ამ ენას არასოდეს ჰქონია ისეთი მრავალმხრივი გამოყენება, როგორიც დღეს აქვს; ქართული სალიტერატურო ენა არასოდეს ყოფილა ისეთი მდიდარი სასიცოცხლო ძალებით, ისეთი ძირმტკიცე, როგო-

რადაც იქცა ჩვენს დროში.

უჩვეულოდ გაიზარდა ქართული სალიტერატურო ენის როლი ჩვენს ქვეყანაში. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა წარმოადგენს ახალ ეტაპს ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენას, ძველი ქართულის გარდა, კვებავს ცოცხალი სასაუბრო ენა, მისი დიალექტები.

ქართული ენა საკმაოდ მდიდარია დიალექტებით, თითოეული დიალექტი წარმოდგენილია თავისი კილოკავებით. განსაკუთრებით დიდია დიალექტების როლი სალიტერატურო ქართული ენის ლექსიკის გამდიდრებაში. სალიტერატურო ენა ვერ ამოწურავს სიტყვათა მარაგს: მრავალია ისეთი სიტყვა, რომელიც არ დასჭირვებია მწერალს და ამიტომ არ ჩანს წიგნის მეტყველებაში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში იხმარს და სიტყვა ლიტერატურის ფაქტი გახდება. „საჭიროების შემთხვევაო“ - რომ ვამბობთ, იგულისხმება, რომ საამისო შინაარსის სხვა სიტყვა სამწერლობო ენაში არ გაგვაჩნია. დიალექტიდან შემოსული ახალი სიტყვა თავისუფალ ადგილს იკავებს და სალიტერატურო ენას ამდიდრებს.

ქართული ენის დიალექტებია: კახური, ქართლური, თუშური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მესხურ-ჯავახური, აჭარული, იმერული, გურული, რაჭული, ლეჩხუმური, იმერხეული, ინგილოური.

დიალექტიზმები ბრუნება-უღვლილებაში, სინტაქსში, ორთოგრაფიაში უკუსაგდებია. დიალექტური და ლიტერატურული აქ მკვეთრად იმიჯნება (მაგ., „მოიტანა“ ლიტერატურულია, მაგრამ არც „მეიტანაა“ ლიტერატურული და არც „მაიტანა“).

აქ დგება სალიტერატურო ენის ნორმების საკითხი.

ენის სიწმინდის დაცვა – ესაა დამკვიდრებული ლიტერატურული ენის ნორმების დაცვა

ენის სიწმინდის, მისი ნორმების დასაცავად ჯერ კიდევ XVII საუკუნეში იბრძოდა მეფე პოეტი არჩილი. ის განსაკუთრებით ილაშქრებდა ბარბარიზმების (სპარსიზმების) ქართული ენიდან აღმოსაფხვრელად. მეფე-პოეტი საგანგებოდ აღნიშნავდა: „მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“.

„ეგ ნუ გგონიათ, სხვა ენა მეც არ ვიცოდე სხვასავით, მაგრამ ცუდია გარევა ქართულ ენასი სხვას ავით“.

მეფე-პოეტი არჩილი.

ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისკენ მოგვიწოდებდა სულხან-საბა ორბელიანი. თავის ლექსიკონ'ში სულხან-საბა სპეციალურად მიუთითებდა უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებს და იქვე მათს ქართულ შესატყვისს გვაძლევდა, მაგალითად: „რახი ბერძნულია, არაყი არაბულია, იყი ქართულად ჰქვიან“.

აღარ გავიმეორებთ ზემოთ აღნიშნულს, მხოლოდ მოგაგონებთ, რომ ახალი სალიტერატურო ქართული ენის დამკვიდრებასა და მისი სიწმინდის დაცვას ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა დიდი ენერგია შეალიეს.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენას საკმაოდ ჩამოყალიბებული მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემა მოეპოვება; რომ შედარებით მარტივია მართლწერა (ყოველ ფონემას საკუთარი ასო-ნიშანი აქვს, ერთი და იგივე ასო ყველგან ერთნაირად წარმოითქმის), სალიტერატურო ნორმების საკითხი ქართულში მაინც მოსაგვარებელია. ამ საკითხის მოგვარებას სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია ემსახურება.

თუ ადრე ცალკეული გამოჩენილი პიროვნებანი თუ საზოგადოებანი იღვწოდნენ სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად, დღეს ამაზე სახელმწიფო ზრუნავს. სახელმწიფო კომისიის (რომლის შემადგენლობაში შედიან ცნობილი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი) მიერ დადგენილი ნორმები ქვეყნდება და ის სავალდებულოა სალიტერატურო ენის ყველა

მომხმარებლისთვის (მწერალთა თუ მეცნიერთათვის, სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, ბეჭდვითი სიტყვის ყველა ორგანოსთვის).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენის ნორმათა მოწესრიგება, პირველ რიგში, სადავო ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების გადაჭრას გულისხმობს.

ორთოგრაფიაში გადასაწყვეტია ფონეტიკური პროცესებით გამოწვეული სადავო საკითხები. ამაეე რიგისაა სასვენი თუ სხვა ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები, მაგალითად, ერთგული თუ ერდგული, რედაქტორი თუ რედაკტორი, რკინიგზა, რკინის გზა თუ რკინის-გზა, ხმალ-ამოწვდილი თუ ხმალამოწვდილი; დავითი ამბობდა: „მოვაო", „მოვა"-ო თუ მოვაო და სხვა.

მორფოლოგიური საკითხების მოგვარება გულისხმობს სახელთა ბრუნებასთან, ზმნათა უღვლილებასთან ანდა სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას, მაგ.: გრეხს თუ გრიხავს; რამეს, რასმე თუ რასმეს; ჰყავდა თუ ყავდა და მისთ..

სინტაქსის თვალსაზრისით მოსაგვარებელია სიტყვათა შეხამების საკითხები, მაგ.: სახლები შენდება თუ სახლები შენდებიან; მოქალაქეები დაინტერესებულნი არიან თუ მოქალაქეები დაინტერესებული არიან და სხვა.

სალიტერატურო ენის სადავო საკითხების გადაწყვეტისას ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი: სუბიექტური და ობიექტური. პირველ შემთხვევაში გადამწყვეტია კეთილხმოვანების პრინციპი: მისაღებია ის, რაც კეთილხმოვანია, უარსაყოფია ის, რაც არ არის კეთილხმოვანი.

პოეტიკის თვალსაზრისით კეთილხმოვანება სავსებით გამართლებულია. ზოგი სიტყვის ექსპრესიული ძალა გაცილებით მეტია, ზოგის – ნაკლები; ზოგი სიტყვა უკეთ ჟღერს, სხვა – ნაკლებად. ამიტომ „კეთილხმოვანება" უაღრესად ანგარიშგასაწევია

პოეტური სტილის თვალსაზრისით, მაგრამ მორფოლოგიურ-სინტაქსური ფორმების დადგენისას შეუძლებელია ამ პრინციპით ვიხელმძღვანელოთ, ეს „კეთილხმოვანება“ ხშირად მეტად სუბიექტურია, მაგალითად: ზოგს „მოვიდენ“ მიაჩნია კეთილხმოვანად, ზოგს კი – „მოვიდნენ“.

სალიტერატურო ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას ობიექტური ანალიზის გზა უნდა ავირჩიოთ, თუმცა საცილობელ ფორმათა შეფასებისას სუბიექტურ მომენტს ვერ დავაღწევთ თავს.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას დასაყრდენია შემდეგი დებულებები:

1. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ენა. არ უნდა შეიქმნას ხელოვნური, ცოცხალი ენისგან დაშორებული ნორმები;

2. უცვლელად უნდა დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური მონაცემი, რომელიც სალიტერატურო ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის საეჭვოდ უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით (დაღმა, აქაური (კაცი), იქაური (კაცი), ვდგავარ, ვზივარ), რადგან ის უკვე დამკვიდრებულია;

3. როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილე მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;

ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია;

გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია;

დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

შენიშვნა: იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილედ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი დარჩნენ

პარალელურად.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულია დარჩეს ერთი ფორმა.

ამ შემთხვევაში მოცილე ფორმათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;

ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;

გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთა თვალსაზრისით.


სწორედ ამ პრინციპზე დაყრდნობით არის დადგენილი დღეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები.

წინამდებარე სახელმძღვანელო ამ ლიტერატურული ენის ნორმების შესწავლასა და ათვისებას ემსახურება. აქ, ძირითადად, ის საკითხებია განხილული, რომლებიც უკვე შესწავლილია და, შესაბამისად, ნორმებიცაა დადგენილი.

ფონეტიკისა
და
მორფოლოგიის
საკითხები




უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში




Ю-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვები ქართულში იუ ჯგუფით უნდა გადმოიცეს (კოსტიუმი, ქტიუდი, სიურპრიზი...)

გამონაკლისი: ბროშურა, პარაშუტი, კაფსული, ვალუტა, რევოლუცია, ტრედუნიონიზმი, დუეინი, დუიმი, – რადგან უკვე ასეა დამკვიდრებული ქართულში.




Я-ს შემცველი და რუსულის გზით შემოსული სიტყვები ქართულში ია-თი უნდა გადმოიცეს (როიალი, სტატია, რუმიანცევი, ბილიარდი...).




რუსულ ან რუსულის გზით შემოსულ სიტყვებში არსებული **Ё** ქართულში უნდა გადმოიცეს 1. ი(ო) კომპლექსით (პარტნიორი, გასტროლიორი, იმპორტიორი, კონტროლიორი, მონტიორი), 2. ი-თი ზოგიერთი თანხმოვნის (ჟ, შ, ყ) შემდეგ (ჟოლტაია (გეოგრ. სახ.), ჩორნი (გვარი), შოლკოვი, დირიჟორი).

გამონაკლისი: რეჟისორი, ტუბერკულოზი, –
რადგან უკვე ასეა დამკვიდრებული ქართულში.




უმახვილო **О**-ს შემცველი რუსული და რუსულის გზით შემოსული სიტყვები, აგრეთვე, საკუთარი სა-ხელები, გვარები და გეოგრაფიული სახელები ქართულში უნდა გადმ ო-იცეს ო-თი (ოდეკოლონი, კომპოტი, კონტუზია).




გერმანული ei ქართულში ხერხდა გადმოიცეს აი-თი.

(აინშტაინი, გროსმაისტერი, რაინი, რაიხსტაგი, ცაიტნოტი, ცვაიგი)

შენიშვნა: გერმანულში ei - დიფთონგიანი სიტყვები თუ რუსულის გზითაა შემოსული ქართულში, მაშინ ანგარიში ეწევა მათს რუსულ დაწერილობას (ей) და ქართულში ეი-თი გადმოიცემა. ამის კვალობაზე ქართულში სწორ ფორმებადაა მიჩნეული: ბრონშტეინი, ეინზენშტეინი, ეიხენბაუმი, ეიხენვალდი, რუბინშტეინი და ა.შ..




ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში X-ს გადმოსაცემად ძველმა ქართულმა სალიტერატურო ენამ გამოიყენა ქ. ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ და სასაუბრო მეტყველებამაც შეინარჩუნა ეს ქ (არქაიზმი, არქიტექტურა, ბრონქები, პოლიტექნიკური, ქრონიკა.).




ვინაიდან ქართულისთვის ბუნებრივია თ-სა და ტ-ს გარჩევა, ყველა ის ბერძნული და ლათინური სიტყვა, სადაც თ არის, თ-თი უნდა გადმოიცეს ქართულში, ხოლო როცა ბერძნულ-ლათინურში ტ არის, ასეთი სიტყვა ქართულშიაც ტ-თი უნდა იწერებოდეს (ეპითეტი, ერითროციტები, ესთეტიკა, სიმპათია).

შენიშვნა: გერმანულ-ფრანგულ ტ-თი უნდა გადმოიცეს, ხოლო th-თ-თი (ბატალიონი, ეტიკეტი, ბატარეა, ვირტუოზი, ბეტონი, ვიტრინა, ერფურტი, კაბინეტი, ეტაპი, გოთა, დოროთეა და სხვა...).




ბერძნულიდან, ლათინურიდან, ინგლისურიდან და გერმანულიდან მომდინარე სიტყვებში h ბგერის გადმოსაცემად ქართულში გვაქვს და ვუქნებია ჰ და არა გ ან ხ (ჰალუცინაცია, ჰიმნი, ჰიპნოზი, ჰაგიოგრაფია).

გამონაკლისი: გერცენი (და არა ჰერცენი), რადგან აქ ამოსავალია რუსული ფორმა Герцен.




ბერძნულიდან (და ლათინურიდან) მომდინარე χ ჭიანი სიტყვები უნდა გადმოიცეს გ -თი (ლოგარითმი, ლოგიკა, პრაგმატიზმი, ტრაგედია).




ბერძნული η -ს შემცველი სიტყვები ქართულში ე -თი გადმოცემა (ალეგორია, დემოკრატია, კატეგორია).

გამონაკლისი: ქიმია, რიტორიკა, დიმიტრი, მიტროფანე.




eu დიფთონგის შემცველი სიტყვები გადაიწერება ევ -ით, ხოლო au დიფთონგის შემცველი – ავ -ით (ევროპა, ლევკემია, ნევრალოგია, ავტონომია).

გამონაკლისი: ნეიტრალური, აუდიტორია.




ლათინურიდან (გერმანულ-რუსული გზით) მომდინარე სიტყვებში qu კომპლექსი უნდა გადმოიცეს კვ და არა ქვ კომპლექსით (ადეკვატური, აკვარელი, აკვარიუმი, ეკვივალენტი, კვორუმი.).




ξ(X) და ψ კომპლექსების შემცველ ბერძნულიდან მომდინარე სიტყვებში ქართულში ქს და ფქ კომპლექსები დარჩება (ექსკურსია, ექსპანსია, ექსტაზი, ელიფსი, ფსევდონიმი.).


გამონაკლისი: ეგზემპლარი, ეგზოტიკა, ეგოიზმი, ჰეგზამეტრი, ჰექსამეტრი.



ct კომპლექსის შემცველი სიტყვები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა გადმოიცეს ქტ -თი (დიქტატორი, დიქტორი, დიქტოფონი, დიქცია).




pt კომპლექსი უნდა გადმოიცეს პტ -თი (სიმპტომი, რეცეპტი, სტრეპტომიცინი).



უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომელთაც რუსულში ея დაბოლოება აქვთ, ქართულში ეა დაბოლოებით უნდა გადმოიცეს.

ასამბლეა (ассамблея), ბატარეა (батарея), გალანტერეა (галантерея) გალერეა (галерея).


გამონაკლისი: ბამბაზია, ლატარია, პელაგია, სალომე.



а-ზე დასრულებული რუსული გზით შემოსული უცხო სიტყვები ქართულში უნდა გადმოიცეს ა დაბოლოებით, ხმოვანფუძიანად (ბარიკადა. კუპიურა, ტურბინა, პრიზმა, ციტატა).

გამონაკლისი (თანხმოვანფუძიანი): გაზეთი. ციფრი, კატლეტი, პაპიროსი, მანეკენი, პლომბი, პაპი (რომის), ვახტი. შახტი, ჰაუპვახტი, რეზინი, ჰილზი, დიუნი. ზამშა. დომინანტი, ნოტი (მუს.).

ფანერი, ბომბი, კოორდინატი, ორდინატი, კალორმი, იპრი, კალკი, კულისი, გლანდი, როზგი.



გერმანულ (ან გერმანულის გზით შემოსულ) საკუთარ სახელებსა და გერმანული წარმომავლობის საერთაშორისო სიტყვებში ch ასოთკომპლექსი ქართულში უნდა გადმოიცეს ხ ასოთი.

ლიბკნეხტი (Libknecht), აიზენახი (eisenach), მეტერნიხი (Metternich), მიუნხენი (Munchen), აიხენდორფი (Eichendorff), ალბრეხტი (Albrecht), ოფენბახი (Offenbach), ბახი (Bach), შუხარდტი (Schuchart), ჰაინრიხი (Heinrich), კოხი (Koch), კირხოფი (kirchhoff).



სავარჯიშო

ამოწერეთ სწორი ფორმით

რუკზაკი – რიუკზაკი,
უვერტურა – უვერტიურა,
პარტნიორი – პარტნორი,
კომპოტი – კამპოტი,
სიმპატია – სიმპათია,
ჰალუცინაცია – გალუცინაცია,
ჰალსტუხი – გალსტუკი,
ექსტაზი – ეკსტაზი,
სიპტომი – სიმპტომი,
ციტატა – ციტატი,
ბრო'შიურა – ბრო'შურა,
ტუბერკულიოზი – ტუბერკულოზი,
ოდეკოლონი – ადიკალონი,
გროსმეისტერი – გროსმაისტერი,
არქაიზმი – არხაიზმი,
ავტონომია – აუტონომია,
ფსევდონიმი – პსევდონიმი,
ეპოპეა – ეპოპია – ეპოპეია,
მიუნჰენი – მიუნხენი,
ბეთჰოვენი – ბეთხოვენი



ვ ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები

ვ ბგერა სიტყვაში ან ფუძესეულია, ან აფიქსისეული, ან კიდევ ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული.

ფუძისეულია სიტყვაში მიჯაჭვული (შდრ. ჯაჭვ-ი); აფიქსია ზმნის ფორმაში ვ-ვარჯიშობ მე (შდრ. ვარჯიშობს ის); ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული სიტყვაში მეტყველ (შდრ. ტყე).

ვ ბგერა ფონეტიკურ ნიადაგზე როგორც ვითარდება, ისე იკარგვის.

სიტყვაში ვ ბგერის შემონახვისა და ამოღების, აგრეთვე, მისი ჩართვის ყველა შემთხვევის გათვალისწინებით, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მიღებულია შემდეგი წესები:

ფუძისეული ვ-ს შემონახვა



წესი 1

ფუძისეული ვ უნდა დაიცვათ იმ ბოლოთანხმოვნიან სახელთა წოდებით ბრუნვაში, რომელთა ფუძე ვ ბგერით ბოლოვდება.



სწორია:
თავ-ო, სახატავ-ო, მოკედავ-ო.



არ არის სწორი:
თაო, სახატაო, მოკდაო.



წესი 2

ვ დაცულია
-ურ სუფიქსით ზედსართავის წარმოებისას,
თუ ფუძისეულ ბოლოკიდურ ვ-ს
წინ უძღვის თანხმოვანი.



სწორია:
დათვ-ი, დათვურ-ი, პირუტყვ-ი, პირუტყვული (დის.),



~~არ არის სწორი:~~
~~დათურ-ი, პირუტყული.~~

გამონაკლისი: მოკაკული.



წესი 3

ვ დაცულია
-ობა და -ოვან სუფიქსების წინ, თუ ბოლოკიდურ ვ-
ს წინ უძღვის თანხმოვანი.



სწორია:
ბავშვობა, ძარღვოვანი.



~~არ არის სწორი:~~
~~ბავშობა, ძარღოვანი.~~
გამონაკლისი: მრავალრიცხოვანი.

წესი 4

3 დაცულია



უ – -ო, სა- – -ო და მე – -ო აფიქსთა დართვისას ვ-ზე
გათავებულ ფუძეთაგან ნაწარმოებ სახელებში, ან ისეთ
ბოლოხმოვნიან სახელებში, რომლებშიც ბოლოკიდურ
ხმოვანს წინ თანხმოვანი უძღვის, ხოლო წარმოებისას
ხმოვანი ეკვეცება.



სწორია: უთავო, მოშავო, საბავშვო.



არ არის სწორი:
უთამ, ძიშამ, საბაეშო.

გამონაკლისი უმოძრაო, სასაკლაო, სასაფლაო, სამრეცხაო, საპატიო, საკაცობრიო, სანაძლეო.



წესი 5

ფუძისეული ე რჩება ზმნის ყველა ფორმაში



სწორია: ეტოვებ, ტოვებ, ტოვებს;
ეტოვებდი, ტოვებდი, ტოვებდა;
ეტოვებდე, ტოვებდე, ტოვებდეს;
დავტოვებ, დატოვებ, დატოვებს;
დავტოვებდი, დატოვებდი, დატოვებდა;
დავტოვებდე, დატოვებდე, დატოვებდეს;
დავტოვე, დატოვე, დატოვა;
დავტოვო, დატოვო, დატოვოს;
დამიტოვებია, დაგიტოვებია, დაუტოვებია;
დამეტოვებინა, დაგეტოვებინა, დაეტოვებინა;
დამეტოვებინოს, დაგეტოვებინოს, დაეტოვებინოს;



~~არ არის სწორი:~~
ეტოებ, ტოებ, ტოებს; ეტოებდი, ტოებდი, ტოებდა;
ეტოებდე, ტოებდე, ტოებდეს...



წესი 6
3 დაცულია ზმნებში სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის წინ



სწორია:
ებარაე-ო, დაეწურაე-ო.



~~არ არის სწორი:~~

~~ვბარობ, დავბარობ.~~



წესი 7

3 დაცულია

-ობ თემისნიშნიან ზმნათა წყვეტილში (გარდა მხოლოობითი რიცხვის III პირისა) და I თურმეობითში.



სწორია: შდრ.: 

~~არ არის სწორი:~~

ვაწყობ: დავაწყევ. ვიწყებ: დავიწყე. ~~დაჯაწყე~~

გამონაკლისი: ვამკობ (შევამკე, შემიმკია), ვაქრობ, ვაშრობ...
ამგვარი ზმნები სრულად ორთოგრაფიულ ლექსიკონშია აღრიცხული.



წესი 8

3 დაცულია

უწყვეტლის –ოდ და კავშირებლის –ო სუფიქსის წინ, თუ ვ-ს თანხმოვანი უძღვის წინ.



სწორია:

იწეოდა, იძეროდა, იცეკეოს, დაიბრიყვოს.



~~არ არის სწორი:~~

~~იწოდა, იძროდა, იცეკოს, დაიბრიყოს.~~



წესი 1

ვ იკარგება
ა და -ე ბოლოხმოვნიან სახელთაგან
ნაწარმოები ზმნების II კავშირებითში





სწორია:

ქვა – აქვაებს; გააქვაოს; ტყე – ატყევებს; დაატყეოს..



~~არ არის სწორი:~~

~~გააქვაოს, დაატყეოს~~

წესი 2

ვ დაკარგულია



-ო და -უ ბგერებით დაწყებული სუფიქსების წინ,
თუ ე-ს თანხმოვანი არ უძღვის წინ



სწორია:

ფშავი – ფშაური, აქტიე – აქტიური,
თაე – მეთაური, სათაური, პატიე – საპატიო.



~~არ არის სწორი:~~

~~ფშაეური, აქტიური, მეთაეური, სათაეური,~~
~~საპატიეო.~~

გამონაკლისი:

თაეური.



წესი 3

3 იკარგება

- ოდ სუფიქსის წინ, თუ ვ-ს თანხმოვანი არ უძღვის.



სწორია:

კიოდა, ბღაოდა, ირხეოდა.



არ არის სწორი:

~~კივოდა, ბღაევდა, ირხეევოდა.~~



ვ-ს ჩართვა

წესი 1

ვ ჩართვის

-ე და -ო ხმოვნებით დაბოლოებული



ფუძეებისგან მე- – -ე, სა- – -ე, სი- – -ე

აფიქსებით ნაწარმოებ სახელებში ფუძისეულ

და სუფიქსეულ ხმოვნებს შორის



სწორია:

მეეზოე, საეზოე, სიეიწროე, სიახლოე.



არ არის სწორი:

~~მეეზოე, საეზოე, სიეიწროე, სიახლოე.~~

წესი 2

3 ჩართვის



ე-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების

წარმოებისას ყველა მწკრივში, გარდა მოქმედებითი

გვარის II კავშირებითისა.



სწორია:

ახეევს, ახეევდა, ახეევდეს, გაახეევს, გაახეევდა, გაახეევდეს, გაახეა, გაუხეევია, გაეხეევისა, გაახეევინოს.

მაგრამ: გაახეოს



წესი 3
ვ-ს ჩართვა ხდება ა-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას, თუ ბოლოკიდური ა არ მოეკვეცა (ყველა მწკრივში, გარდა მოქმედებითი გვარის II კავშირებითისა)



სწორია:
მონა: იმონაებს, იმონაებდა, იმონაებდეს; დაიმონაებს, დაიმონაებდა, დაიმონაებს; დაიმონაა, დაუმონაებია, დაემონაებინა; დაემონაებინოს.

მაგრამ: დაიმონაოს

შდრ. ამავე ფუძისგან ბოლოკიდური ა-ს მოკვეცით ნაწარმოები ზმნის ფორმები: იმონებს, დაიმონებს, დაიმონა, დაუმონებია, დამონდება, დამონდა, დამონებულა; დამონება, დამონებული, დასამონებელი, დამმონებელი...

წესი 4
ვ-ს ჩართვა ხდება ო-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან ზმნების წარმოებისას მოქმედებითი გვარის მხოლოდ წყვეტილში და ვნებითი გვარის ზმნებში (გარდა მესამე სერიის ფორმებისა).





სწორია:
დაეაჯილდოვე, ჯილდოვდება, ჯილდოვდებოდა, ჯილდოვდებოდეს, დაჯილდოვდეს, დაჯილდოვდება, დაჯილდოვდებოდა, დაჯილდოვდებოდეს, დაჯილდოვდა, დააჯილდოვეს.. სდაჯილდოვდეს.

~~არ არის სწორი:~~
~~დაჭიდლდრუ~~

მაგრამ:

დაჭილდოებულა, დაჭილდოებულიყო, დაჭილდოებულიყოს;
დაჭილდოება, დაჭილდოებული, დანაჭილდოები, დასაჭილდოებელი.



წესი 5

ვ-ს ჩართვა ხდება უ-ზე დაბოლოებულ ფუძეთაგან მხოლოდ ვნებითი გვარის ფორმების წარმოებისას, გარდა მესამე სერიის ფორმებისა.



სწორია:

ყრუ: ყრუვდება, ყრუვდებოდა, ყრუვდებოდეს, დაყრუვდება, დაყრუვდებოდა, დაყრუვდებოდეს, დაყრუედა, დაყრუვდეს.

მაგრამ:

დაყრუება, დაყრუებული, დანაყრუები, დასაყრუებელი, დაშაყრუებელი.



~~არ არის სწორი:~~

დაყრუევება, დაყრუევებული, დანაყრუევები, დასაყრუევებელი, დამაყრუევებელი.



სავარჯიშო
არასწორი ფორმები გაასწორეთ და ისე გადაწერეთ

1. უჯ ხომ მტკსარი ბავშობა იქნება! (ილია).
2. ტკბილად, ბავშური ძილით ეძინათ. (შ. არაგვ.).
3. დარეჯან! – უთხრა გულნატკენად მორცხობით ლუარსაბმა, დარეჯან, თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი! (ილია).
4. მიუყვანიეართ სოფელში – შინ. (აკაკი).
5. აქ გამომგვარე ჩემი ხითხითა ბიჭუნა, რომ მეზობლებმა ნახონ, და მტრებს თვალები დაეუყენოთ! (აკაკი).
6. თუნდ რო ათასში ერთი მოიპოვებოდეს. (ილია).
7. მერმე მოიდეს სადაიდ ოუნდა ოსმალის ჯარია. (ვეჟა).
8. ეს ისეთი ალაგია, რომ ერთი დაბნდურიც ოც მომხედურსაც მოერევა. (მ. ჯავახ.).

9. ვულარ იტყოდა ისა, ყულარ იტყვოდა. (ო. ჩხ.).
10. უბათქუნებდა თოფსა. ისეროდა წამდაუწუმ. (ო. ჩხ.).
11. როცა დაობდა, რაღაცა ემართებოდა. (ო. ჩხ.).

1. _____
2. _____
3. _____
4. _____
5. _____
6. _____
7. _____
8. _____
9. _____
10. _____
11. _____



სიტყვის გადატანის წესები

წესი 1



ერთმარცვლიანი ანუ ერთხმოვნიანი სიტყვა არ ითიშება თანხმოვანთა სიმრავლის მიუხედავად. ერთნაირად გაუთიშავია, მაგალითად, ის და გებრდღვნის

წესი 2



ერთზე მეტმარცვლიანი სიტყვის გათიშულ ნაწილებში თითო ხმოვანი მაინც უნდა იყოს



სწორია:
ან-სამბლს, ფცქვნი-და



~~არ არის სწორი:~~
ანსამ-ბლს, ანსამბ-ლს, ანსა-მბლს;
~~ფცქვ-ნიდა, ფცქ-ვნიდა, ფც-ქვნიდა.~~

წესი 3



ცალი თავკიდური ან ბოლოკიდური ხმოვანი (ისევე როგორც თანხმოვანი) სიტყვას არ ეთიშება.



სწორია:
აუ-ღია



~~არ არის სწორი:~~
~~ა-უღია, აუღი-ა~~

წესი 4



თუ ხმოვნებს შორის თანხმოვანია, არ შეიძლება სიტყვის გათიშვა ამ თანხმოვანზე.
ამ შემთხვევაში სიტყვა უნდა გაითიშოს ღია მარცვალზე (ე.ი. ხმოვანზე)



სწორია:
ანა-ბა-რა



~~არ არის სწორი:~~
~~ან-აბ-არა, ანაბ-არა.~~

წესი 5



სტრიქონთა მიჯნაზე მოხვედრისას ითიშება ხმოვნებს შორის მოქცეული ორი თანხმოვანი.
გათიშვა, ცხადია, შეიძლება ღია მარცვალზედაც.



სწორია:
საქ-მე ,სა-ქმე, საწ-ყა-ლი, სა-წყა-ლი

წესი 6



თუ სტრიქონთა მიჯნაზე თავს იყრის ორზე მეტი თანხმოვანი, ზღვარი შეიძლება დაიდოს ნებისმიერ ორ თანხმოვანს შორის.



სწორია:

დააფ-რქვევს, დააფრ-ქვევს, დააფრქ-ვევს.



~~არ არის სწორი:~~

~~დააფრქვ-ევს.~~



წესი 6ა

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ აღსაქმელად უმჯობესია, თუ ფუძისეულ თანხმოვნებს გაემიჯნება დამხმარე ელემენტის (აფიქსის, თანდებულის, ზმნისწინის) თანხმოვნები

umjobesia:	ar varga:	umjobesia:	ar varga:
სახლ-მა	~~სახ-ლმა,~~	მესხ-ნი,	~~მეს-ხნი,~~
სახლ-ში	~~სახ-ლში,~~	მესხ-თა,	~~მეს-ხთა~~
სახლის-თვის,	~~სახლის-ვის,~~	გან-ელო,	~~გან-ლო,~~
აღ-შფოთდა	~~აღშ-ფოთდა~~	წარ-გზავნა	~~წარ-გზავნა~~

მაგრამ: საესებით შეასაძლებელია: გა-ნა-ვითარა, აღა-შენა, წა-რაე-ლინა.



წესი 6ბ

ამავე გზით გაითიშება სტრიქონთა გასაყარზე ერთმანეთის გვერდით მოხვედრილი ორი ერთნაირი თანხმოვანიც (ფუძისეული ან სხვადასხვა ფუძისა).



სწორია:

კოეზ-ზე, ღმერი-თან, მათ-თვის, მოგ-გერის, შებინდ-დება, ერთ-თვიანი.



~~არ არის სწორი:~~

~~კოე-ზზე, ღმერ-თითან, მათთ-ვის, მოგგ-ერის, შებინ- დღება, ერთთ-ვიანი.~~



წესი 6ბ

თუ სტრიქონთა მიჯნაზე რთული სიტყვის (კომპოზიტის) ორზე მეტი თანხმოვანი იყრის თავს, უმჯობესია, ბუნებრივი ზღვარი დაიდოს ფუძეთა

შორის იმისდა მიუხედავად, დეფისითაა ისინი შეერთებული თუ უდეფისოდ, სრული სახითაა წარმოდგენილი თუ შემოკლებით (აბრევიატურით).

უმჯობესია:
ცოლ-ქმარი,
ქართველ-კახეთი,
სპორტ-კლუბი,

არ ვარგა:
~~ცოლ-ქმარი,~~
~~ქართ-კახეთი,~~
~~სპორტ-კლუბი~~



სავარჯიშო:
დამარცვლეთ გადასატანად

უშვილძირო;
გვწვრთნის;
ია,
მოგვგვარა;
სამწლიანი,
ტურ-კბილი;
მამა-აპური:
აფსაზი;
სანჩერე;
საწყალი;
დედა-შვილობა.

1 _____
2 _____
3 _____
4 _____
5 _____



მავრცობი -ა-ს ხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში



წესი 1

მავრცობი -ა უთუოდ იხმარება თანხმოვანზე გათავებულ სიტყვებში -ც(ა) ნაწილაკის წინ.



სწორია:

წამალსაც, შენგანაც, სახლისაც, ოვითონაც, მუშაობითაც, უწინაც, საფლავადაც, აქაც...

მაგრამ: შენც, ჩვენც, თქვენც, ვინც, როგორც..



წესი 2

აუცილებელია მავრცობი ა-ს ხმარება სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმებთან, როდესაც მას -ვით თანდებული ერთვის:

კალიასავით, მზესავით, ხბოსავით...



წესი 3

ჩვეულებრივ, მავრცობი ა-ს გარეშე არ იხმარება ნათესაობითის ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი, როდესაც ის საზღვრულს მოსდევს

ძალა სიყვარულისა, ხმამ დედისამ, მუშაობას გიორგისას..



წესი 4

მავრცობი -ა მუდამ ახლავს სიტყვას, თუ ეს სიტყვა, ჩვეულებრივ, იგუებს მას და, ამასთანავე, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია:

ქვისაა, დაყითისაა, კარგადაა, იმიტომაა, აქაა..



წესი 5

თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მავრცობი ა-ს ხმარება სავსებით ბუნებრივია და მართებული და, თუ კავშირების წინ, როცა ეს კავშირები აერთებს ორ სიტყვას (გარდა

ზმნებისა), ხოლო მაშინ, როდესაც ამ კავშირებით შეერთებულია მიცემითს ან ნათესაობითს ბრუნვაში წარმოდგენილი ორი ისეთი სახელი, რომელთაგან მეორე თანდებულდართულია, იგი აუცილებელია.



sworia:

დასა და ძმას; ქვასა და კლდესაეით; მიწისა თუ ცის;
დიდსა თუ პატარასთან; ამასა თუ იმას; მიწაისა თუ ცაზე.

წესი 6



მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი (განსაკუთრებით ერთმარცვლიანი) ზმნის წინ მავრცობი ა-ს გამოყენება თითქოს გამართლებულია, უპირატესობა მაინც უმავრცობო ფორმებს უნდა მიეცეს.

უპირატესია:
შეისლიეით ზრდიდა.
ცოცხალს სჯობს.

დასაშვებია:
შეილიეითა ზრდიდა.
ცოცხალსა სჯობს..

მაგრამ: ეინა ხარ? სადა ხარ? როგორა ხარ? აქა მაქვს. აქა ვარ...

წესი 7



თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვის არ არის ბუნებრივი და არ უნდა იხმარებოდეს -ა-მავრცობიანი ფორმები წინადადების ბოლოს ან გარკვეული, ინტონაციურად გამოყოფილი ნაწილების დამამთავრებლად, ე.ი. იქ, სადაც პაუზაა მოსალოდნელი.

სავარჯიშო:

გაარკვიეთ, სად არის უმართებულოდ ნახმარი მავრცობი -ა და გაასწორეთ.

1. მუშაობითაც უწინდებურად ემუშაობ.
2. აქაც ხომ შენი სამშობლოა..
3. შენსაც ჩვენი ძმა ხარ.
4. როგორაც თქვენა მცემთ პატივსა. ისე მოგაგებთ მეცა.
5. თინათინი მზესაეით ანათებდა.
6. დიდია ძალა სიყვარულისა.
7. უმჯობესია დიდსა თუ პატარას. --

1 _____
2 _____
3 _____
4 _____
5 _____
6 _____
7 _____
8 _____
9 _____

ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა



წესი 1

თუ სახელის ფუძე მ-ანით ბოლოვდება, მოთხრობითი ბრუნვის ფორმაში თავს იყრის ორი მ (ერთი – ფუძისეული, მეორე – ბრუნვის ნიშნისეული), მართალია, გამოთქმაში შეიძლება ერთი მ ისმოდეს, მაგრამ აუცილებელია დაიწეროს (და გამოითქვას კიდეც) ორი მ.



სწორია:
ატამმა, ირემმა.



~~არ არის სწორი:~~
~~ატამა, ირემა.~~



წესი 2

სახელებს, რომელთა ფუძე ს-ანით არის დასრულებული, მიცემითში ორი ს მოუდით.



სწორია:
ათასს, ობილისს.



არ არის სწორი:

ალაბ, ოსპილის



წესი 3

ებ-იას პრიალაბითში ორი ე იყრისთავს იმ სახელებში, რომელთა ფუძე ე ხმოვნით თავდება.



სწორია:

მდინარეები, მორაჭები.



~~არ არის სწორი:~~

~~მდინარები, მორაკები.~~



წესი 4

-ზე, -ში, -თან თანდებულების დართვისას ორი ერთნაირი თანხმოვანი გვექნება, თუ სახელის ფუძე მთავრდება შესაბამისად ზ, შ, ან თ თანხმოვანზე.



სწორია:

კოშზე, თეფშში, ყუთთან.



~~არ არის სწორი:~~

~~კოვზა თეფშა, ყუთან.~~



წესი 5

ნაწარმოებ სიტყვებში, თუ სახელის ფუძე იმავე ხმოვნით იწყება, რომლითაც თავსართი (პრეფიქსი) თავდება, თავს იყრის და უნდა დაიწეროს ორი ერთნაირი ხმოვანი.



სწორია:

[illegible] საადრეო. ააშბობი, სიიაფე, მეეზოვე.



~~არ არის სწორი:~~

~~საბაზისო, სადგურმამულო. სადრეო, რამბობი, სიაფე, მეზოვე.~~



წესი 6

ორი ა გვექნება, თუ გა, და ზმნისწინები დაერთვის ა - თი დაწყებულ ფუძეებს.



სწორია:

გაადამიანება, გალააღუილება.



~~არ არის სწორი:~~

~~გადამიანება, გადაღგილება.~~

წესი 7



ასევე ორი ა გვექნება, თუ ა-, გა-, გადა-, და-, ჩა-, ნა- დაერთვის ზმნის საარეისო ქცევის ფორმებს.



სწორია:

გადააბამს, ჩააბამს.



~~არ არის სწორი:~~

~~გადაბამს, ჩაბამს.~~

შენიშვნა: შეიძლება ერთად სამმა ა-მაც მოიყაროს თავი. მაგ.: გააახალ-გაზრდავა. აქ პირველი ა გა- ზმნისწინს, ეკუთვნის, მეორე საარეისო ქცევის ნიშანია, მესამით კი ფუძე იწყება.



წესი 8

ორი ე გვექნება, თუ შე- ზმნისწინი დაერთვის ე-ნიანი ვნებითის ფორმას.

შეუბრალება, შეეთვისება, შეეგებება.



წესი 9

ორი ვ გვექნება ზმნის I სუბიექტური პირის ფორმაში, თუ ზმნის ფუძე ვ-თი იწყება.



სწორია:

მე ვეაქაცობ, მე ვეარაუდობ.



~~არ არის სწორი:~~

~~მე ეაქაცობ, მე ეარაუდობ.~~

წესი 10

ორი მ გვექნება ზმნის I ობიექტური პირის ფორმაში, თუ ზმნის ფუძე მ-თი იწყება.





სწორია:

მე მმართებს.



~~არ არის სწორი:~~

~~მე მართებს.~~

წესი 11

ორი გ გვექნება ზმნის II ობიექტური პირის ფორმაში, თუ ზმნის ფუძე გ-თი იწყება.





სწორია:

შენ გგავს, შენ გგვრის.



~~არ არის სწორი:~~

~~შენ გავს, შენ გვრის.~~

შენიშვნა: ზმნის I ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში ორი გვ მოიცრის თავს: იგი ჩვენ შიშს გვგვრიდა: აღგვეგვიანებია: გვგცრემს.

საკარჯიშო:

გაასწორეთ შეცდომები

1. ჩვენმა სადრეო ატამა ვერ იხარა.
2. ირემა წყალი დალია.
3. თბილისს უამრავი ეკლესია ამშენებს.
4. საქართველოს მთებში ჩქარი მდინარებია.
5. კოვზე მწარე წამალია.
6. დიიდ ყუთან ძაღლი ჩაცუცქულა.
7. ანგარიში არ უნდა მოეტყუვედთ.
8. ამ თეეზე რას იტყვი.
9. ყველგან სახალწლო სამზადისია.
10. ამ ამბავმა მოხუცი თითქოს გახალგაზრდავა.
11. მასწავლებელი ბაეშვებს თბილად შეგება.
12. მე გვიან ვახშმობ.
13. მე შენი არაფერი მართებს.
14. შენი შვილები შენ გვარან.

1 _____
2 _____
3 _____
4 _____
5 _____
6 _____
7 _____
8 _____
9 _____
10 _____
11 _____
12 _____
13 _____
14 _____



ფუძის კვეცა ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში

წესი 1



-ა და -ე ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები (აგრეთვე, გეოგრაფიული სახელები) ფუძეს იკვეცენ ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში.

კლდე – კლდის, კლდით; აბაშა – აბაშის, აბაშით...



წესი 2

ა-ზე დასრულებული ადამიანთა გვარები არ იკვეცება

თელია – თელიას (ი), თელიათი; მირცხულავა – მირცხულავას (ი), მირცხულავათი.

მაგრამ: მრავლობითში -ებ ნიშნის დართვის შემდეგ ფუძე შეიკვეცება და გვექნება თელიები, მირცხულავები.



წესი 3

ე-ზე დასრულებული ადამიანთა გვარები იკვეცება.

ჭავჭავაძე – ჭავჭავაძის, ჭავჭავაძით;

მაგრამ: არის შემთხვევები, როცა -ა და -ე ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები არ იკვეცება:

ქართულში გვაქვს სუფიქსები -ა, -ია, რომლებიც გამოყენებულია კნინობითი ფორმის საწარმოებლად: დედოფალა, ქალა.

-ა გამოყენებულია. აგრეთვე, ჯონების ან მსგავსების გამომხატველი სიტყვების საწარმოებლად: გულწითელა, თითა, ლურჯა, ქერა და ა.შ.

-ია სუფიქსი ვისიმე ან რისამე ხელობას (ოვისებას) დაცინვით გამოხატავს:

ბაქია, ქქქია, ყლაპია, თხუპნია...

ამგვარად ნაწარმოები სიტყვების ფუძეია შეკვეცა აზრის დაბნელებას იწვევს, რადგან სიტყვებში უჩინარდება -ა და -ია სუფიქსებით შეტანილი მნიშვნელობითი სხვაობა. მაგ.: ბავშვმა დედოფალს კაბა შეკერა (უნდა იყოს: დედოფალას კაბა შეკერა), დიასახლისი ქალის შეჭამანდს აკეთებს (უნდა იყოს: ქალას შეჭამანდს აკეთებს).

მაშასადამე, -ა სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებს ნათესაობითსა და მოქმედებითში იგი არ უნდა მოეკვეცოს.



წესი 4

-ე ხმოვნით დაბოლოებულ საზოგადო სახელთაგან ფუძე არ ეკვეცებათ უცხოური წარმოშობის არსებით სახელებს:

ატაშე, ბუკლე, იუბილე, კაშნე, კლიშე, კუპე, პენსნე, ტირე, ტურნე...

სავარჯიშო:
გაასწორეთ შეცდომები

1. ეს ლექსი არის ილია ჭავჭავაძესი.
2. ეს ჩვენი პატარა თხუპნიის ფეხსაცმელია.
3. დედოფალის გეირგვინი ძალიან მოგიხდებოდა.
4. ბავშვმა თავისი ახალი დედოფლის გულისთვის იტირა.
5. იუბილეის გადახდას აპირებთ?
6. ტყუს განცხა არ შეიძლება.
7. შენი კაშნის ფერი არ მომწონს.

1 _____
2 _____
3 _____
4 _____
5 _____
6 _____
7 _____



ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება

წესი 1



ვითარებითი ბრუნვის ნიშანია -დ (ხმოვანფუძიან სახელებთან), -ად (თანხმოვანფუძიან სახელებთან) და არა -თ, -ათ.



სწორია:

კაცად, დიდად.



~~არ არის სწორი:~~

~~კაცათ, დიდათ.~~

წესი 2



ერთი ჯგუფი სიტყვებისა, რომლებიც ზმნიზედებია და მოქმედებითი ბრუნვისგანაა მიღებული, ან რომლებიც ფუძეში თ-ს შეიცავს, დაიწერება თ-თი (და არა დ-თი)



სწორია:

გარეთ, ქვემოთ, წინათ, ალბათ, უნებლიეთ.

ასევე: ზევით, ქვევით, შიგნით, აქეთ, იქით და სხვა.



~~არ არის სწორი:~~

~~გარედ, ქვემოდ, წინად, ალბად, უნებლიედ.~~

სავარჯიშო

გაასწორეთ შეცდომები

1 მერე მეორეთ გაიყვანა (აკაკი).
2 ვარეთ ნელი ჟუჟუნა წყიმა მოდიოდა (ვაჟა).
3 რამდენი ხანია, აბა, სანადიროთ არ ვყოფილვართ? (ს. ლორთ.).
4 ჩვენ თვისება თითოეულისა სუმოთ გაკვრით მოვიხსენიეთ (ილია).

5 ქვეყნათ გაისმოდა „ერთობა და სიყვარული“ (ეაჟა).
6 პლატონს უნებლიედ გაეცინა ამ სიტყვებზე (ლ. კლდ.).
7 ვენახს ქერიეი ძალიან კარგათ უვლიდა (ილია).
8 დიდად გაუხარდა სიყრმის მეგობარს ჩემი ნახვა (ლ ქიან.).
9 ლეოის წინაშე უნდა თქვას კაცმა, რომ დათიკოც პირშავათ არ იყო ჩემთან (ილია).
10 დედა ერთგულათ უვლიდა თავის შვილებს (იაკობი).

1 _____
2 _____
3 _____
4 _____
5 _____
6 _____
7 _____
8 _____
9 _____
10 _____



ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲔᲑᲐ

წესი 1



ბოლოთანხმოვნიანი საზოგადო სახელები წოდებითში უნდა წარმოითქვას და დაიწეროს - ო დაბოლოებით

კაც-ო, მეგობარ-ო თაე-ო...

წესი 2



ბოლოხმოვნიანი ორ- და მეტმარცვლიანი საზოგადო სახელები წოდებითში პარალელური ფორმით იხმარება: -ე დაბოლოებით და უდაბოლოებოდ (ე.ი. ფუძის სახით)



სწორია:
ქალიშვილ-ი//ქალწულ-ი, მებაღე-ი//მებაღე



~~არ არის სწორი:~~
~~ქალწულ-ი, მებაღე~~



წესი 3

დაბოლოების გარეშე იხმარება -უ-ბოლოხმოვნიანი ორმარცვლიანი სახელები

ტაბუ, ძუძუ, კაკადუ და სხვა.

წესი 4



ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი საზოგადო სახელები წოდებითში უნდა ვიხმაროთ -ო დაბოლოებით, თუმცა ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ლექსებში, დასაშვებია მათი -ვ დაბოლოებით ხმარებაც.



სწორია:
და-ო, მთა-ო.



~~დასაშვებია:~~
~~და-ვ, მთა-ვ~~



წესი 5

ადამიანის საკუთარი სახელები წოდებითში უნდა წარმოითქვას და დაიწეროს დაბოლოების გარეშე (ე.ი. ფუძის სახით).



სწორია:
გურამ! ეთერ!



~~არ არის სწორი:~~

~~გურამი! ქთერი!~~

წესი 6



-ძე, -ვა, -უა და -ია-ზე გათავებული გვარები წოდებითში ადამიანის საკუთარ სახელებს უთანაბრდება და უნდა ეიხმაროთ უდაბოლოებოდ (ე.ი. ფუძის სახით).



სწორია:

აბაშიძე! გუგუნაძა! ჯაბუა! თოფურია!



~~არ არის სწორი:~~

~~აბაშიძე! გუგუნაძა! ჯაბუა! თოფურიაე!~~

წესი 7



ბოლოთანხმოვნიანი გვარები წოდებითში საზოგადო სახელებს უთანაბრდება და -ო დაბოლოება აქვს.



სწორია:

ბურდულ-ო! ბარათაშვილ-ო!



~~არ არის სწორი:~~

~~ბურდული! ბარათაშვილი!~~

წესი 8



ცხოველთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები წოდებითში საზოგადო სახელებს უთანაბრდება და შესაბამისად ფორმდება. სახელდობრ: ბოლოთანხმოვნიანებს დაერთვის ო. თერგ-ო, თბილის-ო, ბოლოხმოვნიანებს დაერთვის -ვ, ან იხმარება უდაბოლოებოდ.



სწორია:

აბა'შაგ//აბა'შა, ნიკორაგ//ნიკორა.



~~არ არის სწორი:~~

~~აბაშაო, ნიკორაო.~~

წესი 9



ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ბოლოკიდური -ი ფუძისეულია და იგი შერჩება სახელს ყველა ბრუნვაში, წოდებითში კი (ადამიანის სხვა სახელების მსგავსად) ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი.

ე.ი. გვექნება:

აკაკი, ალექსი, ანატოლი, არკადი, გენადი, დომენტი, ევგენი, ვალერი. გუგული. ნანული და სხვა.

წესი 10



-ий, - ый და **- ой**-ზე დაბოლოებული რუსული გვარების გადმოცემისას ქართულში ბოლოკიდური -ი ფუძეს განეკუთვნება

გორკი – გორკიმ, წოდ. გორკი! ჩერნი'შევსკი –ჩერნი'შევსკიმ, წოდ. ჩერნიშევსკი! ტოლსტოი – ტოლსტოიმ, წოდ. ტოლსტოი!

ასევე იქნება უცხო გვარებიც, რომელთაც ბოლოკიდური ი აქვთ:

ტორიჩელი – ტორიჩელიმ, წოდ. ტორიჩელი! ბოტიჩელი – ბოტიჩელიმ. წოდ. გარიბალდი! მსგავსადვე: პაგანინი, პუჩინი...

იგივე წესი ვრცელდება გეოგრაფიულ სახელებზეც; ტრიპოლი – ტრიპოლიმ, წოდ. ტრიპოლი! დელი – დელიმ, წოდ. დელი!



წესი 11

თანხმოვანზე დაბოლოებული უცხოური გვარები წოდებითში, ქართული გვარების მსგავსად, მიიღებენ -ო დაბოლოებას.



ლებედევ-ი – ლებედევო! ივანოვ-ი – ივანოვო!
და ასევე: ბატონო პეტროვო!

წესი 12

უცხოურიდან მომდინარე ტიტულები წოდებითში უნდა გაფორმდეს მაშინაც, როცა დამოუკიდებლადაა ნახმარი და მაშინაც, როცა მსაზღვრელადაა გამოყენებული.



სწორია:

ბარონო! ვიკონტო! მარკიზო! პერცოგო! პერცოგო ველინგტონო!



~~არ არის სწორი:~~

~~ბარონ! ვიკონტ! მარკიზ! პერცოგ! პერცოგ ველინგტონ!~~



შენიშვნა: უცხოური „მადამ“, „მისტერ“, „მის“, „სერ“, „ლედი“ ქართულში ასევე დარჩება.

საეარჯიშო

ქვემოთ მოყვანილ ტექსტში მონახეთ წოდებითში დასმული სახელები, გაასწორეთ მცდარი ფორმები

ყბაჩა.. ჩემო ძმობილო,– ჩემო კარგო ყბაჩავ, წადი, წადი და დაიკარგე სადმე. ლაზარე ჩიჩილაშვილი! – დაიძახა შუა ეზოში გამოსულმა ზედამხედველმა. ჩილიკაშვილი! – ყვიროდა ერთი, კირიკაშვილი! – გაჰკიოდა მეორე, რომელია დილიკაშვილი? – დაეძებდა მესამე.

ბიჭო, ბაჩილ, მოდი, შენც ჩაირბინე ქალაქში და გაიგე რა ღმერთი უწყრება ე ნახშირს. ნუ, ბაჩილა-ბიჭო, თავს ნუ გაიმეტებ! აგრე ადეილად ნუ დასთმობ ჭაბუკობას, ნუ ბაჩილავ, ნუ!

თედორე, თუ სტუმარი ხარ, ე არაყი დალიე, მაგრამ სირბილიან წუწკზე ხმა აღარ ამოიღო.

შენთვის არის საჭირო, სიდონი, შენთვის (მ. ჯაყახ.).




ადამიანთა სახელების ბრუნება

ადამიანის სახელი შეიძლება იყოს ხმოვანფუძიანი (ილია, ნინო, გიორგი, ალექსანდრე...) და თანხმოვანფუძიანი (ლევანი, თამარი, თინათინი...).

ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებისას ბოლოკიდური ხმოვანი არსად არ მოიკვეცება, სახელობითი და წოდებითი ბრუნვის ფორმები ერთგვარია; ერთგვარია, აგრეთვე, მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები:

სახ.	ელენე	გიორგი
მოთხ.	ელენე-მ	გიორგი-მ
მიც.	ელენე-ს	გიორგი-ს
ნათ.	ელენე-ს(ი)	გიორგი-ს(ი)
მოქ.	ელენე-თი	გიორგი-თი
ვით.	ელენე-დ	გიორგი-დ
წოდ.	ელენე	გიორგი

თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებისას არ ხდება ფუძის კუმშვა, წოდებითში კი ეს სახელები ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს და ფუძის სახითაა წარმოდგენილი:



	სწორია:		არ არის სწორი:	
სახ.	გურამ-ი	ასმათ-ი		
მოთხ.	გურამ-მა	ასმათ-მა	გურამიმ	ასმათიმ
მიც.	გურამ-ს	ასმათ-ს	გურამის	ასმათის
ნათ.	გურამ-ის	ასმათ-ის		
მოქმ.	გურამ-ით	ასმათ-ით		
ვით.	გურამ-ად	ასმათ-ად		
წოდ.	გურამ	ასმათ	გურამი	ასმათი

ადამიანთა თანხმოვანფუძიანი სახელების ბრუნებისას მკვდარი ფორმების თავიდან ასაცილებლად უნდა მტკიცედ ვიცოდეთ, რომელ სახელებშია -ი ფუძის ბოლოკიდური და, მაშასადამე, გადაჰყვება სახელს მოთხრობითს, მიცემითსა და წოდებითს ბრუნვებში, და რომელ სახელებშია -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი და, მაშასადამე, არ გადაჰყვება მოთხრობითს, მიცემითსა და წოდებითს ბრუნვებში.



სავარჯიშო

გადაწერეთ წინადადებები, გამოარკვიეთ, რომელ ბრუნვაშია ადამიანის საკუთარი სახელები და დაურთეთ სათანადო ნიშნები

ეფრემ– გულიანად გაიცინა.
ორჯერ-სამჯერ გადაიკითხა ეახტანგ.. ეს წერილი.
„ეს წუთი გადაჭრის ყველაფერს", - გაიფიქრა ლევან.. და მარჯვენა ხელი უნებურად ჯიბისკენ წაიღო.
ზურაბ.. პირი დაიბანა, ტანისამოსი გამოიცვალა და კარი გამოიხურა.
კოტე.. ჩაახველა, ანტონ.. კი ხანმოკლე დუმილის შემდეგ განაგრძო.

სავარჯიშო
გაასწორეთ შეცდომები ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში

მესმის, ჭკვიანო პეტრეე, შენი გულის ვითარება (ილია)
პეპიაე, კაცო, შენა ხარ? (ილია)
ძმაო, მამუკაე, აბა, გენაცვალოს ივანე, ეხლა ჩვენი ღვთისმშობელი ვადღეგრძელოთ!
დარჩი, ვაჟკაე, დარჩი, წიქაე, - ჩურჩულებს ხალხთა.

მიელიეარ. აბიკავ. შუბლში გკოცნი და მიელიეარ. შენც გკოცნი. შულლიაე (ჰ. ჯავახ.).



მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში



წესი 1

თუ მსაზღვრელი ბოლოხმოვნიანია (ე.ი. ფუძის ბოლოკიდურად მოუდის ხმოვანი ა,ე,ო,უ) და უსწრებს საზღვრულს, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვასა და რიცხვში (მრავლობითს რიცხვში ნავარაუდებია -ებ ბოლოსართით ნაწარმოები საზღვრული).



სწორია:

მხოლოობითი რიცხვი

სახ.	რკინა კაცი	გამრჯე ქალი	ფართო ველი	ყრუ მოხუცი
მოთხ.	რკინა კაცმა	გამრჯე ქალმა	ფართო ველმა	ყრუ მოხუცმა
მიც.	რკინა კაცს	გამრჯე ქალს	ფართო ველს	ყრუ მოხუცს
ნათ.	რკინა კაცის	გამრჯე ქალის	ფართო ველის	ყრუ მოხუცის
მოქმ.	რკინა კაცით	გამრჯე ქალით	ფართო ველით	ყრუ მოხუცით
ვით.	რკინა კაცად	გამრჯე ქალად	ფართო ველად	ყრუ მოხუცად
წოდ.	რკინა კაცო	გამრჯე ქალო	ფართო ველო	ყრუ მოხუცო

მრავლობითი რიცხვი

სახ.	რკინა კაცები	გამრჯე ქალები	ფართო ველები	ყრუ მოხუცები
მოთხ.	რკინა კაცებმა	გამრჯე ქალებმა	ფართო ველებმა	ყრუ მოხუცებმა
მიც.	რკინა კაცებს	გამრჯე ქალებს	ფართო ველებს	ყრუ მოხუცებს
ნათ.	რკინა კაცების	გამრჯე ქალების	ფართო ველების	ყრუ მოხუცების
მოქმ.	რკინა კაცებით	გამრჯე ქალებით	ფართო ველებით	ყრუ მოხუცებით
ვით.	რკინა კაცებად	გამრჯე ქალებად	ფართო ველებად	ყრუ მოხუცებად
წოდ.	რკინა კაცებო	გამრჯე ქალებო	ფართო ველებო	ყრუ მოხუცებო



წესი 2

თუ მსაზღვრელი ბოლოთანხმოვნიანია და წინ უსწრებს სასღვრულს



სწორია:

დასაშვებია:



არ არის სწორი

სახ.	დიდი საქმე		
მოთხ.	დიდმა საქმემ		დიდ საქმემ, დიდი საქმემ
მიც.	დიდ საქმეს		დიდს საქმეს
ნათ.	დიდი საქმის	დიდის საქმის	დიდ საქმის
მოქ.	დიდი საქმით	დიდის საქმით	დიდ საქმით
ვით.	დიდ საქმედ	დიდს საქმედ	
წოდ.	დიდო საქმე(ე)		

შენიშვნა: მრ. რიცხვში -ებ ბოლოსართით ნაწარმოებ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლობითს რიცხვშია დასმული (საზღვრულს რიცხვში არ ეთანხმება) და ბრუნვაში ისე იცვლება, როგორც მხოლობითში: დიდი საქმეები, დიდმა საქმეებმა, დიდ საქმეებს და სხვა.



წესი 3

თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მაშინ ერთადერთ ფორმად მიცემითსა და ვითარებითში -ს დართული მსაზღვრელი უნდა ვიხმაროთ.



სწორია:



არ არის სწორი:

მიც. ჩემს ამხანაგს, შენს ამხანაგს,
ჩვენს ამხანაგს, თქვენს ამხანაგს,
მათს ამხანაგს.

~~ჩემ ამხანაგს, შენ ამხანაგს,~~
~~თქვენ ამხანაგს, ჩვენ ამხანაგს,~~
~~მათ ამხანაგს.~~

ვით. ჩემს ამხანაგად, შენს ამხანაგად,
ჩვენს ამხანაგად, თქვენს ამხანაგად,
მათს ამხანაგად.

~~ჩემ ამხანაგად, შენ ამხანაგად,~~
~~ჩვენ ამხანაგად, თქვენ ამხანაგად~~
~~მათ ამხანაგად.~~

წესი 4



როდესაც მსაზღვრელად ისეთი სახელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული, მიცემითსა და ვითარებითში -ს დართული ფორმები უნდა ვიხმაროთ.



სწორია:



არ არის სწორი:

სახ. შემოქმედებითი კავშირი
მიც. შემოქმედებითს კავშირს
ვით. შემოქმედებითს კავშირად

~~შემოქმედებით კავშირს~~
~~შემოქმედებით კავშირად~~

სახ. პირველადი ორგანიზაცია
მიც. პირველადს ორგანიზაციას
ვით. პირველადს ორგანიზაციად

~~პირველად ორგანიზაციას~~
~~პირველად ორგანიზაციად~~

წესი 5



თუ მსაზღვრელად პროფესიის, თანამდებობის ან ადგილის აღმნიშვნელი სახელია, ნათესაობითსა და მოქმედებითში სწორ ფორმად მიჩნეულია ბრუნვისნიშანმოკვეცილი ფორმა



სწორია

ნათ. გენერალ ჩანჩიბაძის
ექიმ წერეთლის
პროფესორ მელიქიშვილის
ქალაქ ქუთაისის

მოქმ. გენერალ ჩანჩიბაძით
ექიმ წერეთლით
პროფესორ მელიქიშვილით
ქალაქ ქუთაისით



არ არის სწორი

გენერალი ჩანჩიბაძის
ექიმი წერეთლის
პროფესორი მელიქიშვილის
ქალაქი ქუთაისის
გენერალი ჩანჩიბაძით
ექიმი წერეთლით
პროფესორი მელიქიშვილით
ქალაქი ქუთაისით

ასევე იქნება: მასწავლებელ სიხარულიძის, აკადემიკოს შანიძით, კურიორტ მენჯის და სხვა.

წესი 6



თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იშვიათია შემთხვევა, რომ ადამიანის საკუთარი სახელი მოსდევდეს გვარს. თუ მოსდევს, ორივეს უნდა დავურთოთ ბრუნვის ნიშანი (ბრუნვის ნიშანს არ დავურთავთ სახელს მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში).



სწორია:

სახ. ორბელიანი გრიგოლ
მოთხ. ორბელიანმა გრიგოლმა
მიც. ორბელიანს გრიგოლს
ნათ. ორბელიანის გრიგოლის
მოქმ.
ვით.
წოდ. ორბელიანო გრიგოლ



არ არის სწორი:

ორბელიანი გრიგოლი
ორბელიანმა გრიგოლ
ორბელიან გრიგოლს
ორბელიანი გრიგოლის
ორბელიანო გრიგოლ



წესი 7

გათიშულ მსაზღვრელს, მიუხედავად იმისა, ხმოვანფუძიანი იგი თუ თანხმოვანფუძიანი, ბრუნვის ნიშნები ყოველთვის სრულად უნდა დავუსვათ:

„ჭრელს ჩაეიცვომდი კაბასა“ (ვაჟა)
„მწვანეს ეწედება ფოთოლსა“ (ვაჟა)



წესი 8
სიების შედგენისას, მიუხედავად იმისა,
ჯერ გვარი იქნება თუ სახელი, სახელი
ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი



სწორია:



არ არის სწორი:

აბაშიძე ვახტანგ	~~აბაშიძე ვახტანგი~~
ვახტანგ აბაშიძე	~~ვახტანგი აბაშიძე~~
ბერიძე გურამ	~~ბერიძე გურამი~~
გურამ ბერიძე	~~გურამი ბერიძე~~

სავარჯიშო

აბრუნეთ შემდეგი
მსაზღვრელ- საზღვრულები:

მწვანე ველი;
ჩემი ბავშვობა;
ქალაქი თბილისი;
მასწავლებელი ბერიძე.

სახ _____	სახ _____
მოთხ _____	მოთხ _____
მიც _____	მიც _____
ნათ _____	ნათ _____
მოქმ _____	მოქმ _____
ვით _____	ვით _____
წოდ _____	წოდ _____

სახ. _____	სახ. _____
მოთხ. _____	მოთხ. _____
მიც. _____	მიც. _____
ნათ. _____	ნათ. _____
მოქმ. _____	მოქმ. _____
ვით. _____	ვით. _____
წოდ. _____	წოდ. _____



ნანათესაობითარი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში

წესი 1



როცა ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში უცვლელი რჩება. ემფატიკური -ა ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელს აღარ დაერთვის.



სწორია:

სახ. *ძმის წიგნი*
მოთ. *ძმის წიგნმა*
მიც. *ძმის წიგნს(ა)*
ნათ. *ძმის წიგნის(ა)*
მოქ. *ძმის წიგნით(ა)*
ვით. *ძმის წიგნად*
წოდ. *ძმის წიგნო*

წესი 2



როცა ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს (რაც იშვიათი მოვლენაა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში), მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს, ვითარებითის გარდა, ყველა ბრუნვაში, ოღონდ სახელობითსა და

ხშირად წოდებითში ბოლოსართები -ი და -ე მოკვეცილია, ნათესაობითი და მოქმედებითი კი საერთოდ არ გვხვდება.

 სწორია:

 არ არის სწორი:

სახ. წიგნი მეგობრისა	წიგნი მეგობრის
მოთხ. წიგნმა მეგობრისამ	წ მეგობრისმა
მიც. წიგნს მეგობრისას	არის(ა)
ნათ.	
მოქმ.	
ვით. წიგნად მეგობრისა	წიგნად მეგობრის
წოდ. წიგნო მეგობრისა(ვ)	წიგნო მეგობრის (იშვიათად)

წესი 3



ფუძეუკვეცელ მსაზღვრელებს სახელობითსა და წოდებითში -ი და -ო ენახებათ.

 სწორია:

სახ. წიგნი ნიკოსი	თარგმანი სახოკიახი
მოთხ. წიგნმა ნიკოსამ	თარგმანმა სახოკიასამ
მიც. წიგნს ნიკოსას	თარგმანს სახოკიასას
წოდ. წიგნო ნიკოსო	თარგმანო სახოკიასო

წესი 4



აუცილებელია შეთანხმება მაშინ, როცა მსაზღვრელი წარმოდგენილია და საზღვრული იგულისხმება. ასეთ შემთხვევაში ვითარებითშიც კი შეთანხმება გვაქვს.

მოთხ. დავითის შვილმა ისწავლა. ვახტანგისამ – არა

მიც. დედის მაგიერობას ბიცოლა უწუდა. მამისას კი– ბიძა.
ვით. თაეის თავს თელიდა არა სოფლის მცხოურებლად, არამედ–ქალაქისად.

სავარჯიშო
აბრუნეთ შემდეგი
მსაზღერელ-საზღვრულები:
ბედნიერება მეგობრისა,
თეორია მეცნიერისა,
კანონი მარადისობისა,
შეტევა მტრისა.

სახ. _____	სახ. _____
მოთხ. _____	მოთხ. _____
მიც. _____	მიც. _____
ნათ. _____	ნათ. _____
მოქ. _____	მოქ. _____
ვით. _____	ვით. _____
წოდ.	წოდ.
სახ. _____	სახ. _____
მოთხ. _____	მოთხ. _____
მიც. _____	მიც. _____
ნათ. _____	ნათ. _____
მოქ. _____	მოქ. _____
ვით. _____	ვით. _____
წოდ.	წოდ.

მსაზღვრელი სახელის
შეთანხმება საზღვრულთან
მრავლობითს რიცხვში

წესი I



პირდაპირი წყობის (მსაზღვრელი + საზღრული) –ნ და –თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი რიცხვში არ

შეეთანხმება. სახელობითსა და წოდებითში მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს, დანარჩენ ბრუნვებ'ში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი. თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მიცემით'ში შეიძლება ბრუნვის ნიშანი დაერთოს.



სწორია

სახ. მაღალი მთანი
მოთხ. მაღალ მთათა
მიც. მაღალ მთათა
ნათ. მაღალ მთათა
წოდ. მაღალო მთანო



არ არის სწორი

~~მაღალი მთანი~~
~~მაღალთა მთათა~~
~~მაღალს მთათა~~
~~მაღალთა მთათა~~
~~მაღალნო მთანო~~



წესი 2

შებრუნებული წყობისას (საზღვრული + მსაზღვრელი) მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში შეეთანხმება. სახელობითსა და წოდებით'ში შეიძლება შეუთანხმებელი მსაზღვრელიც გვქონდეს.



სწორია

სახ. მთანი მაღალნი
მოძმენი ჩვენნი
მოთხ. მთათა მაღალთა
მოძმეთა ჩვენთა
მიც. მთათა მაღალთა
მოძმეთა ჩვენთა
ნათ. მთათა მაღალთა
მოძმეთა ჩვენთა
წოდ. მთანო მაღალნო
მოძმენო ჩვენნო

დასაშვებია

მთანი მაღალი
მოძმენი ჩვენი

მთანო მაღალო
მოძმენო ჩვენო



წესი 3

ნათესაობითს ბრუნვაში დასმული და ნანათესაობითარი მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში არ შეეთანხმება.



სწორია

დასაშვებია



არ არის სწორი

სახ.	მთის ყვავილნი	ყვავილნი მთისა	~~ყვავილნი მთისანი~~
მოთხ.	მთის ყვავილთა	ყვავილთა მთისა	~~ყვავილთა მთისათა~~
მიც.	მთის ყვავილთა	ყვავილთა მთისა	~~ყვავილთა მთისაჲა~~
ნათ.	მთის ყვავილთა	ყვავილთა მთისა	~~ყვავილთა მთისათა~~
წოდ.	მთის ყვავილნო	ყვავილნო მთისა	~~ყვავილნო მთისანო~~

საყარჯიშო

ნაოესაობითში დასმულ მსაზღვრელს ქვეშ ერთი ხაზი გაუსვით, ნანათესაობითარს – ორი, გათიშულს –კლაკნილი.

სწორედ ამ ჩიხურის პირად, მაღლობზე, დგას ორსართულიანი სახლი ქვითკირისა (აკაკი).
ციგმა დაბერა ნიაგმა (ვაჟა).
არსენა შორეულიმთის წვერს დააშტერდა (მ. ჯავახ.).
იას უთხარით ტურფასა: მოვა და შეგჭამს ჭიაო (ვაჟა).
ქალაქში ღამის ხარჯს საქონლისას მოერიდნენ (ილია).
მგოსანი საქართველოსაე, წამოიხედე ზეზედა (ვაჟა).
მათ თაეზე წარმოადგა ქალის დედა (ნ. ლორთქ.).
ირგვლივე ირწყვება ტაფობი ვერცხლის და ოქროს წყალითა (ვაჟა).
არც სიძემ რუსუდანისამ და არც მეტაღრე ქალმა მისმა არ შეიწუნარეს ეს თხოვნა (იაკობი).
ფიქრისას აგებს ყორებსა (ვაჟა).
ალერსს მაგონებს დედისა ტკბილსა (რ. ერის.).



საზღვრულის რიცხვი
გაურკვეველი სამრავლის
აღმნიშვნელ მსაზღვრელთან

მსაზღვრელად გამოიყენება როგორც გარკვეული (ორი, ოცი), ისე გაურკვეველი (ცოტა, ბევრი, უთვალავი, ყველა, რამდენი...) რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები.



წესი I.

საზღვრული უნდა დავსვათ მხოლობითს რიცხვში, თუ მას გაურკვეველი სამრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელად ახლავს

ა) ზედსართავი სახელები (ცოტა, ბევრი, მრავალი, უამრავი, უთვალავი, აუარებელი, აურაცხელი, ურიცხვი, უანგარიშო, უზომო) და ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელები (ქვეყანა, მილეთი, ზღვა),



სწორია:



არ არის სწორი:

სწორია:	არ არის სწორი:
ცოტა სასმელი	~~ცოტა სასმელები~~
მრავალი წერო	მრავალი წეროები
ურიცხვი მსახური	ურიცხვი მსახურები
უამრავი ეარსკვლავი	უამრავი ვარსკვლავები
ზღვა სიხარული	ზღვა სიხარულები
უანგარიშო ბოდიში	უანგარიშო ბოდიშები
მილეთის მწერი	მილეთის მწერები
ქვეყნის სიმდიდრე	~~ქვეყნის სიმდიდრეები~~

ბ) ნაცვალსახელები: განსაზღვრებითი (ყველა, ყოველი, სხვადასხვა), განუსაზღვრელობითი (ზოგი, რამდენიმე), ჩვენებითი (ამდენი, იმდენი, მაგდენი), კითხვითი (რამდენი).



სწორია:

ყველა ფრინველი
ყოველი მოქალაქე
სხვადასხვა საკითხი
ზოგი კაცი
რამდენიმე ვარდი
ამდენი ყვავილი
იმდენი სტუდენტი
მაგდენი ნამცხვარი
რამდენი ადამიანი



არ არის სწორია:

~~ყველა ფრინველები~~
~~ყოველი მოქალაქები~~
~~სხვადასხვა საკითხები~~
~~ზოგი კაცები~~
~~რამდენიმე ვარდები~~
~~ამდენი ყვავილები~~
~~იმდენი სტუდენტები~~
~~მაგდენი ნამცხვრები~~
~~რამდენი ადამიანები~~

გ) რაოდენობითი რიცხვითი სახელი ათასი და განსაზღვრული რიცხვის აღმნიშვნელ ფუძეებზე დაყრდნობით მიღებული სასელები (ათეული, ასეული, ათასეული, მრავალათეული, მრავალასეული, მრავალათასიანი, არაერთი, თითო-ორორლა);



სწორია:

ათასი სტუდენტი
ათეული კვერცხი
ასეული წელი
ათასეული წელი
არაერთი აეტორი



არ არის სწორი:

~~ათასი სტუდენტები~~
~~ათეული კვერცხები~~
~~ასეული წლები~~
~~ათასეული წლები~~
~~არაერთი აეტორები~~



წესი 2

საზღვრული სახელები მხოლოობითში უნდა ვიხმაროთ
-ნაირ(ი) და –გვარ(ი) ელემენტებთან შერწყმით
და -ობ –ით სუფიქსის დართვით მიღებულ
ზედსართავ სახელებთანაც:
ამდენნაირი, ბევრნაირი, მრავალნაირი, რამდენიმენაირი...,
ამდენგვარი, ბევრგვარი, მრავალგვარი, რამდენგვარი...,
ათობით, ათეულობით, ასობით, ასეულობით...


სწორია:


არ არის სწორია:

ამდენნაირი ილეთი	ამდენნაირი ილეთები
ბევრნაირი კერძი	ბევრნაირი კერძები
მრავალნაირი ხმა	მრავალნაირი ხმები
ამდენგვარი ამბავი	ამდენგვარი ამბები
ბევრგვარი ნიჭი	ბევრგვარი ნიჭები
მრავალგვარი ვარდი	მრავალგვარი ვარდები
ასობით უმუშევარი	ასობით უმუშევრები
ასეულობით მოსამსახურე	ასეულობით მოსამსახურეები

წესი 3

საზღვრული შეიძლება ვიხმაროთ მრავლობითში, თუ მას შესიტყვებაში მსაზღვრელად ახლავს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი ცალკეული.


სწორია:


დასაშვებია:

ცალკეული პიროვნებები	ცალკეული პიროვნება
ცალკეული შემთხვევები	ცალკეული შემთხვევა

წესი 4

საზღვრული მრავლობითში უნდა დავსვათ, თუ ის განსაზღვრულია რიგი და წყება სახელებით.


სწორია:


არ არის სწორი:

რიგი მკვლევრები	~~რიგი მკვლევარი~~
წყება ქალაები	~~წყება ქალაი~~

შენიშვნა:
აღნიშნულ შესიტყვებებში საზღვრულის მრავლობითში დასმა დასაშვებია პოეტურ და ექსპრესიულ მეტყველებაში.



საკარჯიშო

შეასწორეთ

1. ყველა ფრინველები რიდი მიფრინავენ თბილი ქვეყნებისკენ.
2. მეცნიერები სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობენ.
3. კონფერენციაზე იმდენი სტუდენტები მოვიდნენ, რომ დარბაზში ვერ ეტეოდნენ.
4. ჩვენს ქალაქში ასობით უმუშევრები დადიან.
5. ცალკეულ შემთხვევაში გეთანხმებით.

1 _____
2 _____
3 _____
4 _____
5 _____

სადაურობის სახელთა წარმოება -ეთ და -ის სუფიქსების შემცველ გეოგრაფიულ სახელებთან

-ეთ და -ის სუფიქსების შემცველი სახელებისგან (დუშეთ-ი, თიან-ეთ-ი, მანგლ-ის-ი, ურბნ-ის-ი) სადაურობის სახელთა წარმოებისას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება პარალელური ფორმები (დუშელი//დუშეთელი, თიანელი//თიანეთელი), თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ძირითად ნორმად ეს მეორე შემთხვევაა (დუშეთ-ი დუშეთ-ელ-ი ურბნის-ი ურბნის-ელ-ი) მიღებული, პირველი კი დასაშვებადაა მიჩნეული.

სწორია: დასაშვებია:

არგუმენტი: არგუმენტი
მარგუმენტი (კისკოპისი) მარგუმენტი (მოქალაქე)

	სწორია:	დასაშვებია:
დუშეთი:	დუშეთელი, დუშეთური	დუშელი, დუშური
ენაგეთი:	ენაგეთელი, ენაგეთური	ენაგელი, ენაგური
ქეიშხეთი:	ქეიშხეთელი, ქეიშხეთური	ქეიშხელი, ქეიშხური
ტბეთი:	ტბეთელი, ტბეთური, მტბევარი (ეპისკოპოსი)	
ჩინეთი:	ჩინელი, ჩინური.	
ესპანეთი:	ესპანელი, ესპანური.	
ბოლნისი:	ბოლნისელი, ბოლნისური	ბოლნელი, ბოლნური
რუისი:	რუისელი, რუისული მრეველი/მრუველი(ეპისკოპოსი)	
მანგლისი:	მანგლისელი, მანგლისური მანგლელი (ეპისკოპოსი)	მანგლელი, მანგლური
ურბნისი:	ურბნისელი, ურბნისული ურბნელი (ეპისკოპოსი)	ურბნელი, ურბნული
ქუთაისი;	ქუთაისელი, ქუთაისური ქუთათელი(ეპისკოპოსი)	ქუთათელი, ქუთათური

მაგრამ:



სწორია:

აღმოსავლეთი: აღმოსავლელი, აღმოსავლური.
დასავლეთი: დასავლელი, დასავლური.
სამხრეთი: სამხრელი, სამხრული. (ასევე სამხრეთელი, სამხრეთული)
ჩრდილოეთი: ჩრდილოელი, ჩრდილოური.
კახეთი: კახელი, კახური.
იმერეთი: იმერელი, იმერული.
ჯავახეთი: ჯავახელი, ჯავახური.



საეარჯიშო

შეასწორეთ

1. ეს კაცი ნამდვილად აღმოსავლეთელია.
2. კახეთელი გლეხები ქალაქში ჩამოვიდნენ ყურძნის გასაყიდად.
3. ესპანეთური სიმღერებიც გიყვარს და ესპანური ხალხიც.
4. დასავლეთური კულტურა ჩვენთვის კარგადაა ცნობილი
5. ჩინეთური იეროგლიფები ძნელი ასათვისებელია.

1 _____
2 _____
3 _____
4 _____
5 _____



მიცემითისა და სახელობითის გაჭვავებულ ფორმათა გამოყენება დროის გამოხატვისას

სალიტერატურო ქართულში დროის გამოხატვა შეიძლება როგორც ზმნიზედით (ახლა, გუშინ, ხვალ, მაშინ, ადრე...), ისე სახელით, რომელიც დროის ერთეულს აღნიშნავს, დროის გაგებას შეიცავს (წელი, თვე, კვირა, საათი, ორშაბათი, ზაფხული).

მათთან მსაზღვრელად ვიყენებთ ნებისმიერ რაოდენობით რიცხვით სახელს, ზოგ ნაცვალსახელსა და რამდენიმე ზედსართავ სახელს (ორ დღეს, შვიდ კვირას, რამდენიმე თვეს, ამდენ წელს, მთელ ზაფხულს, ცოტა ხანს... გრძელდებოდა).

ასეთ შემთხვევაში ყველასთვის უნდა ვიხმაროთ მიცემითბრუნვიანი ფორმები და არა სახელობითბრუნვიანი, როგორც ამას ხშირად ხმარობენ შეცდომით.



სწორია:

ერთ დღეს ელოდა: სამ საათს გაგრძელდებოდა.



~~არ არის სწორი:~~

~~ერთი დღე ულოდა, სამი საათი გრძელდებოდა~~

მაგრამ:



სწორია:

ყოველდღე; ყოველთვე.



არ არის სწორი:

~~ყოველ დღე~~; ~~ყოველ~~ თვეს.

როდესაც დროის გამომხატველ სახელს მსაზღვრელად ახლავს სიტყვა ყოველი, უნდა გავარჩიოთ, ერთი მხრივ, კვირა – შვიდი დღე (неделя) და, მეორე მხრივ, კვირა – კვირა დღე (воскресенье). აქედან გამომდინარე,



სწორია:

გასული გამოდიოდა ყოველკვირა.

მაგრამ:

ნაკვეთში ვმუშაობდი ყოველ კვირას; ყოველ კვირა დღეს



სავარჯიშო
შეასწორეთ

1. კონფერენცია სამი საათი გრძელდებოდა.
2. მოხუცმა ორი კვირა იავადმყოფა.
3. ყოველი წუთი შენს მოსელას ველოდი.
4. ყოველი შაბათი მოედანზე ვვარჯიშობ.
5. ყოველ დღეს შენს მოლოდინში ვარ.

1 _____
2 _____
3 _____
4 _____
5 _____



რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები



წესი 1

ათასეულთა რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები ათასს სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა შეეწყოს ყველა ბრუნვაში



სწორია:



არ არის სწორი:

სახ. ორი ათასი კაცი
მოთხ. ორი ათასმა კაცმა
მიც. ორი ათას კაცს
ნათ. ორი ათასი კაცის
მოქმ. ორი ათასი კაცით
ვით. ორი ათას კაცად

~~ორმა ათასმა კაცმა~~
~~ორ ათას კაცს~~
~~ორ ათას კაცად~~

წესი 2



მილიონს, მილიარდს და რიცხვთა მაღალი კლასის აღმნიშვნელ სახელებს, რომლებიც ქართულში ნასესხებია უცხო ენებიდან, მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი უნდა შეეწყოს როგორც მსაზღვრელი.



სწორია:



არ არის სწორი:

სახ. ორი მილიონი კაცი
მოთხ. ორმა მილიონმა კაცმა
მიც. ორ მილიონ კაცს
ნათ. ორი მილიონი კაცის
მოქმ. ორი მილიონი კაცით
ვით. ორ მილიონ კაცად

~~ორი მილიონმა კაცმა~~
~~ორი მილიონ კაცს~~
~~ორი მილიონ კაცის~~
~~ორი მილიონ კაცით~~
~~ორი მილიონ კაცად~~

წესი 3



იმ შემთხვევაში, როცა სამი და მეტი ნაწილისგან შემდგარი რთული რიცხვითი სახელები გვაქვს, მილიარდი, მილიონი, ათასი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი, ხოლო მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები – სახელობითს ბრუნვაში. ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნებს სხვადასხვა ბრუნვაში დაირთავს მხოლოდ უკანასკნელი (საზღერულისწინა რიცხვითი სახელი)



სწორია:

სახ. ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცი
მოთხ. ორი მილიონ ხუთასი ათას სამასმა კაცმა
მიც. ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცს
ნათ. ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცის
მოქმ. ორი მილიონ ხუთასი ათას სამასი კაცით
ვით. ორი მილიონ ხუთასი ათას სამას კაცად



წესი 4

და კავშირით შეერთებული რიცხვით სახელები უნდა დაიწეროს ერთად, ხოლო ყველა დანარჩენი – ცალ-ცალკე.



სწორია:
ოცდაერთი; ას ერთი.



არ არის წორი:
ოცდა ერთი; ოცდა ერთი; ასერთი; ას-ერთი



წესი 5

სამი პარალელური ფორმიდან (თხუთმეტი, ხუთმეტი, თუთხმეტი) სალიტერატურო ქართულისთვის ერთადერთ სწორ ფორმად მიჩნეულია თხუთმეტი.



წესი 6

და-თი შეერთებული რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძისგან რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოებისას რიგობითის მაწარმოებელი მე- – -ე თავსართ-ბოლოსართები ბოლო შემადგენელ რიცხვით სახელს დაერთეის



სწორია:

ოცდამეხუთედი



~~არ არის სწორი:~~

~~მეოცდამეხუთული~~

მაგრამ:

პირველი და არა მეერთე.

ასევე იქნება ნაწარმოები წილობითი რიცხვითი სახელები.



სწორია:

ოცდამეხუთედი



~~არ არის სწორი:~~

~~მეოცდამეხუთული~~

რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები ერთად, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს.



წესი 7

რიგობით რიცხვით სახელებს რომაული ციფრებით გამოსახვისას არც თავსა და არც ბოლოში აფიქსი არ დაერთეის.



სწორია:

XIX



არ არის სწორი:
მე-XIX, მე-XIX-ე, XIX-ე

წესი 8



რიგობით რიცხვით სახელებს არაბული ციფრებით გამოსახვისას თავში უნდა დავურთოთ მე- პრეფიქსი, რომელიც ციფრისგან დეფისით გამოიყოფა, ხოლო და-თი შეერთებული რთული შედგენილობის რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძისგან ნაწარმოებ რიგობით რიცხვით სახელებს მხოლოდ ბოლოში უნდა დავურთოთ -ე სუფიქსი, რომელიც ციფრისგან დეფისით გამოიყოფა.



სწორია:
მე-5; 25-ე.



~~არ არის სწორი:~~
~~მე-5-ე, 5-ე; მე-25-ე;~~ მე-25.



წესი 9

რიცხვითი სახელი *პირველი* უნდა დავწეროთ ან ასოებით, ან რომაული ციფრით (პირველი ან I) ან არაბული ციფრით ასე: 1-ლი.



წესი 10

ფორმათაგან *მეორადი* და *მეორეული* ერთადერთი ლიტერატურული ფორმაა მეორეული (ისევე, როგორც მესამეული, მეოთხეული...)



წესი 11

პარალელური გამოთქმები *მესამოცე წლები* და *სამოციანი წლები* ორივე ლიტერატურულია.

საავარჯიშო
გადაწერეთ რიცხვები და შეცვალეთ სიტყვებით

15, 30, 75, 99, 101, 150, 189, 200, 569, 987, 1002, 1200, 1967, 2000, 5764, 10652, 15587

გაასწორეთ შეცდომები და ისე გადაწერეთ

წამნახევარი, წუთნახევარი, საათნახევარი, დღენახევარი, კვირანახევარი, თვენახევარი, წელიწადნახევარი, კილონახევარი, ცხრა კაცები, ასი მსხლები, ოცდახუთი ცხვრები, ორთაუე ქალები, მრავალი ქალაქები, უამრავი ბუზები, ბევრი სოფლები, ორიეე წაეიდნენ, მეორადი ფაკულტეტი, ხუთმეტი სკოლა, ორმა ათასმა ქართველმა.

გადაიწერეთ რიგობითი რიცხვითი სახელები, გამოხატეთ არაბული ციფრებით

მეორმოცე, სამოცდამეერთე, სამოცდამეჩვიდმეტე, სამოცდამეთხუთმეტე, მეასე, მეათასე, მეთერომეტე, ოცდამეერთე, მერვე, ორმოცდამეერთე, სამოცდამეერთე, ორმოცდამეთერთმეტე, ოცდამეთერთმეტე, სამოცდამეცამეტე, ორმოცდამესამე, ორმოცდამეორე.



ნაცვალსახელების მართლწერა

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ კუთვნილებით ნაცვალსახელებს: თავისი და მისი.

თუ საგანი (დამატება), რომლის შესახებაც რამეს ვამბობთ, ქვემდებარეს ეკუთვნის, განსაზღვრებად უნდა ვიხმაროთ ნაცვალსახელი თავისი: ივანე კარგად უძღვება თავის საქმეს (და არა: ივანე კარგად უძღვება მის საქმეს. თუმცა თავის ადგილას ეს წინადადებაც შეიძლება სწორი იყოს: თუ გვინდა ვთქვათ, რომ ივანე კარგად უძღვება არა თავის, არამედ სხვის, ვთქვათ, პაულეს საქმეს).

პირის ნაცვალსახელებს მრავლობითს რიცხვში შეიძლება დაერთოს –გან თანდებული და მივიღოთ ზედსართავი სახელები: ჩვენგანი, თქვენგანი, მათგანი.



სწორია:

თითოეული ჩვენგანი; ყოველი თქვენგანი.



არ არის სწორი:

თითოეული ჩვენთაგანი; ყოველი თქვენთაგანი.

მესამე პირის ნაცვალსახელის მრავლობითს რიცხვში მოთხრობითი ბრუნვის ფორმის ნაცვლად ზოგჯერ კუთვნილებითი ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმას ხმარობენ: მათმა (ამათმა, იმათმა) დაწერეს, ააშენეს და სხვა.

უნდა ვთქვათ და ვწეროთ: მათ (ამათ, იმათ) დაწერეს, ააშენეს და ა.შ..

თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი განსაზღვრებადაა გამოყენებული, მაშინ ასეთ შემთხვევაში მათმა უნდა ვიხმაროთ: მათმა (ამათმა, იმათმა) მეზობლებმა გააკეთეს, მათმა (ამათმა, იმათმა) ამხანაგებმა ააშენეს და ა.შ..

წესის ნიშანი კუთვნილებითი ნაცვალსახელების არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას მიცემითში გვექნება ჩემს მეგობარს, შენს მეგობარს, ჩვენს მეგობარს, თქვენს მეგობარს, მათს მე-

გობარს; ვითარებითში ჩემს მეგობრად, შენს მეგობრად, ჩვენს მეგობრად, თქვენს მეგობრად, მათს მეგობრად.

განსაზღვრებით ნაცვალსახელთაგან - „თითოეული, თვითოეული“ - ერთადერთი ლიტერატურული ფორმაა თითოეული, რომელიც მიღებულია თითო სიტყვაზე –ეულ სუფიქსის დართვით (შდრ/: ერთეული, ორეული, სამეული და ა.შ.).

სავარჯიშო

გაასწორეთ შეცდომები და ისე გადაწერეთ წინადადებები

მომკედარიყო საწყალი ლეპია, რომ გაეგო, რომ თავისი ქალი ბატონს მოეწონა დედა ერთგულად უვლის მის შვილს.
არაფერი ცოდვა არ მიქნია, ჩემ სიცოცხლეში..
კამეჩი შენ ჯეჯილს აფუჭებდაო.
თვითოეული სიტყვა ეკალივით ესობოდა გულზე.

-მე, -ვე, -ღა, ღაც(ა) ნაწილაკიანი სახელების ბრუნება

-მე, -ვე, -ღა, ღაც(ა) ნაწილაკები დაერთვის როგორც სახელებს, ისე ზმნიზედებს და შესაბამისად ცვლის მათს მნიშვნელობას; იწერება სიტყვასთან ერთად (ვინმე, ვინღა, ვიღაც(ა)... სადმე, სადღაც და სხვ.).

თანამედროვე ქართულში ბრუნების სამგვარი სახეობა გვხვდება: შეუხორცებელი (ძველი), შეხორცებული (ახალი) და ნარევი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სწორ ფორმებად (ნორმად), მიჩნეულია შეხორცებული სახეობა (რამეს), დასაშვებია შეუხორცებელი სახეობა (რასმე), ხოლო ნარევი სახეობა (რასმეს) უარსაყოფია.

შენიშვნა: -ვე ნაწილაკიან ნეკნებით ნაცვალსახელთა ბრუნებისას თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სწორ ფორმებად მიჩნეულია შეუხორცებული (ძველი) სახეობა (მაგ: იმანვე, იმასვე...) ხოლო შეხორცებული ფორმები (იგივემ, იგივეს...) უარყოფილია.

	სწორია:	დასაშვებია:	არ არის სწორი:
სახ.	ვინმე		
მოთხ.	ვინმემ		
მიც.	ვინმეს	ვისმე	ვისმეს
ნათ.	ვინმეს(ი)	ვის_ძე (ვისგანმე)	ვისმეს(ი)
მოქმ.	ვინმეთი		
ვით.	ვინმედ		
სახ.	რამე/რამ,	რაიმე	
მოთხ.	რამემ		რასმემ
მიც.	რამეს	რასმე	რაიმეს, რასმეს
ნათ.	რამეს(ი)/რამის	რის_მე(რისგანმე) რისამე	რაიმეს, რისიმე
მოქმ.	რამეთი/რამით	რითმე, რითიმე	რაიმეთი
ვით.	რამედ	რადმე	რაიმედ

მრავლობითს რიცხვში გვექნება ვინმეები, რამეები (შდრ. მდინარე– მდინარეები) და ისევე იბრუნვიან, როგორც საზოგადო სახელები.

მრავლობითს რიცხვში ვიღაცები, რაღაცები (შდრ. მრ. რიცხვში გვექნება: ვიღაც-ვიღაცები, რაღაც-რაღაცები.) ისევე იბრუნვიან, როგორც საზოგადო სახელები, მაგიდა – მაგიდები.

საკარნახოში

მონახეთ ნაწილაკიანი სიტყვები. სწორ ფორმებს ერთი ხაზი გაუსვით ქვეშ, დასაშვებს – ორი, უარსაყოფს – კლაკნილი. აღნიშნეთ რომელ ბრუნვაშია ნაწილაკიანი სიტყვა

ეს სწორედ იმას ჰგავს, რომ სახლის შენება ვინმემ ბანიდგან დაიწყოს (იაკობი).
პირუტყვი რომ ჩემთან ვისმეს გაელახა, ვიტირებდი (აკაკი).
ამის შემდეგ ძვირად თუ ვისმეს შეეხედროდი ხოლმე (აკაკი).
დღეს კი ჩემი თვალითვე უნდა ვხახო, როგორ ჩაიგდებენ ხელში ჩემ სიწმინდეს ვინმები

(აკაკი)
ის მუ ბეურს რასმეს გულს ჩამძახებდა (ილია).
ჩვენს სანახავად ვიღაც-უიღაცეები მოსულიუენენ.

თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერა

თანდებული დაერთვის მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებს. ბევრ შემთხვევაში მოხდა ფონეტიკური ცვლილებები, რამაც გამოიწვია პარალელურ ფორმათა გაჩენა. ამის გარდა, სალიტერატურო ენაში დიალექტებიდან იჭრება თანდებულთა სხვადასხვა ფორმა.

-ზე, -ში, -თან თანდებულები ერთვიან მიცემითს,

-კენ, -ოვის, -მდე, -მდის - ვითარებითს, ნათესაობითს,

-გან – მოქმედებითსა და ნათესაობითს.

დღეისთვის დადგენილია თანდებულიან სახელთა მართლწერის შემდეგი ნორმები:



წესი 1

იმ შემთხვევაში, თუ თანდებულიან სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, -ზედა, -ზედ, -ზე სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა ვიხმაროთ ერთადერთი --ზე.



სწორია:
თავზე, სახლზე.



არ არის სწორი:
~~თავ'ზედ, სახლ'ზედ.~~

წესი 2



-ც(ა) ნაწილაკის დართვისას უნდა ვიხმაროთ –ზედა, –ვე ნაწილაკის დართვისას უნდა ვიხმაროთ –ზედ.



სწორია:
მთაზედაც, მთაზედვე, მიწაზედაც, მიწაზედვე.



~~არ არის სწორი:~~
~~მთაზეც, მთაზევე, მიწაზეც, მიწაზევე.~~

წესი 3



თანამედროვე სალიტერატურო ქართულში –ში თანდებულის სხვადასხვა სახეობათაგან უნდა ვიხმაროთ მხოლოდ –'ში. -ც(ა) ნაწილაკის დართვისას შეიძლება გამოვიყენოთ –შია-ც,

მაგრამ ამ შემთხვევაშიც უპირატესობა –ში სახეობას ენიჭება.

სწორია:	დასაშვებია:
გულში	
გულშიც,	გულშიაც.

შენიშვნა:
ამაში, იმაში, მაგრამ მასში.



წესი 4

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთი სწორი ფორმაა –თან, მაგრამ -ც(ა) და –ვე ნაწილაკების დართვისას გვექნება –თანა სახეობაც. –ც(ა) ნაწილაკის დართვისას უპირატესობა –თანა სახეობას ენიჭება, ხოლო –ვე ნაწილაკის დართვისას – -თან სახეობას.



სწორია:
ჩემთანაც
შენთანვე

-გან თანდებული ნათესაობითს დაერთის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს მასალას, მოქმედების წყაროს ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვაზე: ვისგან? რისგან?

წერილი მივიღე მეგობრისგან; შაქარს ამზადებენ ჭარხლისგან (ჭარხლისაგან); მოწვევა მიიღეს უნივერსიტეტისგან (უნივერსიტეტისაგან).

წესი 5



-მდე, -მდის, -მდი, -მდინ და სხვა სახეობათაგან ლიტერატურულია მხოლოდ –მდე და –მდის, თანაც უპირატესობა ეძლევა –მდე სახეობას, გარდა ზოგიერთი გაქვავებული ფორმისა, მაგალითად, ნახვამდის





სწორია:	დასაშვებია:	არ არის სწორი:
ქალაქამდე	ქალაქამდის	~~ქალაქამდი, ქალაქამდინ...~~
აქამდე	აქამდის	
სკოლამდე	სკოლამდის,	~~სკოლამდი,სკოლამდინ...~~

წესი 6



-გან თანდებული მოქმედებითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან?
(ქალაქიდან ჩამოვიდა... ახლახან დამიბრუნდა. უნივერსიტეტიდან... დილიდან წვიმდა...)
(ით+გან→იდგან→სიდან).



სწორია:



შორიდან, შინიდან, სიყრმიდან.

~~არ არის სწორი:~~

~~შორითგან, შორიდამ; შინითგან, შინიდამ; სიყრმიდგან, სიყრმიდამ.~~

წესი 7



ბოლოხმოვნიან სახელებ'ში ვით ნაწილაკი მიცემითს ბრუნვასთან უნდა ვიხმაროთ. გათანდებულების გზაზე დამდგარი ამ ნაწილაკის ხმარება



სახელობითთან დასაშვებია.

სწორია:

ლომსავით, კაცსავით, ქალსავით.

დასაშვებია:

ლომივით, კაციეით, ქალივით.



წესი 8

-თვის, -კენ თანდებულები ნათესაობითს ბრუნვას დაერთვის. დასაშვებია გავრცობილი ფორმაც და გაუვრცობელიც, მაგრამ ერთგვარი უპირატესობა მაინც გაუვრცობელ ფორმას ეძლევა.

სწორია:	დასაშვებია:	არ არის სწორი:
ძმისთვის	ძმისათვის	
მეგობრისთვის	მეგობრისათვის	
სახლისკენ	სახლისაკენ	
ჩემკენ		~~ჩემსკენ~~
ჩვენკენ		~~ჩვენსკენ~~
შენკენ		~~შენსკენ~~
თქვენკენ		~~თქვენსკენ~~



სავარჯიშო:

მონახეთ თანდებულიანი ფორმები
და სწორ ფორმებს ერთი ხაზი გაუსვით ქვეშ,
დასაშვებს – ორი, მცდარს – კლაკნილი

ჩემ სიტყვა-პასუხზე დედას ყცინებოდა და თავზე მისვამდა ხელს (აკაკი).
დედაჩემი დაწვებოდა გორაკზე (ვაჟა).
ეალიკო და პიჭები თევზზე წასულან მაშხალებით (რ. ინან.).
ტანზედ ფრაკი აცვია (აკაკი).
მგელმა შეიხედა გორაზედ (ვაჟა).
იქნებ– როგორც თავისი შვილი გულზედაც მიმიკრას (ილია).
ჩემს ვარსკვლავზედაც შემდეგი წერებულა (აკაკი).
ენა ქარქაშში გეჭიროსო, ადვილ ჩუ იტყვით სიტყვასა (ვაჟა).

მოაჩი წაყალ ნადირობად (ა. ყაზბ.).
ზოგი ჩენს გულშიც ჩაიხედე (ილია).
კარში გამოეიღოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ეჩურდებოდი (აკაკი)
მეორე დღეს შემოვიდა ჩემთან ჩემი ცოლის მაშინაცვალი (აკაკი).

_____
_____
_____
_____
_____
_____

-ზე და –ში თანდებულთა მონაცვლეობის შესახებ

-ზე და –ში თანდებულთა გამოყენებისას უნდა გავითვალისწინოთ მათი თავდაპირველი ფუნქცია – მოქმედების ადგილის ჩვენება ზედაპირზე ან შიგმყოფობა.



სწორია:
ვაგონში შედის, ტრანსპორტში ზის, შინ ეწვია.



არ არის სწორი:
ვაგონზე ადის, ~~ტრანსპორტზე~~ ზის, ბინაში ეწვია.

სახელის შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნიზედებთან ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვებში.

როდესაც ცალკე მდგომი თანდებული ან ზმნიზედა (მიერ, მიმართ, გამო, უკან, წინააღმდეგ, მარჯვნივ, იქით, უმალ...) ორ ბრუნვას (ნათესაობითსა და მოცემითს) დაერთვის, უპირატესობა ნათესაობითს ენიჭება. მიცემითი მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩება, როცა გაქვავებული გამოთქმები გვაქვს.

I და II პირის ფორმებიდან უანო ფორმებია მიჩნეული სწორ ფორმებად.



სწორია:
გარდა ჩიეილისა, ნიჭის გარდა, ჩემ გარდა



~~არ არის სწორი.~~

~~გარდა ჩემსა, შენს გარდა, ჩემს გარდა.~~

ანალოგიურად უნდა დაუკავშირდეს სახელს ნათესაობითს ბრუნვაში მახლობლად, მსგავსად, მოშორებით, ირგელივ, გასწვრივ, პირას (პირად, პირზე), ნაპირას, განაპირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, მეტი, უმალ, ბოლოს, ძირს, (ძირას), შესახებ, გარეთ, გარეშე, გარშემო, ნაცვლად, გვერდით (გვერდზე) და სხვა ზმნიზედათანდებულები.

მაგრამ: ამას გარდა, ამას იქით, მას იქით, ცხრა მთას იქით, ჩემს იქით, თქვენს იქით – გაქვავებული გამონათქვამებია და ასეც დარჩა. მას უკან, ზურგს უკან, მას შემდეგ, ფეხქვეშ, თაქვეშ, ბალიშქვეშ, თვალწინ, ცხვირწინ, გუშინწინ, ცხრა მთას გადაღმა, ამას წინათ, თავზევით.

მათ ზმნიზედური მნიშვნელობა აქვთ და ამ ფორმით დარჩება.

შუა და შორის ორ სახელს ახლავს, მაგრამ თუ ერთ სახელს დაერთო, ეს სახელი ან მრავლობითს რიცხვში იქნება დასმული, ან კრებითი შინაარსი ექნება. უნდა ვიხმაროთ მხოლოდ მიცემითთან.



სწორია:

მიცვალებულსა და ცოცხალს შორის; მეფესა. ვაზირსა და რუქას შორის; ბავშვებს შუა; თვალსა და ხელს შუა.



~~არ არის სწორი.~~

~~მიცვალებულის და ცოცხლის შორის; მეფისა, ვაზირისა და რუქას შორის; ბავშვებს შუა; თვალისა და ხელის შუა.~~

როდესაც შორის და შუა I და II პირის ორ ნაცვალსახელთან იხმარება, მაშინაც ყოველთვის ნაცვალსახელთა ს- მოკვეცილი ფორმები უნდა ვიხმაროთ.



სწორია:

ჩვენ და თქვენ შორის, თქვენ და ჩვენ შუა



~~არ არის სწორი:~~

~~ჩვენსა და ოქვენს შორის, ოქვენსა და ჩვენს შუა~~

შენიშვნა: ყველა ზმნიზედა-თანდებული პოსტპოზიციურად უნდა დაეურთოო სახელს. გამონაკლისია გარდა. ამ შემთხვევაში პრეპოზიციული წყობაც დარჩება: ამის გარდა (აშას გარდა) და გარდა ამისა.

სავარჯიშო

მონახეთ ცალკე მდგომი თანდებულიანი და ზმნიზედიანი სახელის ფორმები. გაასწორეთ შეცდომები

გარდა დედის ალერსისას არრას გრძნობს (ნ. ბარათ.).
არავის შეეყვარებდი მის გარდა (გ. ქიქ).
არაყს გარდა, ქორწილში პურიც კი იყო საჭირო (ვაჟა).
ჩემს იქით თოფი გინდა კუნძს მოხვედრია და გინდ კაცსო (ანდ.).
შენს იქით გზა არა მაქეს (გ. ლეონ.).
თამარი ხალხის უკან იდგა (ვაჟა).
თვალსა და ხელს შუა გაეკპარე (აკაკი).
მას შემდეგ მსახურად ხევისბერი და დასტურები იყვნენ (ვაჟა).
შენ მიერ ხილული ჩემთვის უხილავი იყო (ვაჟა).
ლიახვს გაღმა სერს შეჰყურებს (აკაკი).
პურის გატეხის წინ ჯერ პურს ემთხვევა (აკაკი).
გომურს მაგიერ ხულაში დაგამწყვდევ (ილია).
ღამურები ჩვენს ახლო დაებრკოლებლად ცხოვრობდნენ (იაკობი).



თანდებულთან გამოყენებული წინ და უკან ზმნიზედების ხმარებისათვის

ადრინდელ ვითარებაზე მისანიშნებლად უნდა ვიხმაროთ წინ/წინათ. უმართებულოა აღნიშნული მნიშვნელობით უკან სიტყვის გამოყენება.



სწორია:

ერთი საუკუნის წინ/წინათ; ორი საათის წინ; ხუთი წუთის წინ.



~~არ არის სწორი:~~

~~ერთი საუკუნის უკან ორი საათის უკან; ხუთი წუთის უკან.~~

საქმის წარმოებაში უკუგდებულია უმართებულოდ გავრცელებული კალკირებული გამოთქმა უკანა რიცხვით. მის ნაცვლად უნდა ვიხმაროთ: წინა რიცხვით (თარიღით), ძველი რიცხვით, გასული რიცხვით.

უკან უნდა ვიხმაროთ მხოლოდ შემდგომი, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად როგორც ტრადიციულ, მყარ გამოთქმებში (მას უკან), ისე თავისუფალ შესიტყვებებში „შემდეგ“, „მერმე“ ზმნიზედების მონაცვლედ (ცოტა ხნის შემდეგ = ცოტა ხნის უკან).

ამ სინონიმთაგან სალიტერატურო ენაში უპირატესობა შემდეგ სიტყვას ენიჭება.

უმჯობესია:	არ ვარგა:
ოთხი თვის შემდეგ	ოთხი თვის უკან/მერმე
სადილის შემდეგ	სადილის უკან/მერმე
შუადღის შემდეგ	



სავარჯიშო

შეასწორეთ შეცდომები

ერთი საუკუნის უკან საქართველოში სულ სხვა ვითარება იყო.

ორი საათის უკან თეატრის შესასვლელთან გულოდებოდი.

სადილის მერე აუცილებლად გავისეირნებთ.



ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან –ურ ბოლოსართით

უცხო ენებიდან ნასესხები ზედსართავების გაფორმება ქართულში უმრაელეს შემთხვევაში ხდება –ურ (დისიმილაციით - ულ) ბოლოსართით, აგრეთვე –ობრივ ბოლოსართითა და სა- – -ო პრეფიქს-სუფიქსით;

მაგ.: პოლიტიკ-ურ-ი, კლას-ობრივ-ი, სა-პროგრამ-ო.



წესი 1

ეს თავსართ-ბოლოსართები ემატება ნათესაობითი ბრუნვის ფუძეს, ე.ი. შეკუმშულ და ბოლომოკვეცილ ფუძეებს
(თუ სახელი კუმშვადი ან კვეცადია):

პოლიტიკა	პოლიტიკ-ის	პოლიტიკ-ურ-ი
ისტორია	ისტორი-ის	ისტორი-ულ-ი
კლას-ი	კლას-ის	კლას-ობრივ-ი
პრობლემა	პრობლემ-ის	სა-პრობლემ-ო



წესი 2

ნესესხები სიტყვებისგან ზედსართავის წარმოებისთვის დასაყრდენს არსებითი ან ზედსართავი სახელის ფუძე წარმოადგენს...



წესი 3

როცა მხოლოდ ზედსართავია ნასესხები (და სათანადო არსებითი სახელი კი - არა), ქართული

სუფიქსი ემატება სათანადო უცხო ენის ზედსართავის ფუძეს:

Актуаль-ный	აქტ'ეალ-ურ-ი
реаль-ный	რეალ-ურ-ი
социаль-ный	სოციალ-ურ-ი
специаль-ный	სპეციალ-ურ-ი
конкрет-ный	კონკრეტ-ულ-ი
серьёз-ный	სერიოზ-ულ-ი



წესი 4

როცა სათანადო არსებითი სახელიც არის ნასესხები, ქართული ბოლოსართი ემატება არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფუძეს ისევე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული

გიგანტ-ი	გიგანტ-ის	გიგანტ-ურ-ი
დინამიკა	დინამიკ-ის	დინამიკ-ურ-ი

წესი 5



ხშირად თავს იჩენს პარალელური ფორმები: ბაქტერიული და ბაქტერიალური, რაც გამოწვეულია იმით, რომ –ურ სუფიქსით ნასესხები არსებითი სახელისგან კი არ აწარმოებენ ზედსართავ სახელს, არამედ რუსული ზედსართავიდან (**бактериальный**), რაც უმართებულოა.



სწორია: დასაშვებია:



არ არის სწორი:

ბაქტერიული		ბაქტერიალური
დოკუმენტური	დოკუმენტალური	
ემბრიონული		ემბრიონალური
ემოციური		ემოციონალური
ეპისტოლური		ეპისტოლარული
ინდუსტრიული		ინდუსტრიალური
კოლონიური	კოლონიალური	
კონტინენტური	კონტინენტალური	
მონუმენტური		მონუმენტალური
პრემიული		პრემიალური
პროპორციული		
ტრიუმფული	ტრიუმფალური	
ფენომენური	ფენომენალური	
ფუნდამენტური		ფუნდამენტალური
რეგიონული	რეგიონალური	

შენიშვნა 1.

ზოგჯერ, გამონაკლისის სახით, წარმოების დასაყდრუნად შეიძლება მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია: მუსიკალური, ფორმალური, თეატრალური, ნორმალური, ცენტრალური, მატერიალური, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ნასესხები არსებითი სახელის ფუძისგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია: მუსიკალ-ურ-ი და მუსიკურ-ი, ნორმალ-ურ-ი და ნორმ-ულ-ი და სხვა.

შენიშვნა 2.

უცხოური ზედსართავების გადმოსაცემად –ურ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავების პარალელურად თავისუფლად უნდა იხმარებოდეს ერთი მხრივ, -ობრივ სუფიქსით და სა– -ო პრეფიქს-სუფიქსითა და –ო სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავები, ხოლო მეორე მხრივ, სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. მაგ.: ფაქტი-ურ-ი, ტიპი-ურ-ი კი არა, ფაქტ-ობრივ-ი. ტიპ-ობრივ-ი ასევე: საისტორიო-საეთნოგრაფიო, საზოგადოება, ფილოლოგიის ფაკულტეტი, ენერგეტიკის ინსტიტუტი და სხვა.

წესი 5



ზედსართავის წარმოებისას შეუწყნარებელია დასაყრდენად უცხო ენის ზედსართავის უმართებულოდ გამოყოფილი ფუძის გამოყენება.

სწორია:

ელასტიკ-ურ-ი; ტრაგიკ-ულ-ი

არ არის სწორი:

ელასტი-ურ-ი; ტრაგი-ულ-ი
(შად. эластический - эластичный)



წესი 6

ბერძნულიდან მომდინარე –მა-თი დასრულებული არსებითი სახელისგან ზედსართავი იწარმოება სახელის ფუძეზე –ურ ბოლოსართის დართვით

დრამა	დრამ-ულ-ი	(აგრეთვე: დრამის, დრამატულ-ი)
პროგრამა	პროგრამ-ულ-ი	(სა-პროგრამ-ო)
სისტემა	სისტემ-ურ-ი	(სისტემატ-ურ-ი)
სქემა	სქემ-ურ-ი	(სქემატ-ურ-ი)



წესი 7

უნდა გავარჩიოთ სხვადასხვა შინაარსის მქონე ზედსართავები, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთს ემსგავსებიან:

პედაგოგ-ი	პედაგოგ-ურ-ი
პედაგოგია (წეროვნა)	პედაგოგი-ურ-ი
პედაგოგიკა	პედაგოგიკ-ურ-ი
მასივი	მასი-ურ-ი (массивный)
მასა	მასობრივ-ი, სა-მას-ო, მას-ურ-ი
კლასი	კლას-ობრივ-ი (классовый)

კლასიკა	კლასიკ-ურ-ი (классический)
ეკონომ-ი	ეკონომი-ურ-ი
ეკონომია	ეკონომი-ურ-ი
ეკონომიკა	ეკონომიკ-ურ-ი



რთული სიტყვის (კომპოზიტების) დაწერილობა

კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთცნებიანი და ორ- და მეტცნებიანი.

ერთმნიშვნელობიანია კომპოზიტი, რომლის შემადგენელ ფუძეებს შორის შეუძლებელია და კავშირის ჩასმა, მაგალითად, ძვირფასი არ შეგვიძლია შევცვალოთ ორი სიტყვით: ძვირი და ფასი (ერთმნიშვნელობიანია ისეთი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტებიც, რომელთა ერთ-ერთ ფუძეს მაინც, ცალკე აღებულს, მნიშვნელობა არ აქვს: ხითხითი, არემარე).

ორ- და მეტმნიშვნელობიანია კომპოზიტები, რომელთა შემადგენელი ფუძეების გაერთიანება შეიძლება მაერთებელი კავშირით, მაგალითად, ცოლ-ქმარი შეიძლება დავწეროთ ასეც: ცოლი და ქმარი, ანდა ყელ-ყურ-ცხვირი –ყელი, ყური და ცხვირი.



შენიშვნა 1. ერთგვარი შედგენილობის კომპოზიტი ერთ შემთხვევაში შეიძლება ერთმნიშვნელობიანი იყოს, მეორე შემთხვევაში – ორმნიშვნელობიანი. მაგ: ცოცხალმკვდარი ერთმნიშვნელობიანია, თუ სიკვდილის პირას მისულ ადამიანს აღნიშნავს. მაგრამ ცოცხალ-მკვდარი შეიძლება გულისხმობდეს ცოცხალსა და მკვდარს ერთად. ამ შემთხვევაში იგი ორმნიშვნელობიანი იქნება და დეფისით დაიწერება.



შენიშვნა 2. თუ ორმნიშვნელობიან კომპოზიტს სიტყვის საწარმოებელი აფიქსები დაერთვის და მისგან ახალი სიტყვა იწარმოება. მას უდეფისოდ დაეწერთ.

და-ძმა	დაძმური, დაძმობა, უდაძმო.
დედ-მამა	უდედმამო.
სახლ-კარი	უსახლკარო.



შენიშვნა 3. ფუძეგაორკეცებულ და და ქაშირით შეერთებულ კომპოზიტებს, ძირითადად, ხმირიზედური მნიშვნელობა აქვს. და ამ შემთხვევაში, დეფისის ფუნქციას ასრულებს, ამიტომ ასეთი სიტყვები უდეფისოდ დაიწერება; გულდაგულ, თანდათან, ფეხდაფეხ.



სავარჯიშო:

ამოწერეთ მართებული ფორმები

თავ-თავი – თაეთავი; ფეხდაფეხ – ფეხ-და-ფეხ; წამ-წამი – წამწამი,; ხანდახან – ხან-და-ხან; ლაქ-ლაქი – ლაქლაქი; დრო და დრო – დროდადრო; ციმ-ციმა – ციმციმა; ოც და ერთი – ოცდაერთი; აბდა-უბდა – აბდაუბდა; გულკეთილი – გულ-კეთილი; ღაპა-ღუპით – ღაპაღუპით; ყურმოჭრილი – ყურ-მოჭრილი; ქალ-ბატონი – ქალბატონი; ზე-გავლენა – ზეგავლენა; კაციჭამია – კაცი ჭამია; თანა-ავტორი – თანაავტორი; ბიძა-ჩემი – ბიძაჩემი; ამქლელ-ჩამქელელი – ამქელქლაჩამქლელელი; ვარდობის თვე – ვარდობისთვე; თვალწარბი – თვალ-წარბი; სულთა-მხუთავი – სულთა მხუთავი; აიარ-ჩაიარა – აიარჩაიარა; ათ-ათი – ათიათი; ჭრელ-ჭრელი – ჭრელჭრელი; დედა-შვილი – დედაშვილი; დედა-შვილობა – დედაშვილობა.



რთული შედგენილობის ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა

გეოგრაფიული სახელები, საზოგადო სახელთა მსგავსად, სხვადასხვაგვარი აგებულებისაა: მარტივი (გორი), ნაწარმოები (შინდისი) და რთული ანუ შედგენილი (თეთრი წყლები). დგება საკითხი: როგორ დაიწეროს რთული სახელის კომპონენტები: ერთად, ცალ-ცალკე თუ დეფისით?



წესი 1

ერთმანეთთან თანაბრად დაკავშირებულ კომპონენტებს შორის დეფისი უნდა დაეწეროთ.



სწორია:

ციე-გომბორი



არ არის სწორი

ციეგომბორი



წესი 2

ცალ-ცალკე იწერება

ა.) თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის შემცველი ფორმობრივად დაშლადი ტოპონიმები.



სწორია:

ახალი ნიჩბისი, დიდი ოონეთი, თეთრი წყარო, პატარა ცემი.



არ არის სწორი:

ახალი-ნიჩბისი, დიდი-ოონეთი, თეთრი-წყარო, პატარა-ცემი.

(შდრ. ფორმობრივად დაუშლელი სვეტიცხოველი: „სვეტიცხოველში ვიყავი").

ბ.) მსაზღვრელებით დაპირისპირებული ტოპონიმები,

რომელთა ერთ-ეროი ან ორივე კომპონენტი საკუთარი სახელია (დიდი ატენი – პატარა ატენი, ლაშის იგოეთი – კიცხის იგოეთი);

გ.) აღსანიშნი ობიექტების შესაბამისი საზოგადო სახელების შემცველი ტოპონიმები (ლიხის ქედი, ბაზალეთის ტბა, ლისის ტბა).

წესი 3
დაუშლელად, შერწყმულად
უნდა დავწეროთ:



ა. ტოპონიმები, რომელთა პირველი კომპონენტი მორფოლოგიურად გაცვეთილია (ფუძის სახითაა წარმოდგენილი ან ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი).



სწორია:
ახალციხე, წყნარაბანო, მჭადიჯვარი.



არ არის სწორი:
ახალ-ციხე, წყნარ-აბანო, მჭადი-ჯვარი.

ბ. ერთმარცვლიანი მსაზღვრელის ან საზღვრულის შემცველი ტოპონიმები.



სწორია:
ვაკეტყე, კლდეკარი, შუაფხო.



არ არის სწორი:
ვაკე-ტყე, კლდე-კარი, შუა-ფხო.

გ. ტოპონიმები, რომელთა ორივე კომპონენტი ან საზღვრული საზოგადო სახელია და იგი არ შეესაბამება აღსანიშნ ობიექტს.

სწორია:



ვანისქედი. შუახევი, ჯვარისუბანი.

არ არის სწორი:



ვანის ქედი. შუა ხევი, ჯვარის უბანი.

დ. წყალ კომპონენტის შემცველი ტოპონიმები.

სწორია:



ბახვისწყალი, ხანისწყალი, აკნეხისწყალი.

არ არის სწორი:



ბახვის წყალი, ხანის წყალი, აკნეხის წყალი.

საავარჯიშო



გადაიწერეთ წინადადებები, გაასწორეთ შეცდომები

მაშ რაა ის მშვენიერი ყვაველები, ოქვენ რომ გულმკერდს გიშვენებს (ვაჟა).
შეგნიშნეთ, ცრემლი ობოლ წამ-წამზე გყიდებოდა (აკაკი).
მიაელმოაელო საზარელი ყეითელი თვალები, ეწყინა ჩემი გაქცევა (ვაჟა).
სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი მომაკვდავ არე-მარესა (ვაჟა).
ვიცი, ვაჟ-კაცის სიტყვა არ გატყდება (აკაკი).
იმერეთმა დედა-შვილურად მიიღო ორივე ვაჟკაცი (აკაკი).
ამ ბერიკაცს შეეტყო ეს ამბავი (ილია).
ხავსმოკიდებულ ლოდებში და დიდი ხეების ფესვებში წყალი ალაგალაგ გუბდება (კ.გამს.).
ვანო, კრახი უცილო-შვილი კაცი იყო.
ჩვენი ბუდის-წერის წყვეტაა, რომ წავიღწამოვიდნეს ფროთხნები და ახლო-მახლო აყვავებულ ბაღახებში ჩასხდნენ (გ.ჩოხ.).
ათასნაირ ფერადფერად ყვაველებს აქარგაედნენ ფარდაგებზე გასათხოვარი ქალწულები (გ.ჩოხ.).
სოფლის თაე-კაცს არ აღელვებდა დროის წარმავლობა (გ. ჩოხ.).
ნადირო, ტყეტყე წანწალი, ოი, რა მძიმე ყოფილა... (მ. მაჭ.).
წივილკივილით და ლანძღვა-გინებით არავინ დაგვდევნებია (ნ. დუმბ.).
საშრეკლოსთან ღამეულ ლანდივით იდგა ხმელხმელი ხევის-ბერი (გ. ჩოხ.).



ნა- – -ევ და ნა- – -ებ აფიქსებით სიტყვათა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

ქართულში ე.წ. წინა ვითარების სახელების საწარმოებლად, შარდა ნა- – -არ აფიქსებისა, ზოგიერთ ფუძესთან გამოყენებულია ჩა- – -ეე მაწარმოებელიც: ნამდინარევი.

მეორე მხრივ, გვაქვს ენებითი გვარის მიმღეობები, რომლებიც ნა- – -ებ აფიქსებით იწარმოება: ნავარჯიშები, ჩაშიმშილები.

არ შეიძლება მათი ერთმანეთთან არევა.

ნააბანოები არის ის, ვინც აბანოში იყო, იბანავა.
ნააბანოევი არის ადგილი, სადაც ადრე აბანო იყო.
ნაეაზირები არის ნათათბირები, ნალაპარაკები.
ნაეაზირევი არის ყოველი ეაზირი.
ნასადილები არის ის, ვინც ისადილა.
ნასადილევს (ზმნ. ნასადილევს) არის დრო სადილის შემდეგ.



სავარჯიშო

გადაიწერეთ წინადადებები, გაასწორეთ შეცდომები

ახალი ნამკურნალევი ვარ და სასეირნოდ წამოსვლა არ შემიძლია.
გიორგი ახალი ნასამაროლევია.
ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოთ.
ნავენახებ ადგილას ხეხილს დავრგავთ.
ახალი ნასადილევი ვარ და ნამდვილად არ მშია.
ნასადილებს ბაღში გავისეირნოთ.

_____
_____
_____
_____
_____
_____

შერწყმული დანართის მართლწერა (სახლი-მუზეუმი თუ სახლ-მუზეუმი?)

დანართი ისეთი განსაზღვრებაა (მსაზღვრელია), რომელიც არსებითი სახელის სახითაა წარმოდგენილი. არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებით სახელს.

ურთიერთობის ორგვარი სახეობა გაირჩევა:

1. არსებითი სახელი (საზღვრული) და დანართი ისეთსავე დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან, როგორც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული და ცალ-ცალკეა წარმოდგენილი: ურემი შეშა, მასწავლებელი დავითი, ექიმი გომართელი, ქალაქი ქუთაისი.

2. მსაზღვრელ-საზღვრული ერთ სიტყვადაა გააზრებული, გაკომპოზიტებულია: ვაშლატამი, ვირთხა, მუხანესვი, სირაქლემა, ძელქვა.

3. შერწყული დანართი საზღერულთან დეფისით არის შეერთებული და ფუძის სახით არის წარმოდგენილი: ექიმ-კონსულტანტი; მუზეუმ-კარმიდამო; მუზეუმ-ნაკრძალი; სახლ-მუზეუმი; წევრ-კორესპონდენტი.



წესი 1

შერწყმული დანართი უნდა ვაბრუნოთ მთლიანად, როგორც ერთი სიტყვა



სწორია:



არ არის სწორი:

სახ.	მუზეუმ-კარმიდამო	მუზეუმი-კარმიდამო
მოთხ.	მუზეუმ-კარმიდამო-მ	მუზეუმი-კარმიდამო-მ
მიც.	მუზეუმ-კარმიდამო-ს	მუზეუმი-კარმიდამო-ს
ნათ.	მუზეუმ-კარმიდამო-ს(ი)	მუზეუმი-კარმიდამო-ს
მოქმ.	მუზეუმ-კარმიდამო-თი	მუზეუმი-კარმიდამო-თი
ვით.	მუზეუმ-კარმიდამო-დ	მუზეუმი-კარმიდამო-დ
წოდ.	მუზეუმ-კარმიდამო	მუზეუმი-კარმიდამო



საკლასიფიკაციო
გადაიწერეთ წინადადებები, გაასწორეთ შეცდომები

ბატონი ოთარი ჩემი ექიმი-კონსულტანტია.
ამ ქუჩაზე ილია ჭავჭავაძის სახლი-მუზეუმია.
პაპანემი მეცნიერებათა აკადემიის წევრი კორესპონდენტია.
ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე მუზეუმი-ნაკრძალია.



სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები

ქართულ ენაში არის ნაწილაკები –მეთქი (მე ვთქვი), -თქო და –ო.

წესი 1



-მეთქი ნაწილაკი უნდა გამოვყოთ პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი, – ვუპასუხე სიცილით (აკაკი).

წესი 2



იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მის მიერ წინათ ნათქვამის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად უნდა გამოვიყენოთ –ო ნაწილაკი.

ესვამდით და შევექცეოდიო, ვამბობდით: აეს კაცს ბევრი კაი შესაქცევი ჰქონიაო (რუსუდ.).

წესი 3



-ო ნაწილაკი უნდა ვიხმაროთ III და II პირის ნათქვამის გადმოსაცემად. რიცხვს მნიშვნელობა არა აქვს.

მოწამე გყავსო? – ჰკითხეს მოჯამაგირეს (ილია)

ახალი ცოცხი კარგად გვისო (ანდაზა).

წესი 4



-ო ნაწილაკი უნდა დავწეროთ წინადადების წევრთან ერთად, შერწყმულად, -მეთქი და –თქო ნაწილაკები უნდა გამოიყოს წინადადების წევრისგან დეფისით. – მეთქი, —თქო და –ო ნაწილაკებიანი სხვათა სიტყვა არ უნდა ჩავსვათ ბრჭყალებში.



სწორია:



არ არის სწორი:

მოვიდა-მეთქი	„მოვიდა-მეთქი“, მოვიდამეთქი, „მოვიდა“-მეთქი
მოვიდა-თქო	„მოვიდა-თქო“, მოვიდათქო, „მოვიდა“-თქო
მოვიდა	„მოვიდაო“, მოვიდა-ო, „მოვიდა“-ო

წესი 5



მარტივ წინადადებაში ნაწილაკიანი წევრი, ჩვეულებრივ, ბოლოში უნდა დავსვათ. სხვა ადგილას ნაწილაკიანი წევრი შეიძლება დაისვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ზმნაა

თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსაო (ილია).
ჩვენ გადავლახავთო შენს მაგივრად არაგვს (კ. გამს.).

წესი 6



ნაწილაკიან წევრთა რაოდენობა წინადადებაში (განსაკუთრებით ერთგვარწევრიანსა და რთულ წინადადებაში) შეზღუდული არ არის. ნაწილაკიან წევრთა რაოდენობა სტილისტიკური საჭიროების მიხედვით განისაზღვრება.

მოვახსენე: უწიგნურად წახვალ, თავად მომკლავს და, თუ არ მომკლავს, არ დამივიწყებს-მეთქი (რუსუდ.).

შდრ. შენაო, რადგანაც მებატონე ხარო და კეთილ'შობილიო, გლეხთან წინ არ უნდა წამოდგეო, გლეხთან პირში ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალვითა და შიშით უნდა ამოიღოო, არ უნდა უჩიელო გლეხსაო, თქვენთვის ეხლა სამართლის კარი დახ'შულიაო. რაც არიან ეხლა, გლეხები არიანო, ბატონყმობა გადავარდაო და თქვენ ვიღა ყრიხართო (ილია).



სავარჯიშო

გადაიწერეთ წინადადებები, გაასწორეთ შეცდომები

მშობლებს ხშირად ვეკითხებოდი, სოფელში როდის წავალთო. მინდოდა მეთქვა, დამელოდე მეთქი.
წადი, მასწაულებელს გადაეცი, კარგად ვერ გისწავლებია მათემატიკაო.
რამდენჯერ უნდა გავიმეორო, „წავიდეთ-მეთქი“?!.

_____

_____

_____

_____

ზმნისწინების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები

ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარებით ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგი ზმნისწინი შეცვლილი, გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი:

ძველ ქართულში:	ახალ ქართულში:
გან-(განაბნია)	გა- (გააბნია)
აღ- (აღჰიდა)	ა- (ავიდა)
გარდა- (გარდააქცია)	გადა- (გადააქცია)
აღმო- (აღმოჰიდა)	ამო- (ამოვიდა)
შთა- ('შთადება)	ჩა- (ჩადება)
წარ- (წარვიდა)	წა- (წაიდა)
წარმო- (წარმოჰიდა)	წამო- (წამოვიდა)

ზმნისწინთა ძველი სახეობა ახალ ქართულ სალიტერატურო ენაშიც გვხვდება.

ეს სახეობანი ხან პარალელურად იხმარებიან (განაცხადებს/გააცხადებს), ხან ზმნისწინის ძველსახეობიანი ფორმებია (განაგებს, განკურნავს, განსაზღვრავს) ერთადერთი, ხან კი მათ შორის მომხდარა მნიშვნელობის დიფერენციაცია (აღიზრდება ბავშვი და აიზრდება ბალახი).

ზმნისწინების ამ პარალელურმა ხმარებამ შედეგად ის მოგვცა, რომ ზოგჯერ გან ზმნისწინის ნ, წარ ზმნისწინის რ და აღ ზმნისწინის ღ ფუძისეულ თანხმოენადაა მიჩნეული: ე-ა-ნ-თავისუფლებ; ვარდგენ (საბუთებს), ვღზრდი, და სხვ...

. ფუძესთან შეზრდის ყველაზე მეტ უნარს გან ზმნისწინისეული ნ თანხმოვანი იჩენს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ის ფორმები, რომლებშიც ფუძეს შეხორცებულია ზმნისწინისეული თანხმოვანი, უმართებულოდაა მიჩნეული.

სწორია:
ასხვაევებს, ათავისუფლებს.

არ არის სწორი:
ანსხვაევებს, ანთავისუფლებს.

გამონაკლისი: ვალიარებ, ვაღორძინებ,

რადგან ამ ზმნებში ზმნისწინი უკვე დიდი ხანია შეზრდილია ფუძეს და ამ სახით არის დამკვიდრებული.

შენიშვნა: იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია ზმნისწინიანი ფორმის გამოყენება აწმყოს მნიშვნელობით: შუამდგომლობას აღძრავს, წარმოვადგენ სათანადო საბუთებს.



სავარჯიშო

გადაწერეთ წინადადებები და ზმნისწინთა მცდარი ფორმები შეცვალეთ ახალი, მართებული ფორმებით

ვინაც სიყრმიდან აქაურ პირობებ'ში აზრდილა. შეჩვეულია აქაურ საქმეს (ვაჟა).
აღმობრ'ყინდა მ'ხ,ე დიდებ'ულადა (ილია).
რამდენს ვაებას 'შერსია თაე'ზე გარდუვლია (ილია).
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიგ'ხნებს იმედს გულ'ში (ილია).
ვულარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლას (ილია).
ახალგაზრდა ქალის ფიგურა, მოქანდაკის განზრახვით, ქართველ ერს უნდა ანხორციელებდეს (ნ. ლორთ.).



ზმნის პირის ნიშნები

პირველი სუბიექტური პირის ნიშანია ვ. იგი იწერება როგორც ხმოვნების, ისე თანხმოვნების წინ (ვუყურებ, ვთბები).



წესი 1

თუ ზმნა ვ-თი იწყება, I პირში ორი ვ უნდა დაიწეროს, რომელთაგან ერთი პირის ნიშანია, მეორე – ფუძისეული.

ვვარცხნი, ვვარჯიშობ.



გამონაკლისი: ზმნა, რომელიც ვინით იწყება, I სუბიექტური პირის ნიშანს არ დაირთავს, ესაა მოვალ (მოვედი).

წესი 2

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი აუცილებლად უნდა დაიწეროს მაშინაც, როცა მას უ ან ო მოსდევს.

მუკეთებ, ვოხრავ.

ვ რომ არ დაეწეროთ ასეთ ზმნებში, მაშინ II პირის ფორმებისგან ველარ გაეარჩევთ: უკეთებ, ოხრავ.

პირველი ობიექტური პირის ნიშნად მხოლობითს რიცხვში გვაქვს მ-, მრავლობითში – გვ-



წესი 3

თუ ზმნის ფუძე მ ბგერით იწყება, პირველ პირში ორი მ უნდა დაეწეროთ.

მმართებს.



წესი 4

თუ ფუძის თავში გვ გვაქვს, მრავლობითს რიცხვში ორი გვ მოიყრის თავს.

გვგერემს, მოგვგვარა, აღგვგვის, დაგვგვიანებია.



წესი 5

ზმნებში, რომელთა ფუძე ვ-თი იწყება, მესამე სერიის ფორმებში გვ- პრეფიქსთან თავს იყრის ორი ვ (შეგვვედრებია, შეგვვაჭრებია.).

მეორე ობიექტური პირის ნიშანია ბ

წესი 6



თუ II ობიექტური პირის ნიშანი გ ბგერით დაწყებულ ფუძეს დაერთო, ორი გ უნდა დაეწეროთ (გგზავნი)
მესამე ობიექტური პირის ნიშნებია ჰ და ს.

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ყველაზე მეტ არევ-დარევას ამ თავსართების გამოყენებისას ვხვდებით.

წესი 7

ჰ და ს პრეფიქსები არ უნდა ვიხმაროთ მეორე სუბიექტური პირის აღსანიშნავად.



წესი 8

თუ ზმნის ფუძე ხმოვნით იწყება, ჰ- და ს- პრეფიქსები არ უნდა ვიხმაროთ.



წესი 9

III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად ჰ- უნდა ვიხმაროთ მხოლოდ მაშინ, თუ ზმნის ფუძე იწყება გ, ქ, კ, ბ, ფ, პ, ყ თანხმოვნებით.



პგონია, პქონია. შეჰკედლებია, შეჰბედა, ჰფენია, შეჰპირდა, შეჰყვარებია.

წესი 10

თუ ზმნის ფუძე იწყება დ, ტ, თ, ძ, წ, ც, ჯ, ჭ, ჩ თანხმოვნებით, III ირიბობიექტური პირის ნიშნად უნდა ვიხმაროთ ს.



სდევნის, სტკივა, შესთავაზა, შესძულდა, სწევია, შესცინა, შესჯავრდა, სჯირს, სრუქნის.

წესი 11



ზოგიერთი თანხმოვნის წინ III ირიბობიექტური პირის ნიშანი არ უნდა ვიხმაროთ. ეს თანხმოვნებია:

ვ, ზ, ლ, მ, ნ, ვ, რ, ს, ღ, შ, ხ, ჰ.

წესი 12



ჰ-და ს- პრეფიქსები არ უნდა ეიხმაროთ ერთპირიან და ორპირიან გარდამავალ ზმნებთან.

ცოცხლობ, დუმხარ, გეი.

წესი 13



როცა ზმნის ფორმაში მესამე ირიბობიექტურ პირთან ერთად S_1-ია წარმოდგენილი, სუბიექტის ვ- და ობიექტის ს(ჰ)- ერთად იყრის თავს. ამ შემთხვევაში უმჯობესია ს(ჰ)- აღარ ეიხმაროთ.

სწორია:



შეგებებიეარ, ეწევეიეარ, მოვწონეარ.

დასაშვებია:

შევჰგებებიეარ, ესწევეიეარ, მოესწონეარ.

წესი 14



ს- პრეფიქსი ზოგჯერ ისეთ ზმნებთან გეხვდება, სადაც წესით არ უნდა იყოს, მაგრამ იგი ფუძესაა შეხორცებული (გასწია, გამოსცა).

საეარჯიშო



მონახეთ და ს- პრეფიქსიანი ფორმები. სწორ ფორმებს ერთი ხაზი გაუსვით ქვეშ, არასწორს – ორი.

თიოქო ეილაც პწიეის, იძახის ზლუდის ძირსა (ილია).
1. სიმ უყურებთ იმ გრძელ ხმალს. კედელზე რომ კიდია? (აკაკი).
2. ძველ დროში სწორედ ამ ადგილას ჰქუაოდა კარება მიწარდილი სოფელი (იაკობი).

3. ვერაფერი იყო გაჩქარა, ვით სიზმარი გეიანი (გალკ.).
4. ირმები ჰყვირიან უარაიასა! (გ. ლეონ.).
5. ეროგეარიენობა და ეროფეროენება ძალე ბეზრდება (აკაკი).
6. შაგდანი მაინც იმედს არ ჰკარგავს (იაკობი).
7. აუკრიბა სადაეე ცხენსა და ქცრა ქუსლი (ილია).
8. მე შენს თვალებში ესჭვრეტ სამოთხესა (ნ. ბარათ.).
9. ჩემი ჯანი სჭირს და განგებ მიყო (აკაკი).
10. მეფე ჩვენთვის სდებს თაესაო (იაკობი).
11. რას სჩადიოდა იმ დროს ქეთოს დედ-მამა (იაკობი).
12. აქ ცოცხლებს სცეს ნუგეში (აკაკი).
13. შაე ღრუბლებმა გაჰყარეს ტყუპად იაგუნდები (გ. ლეონ.).
14. ათას წელს გაძლებს შენი მშეენება (გ. ლეონ.).
15. თუ არ შეგებრალები და მისთხოედები სხეასა, მიეატოეებ გაზაეხულზე თესეასა და ხენაბ (კ. გამს.).
16. ესტირი სიცოცხლით კუბოს დამარხულს (ტიც.).



-ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნების მართლწერა

წესი 1

-ავ თემის ნიშანი მიუდის ზმნებს, რომელთა საწყისი ფორმა ბოლოვდება -ეა მარცვალზე (ბარეა-ბარაავს), -ამ თემის ნიშანი კი -მა მარცვალზე დაბოლოებულ ზმნებს (დადგმა – დგ-ამ-ს). ზმნებს, რომლებსაც საწყისში -ეა და -მა არა აქვთ, აწმყოში მხოლოდ ს დაბოლოება ექნებათ.



სწორია: ბ'ხეკს, 'სხექს, ფ'შეკს, კბერს, ფშენტს, ბრეცს, კენტს, ფხეკს, გლესს, კრეფს, ღლეტს, გლეჯს, კრეჭს, ყელეფს, დღეებს, ფლეთს, შრეტს, ზელს, სრესს, კეეთს, ტეხს, ჩეხს, წერს, იხეჭს, ხეთქს, ხეეწს

აბამს, უთქვამს, სვამს, ასხამს, იცვამს

ბერტყავს, კეცავს, ქექავს, გარეკავს, ლესავს, წალეკავს, წეეოავს, რეკავს, წეწავს, თიბავს, ჰკენტავს, ჭედავს, კენკავს, ქეჟავს, კეტავს, რეცხავს, ხეხავს, ფეთქავს, ხოცავს.



წესი 2

ზმნებს, რომელთაც აწმყოში -ავ, -ამ, -ებ სუფიქსი არ დაერთვის, I თურმეობითში ექნებათ -ია დაბოლოება;

გრეხს-დაუგრეხია, ყრის-დაუყრია,
ცრის-გაუცრია, აშრობს-გაუშრია და სხვ..

როგორც -ავ თემისმნიშნიანი, ისე უთემისნიშნო ზმნების I თურმეობითში ი ფორმანტის წინ ზოგჯერ უმართებულოდ ხმარობენ ნ-ს:

გა'უყიდნია, დაუხატნია, დაუთესნია

გარდა იმისა, რომ ამ ფორმებში ია დაბოლოება უმართებულოდ არის ნახმარი (სწორი ფორმებია: დაუხატავს, დაუთესავს და სხვ.) გა'უმართლებელია -ნ ხმარებაც.



სავარჯიშო:

შეასწორეთ

ნელ-ნელა სახელსა და დიდებას ვიხვეჭავ.
გლეხი ძაღლს აბავს.
დიახალღისი ხალიჩას ბერტყავს.
დარაჯი ზარს რეკს.
მეპურე ცომს ზილავს.
ბავშვები ვაშლს კრიფავენ.
გოგონა ახალ კაბას იცვავს.
წიწილები ვუტვს კენკენ.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____



რიცხვში მონაცვლე ზმნების მართლწერა

ქართულ ენაში გვაქვს წყება ზმნებისა, რომლებიც მხოლობითს რიცხვში ერთ ფორმას იყენებენ, მრავლობითში-მეორეს. მათ რიცხვში მონაცვლე ზმნებს ვუწოდებთ.
ასეთი ზმნები ორგვარია:

1) სუბიექტური პირების რიცხვში მონაცვლე

ეზიარ - ვსხედვართ, გაეარდები - გავცვივდებით, (თავს) დაეცი - (თავს) დაეესხით, ვაგდივარ - ვურიავართ, ვარდება - ცვივა, ტყდება - იმტვრევა, იდო - ეწყო, ელაგა.

2) ობიექტური პირების რიცხვში მონაცვლე

ჩავაგდებ (მე მას) - ჩავყრი (მე მათ); დავსვი (მე ისინი) - დავსხი (მე ისინი), მოვკალი (მე ის) - დავხოცე (მე ისინი); მოიბა (მან ის) - მოისხა (მან ისინი). გატეხა (მან ის) - დაამტვრია (მან ისინი); აილო (მან ის) - აკრიფა (მან ისინი).



საეარჯიშო

შეასწორეთ

მეომარმა მოწინააღმდეგეები ადვილად მოკლა.
ბავშვმა ჩხირები გატეხა.
დიასახლისმა მაგიდაზე თეფშები დადო.
ხიდან ფოთლები ვარდება.
საღამოს კაუჭში ვიჭექით და ყავას შეეჭცეოდით.
მოხუცს თავს ბანდიტები დაცინენ.



ერთი სახის უცხოური წარმოშობის ზმნებისა და ნაზმნარი სახელების წარმოება ქართულში

საკითხი ეხება ლათინურ -იზ და გერმანულ (ფაქტობრივ კი ფრანგული წარმოშობის) -ირ დაბოლოებათა შემცველი ზმნებისა და ნაზმნარი სახელების გადმოცემას ქართულში.

რუსულში აღნიშნული ზმნების საწყისური ფორმები (ინფინიტივები) **-овать** დაბოლოებით იწარმოება. ზოგ ზმნაში ამ დაბოლოებას წინ **-ир** სუფიქსი უძღვის, ზოგში **-из -ир**. შდრ. **легализовать, лимитировать, гипнозировать.**

ქართულში ამ სახის ზმნები სხვადასხვაგვარად გადმოიცემა.



წესი 1

-ირ და **-იზ** ელემენტებიანი ფორმები, რომელთაც რუსულში შეესაბამება **-овать** დაბოლოებიანი ზმნები, შეიძლება გადმოიცეს როგორც ერთი სიტყვით (დათარიღება–**датировать**, წვრთნა–**дрессировать**, განიავება-**вентилировать**), ისე სიტყვათშეხამებით (კენჭის ყრა-**балатировать**, ტაშის კვრა-**аплодировать**).



წესი 2

თუ თარგმანი შეუძლებელია, გამოიყენება უცხოური ფუძე სათანადო ქართული წარმოებით – შესაბამისი ზმნისწინისა და თემის ნიშნის (როგორც წესი –ებ სუფიქსის) დართვით.



სწორია:



დასაშვებია

კონტროლი:	გაკონტროლება	კონტროლირება
	გაკონტროლებული	კონტროლირებული
	დაფინანსება	ფინანსირება
	დაბალანსება	ბალანსირება
	გაანალიზება	ანალიზირება
	განეიტრალება	ნეიტრალიზება

წესი 3



დანარჩენი ზმნები საჭიროებისამებრ გაფორმდება უცხოური ენებიდან გადმოსული –ირ ან –იზ დაბოლოებიანი ფორმების მიხედვით –ებ თემის ნიშნის დართვით, რომელსაც საწყისის საწარმოებლად ემატება –ა სუფიქსი, მიმღეობის საწარმოებლად კი –ულ;



სწორია:

ლეგალიზება, რეკომენდებული.



არ არის სწორი:

ლეგალიზირება, რეკომენდირებული.



მასესხებელ ენაში -იზ, -ირ დაბოლოების მქონე ფორმები ქართულში გამარტივებული, -ირ- მოკვეცილი სახით გადმოდის.



სწორია:

მექანიზება, დრამატიზება



არ არის სწორი:

მექანიზირება, დრამატიზირება.



ავადმყოფობს და შეურაცხყოფს ტიპის ზოგი ფორმის მართლწერისთვის

ავადმყოფობს ტიპის ზმნათა ჯგუფში გაერთიანებულია რთული სახელებისგან (კომპოზიტებისგან) ნაწარმოები ზმნები (სახელის ფუძე – ავადმყოფ - + - ობ სუფიქსი. შდრ. ფიქრი – ფიქრობს; დარდი - დარდობს).

შეურაცხყოფს ტიპის ზმნათა ჯგუფში კი – ე.წ. რთული ზმნები (სახელის ფუძე შეურაცხ- + ზმნა, უპირატესად ყოფს. შდრ. ცხადყოფს, უკუდაყოფს).

როგორც ვხედავთ, ეს არის არსებითად განსხვავებული აგებულების მქონე ზმნები, რომლებსაც ფორმათა ასევე არსებითად განსხვავებული წარმოება ახასიათებს, მაგრამ ფუძის აგებულების სირთულე ორსავე შემთხვევაში ფორმათა ანალოგიური წარმოების შესაძლებლობას ქმნის, რასაც ზოგჯერ ორთოგრაფიული შეცდომები მოსდევს. საკითხი ისმის იმ მერყეობის შესახებ, რომელიც ზოგ ზმხა'ში I სუბიექტური პირის ნი'შნის ადგილთან დაკავშირებით შეინიშნება. კერძოდ: ვაავადმყოფობ ფორმის გვერდით შეიძლება შეგვხვდეს ავადვმყოფობ; შეურაცხვყოფ ფორმის გვერდით – შევურაცხყოფ. რომელი ფორმებია სწორი და რომელი მცდარი?

წესი 1



ავადმყოფობს ტიპის ზმნებს I სუბიექტური პირის ნიშანი სიტყვის თავში დაერთვის, ხოლო შეურაცხყოფს ტიპის ზმნებს პირის ნიშნები სახელად ნაწილსა და ზმნას შორის მოუდის, შუაში ჩაერთვის.

ავადმყოფობს ტიპის ზმნები:

სწორია:



ვავადმყოფობ, ვდიდგულობ, ვდიდკაცობ, ვენამახვილობ, ვთავკაცობ, ვთვალთმაქცობ, ვსულდგმულობ, ვქედმაღლობ, ვხირკედელობ, ვხელსაქმობ, ვწინასწარმეტყველებ.

არ არის სწორი:



ავადმყოფობ, დიდვგულობ, დიდვკაცობ, ენავმახვილობ, თავვკაცობ, თვალთმაქცობ, სულვდგმულობ, ქედმაღლობ, შუავკაცობ, ჩირქკედელობ, ხელსაქმობ, წინასწარმეტყველებ.

შეურაცხყოფ ტიპის ზმნები:

სწორია:



შეურაცხყოფ, ცხადყოფ, უარყოფ, უკვდავყოფ, ღირსყოფ, ხელყოფ სრულყოფ, უკავაგდებ, შეურაცხმყოფს, ხელგეწიფების, თანაეუგრძნობ.

არ არის სწორი:



შეურაცხყოფ, ეცხადყოფ, ეუარყოფ, ეუკვდავყოფ, ეღირსყოფ, ეხელყოფ, ესრულყოფ, ეუკუაგდებ, შემურაცხყოფს, გეხელწიფების, ეუთანაგრძნობ.

სავარჯიშო

შეასწორეთ



ხშირად არ ავადვმყოფობ.

ნამდვილად არ დიდვგულობ.

კარგ ხასიათზე ვარ და ენავმახვილოფ.

ომში დაღუპულთა ოჯახებს ნამდვილად ვუთანაგრძნობთ.

შენი საქციელი ჩვენ ნამდვილად შეგვურაწყობს.

შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა



თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ზმნის შუალობითი კონტაქტის (კაუზატივის) ფორმები ნაწარმოებია -ინ და -ევინ სუფიქსებით, მაგრამ საკმაოდ ხშირია მართლწერის დარღვევები.

1.ხმოვანთა შორის დაკარგულია -ინ, -ევინ სუფიქსების ნ (აშენებიებს, აზრდევიებს);

2.დაკარგულია ფუძის ან -ევინ სუფიქსისეული ე თანხმოვანი (აცლეინებს, გაათეინებს);

3.იკარგება -ავ თემისნიშნისეული ე თანხმოვანი –ინ სუფიქსით ნაწარმოებ ფორმებში (აბედინებს, ალოცინებს).

-ინ და -ევინ მაწარმოებლები ზმნათა შუალობითი კონტაქტის ფორმებში სრულად უნდა დაიცვათ.



სწორია:

აშენებინებს, აცლეინებს, აბედინებს.



არ არის სწორი:

აშენებიებს, აცლეინებს, აბედიებს.

სავარჯიშო



ამოწერეთ ზმნები. სადაც მოსახერხებელია, გადააკეთეთ უშუალო კონტაქტის ფორმები შუალობითი კონტაქტის ფორმებად და პირუკუ

ქოხში შემოსულმა ღონიერად დაავბრახუნე ფეხები. შუშინდნენ. გაიქცნენ.

კუნჭულებში მიიბუნრნენ სხვენში მოჯირითე თაკვები. შეშა დაჭრილი მქონდა. - დავჯერი ორი თვის წინათ, როცა უკანასკნელად ვიყავი აქ. შეუკეთებელ ღუმელს, მიცალხი ნაცარი და მოკვდა ცეცხლი. დაიწყო ღუმელმა გუგუნი, მე კი ჩანთიდან ამოვალაგე სანოვაგე და წიგნები, მოვიტანე წყალი, დავადგი ჩაიდანი ღუმელზე. დავიდგი პატარა სკამი, ჯერ ღუმელს მიეყრდნობი ცოტა. მერე ავიღე წიგნი. დროგამოშვებით კითხვას თავს ვანებებდი და ვიყურებოდი ფანჯარაში, ფანჯრის იქით კვლავ ნისლით იყო ჩამომძიმებული პაერი, კვლავ ჩამდიოდა ეული ფიფქები, მაგრამ ახლა უფრო ხშირად. ვენკენ სურვმოქცეული ორი მაღალი სახლი ცივად იდგა ერთმანეთის გვერდით, არც ერთიდან არ ამოდიოდა კვამლი (რ. ინან.).



აეშენებინა თუ აეშენებია?
აეშინებინოს თუ აეშენებიოს?

-ებ სუფიქსიანი ზმნები III სერიის ფორმებს ორგვარად აწარმოებენ: ზოგი ზმნა II თურმეობითსა და III კავშირებითში აწმყო ფუძეს იყენებს (-ებ თემის ნიშანი გადაჰყვება), ზოგი კი – II სერიის ფუძეს (უთემისნიშნოს): აშენებს, უშენებია.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია ნ- არიანი ფორმები და ესენია მოჩნეული ერთადერთ



სწორია:
აე'შენებინა, აე'შენებინოს. გაეკეთებინა, გაეკეთებინოს. დაეშავებინა, დაეშავებინოს.



არ არის სწორი:
აეშენებია, აეშენებიოს, გაეკეთებია, გაეკეთებიოს, დაეშავებია, დაეშავებიოს.

ასევე იქნება შუალობითი კონტაქტის ფორმებიც:



სწორია:
დაეხატვინებინა, დაეხატვინებინოს.



არ არის სწორი:
დაეხატვინებია, დაეხატვინებიოს.

ზმნიზედების მართლწერა

ზმნიზედათა მართლწერისთვის უნდა გვახსოვდეს შემდეგი:

ეგრეთ, წინათ, ზემოთ, ქვემოთ, უნებლიეთ ზმნიზედების ბოლოს იწერება თ და არა დ, რადგან ეს ზმნიზედები მოქმედებითს ბრუნვაშია დასმული და ბრუნვის ნიშანია თ. გვაქვს დონით დაბოლოებული ზმნიზედებიც, რომლებიც ვითარებითი ბრუნვის ფორმანტითაა წარმოდგენილი, ასეთებია:

<u>ანაზდად, ალმაცერად, ბევრად, ბლომად, გაისად, მთლად, მთლიანად, უბრად, უზმად, უცბად, ყოველად, ფრიად, ძველად, ცერად, ხელად და სხვ.</u>

ზმნიზედა ალბათ შემოკლებული სახეა არარსებული სიტყვისა ალბათათა (ნი'შნავს: რასაკვირველია, უსათ'ოდ), რომელშიც თ ფუძისეულია და ასევე უნდა დაიწეროს.

თ იწერება უკეთ ზმნიზედის ბოლოსაც, რადგან უკეთ შემოკლებული სახეა უკეთესად სიტყვისა, მისი ძირია კეთ (შდრ.

კარგი – უ-კეთ-ეს-ი: კარგად – უ-კეთ-ეს-ად). უკეთ ზმნიზედა ისეა ნაწარმოები, როგორც უმალ (მალი – უმალესი – უმალესად).

ზმნიზედა უნებლიეთ შემოკლებული ფორმაა სიტყვისა უნებლიეთით, რომელშიც თ ფუძისეულია და ასევე უნდა დაიწეროს.

საზოგადოდ, სახელების, ზმნების, ზმნიზედების ბოლოს ერთმანეთში რომ არ აგვერიოს დ და თ, უნდა გვახსოვდეს შემდეგი წესები:

წესი 1



ზმნაში I და II სუბიექტური პირის მრავლობითს რიცხვში ყოველთვის თ უნდა დაიწეროს:



სწორია:
გავაკეთოთ
გააკეთოთ
შევასრულოთ
შეასრულეთ



არ არის სწორი:
გავაკეთოდ
გააკეთოდ
შევასრულოდ
შეასრულედ

წესი 2



მოქმედებითს ბრუნვაში დასმული ზმნიზედა თანით უნდა დაიწეროს



სწორია:
ეგრეთ
წინათ
ზემოთ
ქვემოთ



არ არის სწორი:
ეგრედ
წინად
ზემოდ
ქვემოდ

იქით,	იქიდ
მარცხნით (მარცხნივ)	მარცხნიდ
მარჯვნით (მარჯვნივ)	მარჯვნიდ
მსრით (მსრივ)	მსრიდ

წესი 3



ვითარებითს ბრუნვაში დასმულ არსებით სახელებს, რომლებიც მიუგებენ კითხვაზე რად? – დ უნდა



სწორია:
ქვად
წყლად
კაცად



არ არის სწორი:
ქვათ
წყლათ
კაცათ

წესი 4



ვითარებითს ბრუნვაში დასმულ ზმნიზედებს, რომლებიც მიუგებენ კითხვაზე როგორ? – დ უნდა



სწორია:
კარგად
ცუდად
უცბად
სასწრაფოდ



არ არის სწორი:
კარგათ
ცუდათ
უცბათ
სასწრაყოთ

სავარჯიშო

შეასწორეთ

1. უქმათ ჯდომა არ მიყვარს.
2. ინგლისურ ტესტებს ადვილათ ეკითხულობ.
3. ეს ამოცანა ეროათ უნდა ამოვხსნად.
4. წინად უკედ ვცხოვრობდით.
5. ალბად, საქმე კარგად წავიდა.
6. სასწრაფოთ შევასრულოდ დავალება.
7. ამ საკითხს სერიოზულათ უნდა მივუდგეს.

სავარჯიშო

მოცემული წყვილებიდან ამოწერეთ მხოლოდ მართებული ფორმები:

უკედ – უკეთ
უკეთესად – უკეთესათ
უნებლიედ – უნებლიეთ
გადაეაადგილოდ – გადაეადგილოთ
ეგრედ წოდებული – ეგრეთ წოდებული
ზემოდ – ზემოთ
ქვევოდ – ქვევით
ადამიანად – ადამიანათ
უეცრად – უეცრათ

სინტაქსის საკითხები



შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან რიცხვში



წესი 1

ებ-იან მრავლობითში დასმულ სულიერი საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარეს შემასმენელი მრავლობითს რიცხვში შეეწყობა.

სულ სხვა თვალით მიყურებდნენ ამხანაგებიც და უფროსებიც (აკაკი).



წესი 2

ებ-იან მრავლობითში დასმულ უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარეს შემასმენელი მხოლობითს რიცხვში შეეწყობა.

ასწლოვანი ხეები გახმა
აქა-იქ მოჩანდა გახუნებული ლუჩაქები მეზობლიანთ ქალებისა (გ. ლეონ.).



წესი 3

პერსონიფიკაციის შემთხვევაში დასაშვებია, უსულო საგნის აღმნიშვნელ ქვემდებარეს შემასმენელი მრავლობითს რიცხვში შეეწყოს.

ვერცხლის ფოთლებმა ორთოლა დაიწყეს (ვაჟა).



წესი 4

მოქმედებითი გვარის ზმნით გადმოცემული შემასმენელი ქვემდებარეს შეიძლება შეეთანხმოს რიცხვში.

გაზეთები გვაუწყებენ...



წესი 5

ნარიან მრავლობითში დასმული ქვემდებარე შემასმენელს მუდამ ითანხმებს რიცხვში.

ღრუბელნი ზღვაზე ჩამოსულიყვნენ (თ. ჭილ.).
ყველანი ფეხზე იდგნენ ქუდმოხრილნი (ვაჟა).



წესი 6

კრებით სახელებს შემასმენელი მხოლოობითს რიცხვში შეეწყობა განურჩევლად იმისა, სულიერ საგანს აღნიშნავს ქვემდებარე თუ – უსულოს.

ხელმძღვანელობა ისევ იბღვირებოდა (გ. დოჩ.).
პირეელი თაეყრილობა ჩვენ გარეშე ჩატარდა (თ. ჭილ.).



წესი 7

თუ ქვემდებარეს განსაზღერებად ახლავს რიცხვითი სახელი, ან ისეთი სახელი, რომელიც შინაარსობრივად ერთზე მეტს გულისხმობს, შემასმენელი მხოლოობითს რიცხვში შეეწყობა.

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო (ანდ.).
იმ დღიდან აეარებელი ცხვარი და ძროხა იღუპებოდა (ვაჟა).



წესი 8

როცა შერწყმულ წინადადებაში რამდენიმე ქვემდებარე გვაქვს, ისინი შემასმენელს ისე შეიწყობენ, როგორც მრავლობითში დასმული ქვემდებარე (პირველი 3 წესის დაცვით).

ქალაქის განაპირას აშენდა ქარხანა და სკოლა.
ეროხელ სოლომონ პირეელსა და ულიხბარ ერისთაეს შეული მოეყიდათ ერთმანეთში (აკაკი).
ცდა და მაგალითი გეარწმუნებს ახლად დანერგილი მეთოდის უპირატესობაში.

შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი მრავლობითში დასმულ ქვემდებარეს ჩვეულებრივი წესით ეთანხმება რიცხვში. ყურადღება გამახვილებულია შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილზე.

წესი 9



თუ შედგენილი შემასმენელის სახელად ნაწილად გამოყენებულია არსებითი სახელი, იგი მრავლობითში დასმულ ზმნურ ნაწილს მრავლობითის ფორმით უნდა შეეწყოს.

მსახურები შინაყმები გახდნენ.
17-18 წლის ქალები უკვე დედები იყვნენ (აკაკი).

წესი 10



თუ შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მიმღეობაა გამოყენებული, იგი მხოლობითის ფორმით უნდა შეეწყოს ზმნურ ნაწილს.

ტყის ბინადრები დაშინებული იყვნენ ბუნებისგან (ვაჟა).
ყველანი აღშფოთებული ვართ თქვენი საქციელით!

წესი 11



ზოგი მიმღეობა (უმთავრესად მოქმედებითი გვარისა) არსებით ან ზედსართავ სახელად არის ქცეული. ასეთ შემთხვევაში იგი შედგენილი შემასმენელის მრავლობითში დასმულ ზმნურ ნაწილს მრავლობითის ფორმით შეეწყობა.

ყიზილბაშები ქართველთა ამწიოკებლები იყვნენ.
ესენი მგრის შემშუსვრელები არიან (ა.ყაზ).
მეფენი ყველაზედ უხვად შემწირველნი იყვნენ (ილია).
ბზები და ცაცხვები ძველთაგანვე საყდრის მსმენელები არიან.

შენიშვნა: შედგენილ შემასმენელში „არიან" მაშვებული ზმნის შემოკლება და მისი



სწორია:
ისინი მაყურებლები არიან
ჩემი ძმები სამხედროები არიან



არ არის სწორი:
ისინი მაყურებლებია
ჩემი ძმები სამხედროებია

შენიშვნა: თავაზიანობისთვის ზოგჯერ მეორე პირის რაცვალსახელი „თქვენ“ ერთი პირისადმია მიმართული. ამ შემთხვევაში შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოიცემა, სახელადი ნაწილი კი (ყველა შემთხვევაში, რა მეტყველების ნაწილიც უნდა იყოს გამოყენებული) მხოლობითს რიცხვში დგას.

თქვენ ზედმეტად მკაცრი ხართ!
თქვენ უთუოდ დიდი მწერალი გამოხვალთ!
თქვენ ჩემი ძმის მეგობარი ყოფილხართ!



სავარჯიშო

წაიკითხეთ მაგალითები და გამოარკვიეთ, რომელ რიცხვში უნდა შეეწყოს ქვემდებარეს შემასმენელი. შემასმენელს ერთი ხაზი გაუსვით ქვეშ, ქვემდებარეს – ორი.

ისინი ქუჩაშიც ასეთივე თანმიმდევრობით მიდიოდ... ახალგაზრდობა არ დაიბნ... უზარმაზარმა შემადგენლობამ მძიმედ ჩაიარ.. მგზავრებს დიდი ხანია ეძინ– იმავე სალამოს ანკეტა ყველამ გადაათვალიერ– ქუჩაში მიეგებიჯებოდ... ორნი: ხელმძღვანელი და მე (გ. დორ).

შემასმენლის შეთანხმება დამატებებთან რიცხვში

პირდაპირი დამატების რიცხვი I პირის ფორმასთან ყოველთვის გარჩეულია:

მხატავს	იგი	მე
გვხატავს	იგი	ჩვენ

II პირის ფორმასთან გარჩეულია მაშინ, როცა ქვემდებარე მხოლობითშია:

გხატავ	მე	შენ
გხატავთ	მე	თქვენ
გხატავს	იგი	შენ
გხატავთ	იგი	თქვენ

როცა შემასმენელი ქვემდებარესთან მრავლობითშია შეთანხმებული, პირდაპირი დამატების მრავლობითობა ზმნის ფორმაში აღუნიშვნელი რჩება:

გხატავთ	ჩვენ	შენ	(თქვენ)
გხატავენ	ისინი	შენ	(თქვენ)

III პირდაპირობიექტურ პირს საკუთარი ნიშანი არა აქვს არც ერთ რიცხვში (ე.ი. ზმნას ერთი და იგივე რიცხვი აქვს მაშინაც, როცა ობიექტი მხოლობითს რიცხვშია და მაშინაც, როცა იგი მრავლობითშია):

დაწვა მან ის (სახლი)	ელოდება ის მას
დაწვა მან ისინი (სახლები)	ელოდება ის მათ

შენიშვნა: როცა პირდაპირი დამატება მხოლობითშია, მაშინ ერთ-ერთი (გა-, ამო-, შე-, გამო-...) ზმნისწინია ნახმარი, მაგრამ როცა პირდაპირი დამატება მრავლობითში გადადგება, მაშინ შეიძლება ზმნაში ჩვეულებრივ ზმნისწინს „და“ შეენაცვლოს.

დიასახლისმა სახელდახელოდ გამოაცხო მჭადი.
დიასახლისმა სახელდახელოდ დააცხო მჭადები.

წესი 1



შემასმენელი ზოგჯერ შეიძლება შეეთანხმოს მრავლობითში დასმულ ირიბ დამატებას რიცხვში. ეს ეხება გარდაუვალ ზმნას. თუ ქვემდებარე ისეთია, რომ ზმნისგან აუცილებლად არ მოითხოვს მრავლობითი რიცხვის ფორმას, მაშინ ირიბი დამატება შემასმენელს შეიძლება შეეთანხმოს მრავლობითში:

პატარძლებს აკვნები გვერდით ედგათ (ვაჟა).
დამშეულ ძაღლებს სუნი ეცათ (აკაკი).

წესი 2



თუ ქვემდებარე ისეთი სახელია, რომელიც შემასმენელს მრავლობითში მოითხოვს, ირიბი დამატების მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნება.

დედებს ბავშვები გვერდით ედგნენ.
დამშეულ ძაღლებს მგლები ეცნენ.

წესი 3



ხშირად ქვემდებარე არ უშლის ხელს, მაგრამ მრავლობითობა მაინც არის აღნიშნული ზმნაში.

მაგდანა თავის მოწმეებს გულუხვად დაუხვდა (ე. გაბ.).
შენი ამბავი, ეხლა მართალი, ხღაპრად მიუყა ჩვენს შვილიშვილებს (ილია)

წესი 4



ირიბი დამატების მრავლობითობა არ აღინიშნება გარდამავალი ზმნის ფორმაში:

იგი ეუდრებით შემოხვეუდა ხეებს სისხლიან ხელებს (გ. დოჩ).



სავარჯიშო

გადაიწერეთ მაგალითები, დამატება-ობიექტებს თავზე დააწერეთ: რომელი მათგანია პირდაპირი, რომელი – ირიბი, რომელი – უბრალო დამატება. აღნიშნეთ, რომელ რიცხვში არიან შეთანხმებული შემასმენელთან.

საიმედო მომაჟალს მოთმინებით ველოდი.
ბუერი კაცის თავი ჩამუარდნია ხელში.
ამ სიტყვებმა ბეერს გამოაცველეინა აზრი.
ბოლოს კი ისწავლეს თაგვებმა ჭკუა.
რედაქტორს დანა კბილს არ უხსნიდა.
საყდარი მლოცველებით საესე იყო.
ჩაუარა სოფლებს და ჩაუყლაპაეი არაეინ დატოვა.
სატრფიალო საგანი იმათ მეტი ჰქონდათ კაცებზე.
დღეს სიყვარული ფულითა და საჩუქრებით იზომება.
აუტყდნენ ცხერები, რა უბედურებაა, ეს ძაღლი რომ არ გვასეენებსო.
ეს ჩემი წამლები მზეთუნახავსაც მოარჩენდა (აკაკი).
მათ თურმე ნიჩბით მოუხვეტიათ ტყვია (გ. ლეონ.).
ლაყაჩი ცდილობდა გონებით მაინც მისწედნოდა მეგობარს (გ. ლეონ.).



პუნქტუაციის საკითხები

პუნქტუაციის ნიშნები:

.	წერტილი	-	დეფისი,
,	მძიმე		გადატანის ნიშანი
:	ორწერტილი	( )	ფრჩხილები
;	წერტილ-მძიმე	„ ... “	ბრჭყალები
!	ძახილის ნიშანი	?	კითხვის ნიშანი
?!	კითხვით-ძახილის ნიშანი	–	ტირე
...	მრავალწერტილი		

სასვენ ნიშანათა გამოყენების ძირითადი დანიშნულებაა, დაგვეხმაროს სათქმელის ზუსტად და ნათლად გამოხატვაში. პუნქტუაციის ნიშნებზე მარტო წინადადების ქვეტექსტის, ემოციური ელფერის სიზუსტე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ხშირად მთელი შინაარსიც.

აღნიშნულის ნათელსაყოფად ასეთ მაგალითზედაც მიუთითებენ ხოლმე:

„ისწავლე მამაშენივით გაუნათლებელი არ დარჩე“. ამ წინადადებაში პუნქტუაციის ისეთი „უწყინარი“ ნიშნის დასმა, როგორიცაა მძიმე, წინადადებაში გამოხატულ აზრს ძირფესვიანად შეცვლის. თუ ამ სასვენ ნიშანს სიტყვა „ისწავლეს“ შემდეგ დავსვამთ, გამოვა, რომ წინადადების ადრესატს გავაფრთხილებთ, თუ არ ისწავლი, მამაშენივით გაუნათლებელი დარჩები, ე.ი. მამამისს გაუნათლებელ ადამიანს ეუწოდებთ; თუ მძიმეს სიტყვა „მამაშენივით“ შემდეგ დავწერთ, შემდეგი გამოვა: მამაშენივით კარგად თუ არ ისწავლე, გაუნათლებელი ღარჩებიო.

წერტილი .



წესი 1

წერტილი დაისმის თხრობითი წინადადების ბოლოს.

გათავდა ქორწილი. მხიარულების პირველმა დღეებმაც გაიარეს. პატარძალი სწორებმა წაიყვანეს წყლის მოსატანად (ა. ყაზ.).

წესი 2



წერტილი დაისმის *მაგრამ, ხოლო* და სხვა კავშირების წინ, თუ ისინი დამოუკიდებელ წინადადებას იწყებენ.

ახლაც არ ვიცი, რით იყო გამოწვეული მაისში ხშირი დღესასწაული და ნადირობა. მაგრამ ბუნებაც ხელს უწყობდა.

დაიწყეს მიწის მიყრა. და უცებ გამოშუქდა (რ. ინან.).

ეს სამი სიტყვა სიჩუმეში პანაშვიდივით ჩამოწვა. ხოლო ხორეშანმა ოთხმოცი წლის ცივი თვალები მაიორზე გადაიტანა (მ. ჯავ.).

წესი 3



წერტილი დაისმის სიტყვის შემოკლებისას. შემოკლებული სიტყვა მთლიანად იკითხება.

ა.შ. (ასე შემდეგ), ა.წ. (ამა წლის), ე.ი. (ესე იგი), ე.წ. (ეგრეთ წოდებული), მაგ. (მაგალითად)....

სავარჯიშო



დასვით სასვენი ნიშნები

ძელსა ჰკრეს სამთავროს ეკლესიაში მოწაფენი გაიკრიფნენ მშენებლობიდან და-

დიოდა ჩაძრის გარშემო უოველოვალუბდა თაეის საქეარულ ქმნილებას ბინდისას (კ. გამს.).

გარეთ წეიმდა მამა და ბიჭი უზოში შემოსულიეენურ ბიჭი ისეე ქურთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა (რ. ინახ)

გაჭიანურებულმა მწუხრმა ფრიად მოქანცა კათალიკოსი მას გულის მარკი სჭირდა ფეხები უსიედებოდა წირვა დამთავრდა თუ არა თვალთ დაუბნელდა და მცხეთული კათისკოპოსი რომ არ მიშეელებოდა უნდა წაქცეულიეო (კ. გამს.)

ყეენის ტახტზე აბრძანების დღეობას იხდიდნენ ალუანის მინდორი მოჭედილი იყო ხალხით ერთი მხარე ბამბის კარვებით იყო მოფენილი ოქროს კარავში კახეთის მმართველი ალი-ყული-ხანი იჯდა და გარს დიდებულები ჰყავდა შემოხვეული (აკაკი).



მძიმე [,]

I მძიმე შერწყმულ წინადადებაში



წესი 1

მძიმე დაისმის შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრების გამოსაყოფად, როცა მათ არ აკავშირებთ და ი, ან კავშირები

ირეოლდნენ პუპლები, კრაზანები (რ. ინან).
ბაკონები კი გაჩუმებულან. დარცხვენილან და დადუმებულან (მ.ჯაე).



წესი 2

მძიმე დაისმის მაჯგუფებელი კავშირის მნიშვნელობით გამოყენებული ნაწილაკის წინ, თუ იგი განმეორებულია.

ჩემს ყოფას მალე შეეჩვიე მე, კიდეც ვლხინობდი, კიდეც ვმღეროდი (ილია).
ოთარაანთ ქვრივი არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვას (ილია).



წესი 3

მძიმე დაისმის მაცალკევებელი კავშირების წინ, თუ მაკავშირებელი სიტყვა მეორდება

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.
ან ხალხი სად არის, ან მანქანები (რ. ინან).



წესი 4

მძიმე დაისმის მაპირისპირებელი კავშირების წინ.

რაც გინდა მთხოვე, ოღონდ ნუ გამწირავ (მ. ჯაე.).
ღარიბი იყო, მაგრამ მხიარული (გ. ლეონ.).
ეს უწვერული კონსტანტინე არსაკიძეა, ხოლო ჩაქუჩიანი მოხუცი – მისი ოსტატი, ფარსმან სპარსი (კ. გამს.).
ძიძია ხმას არ იღებდა, თუმცა სიცივე ძვალსა და რბილში გასჯდომოდა (ა.ყაზ.).



წესი 5

მძიმე დაისმის წინადადებაში ზედიზედ განმეორებულ სიტყვებს შორის.

დღეო, გადიდდი, გადიდდი, შვილი ეყრება დედასა! (გ. ლეონ.)
შემოვიდა გოგო, პატარა გოგო (რ. ინან.).



წესი 6

მძიმე დაისმის შედარების დროს, როცა შესადარებელ სიტყვას წინ უძღვის როგორც, თითქოს, ვიდრე.

ისე იჯდა ჩოხაში, როგორც თაგვი ქურქში (მ.ჯავ.).
იდგა თავჩაღუნული, თითქოს რაღაც ხმებს უსმენდა (რ. ინან.).
ელეფთერი ღვინის კაცი უფრო იყო, ვიდრე სულისა (გ. ლეონ.).



სავარჯიშო

დასვით მძიმეები

შიოლა არც ყოფილა ამ ქვეყანაზე არც არავის უნახავს (გ. ლეონ.).
გაიმართა ლხინი როგორც არაგვის ისე ქსნის ერისთავების საკადრისი (აკაკი).
ხურც მკედარს გამწირაე ნურც ცოცხალს ხე კალთა დამაფარო (აკაკი).
იმას არა თუ მიხედვისა ეშინოდა არამედ განძრევისც (ა. ყაზ.).
იმ დალოცვილს ვერავინ ასწრებდა ვერც ხუნას ვერც თესვას და ვეღარც მკას (ილია).
ღედუნა ხან იკოხებოდა ხან თვალებს აბრწყინებდა (რ. ინან.).
ჩირიკი კი არ კვდებოდა არამედ მრავლდებოდა (გ. ლეონ.).
ღავით თავი დაბახებე თორემ განანებ (მ.ჯავ.).
ყვავილი კი არა მზის ნაკადულის კრიალია (გ.ლეონ.).
ერთხანს უხერხულად იდგნენ თითქოს სულს ძლიეს ითქვამდნენ (რ.ინან.).

II მძიმე რთულ თანწყობილ წინადადებაში

წესი 1



რთულ თანწყობილ წინადადებაში მძიმით გამოიყოფა დაპირისპირებული წინადადებები, თუ ისინი ერთმანეთთან შეერთებული არ არის და კავშირით.

არსენამ ბერის პასუხზე ფეხი მოინაცელა, თვალებსა და კბილებზე კრიალმა გადაჭრა (მ.ჯაე.).

წესი 2



თუ რთულ თანწყობილ წინადადებაში გამოყენებულია მაპირისპირებელი კავშირები მაგრამ, ხოლო, კი, დაპირისპირებული წინადადებები ერთმანეთისგან მძიმით გამოიყოფა.

შენიშვნა: მაგრამ, ხოლო კავშირების წინ მძიმე იწერება, რადგან ისინი წინადადებას იწყებენ, კი კავშირი არასოდეს იწყებს წინადადებას, ამიტომ მძიმე იწერება არა კი-ს წინ, არამედ წინადადებების საზღვარზე.

მყავს გაელენიანი დეიდაშვილი, მაგრამ მე მას არ ვაწუხებ (რ. ინან.).
დაჭრილი იყო ორისე, ხოლო გული ზეზე იდგა (ა. ყაზ.).
ფიქრია კნეინა ხორეშანის ფარეშია, მარინე კი – ტასოსი (მ. ჯაე.).

წესი 3



თუ რთულ თანწყობილ წინადადებაში გამოყენებულია მაცალკევებელი კავშირები, მათ წინ (გარდა პირველად ხმარებულისა) მძიმე იწერება (თუ და კავშირი არ არის ნახმარი).

მე ხან წინ მიმუძღვებოდი ჩემს მეულლეს, ხან კი უკან ჩამოვრჩებოდი (რ. ინან.).
ან ბრაზიანმა ძალლმა არ დაგლიჯოს, ან გულმა არ დაკბინოს (აკაკი).



საეარჯი'შო

დასვით მძიმეები

ნარჟიზების დიდი ფორი ტყესავით ამართული კომბლეებით გაიჭედა ხოლო მარტის თბილი ჰაერი მარაბდელთა რისხვამ შეაზანზარა (მ. ჯაე.).

ყველამ ისევ თავიანთი ალმების გარშემო მრიყარეს თავი ფორზე კი ჩაფრები მოურავები და გზირები დარჩნენ (მ. ჯაე.).

მას ხმელი თავი აქეს ქეემო ყბა მოკლე კანჭები თხელი ხოლო ბეჭის ძვლები სქელი და ძალოვანი (მ. ჯაე.).

ის თანდათან ოოშდებოდა მაგრამ ხმას არ იღებდა (ა. ყაზ.).

ხითხითი ხან ახლოვდებოდა ხან ტყის სიღრმეში იშორებოდა (რ. ინან.).

პომადა აეილე მაგრამ ისევ მივაგდე (რ. ინან.).

III მძიმე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში



წესი 1

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადების დაკავშირება ხდება მაქვემდებარებელი კავშირებით, მიმართებითი ნაცვალსახელებითა და ზმნიზედებით. მათ წინ მძიმე იწერება. გვხვდება წყვილ-წყვილი მაკავშირებელი სიტყვები (სანამ...მანამ, როგორც... ისეთი, როგორც... ისე, ისეთი... რომ, რამდენადაც... იმდენად). მძიმე დაისმის ასეთი წყვილის მეორე ცალის წინ.

მარიამმა სახატეს მიმართა, რომ სანთლები აენთო (ა.კაკი).

ამასობაში გიორგ მოიტანა, რაც დაევალებული ჰქონდა (ლ.ქიან.).

კუჭატნელმა მანამდე ეერ მოისვენა. სანამ მეორეჯერ არ დაეტაკა (მ. ჯაე.)

წესი 2



თუ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება თავში ან ბოლოშია, მთავრისგან მძიმით გამოიყოფა, თუ შუაშია, ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა.

მამამ რომ მაჩუქა, ის წიგნი დაეკარგე.
დაეკარგე წიგნი, რომელიც მამამ მაჩუქა.
წიგნი, რომელიც მამამ მაჩუქა, დაეკარგე.

წესი 3



თუ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოტოვებულია სიტყვა, წინადადებებს შორის მძიმე დაისმის.

.იდეე კარგი, ომა მაინც შეღებილი მჭონდა (რ.ინან.).
ონისეს გულით უნდოდა შეეტყო, რა გასცეს მთიელებმა (ა.ყაზ.).

წესი 4



რომ კავშირის წინ მძიმე არ დაისმის, თუ ის არ იწყებს დამოკიდებულ წინადადებას, მძიმე იწერება მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს შორის.

შენ რომ პატარძლად შეგიყვანეს, მე სულ 19 წლისა ვიყავი (გ. ლეონ.).



საავარჯიშო

დასვით მძიმეები

1. ონისე და გუგუა ისხდნენ გაუნძრეველად თუმცა გული და სული გამხიარულებულ ყმაწვილებთან ჰქონდათ (ა.ყაზბ.).
2. რამდენადაც რცხვენოდა გაუბედაობა იმდენად მტრების სატანჯველში მიცემა არ ეთანხმებოდა იმის შეხედულებას (ა.ყაზ.).
3. სანამ დიდები დიდებზე ზრუნავდნენ არსენას უმცროსმა ძმამ ოერამეტი წლის ერეკლემ

სამი კოდელი მოჭიდავე დაითრია და მიწაზე შოთებიეით გააკრა (მ.ჯავ.).
4. სანდახან როცა გადაღუბები არ ჰქონდათ იდგა მთის თხემზე (რ. ინან.).
5. ეერა ხედავ როგორ იკბინება მზის თვალი (გ ლეონ.).
6. მსახიობმა რომ ეეავიღლები მიართვა წიგნში უწერია (რ.ინან.).
7. ფანჯარას თავალი რომ ავარიდე ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხედა (კ.გამს.).
8. ქალმა მიიხედა უკან და თათარი რომ დაინახა ერთი საოცრად დაიკივლა (აკაკი).
9. შორენას იამა მეფესაც რომ მოსწონებია მისი საყვარელი ნუკრი (კ. გამს).
10. ნაღველობდა ოსტატი ფრიად დაუსრულებელი რომ რჩებოდა სეეტიცხოველი (კ.გამს.).
11. მეფის რუს მოხელეებს ცხენი რომ გაექცათ უნაგირს მისწედნენ (მ.ჯავ.).
12. ფხოველნიც დარწმუნდნენ ძვალისა და ფოლადის მკვეთელი ხმლები რომ ჰქონდათ სამეფოს სპათა (კ.გამს.).

IV მძიმე განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან ა.განკერძოებულ განსაზღვრებასთან



თუ განკერძოებული განსაზღვრება შუაშია, თავისი მომყოლი სიტყვებითურთ მძიმეებით გამოიყოფა, ხოლო თუ ბოლოშია, მის წინ მძიმე დაისმის.

ონისე, რაღაც უცნაურ მდგომარეობაში მყოფი, სრულიად დაფანტული ასრულებდა. რასაც ეუბნებოდნენ (ა.ყაზ.).
რას ინატრებს სხვას იმის მეტს კაცი. მისებრი დანაბადი (აკაკი).



საკარჯიშო

დასვით მძიმეები

1. დედაკაცი ამისთანებს ჩვეული მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე (ილია).
2. ბნელა ისე რომ აღარ ჩანს თითი თვალთან მიტანილი (აკაკი).
3. მეორე დღეს იმერელმაც ჩაიდგა უბეში სადასტურო წერილი ჩოლოყაშვილთან გატანებული (აკაკი).
4. მხოლოდ ერთი უმშვენიერესი ნუკრი მთლად ლომისფერი და ამაყად ყელმოღერებული იდგა განაპირას (კ. გამს.).
5. კედელზე გამოჩნდა ქუდმოხდილი კაცი გრძელი გაშლილი თეთრი თმითა და წვერით (ა.ყაზბ.).
6. ბევრი უიმედო ცხოვრებას დამორჩილებული წამოიკვნესებდა (გ.ლეონ.).
7. ბიჭი თხელი იყო მაღალი სოფლურად მზემოკიდებული (რ.ინან.).
8. მე აშ პასუხით აღტაცებული მთლად გაეთამამდი (რ.ინან.).

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

ბ. მძიმე განკერძოებულ გარემოებასთან

ჩვეულებრივ, გვხვდება ადგილის, დროის ან ვითარების გარემოებათა განკერძოების შემთხვევები.



თუ განკერძოებული გარემოება წინადადების შუაშია, მძიმეებით გამოიყოფა, ხოლო თუ ბოლოშია, მის წინ მძიმე იწერება.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურეკია სავანეც (აკაკი).
ლუარსაბი გულაღმა იწვა, თაყვანისებურად (ილია).



საეარჯიშო

დასვით მძიმეები

1. ფსკერზე ლოდებს შორის წყალი მოიჟურებდა (რ. ინან.).
2. გვიან შემოდგომას ნოემბრის ბოლოს წვიმებში დიდხანს რჩებოდა ხოლმე (რ. ინან.).
3. ომის წინა წელს შემოდგომაზე დარეჯანი გათხოვდა (რ. ინან.)
4. ოცი წლის წინათ სტუდენტობისას ფილოსოფიაში ნიშანი ვერ მიეღე და ტირილით გამოვედი უნივერსიტეტიდან (რ. ინან.).
5. მთის მწვერვალზე ცის მახლობლად მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს (აკაკი).
6. ქორი ორიენ ფეხით გახლავთ ჩამოკიდებული გაფარჩხულად (აკაკი).

გ. მძიმე დანართთან

წინადადებაში ასახსნელ-გასამარტავ წევრთან დანართის დასაკავშირებლად გამოყენებულია როგორც მაიგივებელი კავშირები, ისე კავშირის ფუნქციით გამოყენებული სიტყვები ესე იგი, ანუ, თუნდაც, როგორც, განსაკუთრებით, სახელდობრ, მაგალითად, ვთქვათ, კი, მეტადრე, ისიც, სიგრძით, სპეციალობით, სახელად და მისთ..



თუ დანართი წინადადების შუაშია, მიმყოლი სიტყვებითურთ მძიმეებით გამოიყოფა, თუ ბოლოშია, მის წინ მძიმე იწერება.

შენიშვნა: დანართი შეიძლება გამოიყოს ტირეებით, ან ჩაისვას ფრჩხილებში.

ბიძინამ, როგორც მთავარსარდალმა, ორად გაყო შეერთებული ჯარი (აკაკი).

ერთმანეთის პირდაპირ ისხდნენ ორნი – რაღაც უცხო ტომის ქალი და კაცი (რ. ინან.).

სავარჯიშო



დასვით მძიმეები

1. გურიის უკანასკნელი მთავარი მამია გურიული ღეიძლი ძმა იყო აბაშიძის ცოლისა (აკაკი).
2. მამამზის მეუღლე ბორდოხანი ფანატიკურად მორწმუნე იყო (ქ. გამს.).
3. ჩვენს ეზოში შემოვიდა შუახნის შეჭაღარავებული ცხენოსანი უნაგირზე პატარა ბოგო შემოესვა მარიტა (ვ. ლეონ.).
4. მელიტონის შეილმა პატარა ტატემ ხართან ერთად შებმული ბატონი დახატა (მ.ჯაე.).

დ. მძიმე ჩართულთან



თუ ჩართული წინადადებების თავშია, მის შემდეგ მძიმე იწერება, თუ ბოლოშია, მის წინ მძიმე დაისმის, თუ შუაშია, ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა.

თქვენ, რა თქმა უნდა, არაფერი გახსოვთ ამ ამბიდან (რ.ინან.).
რასაკვირველია, არც ელგუჯასთან იყო მათი საიდუმლო დაფარული (ა.ყაზ.).



სავარჯიშო

დასვით სასვენი ნიშნები

1. მერის მეუღლე დღეს უკვე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რაც ასაკში შევიდა უფრო დამშვენდა (რ.ინან.).
2. ახალგაზრდობაში ოურმე ცხენოსნობას უქებდნენ (გ.ლეონ).
3. წიგნის ყდაზე როგორც ბავშვობიდან მახსოვს გამოყეანილი იყო სხვადასხვა დროის წარწერები (გ.ლეონ).
4. თუნდაც გამამართლოთ ღეთის მადლმა თაყს აღარ ეიცოცხლებ (ა.ყაზბ.).
5. მართალია დაეითი დიდი სარდალი იყო მაგრამ არც ზაალის წინაპრები არიან ნაკლები (მ.ჯაკ.).
6. ალბათ ეშმაკია ირმად ქცეული (გ.ლეონ.).
7. გულახდილად რომ გითხრათ თავიდანვე არ მინდოდა ჩაბარება (რ.ინან.).



ე. მძიმე მიმართვასთან

თუ მიმართვა წინადადების შუაშია, იგი ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა, თუ თავშია, მძიმე მის შემდეგ იწერება და თუ ბოლოშია – მის წინ.

ბრძენი დედაკაცი ხარ, დარეჯან, ბრძენი! (ილია)
მამაჩემო, იცოდე, რომ თავი ცოცხალი არ მინდა (ლ.ქიაჩ.).
გთხოვთ მომიტევოთ, ბატონო პროფესორო!

შენიშვნა: თუ მიმართვა ძლიერი გრძნობითა და დიდი პაუზით არის წარმოთქმული, მის შემდეგ ძახილის ნიშანი იწერება.

სულო ბოროტო! ეინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად? (ნ.ბარათ.).
ქართლის დედაო! ძუძუ ქართლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა (ილია).



სავარჯიშო

დასვით სასვენი ნიშნები

1. გასწი მერანო შენს ჭენებას აქეთ საზღვარი (ნ.ბარათ.).
2. სამშობლო მთებო თქვენი შვილი განებებო თავსა (ილია)
3. ძმასავით მყაუდა ჩემო ხელმწიფეე თანაშეზრდილი და შენეული (აკაკი)
4. ბაქშეთან გატოლება არ გეკადრება დავით (ლ.ქიან).
5. ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოთ ჩემო ხელმწიფეე (აკაკი).
6. მითხარ ყმაწვილო რომელი ერთი ვინიცალო (გ.ლეონ.).
7. აბა ჩემო იმერელო ყმაწვილო ხარ და წინდახედულობა გაკლია (აკაკი).



ვ. მძიმე მიგებითს ნაწილაკებთან

მიგებითი ნაწილაკები წინადადებაში მძიმეებით გამოიყოფა

არა, შენ არ შეგეხება სასიკვდილოდ ჩემი ტყვია! (აკაკი)
დიახ, საქვეყნო კაცი იყო შიოლა და მაინც არ გაეყვეი! (გ.ლეონ.)



ზ. მძიმე შორისდებულთან

წესი 1

შორისდებული წინადადებაში მძიმით გამოიყოფა

ოხ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა გეყლირსოს ჩვენ გაღვიძება (ილია)...
ეაჰ, ბრალი ვეფხვის დედისა! (გ.ლეონ.)
ჰეი. სახეგამრიელი, ჰეი, ოქროსყელაე! (გ.ლეონ.)

შენიშვნა: თუ შორისდებული ძლიერი გრძნობითაა წარმოთქმული, მის შემდეგ შეიძლება დაიწეროს ძახილის ნიშანი.

ბიჭოს! შენ აღარა ხუმრობ (ილია).



სავარჯიშო

დასვით სასვენი ნიშნები

1 ეჰ რა ლამაზი ვიყავი (გ.ლეონ).
2. ქა ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ (რ. ინან.).
3. არა რასა ბრძანებთ ქა მუ სად მეჩქარება შინ ვინა მყავს (რ.ინან.).
4. ახ როდის იქნება ხელთ მოვიგდო (გ.ლეონ.).
5. უი უი დახე იმ წყეულს (ილია).
6. ეჰ შუ დალოცვილო აქა მქონდა მაგრამ ვერ მომაგონდა (ილია).
7 ვა ტყემლის მჟავით გაკეთებული ბოზბაში (ილია)



თ. მძიმე გარდა და მიუხედავად თანდებულიან სიტყვებთან

როდესაც სახელს *გარდა* და *მიუხედავად* თანდებულები ახლავს, წინადადების სხვა წევრებისგან მძიმეებით გამოიყოფა.

ქუჩაში, ჩემ გარდა, არავინ იყო.
ეს ამბავი ყველამ გაიგო, თამროს გარდა.
მიუხედავად ამისა, მან უარი მითხრა დახმარებაზე.

შენიშვნა: განკურძოებულია შემდეგი გამონათქვამებიც: პირველ ყოველისა, უპირეველეს ყოველისა, უწინარეს ყოველისა.



საავარჯიშო:

დასვით სასვენი ნიშნები.

1. მერის დედის გარდა ოჯახში არავინ ჰყავდა (რ ინან.).
2. მიუხედავად ამისა ქრისტიანობის ქომაგად ითვლებოდა გიორგი (კ. გამს.).
3. ხალხი დაიშალა და წავიდ-წამოვიდა გოჩასა და სოფლის მედროშეთა გარდა (აქაზ.).
4. პალატაში ჩემ გარდა არავინ ეგულებოდა (კ.გამს.).
5. ძმობის მიერ აშენებულ მონასტერში ლოცვა-ყულრების გარდა დიდი საქმეები კეთდებოდა.



წერტილ-მძიმე ;

წერტილ-მძიმე შუალედურ ადგილზე მდგომი სასვენი ნიშანია წერტილსა და მძიმეს შორის. იგი ერთმანეთისგან გამოყოფს ერთნაირ ენობრივ ელემენტებს (ერთგვარ წევრებს) თუ ერთგვარ წინადადებებს.

წესი 1



წერტილ-მძიმე ღაისმის დამოკიდებულ წინადადებებს შორის, რომლებიც ერთ რთულ წინადადებად არიან გაერთიანებული უკავშიროდ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს წინადადებები საკმაოდ გავრცობილია და მათში არის ძძიმეები.

გალმით, თეკლათის კლდე'ში, მოჩანდა უზარმაზარი ქვის სამტერეცი: იქ მუ'შები ჭიანჭველებივით ირეოდნენ; დროგამო'შებით მოისმოდა ნალმის გრიალი (გ.წერ.).

წესი 2



წერტილ-მძიმე იწერება რამდენიმე ერთგვარ დამოკიდებულ წინადადებას შორის, როცა ისინი მეტად გავრცობილია და ექვემდებარება ერთ მთავარ წინადადებას.

ახლა კი რა ბედნიერება იქნება, რომ ცოლიანები თავიანთ ცოლ-შვილს დაუბრუნდებოდნენ, უცოლონი კი საკუთარ ოჯახს აიშენებდნენ; რომ ქვეყანაში სამუდამოდ მშვიდობა ჩამოვარდებოდეს და გლეხს თავისი ნაოფლარის ნახევარი მაინც შეერგებოდეს (მ.ჯავ.).

წესი 3



წერტილ-მძიმე იწერება ქვეწყობილ წინადადებაში, როცა მთავარი წინადადების შემასმენელი მეორდება.

რა ვიცოდი, თუ რა აწუხებდა ჩვენს უფროსებს; რა ვიცოდი, თუ მათ უმთავარო უმთავარო ცხოვრება ქქონდათ (გ.ლეონ.).

წესი 4



წერტილ-მძიმე იწერება რომელიმე სურათის ან მოვლენის აღწერისას მარტივ გავრცობილ ან შერწყმულ წინადადებაში.

მოკუნტული, ლურჯი თვალები მაცდურად უკაშკაშებდა და გულის გამგმირავ ისრებს ისროდა; გრძელი, შავი წამწამები გარს მცველებად მოსდგომოდნენ და წვრილი, ხავერდისფერ წარბები გრძლად გასჭიმოდა (ა.ყაზ.).

წესი 5



წერტილ-მძიმე იწერება ჩამოთვლათა ბოლოს, თუ ეს ჩამოთვლები საკმაოდ გავრცობილია და მათ'ში არის რაიმე სასვენი ნიშანი

ზოგი შვილს უკვირის, ზოგი ცოლს თუ ვალერსება; ვროი ღანიშნულს ეჩურჩულება.

მკერდ კი ბატონს ულრენს. ვინმე სარკაზმს ასაბრებ. ვინმე მკვდარს თუ დასტირის (მ.ჯავ.)



სავარჯიშო

დასვით სასვენი ნიშნები

1. მადლი და მფარველობა მოაკლდა სუფრას ლხინის ნათელი ჩაქრა რიგი და წესი ალარ იყო ირგვლივე უაყანებენ ყვიროდნენ თითქოს წისქვილში არიანო (გ.ლეონ.).
2. უაყანებდა უბედობდა დაუპატიჟებელი ხაპირა ღვინისგან შებუღბულებული ჭამას ეძალებოდა ყველას მჯიღავდა (გ.ლეონ.).
3. მის ბნელ თაღებში ღამურები დაფრთხებიან აირეულან ქვის ბზარებში კი უფრო ფრჩილად შეიკუნტებიან ადამის დროინდელი ჯოჯოები ბრაზიანად აიფოფრებიან დროისაგან ჯავარდასმული ობობები (ო.ჭილ.).
4. ნიკოს პაპის ბრალი ყოფილა ზამთარ-ზაფხულ ეროი და იმავე ფეხსაცმლით რომ დადიან ქალები ცეცხლი რომ უკიდია ყველაფერს დახლზე და დახლის ქვეშაც საპონი რომ ოხვადია კეერცხი კი ფხვიერი გაუთხოვარი რომ დარჩენილა თავად ხოლო ნიკო უდედმამოდ რომ იზრდება (ო.ჭილ.).

ორწერტილი [:]

ორწერტილი იხმარება შერწყმულსა და რთულ წინადადებებში. იგი აღნიშნავს, რომ წინადადების მომდევნო ნაწილი წინა ნათქვამის ახსნა-განმარტებას თუ მის გაშლილად გადმოცემას წარმოადგენს.

წესი 1



ორწერტილი დაისმის შერწყმულ წინადადებაში განმაზოგადებელი სიტყვის ან კრებითი მნიშვნელობის სახელის შემდეგ, თუ მათ ერთგვარი წევრები მოსდევს.

აქ, ამ პატარა ახმეტაში, ყველაფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას: მიწა, წყალი, მთა, კლდე (აკაკი).

შენიშვნა 1: თუ განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარ წევრებს მოსდევს, მის წინ ტირე დაისმის:

მიწა, წყალი, მთა, კლდე – ყველაფერი მალამოდ ეცხება ჩემს გრძნობა-გონებას.

შენიშვნა 2: თუ ერთგვარ წევრებს განმაზოგადოებელი სიტყვა არ უსწრებს, მათ წინ ორწერტილი არ დაისმის:

ჩემს გრძნობა-გონებას მალამოდ ეცხება მიწა, წყალი, მთა და კლდე.

შენიშვნა 3: თუ ერთგვარ წევრებს განმაზოგადებელი სიტყვა არ მოსდევს, მათ შემდეგ ტირე არ იწერება.

მიწა, წყალი, მთა, კლდე მალამოდ ეცხებიან ჩემს გრძნობა-გონებას.

წესი 2



ორწერტილი იწერება უკავშიროდ შეერთებული რთული წინადადების ნაწილებს შორის, როცა მეორე ნაწილი გადმოგვცემს პირველის მიზეზს, შედეგს, ან კიდევ ხსნის, განმარტავს, ერცლად წარმოგვიდგენს პირველი ნაწილის მნიშვნელობას.

მრისხანე შაჰ-აბაზი ცეცხლითა და მახვილით შეშოუჭრა კახეთს და მუსრი გააევლო: ციხექალაქები დააქცია, სოფლები აოხრა, ტაძრები დაანგრია და შებღალა (აკაკი). გველეშაპი საოცარი სანახაეი იყო: კუდით ირეკლდა მეომრებს, ტოტსა სცემდა, ბრჭყალებით გლეჯდა და კბილებით წიწკნიდა (აკაკი).



წესი 3

ორწერტილი იწერება წინადადების ბოლოს, რომელსაც მოსდევს პირდაპირი ან ირიბი ნათქვამი.

ქრეინა ხორეშანმა ფიქრიას ახედა და ჰკითხა: -ფერი რად წაგსულია, გოგო?
მ.-მამ ოქვა: გათენდება, ამინდს შევხედავ და ისე ვიქმთ, როგორც კარგი იქნებაო (რ.ინან.).



სავარჯიშო

დასვით სასვენი ნიშნები

1. ყოველი ენა ყოველგვარი შჯულის კანონი ზედმიწევნით იცოდა ქართული თურქული ირანული ბერძნული (კ.გამს.).
2. ვწუხარ ორნაირად როგორც შენი მეზობელი და როგორც ერთი შვილის მამა (ლ.ქიაჩ.).
3. ნუ ნუ შეშინდებიან კნეინები ზაალის სტუმრებს და მათ ფალავნებს ხელსაც ვერ ახლებენ (მ.ჯავ.).
4. მკურნალ ფუფალას აფთიაქს შეადგენდა ბალახი ვირისგვერდა ღვლაღუნტის ძირი ტირიფის არძაყი აქლემის ძვალი ჯოჯოხეთის ქვა (გ.ლეონ.).
5. ბუნება შეიცვალა მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი ნიაგმა დაიჭირა (ა.ყაზ.).
6. წყალში ყველაფერი გამოჩნდება ხარი ძროხა ცხენი (აკაკი).



ტირე [–]



წესი 1

ტირე დაისმის წინადადებაში რომელიმე გამოტოვებული წევრის ადგილას

წინ გოგო მოდიოდა, უკან – ბიჭი (რ.ინან.).
ელფერობით ვარდი არის, სინაზით კი – მორცხვი ია (აკაკი).

წესი 2



ტირე დაისმის ეს, ეგ ნაცვალსახელების წინ, რომლებიც მოსდევს და ცვლის სახელობითს ბრუნვა'ში დასმულ ქვემდებარეს თუ პირდაპირ დამატებას.

ხელოვნება – ეს ოქროა, მიწის გულში დამარხული.
შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი, ძლეულმოსილის ამ საუკუნის (ილია).

წესი 3



ტირე დაისმის განმაზოგადებელი სიტყვების წინ, თუ ასეთი სიტყვა მოსდევს ჩამოთვლილს, ან განმაზოგადოებელი სიტყვის ბოლოს, თუ მას ჩამოთვლა მოსდევს.

დიდი და პატარა – ყველა ულოცავდა აბდუშაპილს გამარჯვებას (აკაკი).
ყველაფერს ათამაშებს – ყვავებს, ოქროებს, მჩრებსაც, თაფსაც, თვალებსაც და ულვაშებსაც (მ.ჯავ.).

წესი 4



ეროგვარი წევრები ტირეებით გამოიყოფა, როცა ისინი ჩასმული არიან განმაზოგადებელ სიტყვასა და სინტაქსურად მასთან დაკავშირებულ სიტყვებს შორის.

მეფის შვილებმა – ადარნასემ, ბაგრატმა და გუარამმა – უხვად გაიღეს შესაწირი.

წესი 5



ტირეებით შეიძლება დანართის გამოყოფა წინადადების სხვა წევრებისგან.

დეიდა მათიკოს ქმარი თუშია, თუშები პყავს შვილებიც – დარეჯანი და ზეზვა (რ.ინან.).

წესი 6



ტირე იხმარება ჩართული სიტყვებისა და წინადადებების გამოსაყოფად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ვრცელია.

იმ წუთებში ბუკიას – ასე ეძახდნენ მწყემსს – ფრინველად გადაქცევა უნდოდა (ა.ყაზ.).

წესი 7



ტირე იწერება ავტორის სიტყვების გამოსაყოფად, როცა ისინი პირდაპირი ნათქვამის შემდეგაა ან მის შიგნითაა მოქცეული (ტირესთან ერთად მძიმეც იწერება).

ოთარაანთ ქვრივს ვულის მაგიერ ქვა უდევსო, - აშბობდნენ სოფელში (ილია).
არ ვიცით, – მიუგო ქალმა.
რას იცინით, – გვითხრა პაპამ, – ის ფხაკუნაანთ რძალი დღეს საბჭოს წინ იდგა და მთელ სოფელს გასძახოდა (რ.ინან.).

წესი 8



ტირეები დაისმის დიალოგში პერსონაჟთა ნათქვამის გამოსაყოფად, რომელიც ახალი სტრიქონით იწყება

– ახველებს?
– კი.ზოგჯერ.
– როდის მისცა სიცხე?
– დღეს. დილას შეკამჩნიე (რ.ინან.).



საეარჯიშო: დასვით სასვენი ნიშნები

1. ორ გადიას ინგლისელსა და ფრანგს მასპინძლის ორი პატარა ქალიშვილი ტასო და სოფიო გამოჰყვათ (შ.ჯავ.).
2. ის შაღლა არი მე დაბლა თანაც მე წოლელა (რ.ინან.).
3. ნამტკივნი გული ლაპარაკობს განა მე ლმობიერებით ეუბნებოდა ფუფალა სალბუნი მომეცი სალბუნი რომ დავმშვიდდე (გ.ლეონ.).



ფრჩხილები ( )

წესი 1



ფრჩხილებში ჩაისმის ისეთი სიტყვა, რომელიც განმარტავს და აზუსტებს სხვა სიტყვის მნიშვნელობას

შემოდგომით არაგვი წმდება (წმინდაედება).
დამტერეული თეატრალური დურბინდი, პლასტმასის შაკი რეკოლვერი (სათამაშო), საიზოლაციოლენტგადახვეული თხელტყავი ფუნჯი (წებოსთვის).



წესი 2

ფრჩხილებში ჩაისმის ჩართული სიტყვები და წინადადებები, რომლებიც ძირითად წინადადებაში გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით დამატებით ცნობებს გვაწვდიან

დიდი ქალაქის ქვის უდაბნოს საღამურ ჩრდილში (რომელიც ძალიან წააგავს მკედრების მზურას), შავად შეღებილი რკინის აივანზე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ასრულებს სანიადაგო რიტუალს (რ.ინან.).
ეფრემის შვილები (რა თქმა უნდა ჯაჭები, ქალი მუნჯი ჰყავდა), გაიოზი და ბაქარი, ოჯახის სასულიერო სემინარიაში იზრდებოდნენ (რ.ინან.).



წესი 3

სტენოგრაფიულ ანგარიშებში ფრაზები, რომლებიც მიუთითებენ მსმენელთა დამოკიდებულებას, იწერება ფრჩილებში

(ტაში). (სიცილი) (ხმაური დარბაზში).



წესი 4

ფრჩხილებში იწერება ციტირებული ავტორის გვარი და ნაწარმოების სათაური ციტატის ბოლოს

ი.ჭავჭავაძე წერდა: „სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა“ („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კასლოეოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“).



წესი 5

დრამატული ტექსტის რემარკები ფრჩხილებში ჩაისმის

ანდუყაფარ (ოთახიდან): ვინ ლაპარაკობს მანდ?
ფაცია (შემოდის მორთული): აი, მე მზად ვარ.



სავარჯიშო

ჩასვით ფრჩხილებში სიტყვები ან წინადადებები. დასვით სხვა სასვენი ნიშნებიც

1. მივდიოდით ხუდადოვის ტყეში მლაშე ტბაზე ახლა რომ თბილისის ზღვაა იმის ფსკერზე (რ. ინან.).
2. ჩვენ კი ადამიანები უბედურნი ვართ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ეს სიტყვები ძლიერ გააჯიანურა მეფემ უერთგულეს ადამიანსაც იოლად გაეწირაეთ ხოლმე (კ. გამს.).
3. ჭიაბერმა არ გაბედოს კოლონკელიძის ქალის შორენას შერთვა ესა თქვა და მუშტით დაარაკუნა ტაბლაზე მეფემ თორემ ერთი თვის შემდეგ ქორსატეველას ციხეს შემოვეწყობი ისეთი ჯარით ჭიაბერსა და მამამზეს თაეები არ შერჩებათ მხრებზე (კ. გამს.).
4. უცებ ნიკომ ზუსტად ის მგელი დაინახა ერთი წამით არ დაეჭვებულა ამაში ერთი წლის წინ ზუსტად ამ გზაზე რომ გაიტანა (ო. ჭილ.).



ბრჭყალები „ “



წესი 1

ბრჭყალებში ჩაისმის ვისიმე ნათქვამიდან თუ ნაწერიდან პირდაპირ, სიტყვასიტყვით მოყვანილი ადგილი

„სიყვარული აღვგამაღლებს“, – წერს რუსთაველი.

მეფეს ყოველი მხრიდან ესმოდა მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის სიტყვები: „მეფე ხარ და გმართებს“, და ამ მეფედ არყოფნას ნატრობდა გიორგი (კ. გამს.).

წესი 2



ბრჭყალებში ჩაისმის ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოყენებულია რაიმე საგნის, ორგანიზაციის, დაწესებულების, გაზეთის, ჟურნალის და სხვათა სახელწოდებად; აგრეთვე ლიტერატურული ნაწარმოების, კინოფილმის, სპექტაკლის სახელწოდებანი

ილიამ გაზ. „დროების“ ნომერი მოითხოვა.
ღვდოფალმა სამი პატარა „კაცუნა“ შეარჩია.
„ფათერაკი ვანუა“ ახლა ორგვარად ხვერავდა იორამს (გ. ლეონ.).



წესი 3

ბრჭყალებში ჩაისმის მოძველებული და არაქართული სიტყვები

„პოეზიამ“ დაიწყო ქვებზე ხტომა (ილია).
შუა დღე იყო, რომ ლარსის „სტანციაში“ მოვედი (ილია).
„იამშიკი“ უგემურად სთვლემდა (ილია).

შენიშვნა: ბრჭყალებში არ ჩაისმის სახელწოდებები, რომელთა შემადგენლობაში შედის სიტყვა „სახელობის“.
ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი;



სავარჯიშო

დასვით სასვენი ნიშნები

მგზაურის წერილები ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებია
ლექცია ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია წერს რუსთაველი
ნოსტალგია და მსხვერპლშეწირვა ანდრეი ტარკოვსკის ფილმებია



სასვენი ნიშნები პირდაპირ ნათქვამთან

პირდაპირი ნათქვამის გამოსაყოფად იხმარება ტირე ან ბრჭყალები.

წესი 1



პირდაპირი ნათქვამი ბრჭყალებში ჩაისმის. როცა პირდაპირ ნათქვამს ო დაერთვის, მაშინ წინადადება ბრჭყალებში ჩაისმის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რომ ის სხვისი ნათქვამია

ძიძია ნახატი მშვენიერება იყო და მისი მნახველი ვერ გასძლებდა, რომ არ ეთქვა: „ცხონდეს შენი მშობელიო“ (ა. ყაზ.).

წესი 2



პირდაპირი ნათქვამი დიალოგში აბზაცით იწერება და მის წინ იწერება ტირე (ბრჭყალები საჭირო არ არის)

შემოვიდა მღვდელი.
– მშვიდობა სახლსა ამას, – თქვა და გაიერდა.
– დაბრძანდი, მამაო, – უბრძანა ერისთავმა (აკაკი).



წესი 3

თუ ავტორის სიტყვები უსწრებს პირდაპირ ნათქვამს, ამ უკანასკნელის წინ ორწერტილი იწერება

შორენა განსახიერებაა არაჩვეულებრივი სილამაზისა და სინაზისა: „ლაპისტანის ზღვის სილურჯეც ულაედა მის ზღვისფერ თვალებში“ (კ. გამს.).



წესი 4

ავტორის სიტყვების წინ მძიმე და ტირე დაისმის, თუ იგი მოსდევს პირდაპირ ნათქვამს

„უგებ დაიღუპოს ეს ქვეყანა, ახალში მაინც მიმიწვევენ ხუროთმოძღვრად“, – იტყოდა ხოლმე ფარსმანი (კ. გამს.).

წესი 5



თუ პირდაპირ ნათქვამს მოსდევს ავტორის სიტყვები, პირდაპირი ნათქვამის შემდეგ დაისმის ის სასვენი ნიშანი, რომელიც მას შეეფერება – კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, მრავალწერტილი, ხოლო ამ ნიშნის შემდეგ – ტირე

– ვინაა აქ, რაი ყვირილია? – წარმოთქვა მან ისე, თითქოსდა ქალის ყვირილს გაელვიძებინა (ა. ყაზ.).

წესი 6



როცა პირდაპირ ნათქვამში ჩართულია ავტორის სიტყვები, მის წინ დაისმის მძიმე, კითხვის, ძახილის ნიშნები ან მრავალწერტილი (იმისდა მიხედვით, თუ რომელი შეეფერება პირდაპირი ნათქვამის პირველ ნაწილს) და ტირე, ხოლო ბოლოს – მძიმე და ტირე

ჩემო სოლომონ, – მეფემ უბრძანა, – მე ეგ ყოველი არ ვიცი განა? (ნ. ბარ.).
ხმა! კრინტი! – შეუტევდა ხოლმე დაეითი, – ციმბირი თუ ღალა და ბეგარა-მეოქი? (მ. ჯავ.).
ძია არსენ, - მოისმა მდუღარე ხმა. – მე ვარ, ზურა ვარ (მ. ჯავ.).

წესი 7



თუ პირდაპირ ნათქვამში ჩართულ ავტორის სიტყვებში ორი ზმნაა, რომელთაგან ერთი ეხება პირდაპირი ნათქვამის პირველ ნაწილს, ხოლო მეორე – მეორე ნაწილს, მაშინ ავტორის სიტყვების შემდეგ დაისმის ორწერტილი და ტირე

რა უნდა დაგაბარო? – გაოცებით უპასუხა როსტიამ და დაუმატა: – სააღდგომოდ ვნახავ და თვითონვე ვეტყვი (მ. ჯავ.).



სავარჯიშო

დასვით სასვენი ნიშნები

1. მატარებლის კუპეში ერთმანეთის გვერდით ორი მოხუცი მოხვდა
შენ რამდენი წლის ხარ პკითხა ერთმა
ორმოცდაერთის შენ
მე სამოცდათერამეტის
2 ტურები არიან თქვა მან გეშინიათ
3. შენ რაღას იტყვი ზურაბ გაუბედავად პკითხა მას გაწამებულმა აკაკიმ
4. ხუროთმოძღვრების დიდოსტატი დიდი ვაჟკაცი ყოფილხარ ლაზო იტყოდა ხოლმე ფარსმანი
5. აღსდექ საქართველოვ იტყოდა ხოლმე ჩორეხი თან ფეხს ღონიერად დაარტყამდა მიწას



კითხვის ნიშანი ?

კითხვის ნიშანი დაისმის კითხვითი წინადადების ბოლოს

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე განა? (აკაკი).



ძახილის ნიშანი !

ძახილის ნიშანი დაისმის:

1. ძახილის წინადადების ბოლოს

იმარხება საქართველო, იმარხება ქრისტეს კუნძული! (გ. ლეონ.).

2. ბრძანებითი წინადადების ბოლოს

შესდექ. ხევისბერო! გუგუა მართალია! (ა. ყაზ.).

3. მიმართვის ბოლოს, თუ მიმართვა წინადადების თავშია და ძლიერი გრძნობით არის წარმოთქმული, აგრეთვე მაშინ, როცა წინადადების ბოლოშია

საფარ-ბეგო! პირშავობა შენი ეიცი, შემიტყეია! (აკაკი).
საშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა (ილია).

4. ცალკე ხმარებულ შორისდებულთან, როცა იგი წინადადების თავშია ან ბოლოში და წარმოთქმულია დიდი გრძნობით

აუ! მითხარ რაი ამბავია, რაღასა მლევ! (ა. ყაზ.)



კითხვისა და ძახილის ნიშანი ერთად ?!



წესი 1

იმ წინადადების ბოლოს, რომელშიც კითხვასთან ერთად გამოხატულია გაკვირვება ან აღტაცება, კითხვით-ძახილის ნიშანი დაისმის

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?! სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გა-მიზრდიხარ!" (აკაკი)



საავარჯიშო
დასვით სასვენი ნიშნები

1. მიპასუხე ისევე ძველებურად გიყვარვარ
2. გაეთრიე აქედან
3. რა დავიშავე დმერთო
4. სად წამიხვალ
5. რას მიბედავ შუ ბრიყვო



მრავალწერტილი ...

წესი 1



მრავალწერტილი დაისმის სათქმელის დაუმთავრებლობის, აზრის ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქმის, ერთი მოვლენიდან მეორეზე მოულოდნელი, უეცარი გადასვლის, მღელვარებით ან სხვა მიზეზით გამოწვეული შეფერხების გამოსახატავად

ჰხედავ, დედი!... ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თანწასატან... ლხინად... არა ენანობ, არა... მიედიეარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განელებული სიხარული. იქ ვახვირებ. იქ... ნუ იწუხებ, დედი!... შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეორევინოსო!... (ილია).

წესი 2



მრავალწერტილი დაისმის სიტყვის ენადაბმით, ბორძიკით წარმოთქმის აღსანიშნავად

ჩემო მეგობარო!... ხომ ხედავ, დავა არ... არ... გადაწყდება.

წესი 3



მრავალწერტილი დაისმის ციტატის არასრულად მოყვანის, მასში სიტყვისა თუ სიტყვების გამოტოვების დროს

„მაჭანკალი– გახლდათ ერთი მოხუცებული, დარბაისელი, ღარიბი და ქვრივი დედაკაცი“ (გამოტოვებულია: გბელაძისგან მოგზავნილი).

წესი 4



მრავალწერტილი დაისმის სიტყვაში გამოტოვებული ასოების აღსანიშნავად (ამ შემთხვევაში ის სასვენი ნიშანი არ არის)

„თავად ჭ..ის ასულს, ეკ..ნას“.



სავარჯიშო

დასვით სასვენი ნიშნები

1. გამიგონეთ სიკვდილისა არ მეშინია თუნდა გამამართლოთ კიდეც, ღვთის მადლმა, თავს აღარ ვიცოცხლებ (ა. ყაზ.).
2. შუადღის მზე გადაიწვერა ხალხი დაიშალა გულისღვარეული ცრემლი დაწურა და იქმარა (გ. ლეონ.).
3. მზე ჩადიოდა ასაღამურდა ბინდი დაეცა სოფლის შარას (გ. ლეონ.).
4. მზე ბედიასაკენ მიდიოდა შეიმცნაურა მიხვდა ყოველივეს (გ. ლეონ.).
5. მკათათვე გზისპირას მდუმარედ იდგნენ ამრეშებული ყანები. ნიავიც სადღაც გახიზნულიყო გზა დახეთქილი მტვრიანი ირგვლივ მხოლოდ სევდა და თვლემა (გ. ლეონ.).
6. ხსნა ყველგან არის ხოლო გზა ხსნისა ასეთი მერგო მე უბედურსა (ილია).
7. შორს შორს დაიძახა იმან და ჰაერში ხელები გაიშვირა სისხლი ხანჯალი შვილი შვილი რა იქნა ჩემი შვილი (ა. ყაზ.).

გადატანის ნიშანი

დეფისს სასვენ ნიშნად ვერ ჩავთვლით, რადგან იგი სიტყვის ნაწილებს აერთებს, თუმცა როცა იგი სიტყვის ერთი ხა'ხიდან მეორეზე გადატანას აღნიშნავს, თავისი ფუნქციით ახლოს დგას სასვენ ნიშნებთან.

პრაქტიკული სტილისტიკისა და ლექსიკის საკითხები

ადამიანი მეტყველი არსებაა. იგი თავის აზრს მეტყველებით გადმოსცემს. ცივილიზებული ადამიანი აზრს მეტყველების ორი ფორმით გამოხატავს: ესაა ზეპირი მეტყველება და წერითი მეტყველება. ეს ორი ფორმა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამის მიზეზი თავად ადამიანის ბუნებაა. ადამიანი ზეპირად სხვანაირად მეტყველებს და წერით სხვაგვარად წერს. მეტყველების ნაირფეროვნება ამითაც არ ამოიწურება. ადამიანი სამეტყველო საგნის (ობიექტის) მიხედვითაც სხვადასხვანაირად საუბრობს და წერს, ე.ი. ერთ საგანსა თუ თემაზე ერთგვარად, სხვაზე–სხვაგვარად.

მეტყველების ასეთ ნაირფეროვნებას ზოგადად მეტყველების სტილი ჰქვია. გამოდის, რომ ადამიანი სხვადასხვა საგანსა თუ მოვლენაზე სხვადასხვანაირი სტილით მეტყველებს.

რატომ იქცევა ადამიანი ასე? რატომაა ასე მოწყობილი მისი ბუნება? – იმიტომ, რომ ადამიანი მეტყველების პროცესში ცდილობს, რაც შეიძლება ცხადად გააგებინოს მსმენელს თავისი სათქმელი. სიცხადის ეს სურვილი თუ მოთხოვნილება აიძულებს მას, ენის ლექსიკურ ფონდში ის სიტყვები მოძებნოს, რომლებიც მისი აზრის შინაარსს ზუსტად შეესატყვისება, შემდეგ კი ეს სიტყვები წინადადებაში ისე განალაგოს, რომ გადმოსაცემი აზრის მაქსიმალურ სიცხადეს მიაღწიოს.

ამიტომ არის, რომ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში სტილს სათქმელის სიცხადე უწოდეს და განაცხადეს: სტილის ღირსება სიცხადეში მდგომარეობსო (არისტოტელე).

მეტყველების სტილი ინდივიდუალური ბუნებისაა. ყველა ადამიანს თავისი სტილი გააჩნია. სტილის ამგვარი ბუნება განსაკუთრებით ცხადად მწერლობაში იჩენს თავს. საერთო ეროვნული სალიტერატურო ენით მოსარგებლე დიდი მწერლებიც კი იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან ამ ენის გამოყენების სტილით, რომ სპეციფიკური სტილით გამორჩეულ საკუთარ ენას ქმნიან. ჩვენს სინამდვილეში ამ მოვლენიდან გამომდინარე დამკვიდრდა ცნებები: „ილიას ენა“, „ვაჟას ენა“, „აკაკის ენა“ და ა.შ.. და ეს იმდენად საინტერესო მოვლენაა, რომ მწერალთა ენა ცალკე, საგანგებო შესწავლის საგნადაც კი არის ქცეული. გამოთქმა „ილიას ენა“, „აკაკის ენა“ და ა.შ რა თქმა უნდა, ხატოვანი თქმაა და ამ მწერლების მეტყველების სტილს გულისხმობს.

მართალია, მეტყველების სტილი უაღრესად ინდივიდუალურია, მაგრამ ამის მიუხედავად, ნებისმიერ ენაში არსებობს მეტყველების უმარტივესი კანონები თუ კანონზომიერებანი, რომლებიც მეტყველების სისწორესა და გამართულობას განსაზღვრავს. ამ ყველაფერს პრაქტიკული სტილისტიკა გვასწავლის. ასეა ეს ქართულშიც.

მაინც რა კანონზომიერებები განსაზღვრავს მეტყველების სტილს? ძალიან ზოგადად ამ კითხვას ასეთი პასუხი ეძებნება:

მეტყველება უწყვეტი პროცესია. ყოველი სიტყვის გაჩენას წინა სიტყვა განაპირობებს. თავად ეს სიტყვა კი სხვა ახალ სიტყვას უმზადებს ნიადაგს. ეს პროცესი კანონზომიერად მიმდინარეობს, მკითხველი თუ მსმენელი ამ კანონზომიერებას გრძნობს, იცნობიერებს. ამიტომ, როცა გარკვეულ სიტყვებსა თუ შესიტყვებებს ისმენს თუ კითხულობს, უკვე შესაბამის სიტყვასა თუ შესიტყვებებს ელოდება.

ეს მოლოდინი ხან მართლდება, ხან არა. ზოგჯერ მოსალოდნელის ნაცვლად სულ სხვა სიტყვა თუ შესიტყვება ჩნდება. ამიტომ აზრის ნაცნობი დინება ირღვევა. ეს რღვევა ადამიანის გონებაზე ბიძგივით მოქმედებს. მოულოდნელ სიტყვასა თუ შესიტყვებას ადამიანის აღქმა უცხოობს, ეწინააღმდეგება, რადგან მეტყველებაში კონტრასტი ჩნდება. ეს მოვლენა მეტყველების სტილის ბუნებას გვიჩვენებს.

ამ სტილურ თავისებურებას ენათმეცნიერები „გამტყუნებული მოლოდინის ეფექტს“ უწოდებენ[1]. მის საპირისპირო ტენდენციას კი (ე.ი. ისეთს, როცა მეტყველების დინება არ ირღვევა!) – „გამართლებული მოლოდინის ეფექტს“ (გ. კვარაცხელია). ე.ი. გამართლებული მოლოდნის ეფექტი იმიტომ ეწოდება, რომ მკითხველსა თუ მსმენელს მოლოდინი „უმართლებს“, ის სიტყვა თუ შესიტყვება მოუდის, რომელსაც ელოდა.

აღნიშნული ორი ეფექტი (თუნდაც მას კანონი ან ტენდენცია დავარქვათ) განსაზღვრავს საერთოდ მეტყველების სტილს. ეს ტენდენციები მეტყველებაში ასეთნაირად ავლენს თავს: ვთქვათ, დავწერეთ წინადადება „მიილია ოქროსფერი, ბარაქიანი.

[1] ამ ეფექტს „ფიქსირებული ფორმის გამეორების ტენდენციას“ და „ფიქსირებული ფორმის დარღვევის ტენდენციასაც“ (გრ. კიკნაძე) უწოდებენ. აქ წვინდა ტერმინოლოგიურ სხვაობასთან გვაქვს საქმე.

მაძღარი შემოდგომა". ახლა მოახლოებულ ზამთარზე გვინდა საუბარი და დაწერილს ასეთი წინადადება მივაყოლეთ: „დადგა უთოველო, ცივი ზამთარი". ამ წინადადებით რაღაც უკმარისობას ვიგრძნობთ და უნებლიეთ ზამთრის კიდევ ერთ ეპითეტს დავუწყებთ ძებნას. რატომ? იმიტომ, რომ შემოდგომას წინა წინადადებაში სამი ეპითეტი ახლავს. ამ ეპითეტებმა გარკვეული რიტმი, სტილი „დააკანონა" და შემდგომ წინადადებაშიც სამ ეპითეტს ითხოვს. როგორც კი მესამე ეპითეტს მოეძებნით (ვთქვათ „უსიამო"), სტილური „რიტმი" აღდგება და გაიმართება.

თუმცა მეტყველების პროცესში ერთგვაროვან, ერთფეროვან გამართულობას ადამიანის სმენა დიდი დროის განმავლობაში ვეღარ ითმენს.

უცნაურია: ადამიანის მეტყველებაში რამდენადაც ბუნებრივია გამართლებული მოლოდინის ეფექტი თუ ტენდენცია, იმდენად მკაცრია ბრძოლა მის წინააღმდეგ. ამის მიზეზი ისაა, რომ ერთგვაროვანი ფორმების ჭარბად გამეორება მომაბეზრებელი ხდება სმენისა თუ აღქმისათვის. ადამიანის გონება ვერ ეგუება ერთფეროვნებას და მომაბეზრებლობას. ამიტომ არის, რომ სტილისტიკის უპირველეს მოთხოვნათა შორის მსგავსი სიტყვების გამოყენებისათვის თავის არიდებაა. ამის მიუხედავად მეტყველების სტილის სასაყუძვლო ზემოაღნიშნულ ორ ეფექტს, კანონსა თუ ტენდენციას გონიერი გამოყენება სჭირდება. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ მართლმეტყველებისა და მართლწერის შესწავლისას გამართული, სწორი ქართულით მეტყველების მსურველი არცთუ იოლი ამოცანის წინაშე დგას. ამ სირთულის დაძლევის ერთ-ერთი გზა მშობლიური ენის ბუნების გრძნობა და იმ დარღვევათა ცოდნაა, რაც ამ ბუნებას ამახინჯებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველ რიგში, ის უნდა ვიცოდეთ, რა არღვევს, ამდარებს და ამახინჯებს ჩვენი ზეპირი თუ წერითი მეტყველების სტილს.

სადღეისოდ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევის ასეთი ძირითადი სახეებია გამოვლენილი:

1.სიტყვების გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით;

2.წინადადებების დამახინჯება ზედმეტი სიტყვებით (პლეონაზმი, სიტყვა-პარაზიტები);

3.სიტყვების არასაჭირო განმეორება, ანუ ტავტოლოგია;

4.სალიტერატურო ენის სიწმინდის დარღვევა კალკებით, შტამპებით ანუ შაბლონებით, კანცელარიზმებით;

5.ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა დამახინჯება.

სიტყვათა გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით

წერითსა და ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ ამა თუ იმ სიტყვას არაზუსტი მნიშვნელობით გამოიყენებენ, წინადადებებს ხშირად სწორად ვერ აგებენ, საჭირო სიტყვის ნაცვლად სხვას გამოიყენებენ, აზრს დამახინჯებულად და ბუნდოვნად გადმოსცემენ.

მაგ.: ცუდი ამინდის წყალობით ვერ ვისეირნეთ (უნდა იყოს გამო).

1. წყალობა.

სიტყვა „წყალობა“ თავისთავად დადებითი შედეგის გამომხატველი სიტყვაა და მას უარყოფითი შინაარსის გამოხატვა არ შეუძლია. ამიტომ უარყოფითის კონტექსტში მის ნაცვლად უნდა ვიხმაროთ სიტყვა „გამო“.

2. წლის თავი – წლისთავი

ეს სიტყვა, საზოგადოდ, რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის არსებობის დროის აღსანიშნავად გამოიყენება. ერთი შეხედვით აქ შეცდომა გამორიცხული უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არაა. შეცდომა ხშირია და ამ სიტყვის დაწერილობასთან არის დაკავშირებული (წლის თავის ცალ-ცალკე და ერთად წერა).

უნდა გვახსოვდეს:

ა) თუ რაიმე მოვლენის რომელიმე თარიღის რიგითობაზე ვსაუბრობთ, მაშინ „წლისთავი“ ერთად უნდა ვწეროთ. მაგ.: „მეოცე წლისთავი“, „მეასე წლისთავი“.

ბ) თუ მოვლენის არსებობის დრო გვაქვს მხედველობაში, მაშინ „წლისთავი“ ცალ-ცალკე უნდა დავწეროთ. მაგ.: „ოცი წლის თავი“, „ასი წლის თავი“.

3. მოთხოვნები – მოთხოვნილებები

ამ სიტყვათა ერთიმეორის ნაცვლად გამოყენება ძალზე ხშირია და მათი შინაარსების უცოდინარობით არის გამოწვეული.

სიტყვა „მოთხოვნა“ თავისი შინაარსით რუსულ სიტყვას – «Требование»–ს უდრის, ხოლო „მოთხოვნილება“ რუსული «Потребность»–ის ტოლია.

ამიტომ „მოთხოვნა“ იმ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ, როცა საუბარია რამის გამოთხოვაზე, მოცემაზე, სხვისთვის გამორთმევაზე.

„მოთხოვნილება“ კი იმ შემთხვევაში, როცა რაიმე გვსურს, გვჭირდება, მაგრამ სხვას არ ვთხოვთ.

ამიტომ შეცდომაა, როცა ვამბობთ:

ა) „გაფიცულებმა მეპატრონეს წაუყენეს მთელი რიგი მოთხოვნილებები“.

ბ) „უნდა ვიზრუნოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად“.

უნდა ითქვას და დაიწეროს:

ა) „გაფიცულებმა მეპატრონეს წაუყენეს მთელი რიგი მოთხოვნები“.

ბ) „უნდა ვიზრუნოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“.

4. სავსებით – სრულიად

ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში ძალზე ხშირია ამ სიტყვების უადგილოდ გამოყენების შემთხვევები.

სტილისტიკური თვალსაზრისით თუ ზმნას უარყოფითი ნაწილაკი არ, ვერ ახლავს, უპირატესობა სრულიად (აც) ზმნისართს ეძლევა. მაგ.: სრულიად(აც) არ მტკივა.

ზმნისართი სრულიად გამოიყენება აგრეთვე უარყოფით მიმღეობებთან და უარყოფითი შინაარსის სიტყვებთან.

მაგ.: სრულიად გამოუსადეგარი, სრულიად უცნობი.

ზმნისართი სავსებით ქართულ სალიტერატურო ენაში დადებითი შინაარსის გადმოცემისას გამოიყენება. მაგ.: სავსებით მართალი, სავსებით სარწმუნო.

5. იღებს – ღებულობს

იღებს რუსული სიტყვის – «Принимает» შესატყვისია, ღებულობს – «Получает» ზმნისა.

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვათა გამოყენების დროს განმასხვავებელი ნიშანი მათი შინაარსობლივი ნიუანსია: „იღებს“ ერთჯერადი მოქმედების გამომხატველია, ხოლო „ღებულობს“ –

მრავალჯერადისა.

მაგ., სწორია: იღებს ავადმყოფს, იღებს გამოწვევას. ღებულობს ხელფასს, ღებულობს წერილებს.

6. ნახა – იპოვა

ნახა ნიშნავს თვალით ხილვას, დანახვას.

იპოვა კი მოძებნას გულისხმობს. ამიტომ სწორია: საფულე ვიპოვნე და არა ვნახე.

7. გაიგო – შეიტყო

სიტყვას გაიგო რამდენიმე მნიშვნელობა აქვს:

ა) ქვეშ გაიფინა, გაიშალა;

ბ) შეიცნო, შეიგნო.

ზმნას გაიგო, ჩვეულებრივ, გაიაზრას, შეიცნოს მნიშვნელობით გამოიყენებენ.

მაგ.: წაკითხული გაიგო, ახსნილი მასალა გაიგო.

შეიტყო სხვისაგან რაიმეს მოსმენილს აღნიშნავს.

გაიგო რუსულ სიტყვას – «Понял» შეესატყვისება, შეიტყო რუსულს «Узнал».

მაგ.: ახალი ამბავი შეიტყო და არა გაიგო.

8. ლაპარაკობს – ამბობს

ამ ზმნების გამოყენების დროს უნდა გვახსოვდეს: ლაპარაკობს ნიშნავს: ადამიანი მეტყველებს, საუბრობს. ეს ზმნა ამ მეტყველების ობიექტის გაგებას არ შეიცავს, ანუ არ გვიჩვენებს ვისი მისამართით (ვისთვის) ლაპარაკობს მოსაუბრე (მოლაპარაკე). ეს ზმნა ამიტომაც ერთპირიანია (ლაპარაკობს ის).

ამბობს ზმნა ნიშნავს: მოუთხრობს, გადასცემს. იგი შეიცავს მსმენელის გაგებას, ე.ი. ობიექტი გააჩნია. ამიტომაც იგი ორპირიანია (ამბობს ის მას).

აქედან გამომდინარე,

სწორია: კაცი ლაპარაკობს, მაგრამ არ იქნება სწორი: კაცი სიმართლეს ლაპარაკობს. იმიტომ, რომ წინადადებაში სუბიექტური პირიც გაგვაჩნია (კაცი) და ობიექტურიც (სიმართლეს). „ლაპარაკობს“ ზმნა კი (უკვე ვიცით) ერთპირიანია.

ამიტომ ეს წინადადება ასე უნდა გასწორდეს: „კაცი სიმართლეს ამბობს“.

9. დაჰპირდა, მოუყვა

ეს ზმნები „გარდაუვალ ზმნებს“ განეკუთვნება. ამიტომ, როგორც წესი, სუბიექტური პირი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში უნდა შეეწყოთ (და არა მოთხრობით ბრუნვაში).

აქედან გამომდინარე, უნდა ვთქვათ და დავწეროთ:

დავითი დაჰპირდა სიმონს დახმარებას.

ან: დავითი მოუყვა სიმონს ამბავს.

შეცდომაა: დავითმა დაჰპირდა სიმონს დახმარება; ან დავითმა მოუყვა სიმონს ამბავი.

10. mag.: გავადიდოთ აკადემიური წარმატების დონე (უნდა იყოს: ავამაღლოთ), რადგან დონის არც გადიდება შეიძლება, არც დაპატარავება, დონე მაღლდება ან ქვეითდება (აიწევს- დაიწევს).

ზემოაღნიშნულის მსგავსად, ძალზე ხშირია მრავალი სხვა ქართული სიტყვის არასწორად გამოყენების შემთხვევები. შეცდომათა თავიდან აცილების მიზნით ასეთი, შედარებით გავრცელებული სიტყვები (ხშირად სათანადო კონტექსტით) ხელმისაწვდომი (გამარტივებული) სახით „სწორია" – არასწორია" ფორმებით მოგვყავს.

= ა =

სწორია: აბიტურიენტი; ავტომანქანა პყავს; ატყუებს; ადგილი დაიკავა; საესებით სერიოზულად; ახლა, ახლავე, ახლახან.

არ არის სწორი: აბითურიენტი; ავტომანქანა აქვს; ატყვილებს, ატყუილებს; ადგილი დაისაკუთრა; აბსოლიტურად სერიოზულად; ეხლა, ეხლავე, ეხლახან, ახლახანს;

= ბ =

სწორია: ბედს ეწია; ბედნიერებას მოჰგერის; გულისხმიერად ეკიდება; აქვს გამოცდილება; გულიდან ვერ გადაიგდო; ხელახლა დამირეკე; დედაენა; დაპატიმრებულია; ვიზიტით ჩამოვიდა;

არ არის სწორი: ბედი ეწეია; ბედნიერებას მიანიჭებს; გაგებით ეკიდება; გააჩნია გამოცდილება; გულიდან ვერ მოიშორა; გადმომირეკე; დედა ენა; პატიმრობაშია აყვანილი; ვიზიტად ჩამოვიდა.

სწორია: თავი ღირსეულად უჭირა; იმაღლებს ცოდნის დონეს; იანვარში; კინოსურათის (ფილმის) სანახავად; მკაცრი (ლმობიერი) განაჩენი; მორწმუნე ქალი; მკაცრად იცავენ; მეტისმეტად ირღვევა; 10 კმ გაიარა.

არ არის სწორი: თავი ღირსეულად ეკავა; იმდიდრებს ცოდნის დონეს; იანერის თვეში; კინოს სანახავად; მძიმე (მსუბუქი) განაჩენი; რელიგიური ქალი; სასტიკად იცავენ; სასტიკად ირღვევა; 10 კმ მანძილი გაიარა.

სწორია: უპირველესი ამოცანა; პერტურბაცია; სიტყვით გამოვიდა; სიცივემ ამიტანა; სულ იმას ამბობდა; სიხარულს (სიამოვნებას) მოჰგვრის; უხრწნელყოფილ იქნეს.

არ არის სწორი: ნომერ პირველი ამოცანა; პერეგრუბაცია; საკუთარში გამოვიდა; სიცივე დამეუყლა; სულ იმას იძახდა; სიხარულს (სიამოვნებას) მიანიჭებს; უზრუნველყოფილ იქნას;

საკარჯიშო

გაასწორეთ

1. თამადა გემრიელ სიტყვებს წარმოთქვამდა.
2. მისი მეზობელი ზნედაკარგული ადამიანია.
3. გუშინ მაგარი ქარი ქროდა.
4. მანქანა უშნოდ მუშაობდა.
5. თამარი წყნარად აზროვნებდა.
6. ქუჩებში მძიმე ბრძოლა გაიმართა.
7. ის თუ არ მოსულიყო, საქმე ცუდად დამთავრდებოდა.
8. მას გონება გამოცლილი ჰქონდა.
9. მელა ეზოში დაძუნძულებდა.
10. რუსუდანი მასწავლებლად სოფელში გაანაწილეს.
11. პოეტმა თავისი ჰანგი გულწრფელად ააჟღერა.
12. დასასვენებელი სახლი ცუდად არის კეთილმოწყობილი.
13. სტუმარი სახეშეკრული იჯდა.
14. სკოლის დირექტორი დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდების აკადემიური დონის გაღრმავებას.

პლეონაზმი ბერძნული სიტყვაა და ზედმეტობას, სიჭარბეს, მრავალსიტყვაობას ნიშნავს. პლეონაზმი ეწოდება წინადადებაში აზრობრივად ერთმანეთის მსგავსი სიტყვების უადგილო გამოყენებას. ამიტომ ასეთ სიტყვებს შორის ერთი, ჩვეულებრივ, ზედმეტია. მთავარი ისაა, რომ ამ ზედმეტი სიტყვის ამოღებით წინადადების აზრი არ იცვლება.

მაგ.: საქართველოს მთავარი დედაქალაქი არის თბილისი.

ამ წინადადებაში სიტყვა „მთავარი“ ზედმეტია, ვინაიდან დედაქალაქი თავისთავად მთავარი ქალაქია.

მაგ.: ეს იყო მსახიობის პირველი დებიუტი.

ამ წინადადებაშიც სიტყვა „პირველი“ ზედმეტია, რადგან თვითონ „დებიუტი“ გულისხმობს პირველს.

ასეთივე ხასიათისაა: „კარგი ავტორიტეტი“. აქ სიტყვა „კარგი“ ზედმეტია, ავტორიტეტი უკვე შეიცავს ამ სიკარგეს. „ცუდი ავტორიტეტი“ არასწორი გამოთქმაა, გამოგვიდის „ცუდი კარგი“ „ცუდი დამსახურებაო“. ამ გამოთქმას უნდა შევუნაცვლოთ „ცუდი რეპუტაცია“.

პლეონაზმი რამდენიმენაირად იჩენს თავს:

1. ერთნაირი სიტყვები ერთ, მცირე, მონაკვეთში.

მაგ.: ამ დილით დათომ შეძლო ადრე ადგომა, რაც მას ძალიან მოეწონა. მან საჩქაროდ დაიბანა ხელ-პირი და სავარჯიშოდ მოემზადა.

წინადადება ასე უნდა გასწორდეს:

ამ დილით დათომ შეძლო ადრე ადგომა, რაც ძალიან მოეწონა, საჩქაროდ დაიბანა ხელ-პირი და სავარჯიშოდ მოემზადა.

2. არაერთნაირი სიტყვები, რომელთა შორის ერთი ზედმეტია იმის გამო, რომ ერთსა და იმავე შინაარსს გამოხატავენ.

მაგ.: ციხესიმაგრეს ირგვლივ გარშემორტყმული ჰქონდა მაღალი გალავანი. (უნდა იყოს: ციხესიმაგრეს გარშემორტყმული ჰქონდა მაღალი გალავანი ან ციხესიმაგრეს ირგვლივ შემორტყმული ჰქონდა მაღალი გალავანი).

სიტყვა ირგვლივ შინაარსობრივად იმასვე გამოხატავს, რასაც გარშემორტყმული.

3. პლეონაზმს ქმნის „ხოლო“ და „კი“ კავშირების ერთად ხმარება.

მაგ.: მე ჭერს შევცქეროდი, ხოლო დათიკო კი ქუჩას აოვალიერებდა.

ამ წინადადებაში ერთ-ერთი მაპირისპირებელი კავშირი საჭირო არ არის. უნდა დავტოვოთ ან „ხოლო“ ან „კი“.

სწორი წინადადება იქნება: „მე ჭერს შევცქეროდი, ხოლო დათიკო ქუჩას ათვალიერებდა“ ან „მე ჭერს შევცქეროდი, დათიკო კი ქუჩას ათვალიერებდა“.

4. პლეონაზმია ისეთი მრავალსიტყვიანი თქმებიც, სადაც ერთი სიტყვით გადმოსაცემი შინაარსის გამოსახატავად ნახმარია რამდენიმე სიტყვა.

მაგ.: მათ თანხმობა გამომიცხადეს (უნდა იყოს: ისინი დამეთანხმნენ).

როდესაც მოუბარს მარტო აზრის გამოხატვა კი არ სურს, არამედ მსმენელზე ან მკითხველზე ზემოქმედებაც, მაშინ შეგნებულად (ხაზგასმით) გამოყენებული ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები პლეონაზმად არ ჩაითვლება. ასეთ სიტყვებს სტილური დანიშნულება ექნებათ. ასეთი დანიშნულებისაა სინონიმებისაგან შედგენილი რთულფუძიანი სახელები: სვე-ბედი, ბედიღბალი, ოხერ-ტიალი, სინდის-ნამუსი, ალალ-მართალი და სხვ.

სავარჯიშო

გაასწორეთ

1. რაიონის მთავარი ცენტრი ბოლნისი განთქმული იყო ნოყიერი მიწებით.
2. ხელი მაღლა აწია.
3. გიო ოთახში შიგნით ვერ გაჩერებულიყო.
4. მომღერლის პირველმა ღებიუტმა კარგად ჩაიარა.
5. ჩამოდით ქვევით.
6. მტრედები გაკერით მიდიოდნენ, ხოლო მწყერი კი დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა.
7. ჩვენს ქარხანაში ადგილი ჰქონდა საწვავი მასალის გადახარჯვის ხშირ შემთხვევებს.
8. მეგობრობა აერთებს და აკავშირებს ადამიანებს.
9. ბავშვი შინ თავისი ფეხით წავიდა.
10. სანატორიუმმა ხელახლა განაახლა მუშაობა.
11. მათ თანხმობა გამომიცხადეს.
12. გიორგი კარგი ავტორიტეტით სარგებლობს.
13. იგი ფრჩხილებით იკაწრავდა თაყის პირისახეს.

ტავტოლოგია

ტავტოლოგია არის ფუჭი მრავალსიტყვაობის ერთ-ერთი სახე და ნიშნავს ერთი და იმავე სიტყვის ან თქმის რამდენიმეჯერ გამოყენებას წინადადებაში ან აბზაცში. იგი უარყოფითი მოვლენაა, მეტყველების სიღარიბის ნიშანია.

მაგ.: „ჩვენ მიერ გაგზავნილი წერილის პასუხად ასეთი პასუხი მივიღეთ“.

ამ წინადადებაში სიტყვა „პასუხი“ არ უნდა გამეორდეს. წინადადება შემდეგნაირად უნდა გასწორდეს.

„ჩვენ მიერ გაგზავნილ წერილზე ასეთი პასუხი მივიღეთ“. ან „ჩვენ მიერ გაგზავნილი წერილის პასუხად მივიღეთ“.

ტავტოლოგიის თავიდან აცილება განმეორებადი სიტყვის ერთ-ერთი ფორმის სხვა, მისი სინონიმური, სიტყვის ჩანაცვლებით შეიძლება.

სავარჯიშო
გაასწორეთ

1. პოეტის ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, ჩვენ დავინახავთ, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა პოეტის მოღვაწეობაზე ამ ფაქტმა.
2. ამ რამდენიმე წლის წინ – 1965 წელს – სპორტის სასახლეში მოეწყო ქართული ცეკვის რესპუბლიკური კონკურსი. კონკურსში მონაწილეებს უნდა შეესრულებინათ ცეკვა „ქართული“.
3. ნინო ადრე უნდა ადგეს, უნდა ივარჯიშოს და სამსახურში ურდა წავიდეს.
4. ის ახლა უნდა იჯდეს და ხარობდეს და მე კი უნდა ჯავრით ვსკდებოდე?
5. ჩვენმა ქვეყანამ დიდ წარმატებებს მიაღწია როგორც მრეწველობის განვითარების დარგში, ისე ტექნიკის განვითარების დარგში.
6. თინათინი კი ზის არაბეთის სამეფო ტახტზე და ბრძნულად განაგებს არაბეთის სახელმწიფოს საქმეებს.
7. ილია ჭავჭავაძეს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი საკითხი, რომელზედაც არ ეთქვას თავისი სიტყვა. მრავალი საკითხიდან მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბატონყმობის საკითხს. ამ საკითხს მან მიუძღვნა რამდენიმე ნაწარმოები.
8. ნესტანი თავის საქმროს მიმართაეს, რომ მან თავის ქვეყანაში შემოსულ მტრებს წინააღმდეგობა გაუწიოს და განდევნოს ისინი თავისი ქვეყნიდან.
9. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და კორკოტს მიუტანდა ხოლმე წვრილშეილიან დედაკაცს, თან ერთი რიგიანად გამოლანძღავდა ხოლმე ასეთი უქნარობისათვის.
10. ყველა გლახა, რომელიც კი ოთარაანთ ქვრივის სახლს მიადგებოდა ხოლმე, უკან ხელცარიელი არ ბრუნდებოდა ხოლმე.
11. იგი ხედავდა, რომ ბერძნული სარწმუნოება ჩინებული საშუალება იყო იმისათვის, რომ მთავრის ძალაუფლება განმტკიცებულიყო.
12. მუშაობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისათვის კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სიტყვის გამეორება წინადადებაში ყოველთვის არ არის დაუშვებელი. თუ აზრის ძლიერი ემოციით გამოხატვა გვსურს, ამა'ში სწორედ ეს ე.წ. „სიტყვის გამეორება“ დაგვეხმარება.

მაგ.: ძალიან, ძალიან გამიხარდა შენი ნახვა.

ე.ი. ტავტოლოგიის ერთადერთი დადებითი ფუნქცია აზრის ემოციურად გამოხატვისათვის ხელშეწყობაა.

სავარჯიშო

აღნიშნეთ რა დატვირთვა აქვთ გამეორებულ სიტყვებს

1. ძიძიას შესტრფოდნენ ბევრნი, ძალიან ბევრნი.
2. ამ ამბავმა ძალიან, ძალიან შემაფიქრიანა.
3. აშკარად ვგრძნობ, რომ ტყე, ჩემი შორებელი და თან ახლობელი ტყე, მიგზავნის მოკითხვის სალამს.
4. შორს, ძალიან შორს შავი წერტილი გამოჩნდა.

შტამპი და კანცელარიზმი

შტამპი, ტრაფარეტული გამოთქმები, კანცელარიზმები ისეთი სიტყვები ან სიტყვათა შენაერთებია, რომლებიც უცვლელად იხმარება როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველების დროს. მათ ყოველთვის ოფიციალური ტონი ახლავთ და ამიტომ ძირითადად ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილში გამოიყენება. სხვაგან თითქმის არ გვხვდება და თუ სადმე იყენებენ, მათაც სტილისტიკურ ფუნქციას აკისრებენ.

ასეთებია:

1. ოქმებში ხმარებული სიტყვები – დღის წესრიგი, მოისმინეს, დაადგინეს;

2. განცხადებაში ხმარებული სიტყვები – გაცნობებთ, გთხოვთ, განცხადებას თან ერთვის და სხვ.

ესენი საკანცელარიო ენისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა და შეცვლა არ სჭირდებათ. მაგრამ დაუშვებელია, როდესაც ტრადიციულად განმტკიცებული შტამპები საკანცელარიო და პროფესიული ენიდან მხატვრულ მეტყველებაში გადააქვთ. თხრობა ასეთ შემთხვევაში არაბუნებრივია, ემოციურობასა და ეფექტურობასაა მოკლებული.

ქართულში დღესდღეისობით ძალზე გავრცელებულია შემდეგი შტამპები:

1. „ბრძოლა გამოუცხადა“ (უნდა იყოს: შეებრძოლა).
2. „წითელი ზოლივით გასდევს“ (უმთავრესი ადგილი უკავია).
3. „ისინი სათანადო ზრუნვას არ იჩენენ“ (უნდა იყოს: ისინი მათზე სათანადოდ არ ზრუნავენ).
4. „ფართო გასაქანი ეძლევა“ (უნდა იყოს: თანდათან ძლიერდება).
5. „მტკივნეული საკითხი“. ეს გამოთქმა თანამედროვე მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა მისი გამოყენება გამართლებული არ არის.

მტკივნეული შეიძლება იყოს სხეულის რომელიმე ნაწილი. საკითხის მტკივნეულობა გაუგებრობაა.

მაგ.: „ამ წერილში გვინდა შევეხოთ ზოგიერთ მტკივნეულ საკითხს“, არ ვარგა.

ეს წინადადება შემდეგნაირად უნდა შევასწოროთ: „ამ წერილში გვინდა შევეხოთ ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხს“.

6. „საქმე“. ეს სიტყვაც შტამპად არის ქცეული და ხშირად უმართებულოდ იხმარება.

მაგ.: კინოს ოსტატთა სასახელო საქმეა თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში (უნდა იყოს: ვალია).

ყოველწლიურად ახალ საგმირო საქმეებს აღწევენ მეჩაიეები (უნდა იყოს: წარმატებებს აღწევენ).

მეტად გულისხმიერად ეკიდებიან ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულების საქმეს (უნდა იყოს: შესრულებას).

7. „საკითხი, მიზნით“. ეს სიტყვებიც „საქმის“ მსგავსად შტამპებადაა ქცეული.

მაგ: დროა გონივრულად მიეუდგეთ წყლის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხს (უნდა იყოს: ხარჯვას).

წამოიწყო მთელი რიგი ოპერაციები ქალაქის ხელში ჩაგდების მიზნით (უნდა იყოს: ჩასაგდებად).

8. „ამბავი". წინადადებაში ეს სიტყვა ხშირად ზედმეტია ხოლმე და მხოლოდ ორნამენტის ფუნქციას თუ ასრულებს.

მაგ.: ძლიერ მიხარია ის ამბავი, რომ ღირსეულ მამას ღირსეული შვილი ჰყავხარ. (უნდა იყოს: ის, რომ).

მე განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ იმ ამბავს, რომ ჯერ არ გვაქვს საამისო ბაზა (უნდა იყოს: იმას, რომ).

ნაწარმოების თარგმნა არ იყო იოლი ამბავი (უნდა იყოს: იოლი).

სიტყვა „ამბავი" ზოგჯერ სხვა სიტყვის ნაცვლად გამოიყენება.

მაგ.: ჩვენ ხშირად უარეს ამბავთან ხომ არა გვაქვს საქმე? (უნდა იყოს: შემთხვევასთან).

მიხეილის სიკვდილის ამბავმა შეაძრწუნა სასახლის პატრონები. (უნდა იყოს: ცნობამ).

როგორც ვხედავთ, „ამბავი" ამ სიტყვის მნიშვნელობის გუმართლებლად გაფართოების გამო შტამპად ქცეულა.

9. „აწარმოებს", „ატარებს" – ეს სიტყვები ტრაფარეტებსა და შტამპებში ძალზე ხშირად გამოიყენება.

მაგ.: მუშაობას ატარებს (უნდა იყოს: მუშაობს).

კონცერტი ჩატარდა (უნდა იყოს: გაიმართა).

საღამო ჩაატარა (უნდა იყოს: მოაწყო).

ლექციას ატარებს (უნდა იყოს: კითხულობს).

უმუშევრობა მასობრივ ხასიათს ატარებს (უნდა იყოს: მასობრივი ხასიათისაა).

ტანსაცმელს ატარებს (უნდა იყოს: აცვია).

სათვალეს ატარებს (უნდა იყოს: უკეთია, ხმარობს, იყენებს).

მატარებელს ატარებს (უნდა იყოს: მიჰყავს).

„აწარმოებს" ზმნის მეშვეობით ენაში შემდეგი სახის შტამპები გვხვდება:

ბოსტნეული ეაწარმოეთ (უნდა იყოს: მოვიყვანეთ).

ყურძენი აწარმოეს (უნდა იყოს: მოკრიფეს).

სურსათი აწარმოეს (უნდა იყოს: დაამზადეს).
აწარმოებს მიღებას (უნდა იყოს: იღებს).
საუბარი მინდა ვაწარმოო (უნდა იყოს: მინდა ვისაუბრო).
ხე-ტყის გამოზიდვა ვაწარმოოთ (უნდა იყოს: გამოვზიდოთ).

ქართულ ენაში შემდეგნაირი შტამპიანი თქმებიც გვხვდება:	მათ უნდა შევუნაცვლოთ ასეთი უშტამპო თქმები:
1. მას გამოყენება აქვს მშენებლობის დარგში.	1. მას იყენებენ მშენებლობაში.
2. ისინი მასზე სათანადო ზრუნვას არ ირენენ.	2. ისინი მასზე სათანადოდ არ ზრუნავენ.
3. გუალვამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მოსავალს.	3. გუალვამ მნიშვნელოვნად დააზიანა მოსავალი.
4. რეჟიმმა დეპუტატმა დროზე უზრუნველყო ამომრჩეველთა განაწესის შესრულება.	4. რეჟიმა დეპუტატმა დროზე შეასრულა ამომრჩეველთა განაწესი.
5. ახლა მიმდინარეობს საწარმოო პროცესის ავტომატურ მართვაზე გადაყვანა.	5. ახლა საწარმოო პროცესი ავტომატურ მართვაზე გადაყავთ.
6. მასზე ზრუნვას არ ირენენ.	6. მასზე არ ზრუნავენ.

სავარჯიშო

გაასწორეთ

1. ხელნაწერის გასწორების საქმეზე ერთ თვეს მუშაობდა.
2. ყოველწლიურად ახალ საგმირო საქმეებს აღწევენ მეჩაიეები.
3. პროფესორ ფ. გოგიჩაიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის დამუშავების საქმეში.
4. განზრახვის სისრულეში მოყვანას მიზნით დაედევნა გურგენიძეს.
5. უნდა მივიჩნიოთ ჭეშმარიტად ის ამბავი, რომ ვინც ერთხელ არ გაამართლა ნდობა. ალარ ვენდოთ.
6. მე განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ იმ ამბავს, რომ ჯერ არა გვაქვს საამისო ბაზა.
7. ნონამ ტოლი არაყის დაუდო და საუცხოო მომზადება გვიჩვენა. ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა აქვს ა. კუშნირთან მსოფლიო პირველობაზე მატჩის წინ.
8. ის გოგონა შაე სათვალეს ატარებს.
9. დიდი სკა-ბაასი გაიმართა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საკითხზე.
10. უმუშევრობა მასობრივ ხასიათს ატარებს.

კალკი

კალკი ფრანგული სიტყვაა. იგი სხვა ენის მოდელის გადმოღებას და წინადადების ან გამოთქმის მშობლიურ ენაზე ამ მოდელით აგებას ნიშნავს.

საერთოდ კალკი, როგორც სესხების ერთ-ერთი სახე, ენის გამდიდრების საშუალებაა. მაგრამ კალკის მომარჯვება იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა მშობლიურ ენაზე მისი შესატყვისი სიტყვა ან გამოთქმა არ მოიძებნება. სტილის თვალსაზრისით, კალკი ისე უნდა გამოვიყენოთ, რომ მშობლიურ ენას არ ვავნოთ და კარგი ქართული გამოთქმა ცუდი უცხოურით არ შევცვალოთ.

თანამედროვე ქართულ ენაში უცხო ენებიდან უამრავი კალკია შემოსული. განსაკუთრებით ეს რუსულ ენაზე ითქმის. მაგ.: „ადგილი აქვს“ («Имеет место»), ნიშნავს: ხდება ხოლმე, რისამე შემთხვევები არის, შეინიშნება რამე. იგი ქართულისთვის ბუნებრივ გამოთქმებს ენაცვლება და სტილისტიკურად მიუღებელია.

მაგ.: მოსწავლის დღის რეჟიმის დარღვევას თითქმის სისტემატურად ადგილი აქვს. (უნდა იყოს: მოსწავლის დღის რეჟიმი თითქმის სისტემატურად ირღვევა).

მაღაზიაში ადგილი ჰქონდა ფასების დამახინჯების შემთხვევებს. (უნდა იყოს: „მაღაზიაში ამახინჯებენ ფასებს“ ან „იყო დამახინჯების შემთხვევები“).

1. „უზრუნველყოფს“. სტილისტიკის თვალსაზრისით, ამ ზმნის უადგილო გამოყენებით უამრავი კალკი გაგვიჩნდა, მაგ.: უზრუნველყოფს დამთავრებას (უნდა იყოს: დაამთავრებს); უზრუნველყოფს შეძენას (უნდა იყოს: შეიძენს); ვერ უზრუნველყო გაჩერება (უნდა იყოს: ვერ გააჩერა).

2. „შეცდომა“.

სიტყვა „შეცდომასთან“ დაკავშირებით ქართულში გვაქვს ბუნებრივი გამოთქმა – „ის შეცდა“, რუსულად – Он ошибся, მაგრამ იგივე შინაარსი რუსულმა ენამ გამოხატა დანაწევრებულად: «Он допустил ошибку». აქედან გამომდინარე, ქართულ ენაშიც გაჩნდა კალკირებული გამოთქმები: „შეცდომა დაუშვა“, „შეცდომა ჩაიდინა“. ეს კი ქართული ენის ბუნებისათვის შეუთავსებელია.

„შეცდომა“ იმ ტიპის ზმნებს განეკუთვნება, რომლებისთვისაც უცხოა ე.წ. ნებისმიერი, ნებაყოფლობითი მოქმედება. ქართული ენობრივი ფსიქოლოგიის მცოდნემ არ შეიძლება შეგნებულ მოქმედებათა სფეროში მოაქციოს ეს ზმნა. შეცდომა მოსდით, ეპარებათ. ქართულში ეს უნებლიობის გახაზვის საჭიროება უთუოდ უნდა იყოს დაცული.

უნდა ეთქვათ: „შეცდომა მოუვიდა, გაეპარა“ და არა „შეცდომა დაუშვა, ჩაიდინა“.

ამ რიგისაა „სისულელე მოუვიდა“ და არა „ჩაიდინა“.

კალკებია: დახმარება აღმოუჩინა (უნდა იყოს: დაეხმარა).
შეფასება მისცა (უნდა იყოს: შეაფასა).
წესრიგში მოიყვანა (უნდა იყოს: მოაწესრიგა).
დავალება მისცა (უნდა იყოს: დაავალა) და ა.შ.

სავარჯიშო

გაასწორეთ

1. დავალება იმაეე დღეს მოიყვანა სისრულეში.
2. ის იყო მთერალ მდგომარეობაში.
3. ფილმში დაკავებული არიან ცნობილი მსახიობები.
4. მასალის გადატანა ხორციელდება ავტომანქანებით.
5. ამჟამად გაყიდვაშია ახალი საქონელი.
6. როცა წარმოება მომგებიანია, ადგილი აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას.
7. ამ პროცესში ადგილი აქვს მოლეკულების დაშლას.
8. ინსპექტორმა ვერ უზრუნველყო მანქანის გაჩერება.
9. გამყიდველმა ვერ უზრუნველყო დავალიანების დაფარვა.
10. გეგმის შესრულებაში ვერ კიდევ ადგილი აქვს ჩამორჩენას.
11. მძღოლი, რომელიც მთერალ მდგომარეობაში იყო, საშინლად დაშავდა.
12. შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა სამი მუშა.
13. ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში ადგილი აქვს კულტურების დაღუპვას.
14. ადგილი აქვს საქების არა მარტო უყაირაოო ხარჯვას, არამედ დატაცებას.

ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა დამახინჯება

ენაში ჩვეულებრივ სიტყვებთან, შესიტყვებებთან, წინადადებებთან ერთად გვხვდება ისეთი სიტყვათშეერთებები, რომელთა მნიშვნელობა გადატანითია, სემანტიკურად ერთიანია, დაუშლელია და აზრის ლამაზად გამოხატვას (გამოთქმას) ემსახურება. ამგვარ შესიტყვებებას ფრაზეოლოგიურ ერთეულებს უწოდებენ, ხოლო მის შემსწავლელ დისციპლინას – ფრაზეოლოგიას.

ფრაზეოლოგიზმებს მიეკუთვნებიან:

1. იდიომატური გამოთქმები, მაგ.: გულზე ცეცხლი ეკიდება, ჭურში ზის, უყარე კაკალი, გული მოულბო, წყალი შეუყენა, ოქროში ჩასცა, გზა მისცა, ლელო გაიტანა, აინუნშიაც არ მოსდის, არაქათი გამოეცალა, ისტიჰარს არ იტეხს, ყურებზე სახეი არ დამაჭრას და სხვ.
2. ფრაზეოლოგიური შესიტყვებები. მაგ.: სიჩუმე ჩამოვარდა, ეჭვი შეეპარა, ოცნებაში წავიდა, ყურადღება მიიზიდა, ძილი გაუტყდა, შიში ჭამა, ძილი ერევა, მწარე გაკვეთილი, სიხარულმა შემიპყრო და სხვ.
3. ანდაზები. მაგ.: ძაღლი ვინც მოკლა, იმან გადაათრიოს.
4. აფორიზმები. მაგ.: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.
5. ხატოვანი სიტყვა-თქმანი. მაგ.: პასუხი მოუჭრა, კაეშირი გა-

აბა, მწარე ხვედრი.

6. ტერმინოლოგიური სიტყვათშეერთებები, რომლებიც გადატანითი მეტაფორიზებული მნიშვნელობისანი არიან. მაგ.: სიმძიმის ცენტრი, არქივს ჩაბარდა, ავანსცენიდან წავიდა და სხვ..

მთელ ფრაზეოლოგიურ მასალას ემოციურ-ექსპრესიული ფუნქცია აკისრია და მეტყველებას მრავალფეროვანს, უფრო მოქნილს და ხატოვანს ხდის.

„სცემს“ ნაცვლად რომ ვიტყვით „ცხვირი მოუნაყა“, „ზურგი აუჭრელა“, „გვერდები დაუზილაო“, – ამ ემოციურ კონტექსტში მთქმელის ირონიული დამოკიდებულება მომხდარი ობიექტისადმი უფრო ნათლად გამოჩნდება.

ხშირია შემთხვევები, როცა მახინჯდება ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, გვხვდება შეუსაბამობა შესიტყვებაში სიტყვის შერჩევისას. ეს კი აზრის ბუნდოვანებას იწვევს.

შეცდომაა: გულაღმა დაემხო; გულს ინუგეშებს; მადლობა მოუხადა; მარცხი მიაყენა; ქანცი გაძვრა; სასიკეთო პირი უნდა მოჰყოლოდა; რა გზას სწეოდა; აღიგავა მიწისაგან პირისა;

უნდა იყოს: გულაღმა დაეცემა, მაგრამ პირქვე დაემხობა; გულს იმშვიდებს, მაგრამ თავს ინუგეშებს; მადლობა გადაუხადა – ბოდიში მოუხადა; ბრაზი მოერია; მარცხი მოუვიდა; ქანცი გაუწყდა – სიქა გასძვრა; კარგი (ცუდი, სასიკეთო) პირი უჩანს; რა გზას დასდგომოდა – ბედს სწეოდა; აღიგავა პირისაგან მიწისა.

სავარჯიშო

დაასრულეთ ანდაზები

1. მჩხავანა კატა თაგეს ..
2. არა შუჯდა მწყერი ხესა, არა იყო –
3. ნაჩუქარ ცხენს კბილი –
4. სჯობს გეიან ..
5. მჯობს მჯობი არ...
6. მაძლარს მშიერიც მაძლარი –
7. ცდა ბედის ..
8. ხერხი სჯობია ღონესა –

9. საცა არა სჯობს ...
10. ხარი ხართან რომ დააბა ...
11. ახალი ცოცხი კარგად ...

სავარჯიშო

დაასრულეთ აფორიზმები

1. ლეკვი ლომისა სწორია ...
2. გველსა ხერელით ამოიყვანს ...
3. კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე ...
4. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის ...
5. ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა ...
6. სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა ...
7. ჭირსა შიგან გამაგრება ...
8. აესა კაცსა ავი სიტყვა ...
9. სიცრუე და ორპირობა ...
10. ბოროტსა სძლია კეთილმან ...
11. ვინ მოყვარესა არ ეძებს ...
12. თქმულა: სიწყნარე გმობილი სჯობს ...
13. რაღაა იგი სინათლე, რასაცა ...
14. ვერ დაიჭირავს სიკვდილსა ...
15. ოდეს ტურფა გაიუფდეს, არღარა ღირს ...

სავარჯიშო

გაასწორეთ

1. მადლობა მოუხადა. 2. ერთი წლის უკან. 3. დარდი მოერია. 4. მარცხი მიაყენა. 5. ქანცი გაძერა. 6. სასიკეთო პირი უნდა მოჰყოლოდა. 7. რა გზას სწეოდა. 8. აღიგავა მიწისაგან პირისა. 9. სულს ძლიევს ღაფავს. 10. წუხილ'ში ჩავარდა. 11. დარდი მოერია. 12. რა გზას სწეოდა. 13. მზადებას იჭერს. 14. გულაღმა დაემხობა. 15. გულს ინუგეშებს. 16. სტუმართმოყვარეობას გაუწევს.

პარონიმები ბერძნული სიტყვაა და გულისხმობს ფორმით მიახლოებულსა და შინაარსით განსხვავებულ სიტყვებს. კონტექსტში ერთის ნაცვლად მეორის სმარება შეუძლებელია.

მაგ.: იწყობს – იწყებს; მოწმე – მოწამე; ორდენი – ორდერი; აფექტი – ეფექტი; აბონენტი – აბონემენტი; ადრესატი – ადრესანტი; პოეტური – პოეტიკური; მეთოდური – მეთოდიკური.

1. ინსტანცია – დისტანცია

ინსტანცია ყოველი საფეხურის ერთმანეთისათვის დაქვემდებარებას ნიშნავს. მაგალითად, სასამართლო, ადმინისტრაციულ და სხვა ორგანოების სისტემაში.

დისტანცია ჰქვია მანძილს ორ პუნქტს შორის.

2. სწორად – სწორედ

„სწორად“ ზმნიზედა რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება:

1. პირდაპირ, მიხვევ-მოხვევის გარეშე.
2. სინამდვილის შესაბამისად, ნამდვილად, ჭეშმარიტად, მართებულად.
3. თანასწორად, თანატოლად, თანაბრად.

მაგ.: ხომ შეიძლება იჯდე პირიქით და მაინც სწორად ილაპარაკო.

ქვევრს სახურავი სწორად ეხურა.

რაც შეეხება ზმნიზედას „სწორედ“, მან ერთგვარი დამხმარე სიტყვის ფუნქცია მიიღო. იგი იხმარება მაშინ, როდესაც უნდათ წინადადების რომელიმე წევრის ან მთელი წინადადების გახაზვა, გამოყოფა – ნამდვილად, მართლაც, ზუსტად.

მაგ.: მე, სწორედ, ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ.

ჯაყარა სწორედ იმგვარად მოიქცა.

საავარჯიშო

გაასწორეთ

1. ისინი სწორად იმას სჩადიან.
2. ჩონჩხის ძვლები რომ არ ყოფილიყო, ადამიანი ვერ შეძლებდა სწორედ დგომას.
3. ფიქრია ჯერ სწორედ იჯდა, მერე ხელებზე დაებჯინა.
4. საკმარისია კაცს შეეხედო, რომ სწორედ გითხრა, რა ნივთიერებისგან შეწებებული გახლავთ იგი.
5. ამირანმა სწორედ ააგო ბრძოლის ტაქტიკა.

_____

_____

_____

_____

_____

3. 'შეიქმნა - 'შეიქნა

"შეიქმნა" ნიშნავს: დაარსდა, გაჩნდა, ჩამოყალიბდა, წარმოიშვა, მოეწყო, გაკეთდა.

მაგ.: სამხედრო ორგანიზაცია შეიქმნა.

აქ წმინდა შემოქმედებითი ატმოსფერო შეიქმნა.

„შეიქნა" კი შედგენილი შემასმენლის დამხმარე ზმნის ფუნქციას ასრულებს და ნიშნავს: გახდება, გადაიქცევა, გაიმართება.

მაგ.: მე სრულიად თანასმა შევიქენი თქვენი ბრძანებისა.

გიორგი მოულოდნელად ავად შეიქნა.

საერჯოშო

გასწორეთ

1. უცებ თითქოს ყველაფერი ნათელი შეიქმნა.
2. თურქებმა სასტიკად დააშარცხეს ბიზანტია. ეს უკანასკნელი იძულებული 'შეიქმნა თავისი აღმოსავლეთის სამფლობელოები მათთვის დაეთმო.
3. შეიქმნა ჭალების გაბმული კიეთლი.
4. დღეს კიდევ ახალი პარტია შეიქნა.
5. მეტი შესაძლებლობა შეიქმნა კულტურულ ურთიერთობათა განსახორციელებლად.

4. კამპანია – კომპანია

„კამპანია“ ნიშნავს:

1. სამხედრო ლაშქრობა, საომარი მოქმედება.
2. რომელიმე ერთდროული საზოგადოებრივ – პოლიტიკური ამოცანის გადასაწყვეტად ჩატარებული საქმიანობა.

სიტყვა „კამპანია“ არაერთ მყარ გამოთქმაში იღებს მონაწილეობას.

მაგ.: საარჩევნო კამპანია, გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია, მოსავლის აღების კამპანია.

„კომპანია“ ნიშნავს:

1. ამხანაგობა სავაჭრო ან სამრეწველო.
2. რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ერთად ატარებენ დროს, თანამესუფრენი.

მაგ.: ჩვენ გვერდით მხიარული კომპანია შემოსხდომოდა სუფრას.

ჩვენს კომპანიაში ქალს არ ვაჭაჭანებდით.

სავარჯიშო

გაასწორეთ

1. სვამენ, როცა თავს ვერ აღწევენ ცუდ კამპანიას.
2. მიყვარს თეთრკანიანი მეგობრების კამპანიაში სმა.
3. კამპანია გამიწიე, თორემ ხომ იცი, ნათქვამია, მარტო კაცი ჭამაშიაც შესაბრალისიაო.
4. დაიწყო გაზეთებზე ხელმოწერის კომპანია.
5. ყოველი მნიშვნელოვანი კომპანიისას ეწყობა რეიდები რედაქციასთან ერთად.

5. პირი – პიროვნება

„პირის“ სინონიმებია: ვინმე, მაგანი. სახელი „პირი“ ცალკე, მსაზღვრელის გარეშე არ იხმარება.

მაგ.: მოქმედი პირი, კერძო პირი, თანამდებობის პირი.

„პიროვნების“ მნიშვნელობა უფრო ვიწროა. თუ „პირი“ შეიძლება იყოს უცნობი, შემთხვევითი, ნებისმიერი, „პიროვნება“ ნაცნობია და კონკრეტული, გამორჩეული მორალური და ინტელექტუალური თვისებებით. მასთან დადებითი შინაარსის ეპითეტები იხმარება.

მაგ.: განსაკუთრებული პიროვნება, გამორჩეული პიროვნება, იშვიათი პიროვნება, ძლიერი პიროვნება, კარგი პიროვნება.

ნეიტრალური ინფორმაციის შემცველი სიტყვები – რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და ზოგიერთი მიმღეობა შესიტყვებას „პირ“ სიტყვასთან ქმნიან და არა „პიროვნებასთან“.

მაგ.: რამდენიმე პირი, რომელიმე პირი, უცნობი პირი.

„ის კარგი პიროვნებაა“ მაგრამ „დააკაკეს ორი პირი“.

სავარჯიშო

გაასწორეთ

1. დაწესებულების მანქანას უნდა იყენებდეს ის პიროვნება, ვისაც ტრანსპორტია მიმაგრებული.
2. სასამართლომ განიხილა 8 პიროვნების საქმე.
3. ზოგიერთმა პიროვნებამ საჭიროდ ჩათვალა დაეცვა სახალხო მკურნალები.
4. ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება, რომ ამ პიროვნებას კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს.
5. ის პიროვნებები, რომლებიც შეამჩნევენ რაიმე უწესრიგობას, მოუალენი არიან გვაცნობონ.
6. წესრიგის დამრღვევი პიროვნებები გასამართლდებიან.

6. აღქმა – აღთქმა

„აღქმა“ – ფსიქოლოგიის ტერმინია და აღნიშნავს ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ფაქტების ასახვის პროცესს.

მაგ.: მუსიკის აღქმა, მხატვრული ნაწარმოების აღქმა.

„აღთქმა“ – ნიშნავს დაპირებას, სიტყვის (პირობის) მიცემას.

მაგ.: „მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?“

ამ სიტყვის მონაწილეობით არის შექმნილი გამოთქმები: აღთქმის ქეყანა, ახალი აღთქმა.

სავარჯიშო
გაასწორეთ

1. მკითხველი, რომელსაც პოეტური აღთქმის მადლი აქვს მინიჭებული, მიხვდება.
2. აგრე გეგონოთ, მდუმარების აღქმა დაუდიაო.
3. ეს იმ ადამიანის გულისტკივილია, რომელმაც ჯერ კიდევ ყრმობაში დადო აღქმა, რომ მშობლიურ ადგილებს კლავე სიცოცხლეს დაუბრუნებდა.

---

7. ადრესატი – ადრესანტი

ადრესატი – ნიშნავს იმას, ვისაც ეგზავნება წერილი, დეპეშა, ამანათი.

ადრესანტი – პირი, რომელიც გზავნის წერილს, დეპეშას და სხვა.

8. დიპლომანტი – დიპლომატი

დიპლომანტი – სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს.

დიპლომატი – თანამდებობის პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა.

9. ესკალატორი – ექსკავატორი

ესკალატორი – მოძრავი კიბე.

ექსკავატორი – მიწის სათხრელი მანქანა.

10. ექსპონატი – ექსპონენტი

ექსპონატი – საგანი, რომელიც გამოფენილია მუზეუმში ან გამოფენაზე.

ექსპონენტი – პირი ან ორგანიზაცია, რომელმაც გამოფენაზე

ყამოიტანა თავის მიერ შექმნილი ან მისი კუთვნილი საგანი.

11. კომპლექტი – კომპლექსი

კომპლექტი – გარკვეული დანიშნულებისათვის საჭირო საგანთა სრული შემადგენლობა.

კომპლექსი – საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა, შეხამება.

12. ორდენი – ორდერი

ორდენი – რითაც აჯილდოებენ

ორდერი – წერილობითი განკარგულება, ბრძანება, საბუთი, რომელიც რისამე მიღების უფლებას იძლევა. დაპატიმრების ორდერი, ბინის ორდერი.

13. ფაბრიკანტი – ფაბრიკატი

ფაბრიკანტი – ფაბრიკის პატრონი.

ფაბრიკატი – მზა საფაბრიკო ნაწარმი. წარმოების მიერ საბოლოოდ დამუშავებული პროდუქცია.

14. ფორმატი – ფორმანტი

ფორმატი – 1. წიგნის, ფურცლის, ბარათის და მისთ. ზომა.

2. სტრიქონის სიგრძე, ანაწყობის სიგრძე და სიმაღლე.

ფორმანტი – იგივეა, რაც აფიქსი

15. უებარი – უებრო

უებარი – განსაკუთრებით კარგი, საუკეთესო.

უებრო – ვისაც ტოლი, მსგავსი, ბადალი არა ჰყავს.

16. ცნება – მცნება

ცნება – სიტყვით აღნიშნულია შემეცნების ფორმა, რომლის მეშვეობითაც შეიცნობა ობიექტური სინამდვილის არსებითი ნიშნები.

მცნება – აღნიშნავს ზნეობრივი ხასიათის ბიბლიურ გაშონათქვამს. მაგ.: ათი მცნება, მერვე მცნება. იგი წიგნურ ენაში იხმარება გადატანითი მნიშვნელობით, მოძღვრება – დებულებების სახით. მაგ.: მოჰყევ დავითის მცნებასა.

17. დივანი – მდივანი

დივანი – ზურგიანი რბილი აეჯი დასაჯდომად და დასაწოლად.

მდივანი – ვინც აწარმოებს ან განაგებს დაწესებულების ან კერძო პირის მიმოწერებს. ვინც წერს კრების ან სხდომის ოქმს.

18. იდეალური – იდეალისტური

იდეალური – 1. მხოლოდ იდეებში, შემეცნებაში, წარმოდგენაში

არსებული, განყენებული.

2. იდეალის შესაბამისი, ამაღლებული, არამიწიერი.

3. სამაგალითო, საუკეთესო, სრულყოფილი.

იდეალისტური – რაც იდეალიზაციის პრინციპებს ემყარება, იდეალიზმის დამახასიათებელია.

19. მასიური – მასობრივი

მასიური – დიდი, მძიმე. მაგ.: მასიური კარი, მარმარილოს მასიური სვეტი.

მასობრივი – საყოველთაო, ბევრის მონაწილეობით შესასრულებელი, მრავალრიცხოვანი.

„მასიური“ შეიძლება იყოს კედელი, მაგიდა, დანადგარი, ხოლო „მასობრივი“ – ცეკვა, დემონსტრაცია, წიგნის ტირაჟი.

სავარჯიშო
გაასწორეთ

1. გახარებული იყო ადრესატი, დროულად რომ გაუგზავნა წერილი მეგობარს.
2. მოხსენებები წაიკითხეს თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის დიპლომარებმა.
3. მოეწყო მასიური მსვლელობა.
4. სპექტაკლმა მასიური მოწონება დაიმსახურა.
5. თითოეულ მოსწავლეს ექნება სახელმძღვანელოების სრული კომპლექსი.
6. გახარებულმა მამაჩემმა ბინის ორდერი მაგიდაზე დაუდო ბებიას.
7. მასწავლებელს ხელში ეჭირა მცირე ფორმანტის წიგნი.
8. სილარიბის უებრო წამალი სიბეჯითე და გარჯაა.
9. სახლის ნანგრევებთან ესკალატორი გაჩერდა.
10. ენა მდიდრდება ახალი სიტყვებით, რომლებიც საჭიროა ახალ მცნებათა გამოსახატავად.
11. დაღლილი მამაკაცი მდივანზე წამოწვა.
12. მაღაზიიდან ნახევარფაბრიკანტები მოვიტანეთ.



სინონიმი

სინონიმი განსხვავებული ბგერითი შედგენილობის, მაგრამ მნიშვნელობით ერთმანეთის მსგავს სიტყვებს ეწოდება.

სინონიმი ბერძნული სიტყვაა და „თანამოსახელეს“ ნიშნავს.

სინონიმი შეიძლება იყოს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი:

1. არსებითი სახელი:

ძალა–ღონე; აჯანყება–ამბოხება; ორჭოფობა–ყოყმანი; შხამი–გესლი; თანამეცხედრე–მეუღლე.

2. ზედსართავი სახელი:

ღარიბი–ღატაკი; ხარბი–გაუმაძღარი; მსუბუქი–მჩატე; ენაჭარტალა-ლაქლაქა; ფაქიზი-სათუთი; უკანასკნელი-საბოლოო.

3. რიცხვითი სახელი:

ბევრი–მრავალი; უამრავი–ურიცხვი.

5. ნაცვალსახელი:

ის–იგი; ისინი–იგინი.

4. ზმნა:

დაბადება–შობა–გაჩენა; დაცვა–მფარველობა; გაბრაზე-

ბა–განრისხება; ამოგანგელა–ამოსერა–ამოთხუპნა.

6. ზმნიზედა:

ზოგჯერ–ხანდახან; გონიერულად–ჭკვიანურად; განუწყვეტლად–მუდმივად–შეუჩერებლად.

სინონიმებს გამოყენების განსაზღვრული სფერო აქვს. მათ ერთმანეთის მაგივრად ყოველთვის ვერ ვიხმართ. ეს იმიტომ, რომ სინონიმები ყველა კონტექსტში ვერ შეენაცვლებიან ერთმანეთს. მაგ.: ვამბობთ „უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლე", მაგრამ ვერ ვიტყვით „უმაღლესი სასწავლებლის მოწაფე". მოსწავლე ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, მოწაფეს კი ეიწრო მნიშვნელობა აქვს.

1. ძლიერი–ღონიერი

„მეომრებმა მტერს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს".
ვერ ვიტყვით „ღონიერი წინააღმდეგობა", თუმცა ძლიერი და ღონიერი სინონიმებია.

2. სქელი–მსუქანი

ეს ზედსართავები სინონიმებია, მაგრამ ყოველთვის ერთმანეთის მაგივრად არ გამოიყენება. ვამბობთ – „სქელი ფიცარი", მაგრამ ვერ ვიტყვით „მსუქანი ფიცარი".

3. გვითხრა–გვიამბო

„მწერალმა გვითხრა, როგორ იქმნებოდა ეს რომანი". გვითხრა–გვიამბო–მოგვითხრო სინონიმებია, მაგრამ აუცილებლად

უნდა გავითვალისწინოთ ის განსხვავება, რაც ამ სიტყვათა შორის არსებობს. მწერალმა კი არ გვითხრა, არამედ გვიამბო, როგორ იქმნებოდა რომანი, რადგან ზმნები – „გვიამბო“ და „მოგვითხრო“ თხრობის შედარებით ხანგრძლივ პროცესს ასახავენ, „გვითხრა“ კი მოკლე სიტყვიერ გადმოცემას, ცნობის მიწოდებას აღნიშნავს.

4. მოყოლა–თქმა

ასევე განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობის მატარებელი არიან სინონიმური საწყისები – მოყოლა და თქმა. შეიძლება ლექსის, ცალკეული ფრაზების, სიტყვების თქმა, მაგრამ არ შეიძლება ამბის თქმა.

5. ბევრი–მრავალი

ბევრი გამოიყენება ნივთიერების სახელებთან, რომელთა სიმრავლე, სიდიდე მთლიანი და დაუნაწევრებელია (ღვინო, წყალი, ოქრო); საწყისებთან ან შინაარსობრივად მათთან ახლოს მდგომ სახელებთან (კითხვა, წერა, მუშაობა, ლაპარაკი); ზოგადი სემანტიკის პროფესიის, ხელობის, სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელ სახელებთან (მეუნახე, გამყიდველი, ოჯახი); ზმნისართული ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს ზმნებთანაც (ბევრი ვეცადე).

მრავალი ბუნებრივ შესიტყვებებს ქმნის ისეთ სახელებთან, რომლებიც თვლადია ან დანაწევრებულ მთლიანობას გამოხატავს (მთა, მდინარე, ქვეყანა, ქალაქი, ადამიანი, წელი);

6. პროფესია–ხელობა–სპეციალობა

პროფესია აღნიშნავს მუდმივ ხელობას, ადამიანის მუდმივ საქმიანობას, ხელობა გულისხმობს უპირატესად ხელით შრომას, ისეთ პროფესიას, რომელიც ხელის გაწაფვას მოითხოვს, სპეციალობაში კი იმგვარი საქმიანობა იგულისხმება, რომელიც საგანგებო პროფესიულ დახელოვნებას მოითხოვს.

პროფესია უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, ვიდრე ხელობა და სპეციალობა.

მაგ.: პროფესიით ექიმი, სპეციალობით – ქირურგი. ზმნა „შეისწავლის“ მხოლოდ ხელობასთან იძლევა ბუნებრივ შესიტყვებას ამ სიტყვის შედარებით კონკრეტული შინაარსის გამო.

7. გამოგონება–აღმოჩენა

ეს სიტყვები მსგავსი მნიშვნელობისაა, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობითი ნიუანსები აქვთ და თავთავიანთ ადგილას უნდა გამოვიყენოთ. თუკი წინადადება „კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა“ გასაგები და გრამატიკულად გამართულია, „კოლუმბმა გამოიგონა ამერიკა“ სრული უაზრობაა.

სინონიმები სტილური და ექსპრესიული ნიუანსით განსხვავდებიან. ამ ნიუანსური სხვაობის ზუსტად მიგნებას და სათანადო ადგილას გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.
სინონიმებთან ახლოა ევფემიზმები ანუ სიტყვები, რომლებიც გამოიყენება იმისათვის, რომ თავი აარიდონ უხერხულ, ეულგარულ სიტყვებსა და გამოთქმებს.

ევფემიზმი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „კეთილად ვმეტყველებ“, „ზრდილობიანად ვლაპარაკობ“.

„თქვენ ცრუობთ – ამ წინადადების მაგივრად თუ ვიტყვით „თქვენი ნათქვამი სინამდვილეს არ შეეფერება“ მივიღებთ ევფემისტური სიტყვათხმარების ნიმუშს.

სავარჯიშო

მსგავსი მნიშვნელობის სინონიმებიდან შეარჩიეთ კონტექსტის შესაფერისი.

ერთი (ქალი, ბანოვანი, დედაკაცი, დიაცი, მანდილოსანი) დათას პირისახეში ეცა და თვალების კაწვრა დაუწყო (მ. ჯავ.).
მისმა სიკვდილმ და ურჩობამ ხალხი უარესად (გააღიზიანა, აიფორიაქა, გააცეცხლა) (მ. ჯავ.).
ღამით (ძლიერი, მაგარი, ღონიერი) წვიმა მოვიდა.
(ბევრი, მრავალი) ქვეყანა მომივლია, მაგრამ მსგავსი რამ არსად მინახავს.
უკმაყოფილო მგზავრები (იძახიან, ამბობენ) იქნებ ყურადღება მოგვაქციონო.
კოკისპირულმა წვიმამ დიდი (ზიანი, ზარალი) მიაყენა ნათესებს.

იმ არამზადამ და მისმა ძმაკაცებმა ოჯახის მთელი თვის სარჩო ერთ დღეში (სახეობის. მიირთვეს, სცენისლეს, შეჭამეს).
ქალაქის წარსულის (თქმა, მოყოლა. გადმოცემა) რამდენიმე სიტყვით შეუძლებელია.

ანტონიმი

ანტონიმი ისეთ სიტყვებს ეწოდება, რომლებიც ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობებს გამოხატავენ.

ანტონიმი ბერძნული სიტყვაა და მოწინააღმდეგეს ანუ დაპირისპირებულს ნიშნავს.

ანტონიმები თითქმის ყველა მეტყველების ნაწილით გამოიხატება:

არსებითი სახელი:
მტერი–მოყვარე; ომი–მშვიდობა; ცა–დედამიწა; სტუმარი–მასპინძელი; დღე–ღამე.

ზედსართავი სახელი:
ლამაზი–მახინჯი; მაღალი–დაბალი; გრძელი–მოკლე; ბეჯითი–ზარმაცი; გონიერი–უგუნური.

რიცხვითი სახელი:
ერთი–მრავალი; ცოტა–ბევრი; კენტი–წყვილი.

ზმნა:
ადგომა–დაწოლა; ტირილი–სიცილი; ქება–ძაგება; სიარული–სირბილი.

ზმნიზედა:
ზევით–ქვევით; წინ–უკან; აქეთ–იქით; მაღლა–დაბლა.

ანტონიმები სხვადასხვა ფუძის მქონე სიტყვებისგან (სილამაზე–სიმახინჯე; ახალგაზრდა–მოხუცი) ან ერთი ფუძისგან უარყოფითის თავსართ-ბოლოსართებით (გემრიელი–უგემური; გონიერი–უგუნური) იწარმოება.

ანტონიმების ზუსტად სათანადო ადგილას და გონიერულად გამოყენება სიტყვას განსაკუთრებულ გამომსახველობით უნარს ანიჭებს და მსმენელზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

სავარჯიშო

მონახეთ სიტყვები, რომელთა ანტონიმები დაიძებნება და დაწერეთ ეს ანტონიმები.

მკერდზე თათებით მიეხუტებინათ ცოცხალი ბული (კ. გამ.).
დის ნაზ ხელს არ გაუსწორებია მისთვის სასთუმალი (ნ. ლორთ.).
ისევ თხელი ჯანყი იყო, ისევ მცირედ ნაწვიმარი (რ. ინან.).
რომელიღაც სადგურზე მთერალი გლეხებით აივსო ვაგონი (კ. გამს.)
რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ეტკებები (გ. ტაბიძე).
ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?! (ილია).
ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი, მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა (გ. ტაბიძე).

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

ომონიმები

ომონიმი ისეთ სიტყვებს ეწოდება, რომლებიც ბგერითი

აგებულებით მსგავსია, მაგრამ მნიშვნელობით და წარმომავლობით – განსხვავებული. ომონიმი ბერძნული წარმოშობისააა და „მსგავს სახელს“ ნიშნავს.

ომონიმების მაგალითებია: ხერხი (სამუშაო იარაღი) და ხერხი (ფანტი, ხრიკი), „ფრანგული“ ხმალსაც ნიშნავს და იმასაც, რაც ფრანგებს ახასიათებს ან საფრანგეთიდან შემოსულა, „ხელი“ გადარეულს, გიჟსაც ნიშნავს და სხეულის ნაწილსაც.

ყველა განსხვავებული მნიშვნელობის და სხვადასხვა წარმომავლობის სიტყვას ვერ მივიჩნევთ ომონიმებად. მაგ.: „მთის წვერზე დგას“, „წვერს იპარსავს“, „ისრის წვერი ბასრი იყო“, აქ წვერი ომონიმი არ არის.

ყველაზე ხშირად გაუგებრობას ისეთი ომონიმები ან სიტყვები იწვევს, რომელთაც ორი მნიშვნელობა გააჩნიათ: საყოფაცხოვრებო და ტერმინოლოგიური. ასეთი ომონიმების გაგება მხოლოდ კონტექსტის მეშვეობით შეიძლება.

სავარჯიშო

მონახეთ სიტყვები, რომელთაც შეიძლება დაეძებნოს ომონიმები და დააზუსტეთ მათი მნიშვნელობა.

მოულოდნელად გაისმა საშინელი ყვირილი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო.
ქალწული გამოიღვიძებს და ოქროს ფაფარზე ხელს გადაუსვამს მიძინებულ ლომს (ნ. ლორთ.).

დაყუდებული ბერი ყველას მორჩილებით, მორიდებით ეპყრობოდა (ნ. ლორთ.).
შვიდ წელიწადს ტყედ იარა. მოა და ბარი შეაჯერა (ხალხ.).
ანაზდად ზარმა გამოაფხიზლა და იმავე წუთს უმიზეზო მოუსვენრობამ მოიცვა (მ. ჯავ.).
გადი-გამოდი გუთანო, ღირღიტავე, ბანი უთხარო (ხალხ.).

არქაიზმი ძველ, ხმარებიდან გამოსულ სიტყვებს და გამოთქმებს ეწოდება.

არქაიზმი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და „ძველის-ძველს“ ნიშნავს. იგი სხვადასხვა სახისაა.

ლექსიკური არქაიზმები:

„მუნ“ – იქ, „ოდეს“ – როდესაც, „დათხევა“ – დაქცევა, „მსრბოლი“ – მორბენალი, „მტილი“ – ბოსტანი, „ოტებული“ – გადახვეწილი, „სვე“ – ბედი.

სტილური ანუ სინტაქსური არქაიზმები.

ამ შემთხვევაში სიტყვები არაა ხმარებიდან გამოსული, მაგრამ არქაულია მათი დალაგება ან ნაწილაკები:
„სიყვარულსა შევუპყრივარ აწ შენსა“ (ა. ჭავჭ.).
„ვინ აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმინდასა“ (გრ. ორბ.).
„პატივით მიცმართოთ თვალნი წარსულთა ძველთა საუკუნეთა“ (გრ. ორბ.).
სიტყვები, რომლებიც არქაულნი გახდნენ იმიტომ, რომ ისინი შეესაბამებოდნენ იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც ისტორიის კუთვნილებად იქცნენ.

ასეთ არქაიზმებს ისტორიზმებს უწოდებენ.

ისტორიზმებს მიეკუთვნება უკვე არარსებული თანამდებობების, საქმიანობის, წოდების (პოდპორუჩიკი, მწიგნობართუხუცესი, მოძღვართმოძღვარი, ვაზირი) დასახელება. ასეთი სიტყვები ენის პასიურ ლექსიკონშია გადასული და სპეციალურ სამეცნიერო ენაში გამოიყენება. მათი დიდი ნაწილი თანამედროვე ენისათვის უცხოა და ამიტომ სპეციალურ ახსნას საჭიროებს, მაგრამ მათი შეცვლა თანამედროვე სიტყვებით შეუძლებელია. მხატვრულ ნაწარმოებში არქაიზმი თხზულებაში ამა თუ იმ ეპოქის კოლორიტის შესაქმნელად გამოიყენება.

არქაიზმს უპირატესად მწერლები მიმართავენ, თანაც

სხვადასხვა მიზნით:

ა) ტიპიზაციის მიზნით:

„არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა...
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი
თითქო მათ შიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი“. (ილია).

ბ) აღფრთოვანების, აღტაცების, პატივისცემის გამოსახატავად:

„დაენატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად,
როს ერთგულება, სარწმუნოება
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
ოდესცა ბრძოლა და მამულობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ“. (გრ. ორბ).

გ) დაცინვის გამოსახატავად:

„რათ შევაწუხო გარდათელითა ყოველი ბოროტმოქმედებათა, რომელიც მიიღო ჩემდამი თავადმა არჩილმა, მაღალი გონიერება თქვენი“. (ნ. ლორთ.).

თუ არ არის აუცილებლობა, არქაულ ფორმებს უნდა ვერიდოთ, რადგან არქაიზმი ნაწერს აბუნდოვანებს და მკითხველს მათი აღქმა უჭირს.

საეარჯი'შო

მონახეთ არქაიზმები (ლექსიკური, სტილური) და ისტორიზმები შემდეგ წინადადებებში

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით, არნ მოცულნი უმრაელესთა ურვით (ალ. ჭავჭ.).
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ! (ნ. ბარ.).
უკანასკნელმა მაინც მიიხმო სამიოდე კაცი და ოდიშის მთავართან წაიიდა (ნ. ლორთ.).
მე ოდნავ შევშფოთდი: ჩუკისტს აჭი მაინც რაღა უნდა-მეთქი ჩემგან? (კ. გამს.).
ქმარი მისი ლეკან იყო დიდი ვაჟკაცი (გრ. რჩეულ.).
მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი ლიდ მშვენიერი, ვით გააღიმებს ჩემს მშვენებას ხშული პაერი? (ნ. ბარ.).
გუბერნატორი ეხვეწება, მაჰრის უფროსობა იკადრე ამ ხანობით (ნ. ლორთ.).
ნეტავი ოდეს ლხინით აღვსილნი ესხლეთ ველსა ძმეანეს (გრ. ორბ.).

პასუხი უჩდოდა ამ ბრძანებას გადაწყვეტილი (ე. ბარნ.).
ნათელ საქმეთა სამრავლებლად ჟამი უოხრობდა (ე. ბარნ.).

ბარბარიზმი

ეროვნული ენისთვის შეუფერებელ სიტყვებსა და გამოთქმებს ბარბარიზმი ეწოდება – „ბარბარუს“ ლათინურად უცხოელს ნიშნავს. ბარბარიზმის ნიმუშებია „სტოლი“, „სპიჩკა“, „ოჩერედი“, „შკაფი“, „პოლი“.

ბარბარიზმად სიტყვების ისეთი დალაგება ითვლება, რომელიც ქართული ენის ბუნებას და ნორმებს ეწინააღმდეგება.

მაგ.: „ფრიადი მოწყალება რომელი მიხილავს მე თქვენს შორის, მცემს კადნიერებასა ამას, რათა შრომათა ჩემთა მცირისა ნაყოფისა ამის შეწირვა გაუბედო უგანათლებულესსა სახელსა თქვენსა“ (ალ. ჭავჭ.).

სიტყვა ბარბარიზმად შეიძლება გამოთქმის მიხედვითაც იქცეს.

მაგ.: „ზალიან კარგი გოგოა“, „ტკვენი ჭირიმე“.

ბარბარიზმის ხმარება დაუშვებელია, თუ ისინი ავტორს შეგნებულად, გარკვეული მიზნით არა აქვს გამოყენებული. სხვა ერების ენისგან საჭირო სიტყვების სესხება ეროვნული ენის ლექსიკურ მარაგს ამდიდრებს, მაგრამ ისეთი სიტყვები უნდა ვისესხოთ, რომლებიც ეროვნულ ენას არ მოეპოვება. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ენის თვისებები და ნორმები.

ბარბარიზმს მწერლები ძირითადად პერსონაჟის დახასიათების ან დაცინვის მიზნით მიმართავენ.

„ვტო ნასვეტე ჩესნი ბუდიტ, ბუდიტ ნასიტ ხლება გუდით

(გ.ერის.).

„უშენოდ ვერ სძლებს «Листок» ვერც ჯდომას, ვერცა წოლასა“ (ილია).

სავარჯიშო

მონახეთ ბარბარიზმები წინადადებებში

გონება ჩემი აღმიტაცებს მუ უმაღლეს სფეროსა ამის (ალ. ჭავჭ).
ქართველთ შეეძლოთ ბრძოლა პირისპირ მათთა (გრ. ორბ.).
ია რაზდულიუ პოლუ ნა სუმ (გ. ერის).
შკოლა დაეაარსოთ -- იხელწუბა ამ ქვეყნის ახლაგაზრდა შვილი (ნ. ლორთ.).
სტოლიდან სტაქანი აიღო და წყლის მოსატანად გაემართა.
ამასობაში ორშაბათი გამომეპარებოდა, როდესაც მანდაური პორტა მოდის (ნ.ბარ.).
მგონია, ძალიან ბევრი გამოვსტუმრეს „ზნაკომობაზე“ (დ. კლდ.).
უკან ბალკონზეა. ბატონო! – მიუგო ბაუშმა (დ. კლდ.).
ზალიან სიდოა (მ. ჯაე.).

ნეოლოგიზმი

ნეოლოგიზმი ხმარებაში ახლად შემოსულ სიტყვებს ან გამოთქმებს ეწოდება. ნეოლოგიზმი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და „ახალ სიტყვას“ ნიშნავს.

ახალი მოვლენების, ცნებების, ურთიერთობების წარმოშობა ახალ სახელწოდებას მოითხოვს, ეს ენაში ნეოლოგიზმების წარმოქმნას იწვევს, რაც ენის ლექსიკური მარაგის შევსების და განვითარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

დროთა განმავლობაში ეს სიტყვები ენაში მკვიდრდება და

აქტიურ ლექსიკონს უეროდება.

ნეოლოგიზმები წარმოიქმნება უკვე არსებული სიტყვების ძირებიდან (თვითმფრინავი, ელმავალი, ყურმილი), ძ ვ ე ლ ი სიტყვებისთვის ახალი მნიშვნელობის მინიჭების გზით (მატარებელი, სახელმძღვანელო), ან შემოდის სხვა ენებიდან (კოსმონავტი, ტელევიზორი).

ისეთი ნეოლოგიზმები, რომლებიც ენისთვის ნაძალადევია და იმავე ცნების აღმნიშვნელ ენაში უკვე არსებულ სიტყვებს ცვლის, ვერ მკვიდრდება.

მაგ.: „თვითმდუღარი" – სამოვარი, „რონოდა" – ვაგონი.

სავარჯიშო

მონახეთ ნეოლოგიზმები შემდეგ წინადადებებში

მხარი მხარს, მხარი მხარს, კოლექტიუო, მხარი მხარს (გ. ტაბ.)
არწიეთ თაედასხმა ჰაეროპლან'ზე მე მომაგონდა (გ. ტ.ბ.).
სადაც ვერ წვდება კვალდაკვალ მსრბოლი პროჟექტორიც კი (გ. ტაბ.).
მკითხულობენ და მღერიან ლხენით გულდამერცხლებულნი (გ. ლეონ.).
ტრაქტორის ჩამოყვანა დაევალოს ამხ. ტარასი ხა'ხარაძეს და იგივე იყოს ჩვენი არტელის თავმჯდომარე (კ. ლორთ.).

კავშირი

ზოგჯერ კავშირებისა თუ მაკავშირებელი სიტყვების გამოყენებისას გვხვდება უზუსტობანი, რაც აზრს ბუნდოვანს ხდის. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, უნდა გვახსოვდეს:

1. მაჯგუფებელი ან მაპირისპირებელი კავშირი შესაპირისპირებელ ან დასაჯგუფებელ წევრთა წინ დაისმის. აქედან გამომდინარე, არ არის სწორი:

მხატვარმა დაიჭირა არა მარტო ფილმის მთავარი, თვისებრივი ხაზები, არამედ გადმოსცა რეჟისორული ჩანაფიქრის ნიუანსები.

ეს წინადადება შემდეგნაირად უნდა გასწორდეს:

მხატვარმა არა მარტო დაიჭირა ფილმის მთავარი, თვისებრივი ხაზები, არამედ გადმოსცა რეჟისორული ჩანაფიქრის ნიუანსები.

3. ზოგჯერ წინადადების სისწორეს „ც“ ნაწილაკი განაპირობებს.

მაგ.: თამარი იყო არა მარტო კარგი მეცნიერი, არამედ კარგი აღმრზდელიც.

სავარჯიშო
გაასწორეთ

1. მხატვარი აუმჯობესებს რეკლამის არა მარტო შინაარსობრივ მხარეს, არამედ ამაღლებს მის მხატვრულ დონეს.
2. ეს მკვეთრად გააუმჯობესებდა არა მარტო ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობას, არამედ დიდად შეუწყობდა ხელს ევროპის დაძაბულობის შენელებასაც.
3. თქვენ მოხიბლეთ არა მარტო ამ დარბაზში მყოფნი, არამედ დაეუფლეთ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მცხოვრების გონებასა და გულს.
4. ნაშრომში მოცემულია არა მარტო უხვი მასალა, არამედ ეს მასალა მეცნიერული საფუძვლიანობით არის შესწავლილი.
5. ქალიშვილები და ჭაბუკები წარმატებას აღწევენ არა მხოლოდ შრომაში, არამედ აქტიურნი არიან საზოგადოებრივ საქმიანობაში.

3. მიუღებელია ერთ წინადადებაში „რომ“ კავშირის რამდენჯერმე გამეორება.

მაგ.: „იგი თელიდა, რომ მარტო ყოფნა ჩინებული საშუალება იქნებოდა იმისათვის, რომ წარსულზე დაფიქრებულიყო“.

წინადადება შემდეგნაირად უნდა გასწორდეს:

„იგი თელიდა, რომ მარტო ყოფნა ჩინებული საშუალება იქნებოდა წარსულზე დასაფიქრებლად“.

4. ზოგჯერ „რომ“ კავშირი უმართებულოდ არის ნახმარი „სადაც“ კავშირის მაგივრად.

მაგ.: „დაჭრილი კაცი რომ ეგდო, იქ ხალხი მოგროვდა.“

უნდა გასწორდეს:

„ხალხი მოგროვდა იქ, სადაც დაჭრილი კაცი ეგდო“.

5. ხშირად ერთმანეთში ურევენ „როგორც“ და „როგორიც“ კავშირებს.

უნდა გვახსოვდეს: „როგორც“კავშირის კორელატია (მეწყვილე) „ისე“. ხოლო „როგორიც“ კავშირისა – „ისეთი“.

შეცდომაა:

„თქვენ ისეთივე კარგი მეუღლე ბრძანდებით, როგორც აღმზრდელი“.

უნდა იყოს:

„თქვენ ისეთივე კარგი მეუღლე ბრძანდებით, როგორიც აღმზრდელი“.

6. „როგორც“ კავშირიანი დანართი უშუალოდ უნდა მოსდევდეს ასახსნელ სიტყვას.

მაგ.: შეცდომაა: „ბეგლარი სახლიდან უნდა გაჰყოლოდა ცხედარს, როგორც ნათლული“.

წინადადება უნდა გასწორდეს:

„ბეგლარი, როგორც ნათლული, უნდა გაჰყოლოდა ცხედარს“.

7. „რომელიც“ კავშირი მრავლობით რიცხვში უნდა ვიხმაროთ, თუ:

ა) ასახსნელი წევრი მრავლობითშია.

მაგ.: გლეხები, რომლებიც თივას ეზიდებოდნენ, მალე დაიღალნენ.

ბ) ასახსნელი წევრის მსაზღვრელია ერთზე მეტი რიცხვი სახელი ან განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი

(ბევრი, მრავალი, ყველა, რამდენიმე).

მაგ.: „ძალიან მოეწონა ორი ქალი, რომლებიც საუბრობდნენ“.

„ყველა ბავშვი, რომლებიც კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას, დაჯილდოვდება“.

გ) როდესაც ასახსნელი წევრი ორი ან მეტცნებიანია (დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-შვილი და ა.შ.)

მაგ.: „გადახედა დედ-მამას, რომლებიც შვილებს უცდიდნენ“.

8. „რომელიც“ კავშირის წინ ყოველთვის უნდა იყოს ასახსნელი სიტყვა. მაგ.: არ არის სწორი:

„თამარი მისდევდა ქალებს, რომელიც შიშისაგან ცახცახებდა“.

წინადადება შემდეგნაირად უნდა გასწორდეს:

„ქალებს მისდევდა თამარი, რომელიც შიშისაგან ცახცახებდა“.

მაგრამ ყოველთვის ვერ ხერხდება „რომელიც“ კავშირის დასმა უშუალოდ ასახსნელ სიტყვასთან. ასეთ შემთხვევაში მივმართავთ მთავარი წინადადების ასახსნელი სიტყვის გამეორებას „რომელიც“ კავშირით დაწყებული დამოკიდებული წინადადების წინ.

მაგ.: „ქართველი მეომრები ფხიზლად დგანან სამშობლოს სადარაჯოზე, იმ სამშობლოსი, რომელიც ესოდენ ძვირფასია ყოველი მათგანისათვის“.

9. „ხოლო“ და „კი“ სინონიმური კავშირებია. მათი ერთად ხმარება არ არის გამართლებული.

შეცდომაა:

„მე ჭერს შევცქეროდი, ხოლო დათიკო კი ქუჩას ათვალიერებდა“.

წინადადება შემდეგნაირად ინდა გასწორდეს:

„მე ჭერს შევცქეროდი, ხოლო დათიკო ქუჩას ათვალიერებდა“. ან „მე ჭერს შევცქეროდი, დათიკო კი ქუჩას ათვალიერებდა“.

სავარჯიშო

გაასწორეთ

1 მღვდელი მიუძღვოდა მიცვალებულს, რომელიც ლოცვანს კითხულობდა.

2. დაეთის ნაიქვამი ლუარსაბს გაუხარდა. ხოლო ელისაბედი კი განაწყენდა.

3 ლუარსაბი ჯერ კიდევ ტახტზე გორავდა. ხოლო დარეჯანი კი ბიჭებს აწიოკებდა.

4. მზემ უხვად მოაყრქვია ტყეს თავისი სხივები. ხილო ხეები კი ჯერ ვერ გამოფხიზლდნენ.
5. სპეციალისტებმა მითის ფერდობზე შეყენილი ცხვრის ფარა რომ დაათვალიერეს. მწყემსებს აღუთქვეს რომ აუცილებლად დაეხმარებოდნენ.
6. იგი ხედავდა, რომ ბერძნული სარწმუნოება ჩინებული საშუალება იყო იმისათვის, რომ მთავრის ძალაუფლება განმტკიცებულიყო.
7. მას ამ საქმეში მხარი აუბა ისეთმა გამოცდილმა პედაგოგმა, როგორც თამარია.
8. ისეთი უინტერესო ადამიანი, როგორც გიორგია, ჯერ არ შემხვედრია.
9. ბიძინამ ორად გაყო შეერთებული ჯარი, როგორც მთავარმა.
10. როსტომი შესდგომოდა თადარიგს, როგორც ფრთხილი კაცი.

სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია

ქართულ ენას სხვა ენებთან შედარებით სიტყვათა თავისუფალი რიგი ახასიათებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს აბსოლუტურ თავისუფლებას.

მაგ.: მეურმეები თვალების ფშვნეტით აიშალნენ.
აიშალნენ მეურმეები თვალების ფშვნეტით.
თვალების ფშვნეტით აიშალნენ მეურმეები.
თვალების ფშვნეტით მეურმეები აიშალნენ.

როგორც ვხედავთ, აბ წინადადებაში გადაადგილებით აზრი ძირითადად უცვლელი რჩება, მაგრამ თითოეულ წინადადებას სხვადასხვა ინტონაცია გაუჩნდა, განსხვავებული იერი დაჰკრავს, ემოციურობის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად არის დატვირთული. ეს კი წინადადების წევრთა გადაადგილებამ გამოიწვია. თუმცა სიტყვათა გადაადგილებას ყოველთვის არ მოაქვს შედეგი. ზოგჯერ საკმარისია, წინადადების ერთი წევრი გადავაადგილოთ და უაზრობა მივიღოთ.

მაგ.: კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიცინა.

ბერიკაცმა გულჩაკლულად ჩაიცინა კეთილმა.

ამ წინადადებაში დაიშალა სიტყვათა მყარი წყობა და მივიღეთ უაზრობა. ასე რომ, წინადადების წევრთა ჩვენი სურვილისამებრ გადასმა ყოველთვის არ არის შესაძლებელი.

სიტყვათა განლაგებისას წამყვანია შემასმენლის პოზიცია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მოკლე წინადადებაში შემასმენელი ბოლოკიდურია. სიტყვათა ასეთ რიგს ჩვეულებრივ რიგს უწოდებენ.

მაგ.: ბავშვები სკოლაში წავიდნენ.

მაგრამ არსებობს სიტყვათა ინვერსიული (შებრუნებული) რიგი, როცა ზმნა-შემასმენელი წინადადების თავშია ან შუაში, რაც გარკვეულ მიზანდასახულებას ემსახურება.

ა) როცა აქცენტი გადატანილია ზმნა-შემასმენლით გამოხატულ მოქმედებაზე, მაშინ უფრო ხშირად მარტივი წინადადება შემასმენლით იწყება.

მაგ.: მიყვარხარ, ჩემო გოგონა.

ბ) არის შემთხვევები, როდესაც I მარტივი წინადადება მთავრდება შემასმენლით და II მარტივი წინადადება იწყება შემასმენლით.

მაგ.: ბაღს მივუახლოვდი. შეეჩერდი დასასვენებლად.

გ) ემოციის ამაღლების მიზნით ზოგჯერ II მარტივი წინადადება იმავე შემასმენლით იწყება, რითაც წინა მთავრდება.

მაგ.: სახლს მივუახლოვდი. მივუახლოვდი დასასვენებლად.

ზეპირი მეტყველების დროს შეგვიძლია ხმა ავიმაღლოთ იმ სიტყვაზე, რომელზედაც განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას. წერის დროს კი ამგვარი სიტყვა წინადადების თავში უნდა დავსვათ ან შემასმენლის წინ მუვუჩინოთ ადგილი.

მაგ.: „თვალი იქაურობას მოაელო ზაალმა“.

წინადადებაში ხაზი ესმის „იქაურობას“.

წევრთა გადაადგილება წინადადების შინაარსს დამატებით აზრობრივსა და გამომხატველობით ელფერს სძენს.

სიტყვათა ჩვეულებრივი რიგი (როდესაც ზმნა-შემასმენელი ბოლო ადგილას არის) მეცნიერულ, პუბლიცისტურსა და ოფიციალურ-დოკუმენტურ სტილში გამოიყენება, ინვერსიული (შებრუნებული) რიგი კი უმეტესად მხატვრულ-ლიტერატურულსა და სასაუბრო სტილში გვხვდება.

ძირითადი ლიტერატურა:

ნ. ბასილია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, სოხუმი, 1956;

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970;

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი №1-2, თბ., 1985;

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ბიულეტენი №3, თბ., 1987;

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხები თბ., 2001;

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
შემოკლებული განმარტება 5
შესავალი 7
ქართული ენა როგორც ქართველი ერის ერთიანი საერთო ეროვნული ენა. ქართული ენის ადგილი მის მონათესავე ენათა შორის. ქართული ენის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა 7
ქართველი ხალხის წარმოშობის პრობლემა. ქართული ენის წარმოშობა. ქართულის წარმოშობის თეორიები. ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები. ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მოკლე ისტორია 9
ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების საფეხურები საზოგადოების განვითარებასთან დაკავშირებით. ახალი ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნის დრო და პირობები, მისი განვითარების შეფერხება ანტონ I-ის სკოლის გაელენით. ბრძოლა ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისთვის XIX ს-ის 60-იან წლებში. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის როლი ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრებასა და მის შემდგომ განვითარებაში 32
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა როგორც შემდგომი განვითარება ახალი ქართული ენისა 46
ფონეტიკის საკითხები 53

უცხო ენებიდან შემოსული სიტყვათა გადმოცემა ქართულში: . . . 54
რუსულში – ю, ქართულში – იუ 54
რუსულში – я, ქართულში – ია 54
რუსულში – ё, ქართულში – იო,ო 54
რუსულში – უმახვილო о, ქართულში – ი 54
გერმანულში – ei, ქართულში – აი 55
ბერძნულში – X, ლათინურში – ch, რუსულში –X, ქართულში – ქ . . . 55
ბერძნულში – ςτ, რუსულში – т, ქართულში – თ, ტ 55
ბერძნულში, ლათინურში, გერმანულში – h , ქართულში – ჰ 56
ბერძნულში – χ, ქართულში – გ 56
ბერძნულში – η, ქართულში – ე 56
უცხოურ ენებში – eu, au ქართულში – ევ, აე 56
ლათინურში – qu, ქართულში – კვ 56

ბერძნულში – Χφ, ლათინურში – x, ქართულში – ქს, ფს 57
ლათინურში – ct, ქართულში – ქტ 57
ბერძნულ-ლათინურში – pt, ქართულში – პტ 57
რუსულში – ся, ქართულში – ეა 57
რუსულში – а, ქართულში – ა 57
გერმანულში – ch, ქართულში – ხ 58
ვ ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები 59
სიტყვის გადატანის წესები 67
მავრცობი -ან ხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში . . 70
ორი ერთნაირი ბგერის თავმოყრა 73
ჟუჟის კვეცა ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში 78

ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხები

ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება 80
წოდებითი ბრუნვის დაბოლოება 81
საზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში 88
ნანათესაობითარი სახელის შეთანხმება საზღვრულთან რიცხვში . . . 93
საზღვრულის რიცხვი გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ
მსაზღვრელთან 98
სადაურობის სახელთა წარმოება –ეთ და –ის სუფიქსების
შემცვლელ სახელებთან 101
მიცემითისა და სახელობითის გაქვავებულ ფორმათა
გამოყენება დროის გამოხატვისას 103
რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები 105
ნაცვალსახელების მართლწერა 110
-მე, -ვე, ღა, ღაც (ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნვებს 111
თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერა 113
-ზე და –ში თანდებულთა მონაცვლეობის შესახებ 118
სახელის შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და
ზმნიზედებთან ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვებში 118
თანდებულად გამოყენებული უკან და წინ ზმნიზედების
ხმარებისთვის 121
ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან
–ურ ბოლოსართით 122
რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა 126
რთული შედგენილობის ქართულ გეოგრაფიულ
სახელთა მართლწერა 128
ნა- – -ევ და ნა- – -ებ აფიქსებით სიტყვათა წარმოებასთან
დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი 131
შერწყმული დანართის მართლწერა 132
სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები 134

ზმნისწინების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები 136
ზმნის პირის ნიშნები 138
-ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნების მართლწერა 143
რიცხვში მონაცვლე ზმნების მართლწერა 144
სერიის ფორმების წარმოებასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები:
ერთი სახის უცხოური წარმოშობის ზმნებისა და ნაზმნარი სახელების წარმოება ქართულში 145
ავადმყოფობს და შეურაცხყოფს ტიპის ზმნათა ზოგი ფორმის მარ-თლწერისათვის 148
შუალობითი კონტაქტის ფორმათა მართლწერა 149
ვშობილვარ თუ შობილვარ? ვშობილიყავი შობილვიყავი თუ ვშობილვიყავი?
აეშენებინა თუ აეშენებია? აეშენებინოს თუ აეშენებიოს?
შევჰკითხებოდი თუ შევჰკითხებიყავი?
გაუბედავს თუ გაუბედია? მოუკლავს თუ მოუკლია?
დაუბამს თუ დაუბია? შეუსვამს თუ შეუსვია?
უნახავს თუ უნახია? 150
ზმნიზედების მართლწერა 151
სინტაქსის საკითხები 155
შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან და დამატებებთან რიცხვში 156
პუნქტუაციის საკითხები 163
პრაქტიკული სტილისტიკისა და ლექსიკის საკითხები 195
სიტყვათა გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით 199
პლეონაზმი 204
ტაეტოლოგია 206
შტამპი და კანცელარიზმი 208
კალკი 212
ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა დამახინჯება 214
პარონიმები 218
სინონიმი 225
ანტონიმი 229
ომონიზმი 230
არქაიზმი 232
ბარბარიზმი 234
ნეოლოგიზმი 235
კაშირი 237
სიტყვათა რიგის სტილისტიკური ფუნქცია 240